

მზ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის უროგეგი



ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО  
УНИВЕРСИТЕТА ИМ. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

PROCEEDINGS OF TBILISI UNIVERSITY

327

290

1998

აღმოსავლეთმცოდნეობა  
ВОСТОКОВЕДЕНИЕ  
ORIENTAL STUDIES

117

თბილისი ТБИЛИСИ TBILISI

1998

უბღუნება ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების  
80 წლისთავს.

Посвящается 80-летию со дня основа-  
ния Тбилисского университета им. Ив.  
Джавахишвили.

Dedicated to the 80th anniversary of  
the foundation of Tbilisi Ivane Javakhi-  
shvili State University.



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА  
TBILISI UNIVERSITY PRESS

ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА  
ИМ. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ  
PROCEEDINGS OF TBILISI UNIVERSITY



00443853-20  
30820040033

327

ВОСТОКОВЕДЕНИЕ  
ORIENTAL STUDIES

ჩვ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პრობები



საქართველო  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

327, 1998

290  
1998 p. 327

(117)

# აღმოსავლეთმცოდნეობა



ზ. ალექსიძე, ა. გვახარია (რედაქტორი), გ. გიორგაძე,  
ი. გოცირიძე, დ. კაციაძე, ა. სილაგაძე, გ. ფუთურიძე,  
კ. წერეთელი, ნ. ჯანაშია

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

З. Н. Алексидзе, А. А. Гвахария (редактор), Г. Г. Гиор-  
гадзе, И. С. Гоциридзе, Н. Н. Джанашия, Д. В. Ка-  
цитадзе, Г. В. Путуридзе, А. А. Силагадзе, К. Г. Це-  
ретели

EDITORIAL BOARD

Z. Aleksidze, A. Gvakharia (editor), G. Giorgadze,  
I. Gotsiridze, N. Janashia, D. Katsitadze, G. Puturidze,  
A. Silagadze, K. Tsereteli,

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998

გამომცემლობის რედაქტორია ახა ვაჭარაძე-ვერესელიძე  
ტექნიკური რედაქტორი ფრიდონ ბუღალაშვილი  
კორექტორი ცირა მოლოდიანი

ბელოწერილია დასაბეჭდად 6.10.98. საბეჭდი ქაღალდი 70X108<sup>1</sup>/<sub>16</sub>  
პირ. ნაბ. თაბახი 16,1 სააღრ.-საგამომც. თაბახი 13,78  
შეკვეთა 30, ტირაჟი 150

უასი საბეჭდურუღებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის განზ., 14.  
თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის განზ., 1.





21233

თინა მარგველაშვილი, აპოლონ სილაგაძე

აკადემიკოსი გიორგი წერეთელი — ქართველოლოგი და ორიენტალისტი

ივანე ჯავახიშვილმა, როდესაც სათავეში ჩაუდგა ქართული მეცნიერებისა და კულტურის აღორძინებასა და თბილისის უნივერსიტეტის დაარსების საქმეს, იმთავითვე განსაზღვრა ჩვენი ჰუმანიტარული დარგებისათვის ახლო აღმოსავლეთის ენების, კერძოდ, სპარსულის, არაბულის, თურქულის დიდი მნიშვნელობადღის წესრიგში იდგა შესაბამისი პრობლემაც — სპეციალისტების აღზრდა. უნივერსიტეტის იმ წარჩინებულ კურსდამთავრებულთა შორის, ვინც სამისოდ ლენინგრადს მიავლინეს, იყო რუსული არაბისტიკის ფუძემდებლის აკად. ე. კრაჩკოვსკის მომავალი მოწაფე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტისა და სემიტოლოგიის კათედრის დაარსების ინიციატორი, საქ. მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შექმნის მოთავე და თავის სიცოცხლეში ამ ინსტიტუტის უცვლელი ხელმძღვანელი, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის თავკაცი აკად. გიორგი წერეთელი — მეცნიერი და აღმზრდელი, რომელიც სტუდენტ არაბისტებს ნუდამ იმას შეაგონებდა ხოლმე, რომ არაბული არაბულისათვის პირველ რიგში არაბებმა უნდა ისწავლონ, ხოლო ქართველ მეცნიერებს ეს და სხვა სემიტური ენები ძირითადად ქართული ფილოლოგიისა და საქართველოს ისტორიისათვის სჭირდებათ.

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით მოკლედ წარმოვადგინოთ მოცემული თეზისის ხორცშესხმის სურათი გ. წერეთლის იმ ნაშრომების მიხედვით, რომლებიც სწორედ ამ მხრივ იმსახურებენ დიდ ყურადღებას. ჩვენ გვაქვს ბედნიერი შესაძლებლობა, რომელიც გვადვილებს ამგვარი სტატიის აგებას — ეს არის გიორგი წერეთლის შესანიშნავი ნაშრომი საპროგრამო ხასიათისა „სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის“ (თსუ სამეცნიერო სესიები, მოხსენებათა კრებული, № 1, 1947 წ. გვ. 15—52). ამ საოცარი ლაკონიურობით გამორჩეულ ნაშრომში, რომელსაც მაღალი შეფასება მისცა აკად. ეგ. კრაჩკოვსკიმ (იხ. Избранные сочинения, 5, стр. 183), გ. წერეთელი გამოყოფს ქართული კულტურის იმ საკითხებს, რომელითა გამოკვლევისათვის უთუოდ საჭიროა სემიტური მონაცემების მოხმობა. აქ გამოთქმული თითოეული შეხედულების, ანალიზის, საილუსტრაციო მასალის უკან სწორედ დიდიდერუდობული ქართველოლოგი — სემიტოლოგი დგას.

რომელია ეს საკითხები?

1. სემიტური ენების გავლენა ქართულ ლექსიკაზე (ივარაუდება ადრინდელ ეპოქაში მომხდარი ნასესხობანი). გ. წერეთელს მაგალითებად დასახელებული აქვს შემდეგი სიტყვები: აქლემი, თარგმანი, თარჯიმანი, ზეთი.

პირიქითა ნასესხობად მეცნიერი ვარაუდობს „ღვინო“ სიტყვას და მის ეტიმოლოგიას ვრცელ ექსკურსს უთმობს. „...სერიოზული საფუძველი გვექნება მორიციხულად არ ჩავთვალოთ შესაძლებლობა, რომ მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაჩვენებელი ისეთი სიტყვა, როგორც არის ღვინო და თვით საგანი მითი აღნიშნული, ქართულიდან იყოს მთელ მსოფლიოში გავრცელებული“. ამ სიტყვებით ამთავრებს ავტორი ზემოაღნიშნულ ექსკურსს, სქოლიოში კი შენიშნავს: „დაწვრილებით ამ საკითხზე, რომელიც კულტურის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, სპეციალურ ნარკვევში გვექნება საუბარი“. სამწუხაროდ, გ. წერეთელი ამ საკითხს, როგორც ჩანს, აღარ დაბრუნებია. „ღვინო“ სიტყვის ინდოევროპულ წარმოშობას ვარაუდობენ თამაზ გამყრელიძე და ვიანესლავ ივანოვი თავიანთ ერთობლივ კაპიტალურ ნაშრომში «Индоевропейский язык и индоевропейцы» (ქართველური ენების „ღვინო-ვენახის“ მიმართების შესახებ ინდოევროპულ ძირთან ის. ამ ნაშრომის გვ. 650—651). როგორც ვხედავთ, დასმული პრობლემა მეტად ნაყოფიერი გამოდგა და ასახვა პოვა, კერძოდ გ. წერეთლის მოწაფეების ნაშრომებში. არ არის გამორიცხული, მომავალმა გამოკვლევებმა კვლავ შეიტანოს კორექტივები ამ ფრიად საინტერესო საკითხის შესწავლაში.

ცალკე გამოყოფს გ. წერეთელი ისეთ მსგავს სიტყვებს, რომელთა ახსნა ჩვეულებრივი სესხებით ძნელად თუ მოხერხდება. „ზოგჯერ ეს მსგავსებანი შედეგია ე. წ. „სტიქიური ნათესაობისა“, ან შეიძლება იმით აიხსნას, რომ სიტყვები საერთო წყაროსაგან ჰქონდეს შეთვისებული ორივე ენას“ (გვ. 20). მაგალითებად დასახელებულია ქართული ფრ-ენ-ა, ფრ-თა, აგრეთვე ვორ-ებ-ა, ვორ-გალ-ი და შესაბამისი სიტყვები სირიულ, აქადურ, არაბულ და სხვ. ენებში.

გ. წერეთლის ვარაუდით, სიტყვათა ზოგიერთი მსგავსებანი „მოწმობენ სემიტებისა და ქართველების ურთიერთობას პრეისტორიულ ეპოქაში, ან შესაძლებელია აიხსნას წინააზიური სუბსტრატის გავლენით სემიტურ ენებზე“. ამ კატეგორიის სიტყვებში მეცნიერს შეაქვს საერთო ქართველური სიტყვა პირი, მეგრ. პიჯი, ჭან. პიჯი, რომელშიც არს. ჩიქობავას მტკიცებით გამოიყოფა ძირეული პ. ეს თანხმობიანი ძირეულ ელემენტად დასტურდება სემიტურ და აფრიკის ენებშიც „პირის“ მნიშვნელობით ნახმარ სიტყვებში. გ. წერეთელს მოყვას ასურულ-ბაბილონურის, ებრაულის, არაბულის, ეთიოპიურის და ძვ. ეგვიპტურის მონაცემები.

ავტორი სხვა მაგალითებსაც ასახელებს, უჭველად მიიჩნევს, რომ ერთ ღროს სემიტა და ქართველთა შორის მჭიდრო ენობრივ-კულტურული კავშირი არსებობდა და დასკვნის, რომ ამ პრობლემების კვლევა საკარძნობლად შეუწყობსო ხელს უძველეს ეპოქაში ქართველი ტომების კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა საკითხის შესწავლას.

აქ არ შეიძლება არ გაეხსენოთ ის ფაქტი, რომ ენათა შორის ურთიერთობებს, კერძოდ ლექსიკურ ურთიერთობებს, გ. წერეთელმა სპეციალური თეორიული ნაშრომი უძღვნა — «О языковом родстве и языковых союзах» (Вопросы языкознания, 1968, № 3), რომელიც დღეს თანამედროვე ლინგვისტიკის მნიშვნელოვან შენაძენად ითვლება. მეცნიერმა „ალოგენეტური ურთიერთობანი“ უწოდა ენათა შორის „შენათესავეებით“ გამოწვეულ კავშირებს, რომლებიც იქმნება ერთ არეალში მოქცეულ არამონათესავე ენებს შორის.

გ. წერეთლის ვარაუდს, რომ ქართველთა და სემიტთა შორის უძველეს ხანაში არსებობდა მჭიდრო ენობრივ-კულტურული კავშირი, ამტკიცებს დიდადი ფაქტობრივი მასალა, რომელიც მოცემულია თ. გამყრელიძისა და ივანოვის ზე-



მოდასახლებულ ფუნდამენტურ ნაშრომში. ავტორები, მიუთითებენ რა გ. წერეთლის 1968 წლის გამოკვლევაზე. შემდეგს წერენ: «Такое сходство вплоть до изоморфизма в схеме оформления языковых структур могло быть результатом длительного взаимодействия этих языков (ეგულისხმება, ერთი მხრივ, ინდოევროპულსა და, მეორე მხრივ, სემიტურისა და ქართველური ენების ურთიერთობები) в пределах определенного ареального единства -- союза языков -- и вступления их в аллогенетические соотношения друг с другом» (გვ. 871). პროტოსემიტურის არაღალად ავტორებს მიაჩნიათ გარკვეულ ოლქი ახლო აღმ-ში, სადაც შესაძლებელი იყო კონტაქტები სემიტური ენების ინდოევროპულ პრაენობრივ სისტემასთან, ასევე ქართველურ პრაენასთან.

2. ცალკეული სემიტური ენების როლი საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის ქართული დამწერლობისა და ფილოლოგიის მრავალი საკითხის კვლევისას ნაშრომში „სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის“ მეტად ძუნწად, მაგრამ მრავლისმეტყველადაა მიმოხილული. დაპარაკობს რა აქადურის (ასურულ-ბაბილონური ენის) მონაცემების გათვალისწინების აუცილებლობაზე ქართული და წინააზიის ძველი ენების ურთიერთობის საკითხის კვლევისას, მეცნიერი საგანგებოდ ჩერდება ებრაულისა და არამეულის მნიშვნელობაზე ქართული კულტურის ისტორიისათვის, რაც მეტად თვალსაჩინო გახდა მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად. «ეს ენები, — წერს გ. წერეთელი, — საშუალო სპარსულთან ერთად, ძირითად მასალას იძლევიან ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების საქართველოს ისტორიის კვლევისას» (გვ. 27). მანამდე კი ამ ენების მოხმობა საჭირო შეიქნა სპეციალისტებისათვის ქართული მწერლობის დასაწყისი პერიოდის პრობლემების კვლევისას. კერძოდ, საკითხი, თუ რა მიმართებაა შიბლიური ტექსტების ქართული თარგმანები ებრაულ ორიგინალთან, ან მის არამეულ (სირიულ) ვარიანტებთან, რა თქმა უნდა, ბერძნული და სომხური ტექსტების გათვალისწინებით, დღემდე არ არის საბოლოოდ გადაჭრილი, თუმც მრავალზე მრავალი ნაშრომი გვაქვს.

ებრაულს მიმართავს გ. წერეთელი სტატიებში: „მცხეთის ახლად აღმოჩენილი ებრაული წარწერა“ (ენიშვილის მოამბე, ტ. 5-6, 1940, გვ. 419-425) და „მოსეს ხუთი წიგნის თბილისური ებრაული ხელნაწერი“ (აღმოსავლური ფილოლოგია, 1969). ამ უკანასკნელში მეცნიერი შეისწავლის ლაილაშში აღმოჩენილ (აღმოგებრივი ტრადიციით სვანეთიდან ჩამოტანილ) ამჟამად საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ძველებრაულ ხელნაწერს მოსეს ხუთი წიგნისა. პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე გ. წერეთელი X საუკუნით ათარიღებს ხელნაწერს, ხოლო მისი ზედმიწევნითი შესწავლა საშუალებას აძლევს მეცნიერს, დაასკვნას, რომ კონსონანტური ტექსტის მხრივ თბილისური ხელნაწერი ერთ-ერთი საუკეთესოა არსებულ ხელნაწერთა შორის და რომ ებრაული ბიბლიის მომავალი გამოცემისათვის ისიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძირითად წყაროდ.

საქართველოსათვის არამეულ ენას გ. წერეთელი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მან პირველმა დაიწყო არმაზში აღმოჩენილი არამეული წარწერების ამოკითხვა და კვლევა არამეულის ასეთი მნიშვნელობა ცხადყო მეცნიერის ისეთმა ბრწყინვალე შრომებმა, როგორც არის: „არმაზის ახალი წარწერები არამეული დამწერლობით“ (1941), „არმაზის ბილინგვა“ (ენიშვილის მოამბე, ტ. 13, 1942), «Эпиграфические находки в Мцхете — древней столице Грузии» (Вестник древней истории, 1948, № 2) და «Армазская надпись эпохи



Митридата» (Труды двадцать пятого международного конгресса востоковедов, Москва, 1962).

ეპიგრაფიკისა და პალეოგრაფიის შესანიშნავმა მცოდნემ მცხეთის უნივერსიტეტის წარწერების გაშიფვრითა და შესწავლით შუქი მოჰფინა ჩვ. წ. აღრ. I—II სს.-ის იბერიის (ქართლის) ისტორიის მთელ რიგ საკითხებს. აღმოჩნდა, რომ არამეული იბერიის მმართველი წრეების ოფიციალური დოკუმენტების ენად იყო გამოყენებული. ამავე დროს ეს წარწერები საინტერესონი არიან დამწერლობის თვალსაზრისით — გიორგი წერეთელმა დაადგინა მანამდე უცნობი სახეობა არამეული დამწერლობისა, რომელსაც მან „არმაზული“ უწოდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერის კვლევის ობიექტად ქართული ანბანის წარმოშობის საკითხიც დადგა. მას მიუძღვნა გ. წერეთელმა ნაშრომი: «Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита» (Эпиграфика Востока, I; 1948, III, 1949). მეკვლევარმა ჩამოაყალიბა დებულება, რომ ქართული დამწერლობა ამჟღავნებს აშკარა ნათესაობას არმაზის არამეულთან, მაგრამ მთელი რიგი ქართული ასოები არმაზულთან შედარებით მეტ არქაულობას წარმოაჩენენ და თვით წარმოადგენენ პროტოტიპს, საიდანაც წარმოიშვა სათანადო არმაზული ნიშნები. ამიტომ მეცნიერი ქართულსა და არმაზულს განიხილავს მონათესავე დამწერლობად, რომელთაც ერთი საერთო წყარო აქვთ. მაგრამ იგი აღნიშნავს ქართული ასოების მსგავსებას ბერძნულთანაც, რაც კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა პროცესში ქართული ანბანის ბერძნულთან დაახლოებით აიხსნებაო. საერთოდ კი, ქართული ანბანის წარმოშობის საკითხი იმ პრობლემებს განეკუთვნება, რომლებიც კვლავ და კვლავ მიიზიდავენ თავისკენ მეცნიერთა ყურადღებას.

ხოლო „არმაზის ბილინგვას“ რაც შეეხება, გვინდა შევასენოთ მკითხველს, რომ გ. წერეთელმა ეს ნაშრომი 1942 წ. თბილისის უნივერსიტეტის დიდ სამეცნიერო საბჭოს საკანდიდატო დისერტაციად წარუდგინა, მაგრამ ახალგაზრდა მეკვლევარმა პაექრობა ისე ბრწყინვალედ ჩაატარა, რომ საბჭომ მამძიბელს ერთხმად მიანიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ამ ნაშრომმა სამეცნიერო წრეებში უჩვეულოდ დიდი მოწონების გამოხმაურება გამოიწვია და მისი ავტორი მსოფლიო ორიენტალისტიკის ასპარეზზე გაიყვანა.

ეპიგრაფიის არმაზული თერთმეტსტრიქონიანი წარწერა ქართველოლოგთა და სემიტოლოგთა განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა — გ. წერეთლის შემდეგ მეკვლევრები მას საკმაოდ ხშირად უბრუნდებოდნენ. მეცნიერება იმის მეცნიერებაა, რომ ყოველთვის იტოვებს თავისათვის გასასწორებელსა და აღმოსაჩენს. უკანასკნელად ორენოვანი სტელის არამეული ტექსტით დინტერესდა გრ. გიორგაძე, რომელმაც გასული წლის ჟურნალ „მნათობის“ მე-10 ნომერში გამოაქვეყნა სტატია — „არმაზის ბილინგვა: „ფარნავაზი“ თუ „ფარნავაზიანი“? რომლის ვრცელი ვარიანტი ლენინგრადელ სემიტოლოგ ილია შიფმანთან თანაავტორობით დასტამბა ჟურნალმა «Вестник древней истории» (1987, № 1).

გრ. გიორგაძემ სკრუპულოზურად და საქმის ცოდნით შესისწავლა ზემოაღნიშნული წარწერის მე-7 და მე-8 სტრიქონები, რომლებიც იმთავითვე ბუნდოვანადგილად იქნა მიჩნეული და წარმოგვიდგინა ახალი თარგმანი ორი ვარიანტით:

- ა) (7) „ფარსმან მეფისა, (რომელმან) სძლია მძლეველნი, რაც (8) ფარნავაზმა ვერ აღასრულა. და იმდენად“..
- ბ) (7) ფარსმან მეფისა, მძლეოთა მძლეველისა, რომელ (არს) (8) „ფარნავაზისა (ე. ი. ფარნავაზიანი) ახალგაზრდა და იმდენად“..



ტექსტი ამჯერად შინაარსობრივად გამართული ჩანს. (შევასხენებთ მკითხველს, რომ გ. წერეთელი ზემონახსენებ ორ სტრიქონს შემდეგნაირად კითხულობდა: (7) „ფარსმან მეფისა. ვაება ვაებისა. ის.

(8) რაც (ის ვინც) იყო ფრწემ (ე. ი. ახალგაზრდა?) და იმდენად“...

ვრ. გიორგაძის აზრით, „მომაველი კვლევა-ძიება გვიჩვენებს, თუ ჩვენს ინტერპრეტაციათაგან რომელს შეიძლება მიეტყოს უპირატესობა“. როგორც ვხედავთ, სერაფიტას ეპიტაფია კვლავ არაერთ საკითხს აყენებს მეცნიერთა წინაშე.

გ) კვლავ დაეუბრუნდეთ გ. წერეთლის ნაშრომს „სემიტიური ენები და მათი მნიშვნელობა...“ მესამე საკითხად მეცნიერი გამოყოფს არაბული (resp. არაბულ-ენოვანი) მწერლობის — როგორც საქრისტიანო, ისე მუსლიმურ — მნიშვნელობას ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის. „...ივანე ჯავახიშვილმა, — წერს იგი, — ბევრი ნიმუში მოგვცა იმისა, თუ რამდენი საყურადღებო ცნობა შეიძლება ამოვკრიფოთ ჩვენ არაბულ ძეგლებში, რომლებიც ქართული წყაროებისათვის სრულიად უცნობია“. გ. წერეთელი მთელი შემდგომი მოღვაწეობით თავისი დიდი მასწავლებლის დაწყებული საქმისა და ჩანაფიქრის ღირსეული გამგრძელებელი იყო.

უკვე 1949 წ. გ. წერეთელი აღგენს თავისი მნიშვნელობით უნიკალურ „არაბულ ქრესტომათიას“, რომელსაც კვლავ მაღალი შეფასება მისცა აკად. ეგ. კრამკოვსკიმ; მან ამ სახელმძღვანელოს „არაბულ-ქართული ქრესტომათია“ უწოდა, იმდენად სრულად იყო მასში შეკრებილი ტექსტები, რომლებიც საქართველოსა და კავკასიის შესახებ ცნობებს შეიცავდნენ. ამ ტექსტათაგან ერთი, კერძოდ, ნაწყვეტი ალ-ფარიკის (XII ს.) თხზულებიდან პირველად გ. წერეთელმა გამოაქვეყნა. ქრესტომათიის შემდგენელი შეეცადა გრამატიკული სავარჯიშოებისთვისაც კი ქართული მასალა გამოეყენებინა. ასე მაგ. მან შეიტანა დემეტრე I-ის, თამარისა და მისი შვილების — გიორგის და რუსუდანის დროინდელი ქართულ-არაბული ფულების ლეგენდები. გ. წერეთელი ამ ფულებს ქართულ-არაბულს იმიტომ უწოდებს, რომ მათ ზედწერილებში „მოცემულია ქრისტიანული აღმოსავლეთის იმ დროის უძლიერესი სახელმწიფოს მეფეთა ტიტულები, განსხვავებული ყველა ანალოგიური მონეტების წარწერებისაგან. იმიტომ უნდა მივიჩნიოთ ეს ძეგლები ქართულ ძეგლებად, მიუხედავად იმისა, რომ არაბულ ენაზეა ნაწერი („სემიტიური ენები“... გვ. 41—47).

რადგან მონეტებზე ჩამოვარდა საზბარი, აქვე უნდა ვახსენოთ დმანისში 1936—1937 წლებში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი მონეტები არაბული ზედწერილებით. მათი სწორად ამოკითხვის წყალობით გ. წერეთელმა დაადგინა ფაქტი XIII ს.-ში დმანისში ზარაფხანის არსებობისა (იხ. „დმანისის მონეტის გამო“. ლიტერატურული ძიებანი, II, 1944).

მაჩხანის (კასპის რ.) ეკლესიის (VIII ს.) არაბულ-ქართული წარწერის შესწავლამ კი (მას გ. წერეთელმა უძღვნა სტატია: „არაბულ-ქართული წარწერა მაჩხანიდან“ საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 13, 1952) საშუალება მისცა მეცნიერს, დაედგინა, რომ არაბული „ალ-კიტრიჯ“, რომელიც გვხვდება ტაბარის თხზულებაში გარდაბნის პატრიარქოსის საკუთარ სახელად იმ ადგილას, სადაც ბუღა თურქის შემოსევა და თბილისის დაწვა აღწერილი (ტაბარის ამ თხზულების მოზრდილი ნაწყვეტი შესულია ქრესტომათიაში), არის ქართული საკუთარი სახელი კიტრის ბე.

გ. წერეთლის ყურადღებას არც მანძილის აღმნიშვნელი ქვაზე შესრულებული არაბული წარწერა გამოორჩა. ეს ქვა იპოვეს თბილისში, სეიდბაბაში. წარ-



წერა, რომელიც არაბულად სულ ოთხ სიტყვას შეიცავს („სამი მილიონი... დან“), შესრულებულია ჰიჯრის I ს.-ის მიწურულს. არაბ ისტორიკოსთა ცნობით, არაბები თურმე თავიანთი ლაშქრობისას ზომავენენ განვილი მანძილს და სანადო სვეტებითა და წარწერებით აღნიშნავენ. მანძილები ქალაქებს შორის არაბ ისტორიკოსებსა და გეოგრაფებს სწორედ ამათ მიხედვით აქვთ ნაჩვენები. ამგვარი სვეტები ადრე პალესტინაში იყო აღმოჩენილი და სეფადადის ქვა ერთადერთი აღმოჩნდა, რაც პალესტინის ვარეთ იქნა ნაპოვნი („სემიტური ენები“... გვ. 46).


გავიდა ხანი და გ. წერეთელი სათავეში ჩაუდგა საქ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნილ „საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიას“, რომლის გრძელვადიანი რამდენიმე ათეული ტომი გამოიცა. მათ შორის: გრიგოლ აკანელი, მოისარტა ტომის ისტორია. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა; სპარსული ისტორიული საბუთები წიგნთსაცავებში — გამოსცა ვლ. ფუთურაძემ; ლ. ჯანაშია, ლაზარ ფარაბეის ცნობები საქართველოს შესახებ; იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ; იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ და სხვ. მრავალი. თვითონ გ. წერეთელს განზრახული ჰქონდა გამოეცა არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარებით მკაბრი ანტიოქიელის (XVII ს.) თხზულებისა, რომელიც საქართველოს აღწერას წარმოადგენს. სამწუხაროდ, ეს ჩანაფიქრი თავისი დიდი დატვირთვით გამო გ. წერეთელმა ვერ განახორციელა; 1982 წ. ვრებულ „არმაღანში“ დაიბეჭდა თ. მარგველაშვილის თარგმანი (შენიშვნებითურთ) ანტიოქიელი პატრიარქის მოხსენიებული თხზულებისა.

რაც შეეხება არაბულის — სემიტურ ენათა შორის ამ ყველაზე მნიშვნელოვანი ენის — გავლენას ქართულზე, ზემოაღნიშნულ ნაშრომში გ. წერეთელი გამოყოფს ამ გავლენის რამდენიმე მხარეს.

პირველ რიგში მეცნიერი განიხილავს ქართულში არსებულ არაბულ ლექსიკას. „ის ცვლილებები — წერს იგი, რომლებსაც არაბული სიტყვები ქართულში სესხების დროს განიცდიან, საყურადღებო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა ქართული ბგერების განვითარების შესწავლისათვის“. ამ კონტექსტში მეცნიერი აანალიზებს ისეთ ნასესხობებს, როგორცაა: „სარკინოზი“, „ტაიჯი“, „ბედუინი“, „ბედაური“, „შაბაიჰანი“, „ამირ მუმინი (ამირ მუმლი)“. „ნეკრესი“, „მანდილი“ და სხვ.

მხატვრული ლიტერატურის სფეროში, კერძოდ კი, პოეტიკაში, ქართულისა და არაბულის ურთიერთობის ნიმუშია გ. წერეთლის მეტად მახვილგონივრული მიგნებით მსგავსება ე. წ. მაკამებისა და ქართველი მესოტბეების ნაწარმოებებისა (გაფა ხანი და მეცნიერის ბასრი თვალი ასევე დაინახავს რუსთაველის ლექსში აბსოლუტურ პროპორციას — მაღალი შაირი და „ოქროს კვეთის“ პროპორციას — დაბალი შაირი).

მაკამის — შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის ამ მეტად პოპულარული ჟანრის — არაბული ნოველის — საუკეთესო წარმომადგენლად ბასრელი ალ-ჰარირი (გარდ. 1122) ითვლება. ალ-ჰარირის მაკამები (რიცხვით ორმოცდაათი) დაწერილია რითმოვანი პროზით, მეტად რთული ენით. ავტორი ხშირად მიმართავს სიტყვების თამაშს, მაჯამებს, შიგადაშიგ ურთავს ლექსებს. ამ ნო-



ველებში ავტორი აღწერს მის მიერ გამოგონილი პერსონაჟის ფატირაჟების მოყვარულ, ჭკვიან და გაქნილ ას-სარუჯის ხეტიანს ქალაქიდან ქალაქში. იგი თბილისშიც კი ჩამოსულა და ერთ-ერთ ნოველსაც „თბილისური“ ჰქვია. გ. წერეთელს მთავს ცნობა ბორისოვის ნაშრომიდან *Миниатюры «Книги макама ал-Харири»* იმის შესახებ, რომ სსრ კავშ. მეცნ. აკად. აღმოსავლეთის მეცოდნეობის მუზეუმში მოიპოვება აღ-ჰარირის მაკამების XIII ს.-ის დასურათებული ხელნაწერი, რომელშიც სხვა მინიატურებს შორის „თბილისის მიზგიითი“ არის.

მაგრამ მთავარი ის გარემოებაა რომ, როგორც გ. წერეთელი წერს: „...გარეგულად ჰარირის მაკამა უცნაურად მოგვაგონებს ჩვენს მეხოტბეებს. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება მკითხველს, თითქოს ორივე ტექსტი, ქართული და არაბული, ერთნაირად არის დაწერილი, ენობრივი განსხვავებაც კი იჩქმალება სიტყვების თამაშში. და საინტერესოა, რომ ერთ-ერთ მაკამაში... ვხვდებით ორსტრიქონიან ლექსს...“ და გ. წერეთელს მოჰყავს ეს ლექსი არა ტრადიციული არაბული სკანდირებით, არამედ ისეთით, სადაც ორმაგი რითმა და შინაგანი რითმა თავ-თავიანთ ადგილებს პოულობენ. ასეთი წაკითხვით ლექსი თავისი ზომით, შინაგანი რითმით, ტერფებში რითმის განაწილებით ქართული ჩახრუხაულის სრული იდენტური ხდება. აი, ეს ლექსიც:

ღამ დაბკა სწჳინ [ვალნ მუსწჳინ ✕ ვალნ მა,რნუნ] ვალნ მუ,რნუნ  
 ვაწჳნ ლ-მასწჳენ ჰბადნ თ-თასწჳენ ✕ წჳალნ 'აბწჳნუნ] ვალნსამწჳუნ

მღრ. ქართული:

ბრძანონ სამალად, ართუ სამალად; ელი ამო სით, ეს რომ არა მით?  
 მასთანა შო რად ართუა შორად-1 ელია-მოსით, ესრომ-არამით.

ზემოთ რუსთაველის ლექსი ვახსენეთ. რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანს“ გ. წერეთლის მრავალმხრივ მოდერნიზაციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს; და სწორედ „ვეფხისტყაოსანზე“ დაწერილი მონოგრაფია აღმოჩნდა უკანასკნელი, რაც დიდმა მეცნიერმა თავის შემდეგ დაგვიტოვა.

მანამდე კი იყო ახალგაზრდა მეკლავრის ოცნება, შუა აზიის ქალაქებსა და ყიზილბაღებში მოუბოვებია „ვეფხისტყაოსნის“ დედანი თუ არა, ადრეული ხელნაწერი მაინც; იყო აკაკი შანიძესა და ირაკლი აბაშიძესთან ერთად სამეცნიერო მივლინებაში იერუსალიმს 1960 წ., როდესაც ჯვრის მონასტრის კედელზე მიკვლეულ იქნა შოთას პორტრეტი; იყო „ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კონისის“ შექმნა, რომლის მთავარი რედაქტორი გარდაცვალებამდე გიორგი წერეთელი იყო.

კომისიამ გ. წერეთლის სიცოცხლეში უზარმაზარი მოცულობის მუშაობა ჩაატარა (ეს სამუშაო დღემდე გრძელდება) — შეადგინა ცალკეული სიტყვებისა და შესიტყვებების სრული ინდექსები სათანადო ვარიანტებით. ეს კარტოთეკა მოიცავს ყველა ფრაზას, შესიტყვებასა და ცალკეულ სიტყვას, რომელიც კი ნახარია ყველა გამოქვეყნებულ ქართულ ძეგლში დაწყებული მეხუთე საუკუნიდან და დამთავრებული მე-18 საუკუნით; „ამ მასალის საფუძველზე შესაძლებელი ხდება დიდგნა და გაგება მრავალი ისეთი შესიტყვებისა, რომლებიც სირთულეებს ქმნიდნენ.“ — წერს მეცნიერი და მაგალითად მოჰყავს: „ღონე აეგების“ და „ღამართის ნები“.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის თეორიული დებულებები გ. წერეთელმა ჩამოაყალიბა ნაშრომებში: „ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული გამოკვებისათ-



ის“ (მნათობი, 1962, № 2), „ვეფხისტყაოსნის კრიტიკულ-მეცნიერული ტექსტის განოცემისათვის“ (მაცნე, 1966, № 5) და იმ ბოლოსიტყვაობაში, რომელიც ღარ-თული აქვს რუსთაველის საიუბილეო წელს გამოქვეყნებულ „ვეფხისტყაოსანს“, რომლის ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გიორგი წერეთელმა, სარგის ცაიშვილ-მა და გურამ ვარტოზიამ (რედაქტორები: ვ. წერეთელი, ი. აბაშიძე). ვ. წერეთელი ხაზს უსვამს იმ ვარაუდს, რომ პოემის ტექსტის სწორი გაგებისთვის საჭიროა რუსთაველის ეპოქის ქართული კულტურის ყველა საკითხის კომპლექსური შესწავლა და გათვალისწინება იმ კონტაქტებისა, რომლებიც ჰქონდა ქართულ კულტურას ყველა სხვა კულტურასთან. გასათვალისწინებელია, კერძოდ: 1) უძველესი ადგილობრივი ტრადიცია; 2) ქრისტიანული სარწმუნოება და ცივილიზაცია, რომლის წყალობით საქართველო, კერძოდ, ანტიკურ ფილოსოფიურ მემკვიდრეობას ეზიარა; 3) აღმოსავლეთის კულტურა, რომელთანაც ქართულს უძველესი დროიდან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. „კულტურულ ურთიერთობათა ეს მრავალფეროვნება სრულად არის ასახული „ვეფხისტყაოსანში“ — ასკენის მეცნიერი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ვ. წერეთლის დეაწლი პოემის ცალკეული ადგილების გაგება-განმარტებაში და ზოგიერთი სიტყვის ისტორიის დადგენაში. ამ თვალსაზრისით უნდა დავასახელოთ: „ვეფხისტყაოსნის“ სევედსა მუფარახი“ (ორიონი, 1967, გვ. 318—326), „ბალახში და ბაღახში ვეფხისტყაოსანში“ (აღმოსავლური ფილოლოგია, II, 1972, გვ. 35—40).

როდესაც ვ. წერეთელი 30-იან წლებში შუა აზიაში იმყოფებოდა და იქაურ არაბულ დიალექტებს სწავლობდა, რასაც მოჰყვა მისი საყოველთაოდ ცნობილი ნაშრომები ბუხარის არაბული დიალექტების შესახებ, მას სხვა სულისკვეთებაც ამოძრავებდა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს იყო „ვეფხისტყაოსნის“ ადრეული ხელნაწერის მოძიება. ოცნება განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ ახალგაზრდა მკვლევარი ხელმოცარული არ დაბრუნებულა შინ. მან თან ჩამოიტანა თავის მიერ არაბულ დიალექტზე ჩაწერილი ზღაპარი, რომელშიც ერთ-ერთი პერსონაჟის საკუთარ სახელად დადასტურებულია „ნესტან-დარეჯანი“. უტყუარი გახდა ნიკო მარის მიერ გონებამახვილურად გახსნილი ამ სახელის ეტიმოლოგია — ირანული ნესტ ანდარე ჯეჰან — „არ არის ქვეყანაზე (სილიამაზით მისი სადარი)“. „სწორედ ამ ფორმით, — წერს ვ. წერეთელი (იხ. „ნესტან-დარეჯანი“ შუა აზიის არაბულ ფოლკლორში. მოამბე, 1938), — ჩვენგან დამოუკიდებლად და პარალელურად პროფ. ვ. ჩაიკინი წააწყდა ამ სახელს XIII ს.-ის არაბი მოღვაწის აბუ-ლ ფათჰ ალ-ბუნდარის თხზულებაში“. ვ. წერეთელი ერთი წუთითაც არ უშვებს იმ ვარაუდს, რომ რუსთაველმა სახელთან ერთად ისარგებლა ირანული წარმოშობის მოთხრობით, თუნდაც ირანულ ფოლკლორში აღმოჩნდეს „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი სიუჟეტი. „მარტო მსგავსება თავისთავად არ წყვეტს საკითხს სესხების შესახებ, ვინაიდან გავლენა შეიძლება სხვა ნიმართაც წარმართულიყო, სახელდობრ, ქართულიდან ირანულისაკენ და „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი ირანული მოთხრობა განგეხილა როგორც შორეული ანარქელი რუსთაველის გენიალური თხზულებისა“, — დაასკენის მეცნიერი.

ვ. წერეთლის სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისშივე მისი ყურადღების ქვეშ მოექცა არაბული ენის ტრადიციები დაღესტანში. მან საფუძვლიანი ისტორიულ-ფილოლოგიური კომენტარებით გამოსცა შამილის წერილები: „შამილის წერილები ბარონ ნიკოლაისადმი“ (საქ. სახელმწ. მუზ.-ის მოამბე, ტ. IX, 1935—1936, გვ. 103—120); «Письмо Шамиля из Калуги» (Записки Института востоковедения АН СССР, т. 5, М.—Л., 1936, с. 97—114);



«Вновь найденные письма Шамиля» (Труды первой сессии ассоциации арабистов, М.—Л. 1937, с. 95—112); მიმოხილვითი სტატია 1943 წ. დაბეჭდილ არაბულ ენაზე ეურნალში „ალ-ბალად“, დაღესტნელი ავტორის ისტორიული ქრონიკის ერთი ნაწყვეტი კი შეიტანა თავის „არაბულ ქრესტომათიაში“.

გ. წერეთლის დაწყებული საქმე მისივე ინიციატივით განაგრძეს მისმა მოწაფეებმა: დაღესტნური წარმოშობის არაბულენოვან ძეგლებს მიეძღვნა სადისერტაციო შრომები, დამუშავდა ერეკლე II-ის მიმოწერა დაღესტნის ბეგებთან და სხვა დოკუმენტები.

გ. წერეთელს არც ცნობილი დაუღ-ფაშას ბიროვნება გამოიჩინა მსგავსებლები. დაუღ-ფაშას, ერავის უკანასკნელ მამლუქ-გამგებულს, წარმოშობით ქართველს (მანველაშვილი, გარდ. მედინაში 1851 წ.) უძღვნა მეცნიერმა პუბლიკაცია არაბულ ენაზე: „ორი დოკუმენტი დაუღ-ფაშას ცხოვრებიდან“, რომელიც შევიდა იუსუფ იზზ ედ-დინის ნაშრომში „დაუღ ფაშა და მამლუქთა მეფობის დასასრული ერავში“ (ბაღდადი, 1967).

გიორგი წერეთელი — ძველი აღმოსავლეთის ენების ჩინებული მცოდნე და მკვლევარი — იყო მესამიერკვლე საქართველოში სოლისებრი დამწერლობის ენათა შესწავლისა. მისმა ნაშრომებმა: „საქართველოს მუსულმანური ურარტული ძეგლები“ (1939) და „ურარტული ენის ურთიერთობის საკითხისათვის იბერიულ-კავკასიური ჯგუფის ენებთან“ (1953) გამოავლინა ურარტული ენის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსება კავკასიურ ენებთან და რეალური გახდა კავშირების კვლევა ამ ენათა შორის.

დიდა გიორგი წერეთლის, როგორც განსაკუთრებით ფართო დიპლომატიის მქონე მეცნიერის, დამსახურება ქართული ირანისტიკის წინაშეც. ზემოთ ჩვენ მოვიტანეთ ციტატა გ. წერეთლის „სემიტური ენებიდან“: „ეს ენები — წერს გ. წერეთელი ებრაულისა და არამეულის შესახებ — საშუალო სპარსულთან ერთად, ძირითად მასალას იძლევიან ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევისას“ (გვ. 27). მან კორექტივები შეიტანა ირანული ეპიგრაფიკის ცნობილი ძეგლის — შაპურ I-ის (III ს.) პერსეპოლისური სამეწოვანი წარწერის წაკითხვაში. წარწერის იმ ადგილას, სადაც ჩამოთვლილია სპარსეთის იმპერიაში შემავალ ქვეყანათა სახელები, გ. წერეთელი „აღბანელთა (არანთა) კარის“ ანუ „დერბენდის კარის“ — დარუბანდის ნაცვლად (ასე კითხულობდნენ ამ ტოპონიმს ცნობილი ირანისტები A. Maricq-ი და E. Honigmann-ი) კითხულობს „აღანთა კარს“, ე. ი. „დარიალ(ან)ს“.

გ. წერეთელი ლაპარაკობს დარიალის მნიშვნელობაზე საქართველოსათვის და დასძენს: „ასევე კარგად ესმოდა, როგორც ჩანს, დარიალანის მნიშვნელობა შაპურს, რომელსაც თავისი გაეღენის ქვეშ მოუქცევია ადარბადაგანი, არმენია, ივერია, ბუნებრივია, რომ ამიერკავკასიაში ლაშქრობის დროს დარიალანისაკენ მიემართა. ამიტომ ზემოთქმულის შემდეგ უადგილო ჩანს კითხვა, თუ რატომ უნდა ყოფილიყო მოხსენიებული წარწერაში „არანთა კარი“, რაც დარუბანდს ნიშნავსო“. (იხ. „შაპურის“ წარწერის U'nn TR'. საიუბ. კრებ. მიძღვ. გ. ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავისადმი 1969, გვ. 327—337).

სხვა ნაშრომში გ. წერეთელი გამოწვლილვით ახალიზებს შაპურის იმავე წარწერაში მოხსენიებულ ერთ ტოპონიმს, რომელიც ვაჟის მთას ანუ კავკასიონს აღნიშნავს. „შაპურის ტრილინგვა—წერს გ. წერეთელი — როგორც ჩანს, არისო უძველესი ძეგლი, სადაც გვხვდება ეს ტერმინი, ლოკალიზებული კავკასიონის ქედთან“.



მეცნიერი შემდეგს დაასკვნის: კაუს მთის აღსანიშნავად არაბულ წყაროებში გვხვდება შემდეგი სახელწოდებები:

1. Kap. დადასტურებული შაბურის წარწერის როგორც პართულ ტექსტში, ისე ბერძნულ ვერსიაში.

2. KAB—K/KAB—ჭ — არაბულ წყაროებსა და მასზე დამოკიდებულ სპარსულ ტექსტებში და

3. Kaf — არაბულ-სპარსულ და თურქულ წყაროებში; ნახმარი ორი მნიშვნელობით: ა) კავკასიის მთა და ბ) მითიური მთა (შუა საუკუნეების მუსლიმური ესქატოლოგიის თანახმად, ეს არის მთა, რომელიც გარს ერტყმის მთელ დედამიწას. ხშირად გვხვდება „ათას ერთ დამეში“). გ. წერეთლის ვარაუდით, წარმოდგენები მითიური კაფის მთის არსებობის შესახებ უფრო გვიანდელი წარმოშობისა უნდა იყოს.

Kap, KAB—K/KAB—ჭ და kaf ფორმებს გ. წერეთელი ფონეტიკურად ერთმანეთს უკავშირებს. არც სათუოდ მიაჩნია ამ ფორმებთან ბერძნული სიტყვის — კავკასის (კავკასოს) კავშირი. *καυκασος* *ავთან* *καυκασος* *ხ-კ* *καυκασος* *ავთან*

უთუოდ დიდად ერუდირებული ირანისტი სჭირდებოდა ისეთ ნაშრომს, როგორცაა „შემდეგისი ქართული წარწერები პალესტინიდან“ (თბილისი, 1960). ეს ჩანს თუნდაც გამოკვლევის მესამე თავიდან, რომელშიც ლაპარაკია წარწერების თარიღსა და მოქმედ პირებზე და სადაც ავტორი, ანალიზებს რა მამაკაცის საკუთარ სახელს „ბუზშირ“, ათარიღებს მეორე და მესამე წარწერებს. გ. წერეთელი უჭველად მიიჩნევს, რომ იორდანის უდაბნოში არსებული ქართული მონასტრის ნანგრევები ქართული წარწერებით სწორედ ის მონასტერია, პეტრე ქართველს რომ აუშენებია.

აქვეა მოცემული ირანული წარმოშობის საკუთარი სახელის „ორმიზდ“-ის წინ გრი ელემენტის რაობის გარკვევა, რაც ირანისტიკაში გ. წერეთლანდ ედ არ იყო გადაწყვეტილი. გ. წერეთელი უარყოფს იმ მოსაზრებას, რომ გრი არამეული იდეოგრამაა და ეს ელემენტი საკუთრივ ირანულ სიტყვად მიაჩნია; კერძოდ, იგი ნიშნავსო სიტყვას „სული“, რომელიც ეპითეტადაა ნახმარი საკუთარ სახელთან.

როდესაც ვლაპარაკობთ გ. წერეთლის, როგორც ორიენტალისტიკისა და ქართველოლოგიის, დეაქლზე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი იყო შესანიშნავი ლექსიკოლოგი. „არაბულ-ქართული ლექსიკონი“, (1951) რომელიც მან შეადგინა მისივე „არაბული ქრესტომათისათვის“, უნიკალურია თავისი მნიშვნელობით. გ. წერეთელმა გაითვალისწინა არაბული ენის სიმრავლის ერთ-ერთი მიზეზი — პოლისემია, სეერთოდ, და პოლისემია, კერძოდ, კავშირ-ნაწილაკებისა და მთელი სისრულით (კარგად შერჩეული ილუსტრაციებითურთ) წარმოადგინა ისინი. არც ერთი თარგმნითი არაბული ლექსიკონი ამ თვალსაზრისით ტოლს ვერ დაუდებს მოცემულ ლექსიკონს.

გ. წერეთელი სათავეში ედგა დიდ ეროვნულ საქმეებს — იგი იყო რვატომიანი „ქართული განმარტებითი ლექსიკონის“ მთავარი რედაქციის წევრი და რედაქტორი II ტომისა, რუსულ-ქართული სამტომიანი ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის წევრი, იგი ხელმძღვანელობდა არაბისტთა კოლექტივის მუშაობას ვრცელი არაბულ-ქართული ლექსიკონის შედგენაზე, რომელშიც შევა შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ძეგლის ლექსიკა, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და ავტორი მრავალი სტატიისა, რომელიც ამ ენციკლოპედიისათვის დაიწერა.



ცალკე თემაა გ. წერეთელი—რედაქტორი. გ. წერეთელი იყო მრავალზე მრავალი შრომის და წინასიტყვაობის ავტორი. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ეს წინასიტყვაობები დამოუკიდებელი მეცნიერული ნარკვევებია. დავასახელებთ თუნდაც შემდეგს: „ათას ერთი ღამის“ გამო (წიგნში „ათას ერთი ღამე“, ტ. 1, 1967), წინასიტყვაობა წიგნისა: „კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი“ (1969), „სონანტებისა და აბლაუტის თეორიის გამო ქართველურ ენებში (წგ-ში: გამყრელიძე თ. და მაჭავარიანი გ. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. საერთო ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია. 1965). წინასიტყვაობა კ. წერეთლის ნაშრომში: „თანამედროვე ასურულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ (1980) და სხვ.


უნდა აღენიშნოთ ის დიდი მუშაობაც, რომელიც გ. წერეთელმა გასწია „ათას ერთი ღამის“ ქართული თარგმანის რედაქტირებისას. მართალია, იგი მხოლოდ პირველი ორი ტომის გამოქვეყნებას მოესწრო, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოსულ ტომებშიც რედაქტორად ვითრები წერეთლის სახელი წერია; წერია კი იმიტომ, რომ მის მიერ იმთავითვე ჩამოყალიბებული დებულებები თარგმნისა. მოსაზრებები არაბული ანთროპო-ეთნო-ტოპონიმების ქართულში გადმოტანის თაობაზე, პრინციპი „ათას ერთი ღამის“ განმარტებებისა ბოლომდე დარჩა მთარგმნელთათვის საყრდენად და საბელმძღვანელოდ.

თავადაც გამოუცდია კალამი თარგმნაში, გავიხსენოთ XX ს.-ის სირიულ-ამერიკული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის ემინ რეიჰანის შედეგის — „განმკურნე მე, ხევის ქალღმერთო“—ს ბრწყინვალე თარგმანი.

თეორიული დებულებები ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის მდგომარეობის და ამოცანების შესახებ გ. წერეთელს გამოთქმული აქვს ისეთ სტატიებში, როგორცაა: „არაბული ენის შესწავლა საქართველოში“ (არაბულ ენაზე, უურნალში „ატ-ტარიკ“, 1955), „არაბი და ქართველი ხალხების ურთიერთობათა შესწავლა“ (არაბულ ენაზე, უურნალში „ალ-ჯადიდ“, 1956), «Состояние и задачи востоковедения в Грузинской ССР» (თანაავტორი ს. ჯიქია, ტაშვენტი, 1957), „აღმოსავლეთმცოდნეობა საქართველოში“ (ოსუ შრომები, ტ. 73, 1959, გვ. 1—15; თანაავტორი ს. ჯიქია).

ზემოთ წარმოდგენილი სურათი, რა თქმა უნდა, არ არის სრული (ამ კონტექსტში ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ გ. წერეთლის ზოგი ნაშრომი დღესაც ელის გამომზეურებას), მაგრამ იგი, ერთი მხრივ, ზოგადად ასახავს დიდი ქართველოლოგი-სემიტოლოგის დამსახურებას, მეორე მხრივ, იმ გეზსაც განგვისაზღვრავს, რომელსაც პრინციპულად უნდა გაჰყვეს ქართული ორიენტალისტიკა.





## მზია ანდრონიკაშვილი

### შარისა და სინათლის აღნიშვნალი სიტყვები ქველ ინდურ-ირანულ ენებსა და ქართულში

ქართველური და ძველი ინდურ-ირანული ლექსიკის შეპირისპირების დროს გამოვლინდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი შემთხვევა დიდი მსგავსებისა, მათ შორის ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი ცეცხლის, სინათლის, ბრწყინვის და მათთან დაკავშირებული ფერების აღმნიშვნელი სახელწოდებების სფეროში. ასეთი ლექსიკური პარალელები და შესვედრები აახსნება უძველესი გენეტიკური და არეალური კავშირებით აღნიშნულ ენათა შორის. როგორც ცნობილია, ქართული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში, ისე როგორც სხვა ქართველურ ენებში, დამოწმებულია ინდურ-ირანული ელემენტები სხვა და სხვა ქრონოლოგიურ დონეზე, დაწყებული უძველესი არიულითა და გათავებულ ახალი სპარსულით. ამიტომ ენობრივი კონტაქტების პრობლემა ქართველურსა და ინდურ-ირანულ ენებს შორის ძალიან რთული და მრავალბლანდიანია. რა თქმა უნდა, ათასწლეულების მანძილზე ეს კონტაქტება, როგორც დიალექტოლოგიური, ისე ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც, ერთნაირად ინტენსიური და არც ერთ-ერთგვარად ცალმხრივი, არ ყოფილა. როგორც შეიძლება კაცს მოეჩვენოს მრავალრიცხოვანი ნასესხობის მხედვეთ ირანულიდან ქართულში, მაგრამ მათი მნიშვნელობა, როგორც ქართველურ, ისე ინდო-ირანულ ენათა ისტორიისათვის ძალიან დიდი და უეჭველია<sup>1</sup>.

ქართველურმა ენებმა, უპარველესად ძველი წერილობითი ტრადიციის მქონე ქართულმა, ისე როგორც უძველესმა თავისი სისტემით, ქართველურ ენებს შორის, სვანურმა და აგრეთვე მეგრულ-ლაზურმა ანუ კოლხურმა, შემოგვიანხეს თავის ლექსიკასა და ონომასტიკონში, ტაპო- და ეთნონიმის ჩათვლით, მრავალი არიული ანუ ინდურ-ირანული ელემენტი. დღემდე კვლევის საგანს მეტწილად ირანული ელემენტები წარმოადგენდნენ, რომლებიც რიცხობრივად სჭარბობენ სხვა ინდურ-ირანულს, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა უძველესი ინდურ-ირანული ფენაც, რომლის გამოსაფლენად საჭიროა სათანადო ქართული ლექსიკის სისტემატური შეპირისპირება ძველ ინდურ ენებთან, განსაკუთრებით რიგვედის ლექსიკასთან და ავესტურთან.

ქართულ ენასა და, ნაწილობრივ სხვა ქართველურ ენებსაც, უძველესი და მრავალფეროვანი კონტაქტები ჰქონდათ სხვადასხვა ტიპისა და სხვადასხვა სის-

<sup>1</sup> М. К. Андроникашвили, О лексических встречах древнеиндийских языков с картвельскими. В сб.: Санскрит и древнеиндийская культура, I, М., 1979, с. 23—30.

ტემის ენებთან. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ურთიერთობანი ინდოევროპულ ენათა ვრცელი ოჯახის სხვადასხვა წარმომადგენლებთან.

საქართველო  
საქართველო

ყველა ამის გამო ქართულში გამოვლენილ ნასესხობათა კლასიფიკაციის შემოსვლის გზებისა და ქრონოლოგიის დასადგენად, და განსაკუთრებით უძველესი ადაპტირებული ნასესხობების გამოსავლენად, მრავალი სირთულის გადალახვაა საჭირო, რომელთა დაძლევაში, გარდა ისტორიულ-კულტურული ვითარების გათვალისწინებისა და შესაძარბელ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის ცოდნისა, გვეხმარება ე. წ. ფონეტიკური და სემანტიკური კრიტერიუმების მობრკვება.

ისტორიულ-ლინგვისტოლოგიური ხასიათის დიფერენციების გამოყენებას, რომელთაც რეგულარული ხასიათი აქვთ, ნასესხობათა შემოსვლის გზების გამოსავლენად საუბრითო ენობრივი კონტაქტებს დროს, ისეთივე მნიშვნელობა აქვთ, როგორც კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობების დადგენას ენათა ნათესაობის, ანუ საერთო წარმონაჯლობის გამოსარკვევად. მრავალ შემთხვევაში ნასესხები სიტყვისათვის რაღაც ბევრათა კომპლექსი, ან ფონეტიკური პროცესების სხვადასხვა გამოვლინებები, ის ქუდიც, რომელიც მას გამოარჩევს უცხო ენობრივ გარემოში მოხვედრისას და მისი ვანვლილი გზის გამოცნობა ხშირად ამ ქულების მეშვეობით ხერხდება.

მეორე მხრივ, როგორც ცნობილია, სიტყვა თავის ღირებულებას ე. წ. ლექსიკურ, ანუ სემანტიკურ ველში ავლენს, რომელიც სხვა ლექსიკურ ერთეულებთან ურთიერთმიმართებისას მის განმასხვდრელ რიგს წარმოადგენს. ენობრივი კონტაქტების დროს, სიტყვათა სესხებისას, სიტყვა წყდება განსესხებელი ენის ე. ი. მისთვის ბუნებრივი ველის გარემოს და სემანტიკური ადაპტაციის შედეგად, ახალი, მსესხებელი ენის სათანადო ველის წევრი ხდება. იგი უკვე მისი სინონიმების, ანტონიმების და სხვა წინააღმდეგობრივი მიმართებების რიგში დგება და ხშირად ახალ მნიშვნელობას იძენს, დამახასიათებელს იმ ენისათვის, რომლის ლექსიკურ შემადგენლობაშიც მკვიდრდება, რის გამოც სემანტიკურ კვლევასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ქვემოთ განხილული ბუნება ზოგიერთი ქართველურ-ინდურ-ირანული ლექსიკური პარალელი ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სფეროდან, რომლებიც უკავშირდებიან ცეცხლის, სინათლის, ბრწყინვის ცნებებს. ამ ცნებათა აღმნიშვნელი სიტყვებით განსაკუთრებით მდიდარია რიგვედა, რომელთაც ამ სფეროში სინონიმთა მრავალრიცხოვანი რიგები მოეპოვება, რომელთაგან მწარმოება ურიცხვი ზმნური თუ სახელური ფორმები<sup>2</sup>, აღნიშნულ სახელებსა და ზმნის ფორმებს მოეპოვება თავისი პარალელები ავეტასა და სხვა ირანულ ენებში, და რაც ჩვენთვის უფრო საინტერესოა, ქართველურ ენებშიც. ეს გარემოება საგნებით ბუნებრივად მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ ინდურ-ირანულსათვის დამახასიათებელ ცეცხლსა და სოლარულ ღვთაებათა კულტებს, რომლებიც ქრისტიანობის შემოსვლამდე ქართველურ: არეალშიც იყო გავრცელებული.

დავიწყეთ ცეცხლისა და სინათლის აღმნიშვნელი ფუძეებისა და მათი დერივატების შეპარისპირებით:

1. ძველი ინდური śac — „წვა, ნათება“, śacati; śacāli — „იწვის, ანთავ“, śacita „ანთებული“, śakra „ნათელი“, წმინდა, თვთრი, ცეცხლი, ცეცხლის

<sup>2</sup> Е. Лизаренкова Т. Я., Грамматика ведийского языка, М. 1982, с. 51 — 62.

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

დვთაება, წითეები, ადიექტივად „მბრწყინვალე“ და სხვა<sup>3</sup>. აგრეთვე *sukriya* „ნათელი, მბრწყინავი“, *śukla* „თეთრი, ნათელი“, *śuc* „მანათობელი“ *śucya* „ნათელი, წმინდა“; ირანულ ენებში მას შეესატყვისება \**sauk* (*saftēš*) ფუძე, შეადარეთ ძვ. ირანული *sauka*, სანსკრ. *śoka* „ცეცხლი“, ოს. *sog* — „საწვავი, შეშა“, *syrd* — „დამწვარი“, *suḡin* — „წვა“, მაგრამ *syrdæg* — ნიშნავს „წმინდას, სუფთას“, ე. ი. ცეცხლში გატარებულს<sup>4</sup>. შეადარეთ ძვ. ირან. *suza* „წითელი“, ფალ. *suzr*, „წითელი“, ახ. სპ. *surx*; სოლდ. *soč* — *soxt*, საქ. ხოტან. *suz*: *suta* და სხვა მრავალი.

ჩვენის ფიქრით, ამ ინდურ-ირანულ ზმნურ ფუძეს უნდა ეკავშირდებოდეს ქართული და ქართველური ცხ-ჩხ- „წვის მნიშვნელობით, რომლისგანაც ქართველურ ენებში დადასტურებულია მრავალი წარმოებულნი პირდაპირი თუ გადატანილი მნიშვნელობით; შეადარეთ ცხ-თბ-ა, ცე-ცხ ლ-ი, ცხ-ელ-ი, ცხ-არ-ე, და სხვა. მთელი რიგი ცხ-თვ რთული ფუძიდან წარმოებულენია: ცხ-თვ-ელი, მ-ცხთვ-ნი, ცხთვნება, ნა-ცხთვ-არი, სა-ცხთვარი, ცოცხალი რედუბლიკაციით (\*ცხთვ-ცხვალ-იდან).

რეკონსტრუირებულია საერთო ქართველური დონისათვის როგორც \**c*, *x* - „წვის“ მნიშვნელობით, მეგრულში წარმოდგენილია, როგორც ჩხ-სეანურში *šx-/šix-* შეადარეთ ლაზ. ჩხე, და ჩხირი, დაჩხური, სვან. შხ- „წვა-“ „შეშე“, ქართველური ენების დასავლური არეალიდან უნდა იყოს შეთვისებული სომხური სიტყვა *axoiž* — „ცოცხალი, ფიცხი, მგზნებარე“, რომლისთვის ამოსავალი უნდა იყოს ქართველურიდან შეთვისებული ფუძე *šxu-/šxou-* და არა პ. აჭარაინის მიერ შემოთავაზებული ავ. *xšud* სკრ. *kšud*, რომელიც ფორმითაც და სემანტიკითაც უფრო შორს არის<sup>5</sup>, მისი მნიშვნელობაა დანაწევრება, დაფშვნა, განადგურება“. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ თვით ინდურ-ირანული ფუძეც აღნიშნული სიტყვისა საერთო-ქართველური წარმოშობისა იყოს შეთვისებული ინდურ-ირანულის მიერ უძველეს ეპოქაში დეზაფრიკატიზებული სახით, როგორც ამას ვარაუდობენ თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვა ბერძნული სიტყვისათვის *ξερξ* „კერა, კერიის ცეცხლი, სამსხვებლო“. უოველ შემთხვევაში საერთო ინდოევროპული დონისათვის მისი რეკონსტრუირება არ ხერხდება. ზემოაღნიშნული ავტორების აზრით, ბერძნულმა ეს სიტყვა ისეხსა ქართველური ენებიდან მატრიკულ საბერძნეთში აღმოსავლეთიდან გადმოსვლის დროს (შდრ. ლაზ. ჩხე, დაჩხირი, დაჩხური სვან. შხ- „წვა“, და სხვა). თავკიდური *š* ბერძნული ფორმისა ბროთეტული წარმოშობისაა. მსგავსი შემთხვევები, როგორც ჩანს, უნდა ჩაითვალოს უძველესი დროის ლექსიკურ შენეგდარებად ქართველური ენებისა ინდურ-ევროპული დიალექტური არეალების ცალკეულ წარმომადგენლებთან და ამ შემთხვევაშიც ფონეტიკური მოვლენა აფრიკატიზაციისა თუ დეზაფრიკატიზაციის პირველადობისა, ვადამწყვეტ როლს თამაშობს სესხების მიმართულების გასარკვევად.

აფრიკატიზებული ფორმები, დამახასიათებელია ქართველურისათვის, ჩვეულებრივ, სხვა ენებში სესხებისას ხდება მათი დეზაფრიკატიზაცია, ან ადგილი აქვს სუბერაციის სხვადასხვა ფორმებს თანხმოდანთა არასასურველი დაჯგუფების ასაცდენად, განსაკუთრებით ანლაუტში.

<sup>3</sup> Klaus Mylius, Wörterbuch Sanskrit-Deutsch, Leipzig, 1975, გვ. 484.

<sup>4</sup> В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, III, 1979, с. 165—167.

<sup>5</sup> Р. Ачарян, Этимологический словарь армянского языка, I—VII, Ереван, 1926—1935.



2. ძვ. ინდური *ruk* „ბრწყინვა, ნათება“ *rukṣa* ბრწყინვალე“, ძვ. ირან. *rauk*, *rauxṣna*—ავ. *raoxṣna*, სავ. სპარს. *rukṣ*, *rukṣidan* „ბრწყინვა,“ *rukṣan* „ნათელი“, ფალ. *rōšan*, *rōšnih* სოლდ. *roxšn*, ალან. ოსური *roxs/ruks*, *roxs kaengn* „განათება, გაბრწყინება“, აღანური ფორმა *ruks*, თავიედურა ხს—კომპლექსის მეტათეზისით სხ-დ, საფუძვლად უდევს ქართულ სიტყვებს რუსხა „ნათელი“ და რისხვა „გაბრანება, გაფიცება“. ამივე ძირს უკავშირდება მეგრულ-ქართული მურუცხი/მურიცხი „ვარსკვლავი, მნათობი“. ჩვენ გვქონდა შემთხვევა, წაგვევითხა მოხსენება აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ამ ძირის გააფრიკატებული ვარიანტების შესახებ რცხ-/რიცხ-/რეცხ, რომელიც საფუძვლად უდევს ქართულ სიტყვათა მთელ სერიას დაკავშირებულს რიცხვის, აღრიცხვის, თვლის გადატანით შერაცხვა-შეურაცხყოფის, რცხვენის სირცხვილის ცნებებთან ერთი მხრივ, მეორე მხრივ რეცხ-ვა, რეცხვასთან, რომელიც გამოდის „განათლების“, განწმენდის ცნებიდან. ანალოგიურია სემანტიკური კავშირები სხვა ინდოევროპულ ენებშიც, შეადარე ა) ნათება>ხედვა>შენიშვნა→აღრიცხვა, თვლა//შერაცხვა, შეურაცხება, რცხვენა შდრ. რუსული *читать, считать, считаться, почитать, честь* და მისთანანი—ძირიდან *čit*, რომელიც ნათელს, ხედვას უკავშირდება ბ) ცეცხლში გატარება-გაწმენდა || განათლება // გათეთრება>რეცხვა. შდრ. ოს. *суџаџ*. „წმინდა“, ძირიდან *soğ* — „წვა“ და სხვა.

3. ძვ. ინდური *svar* „ზეცა, მზე“, *svarna* „ნათელი“, ავესტ. *hvar* „მზე“, *hvara*. *xšaeta* „მზე მანათობელი“, „მზის დისკო“. *Xʰarənah*<sup>6</sup>. „ბრწყინვალეობა“, დიდება, ბედნიერება“ მიდიური და ძველი სპარსული ფორმა *farnah*, ფალ. *Xʰarr* და *farraχ*<sup>7</sup>, ახ. სპარს. *farrah*, *fārr*, ოს. *farn*<sup>7</sup>. „ბედნიერება, მაღლი, დიდება“ და სხვა. ახალი სპარსული ფორმა *fārr*, *fār* ამოსავალია ქართული სიტყვისათვის ფერი — „ბრწყინვალეობა, ფერი, გვარი, მსგავსი“. სიტყვებში: ფერთვანი, უფერული, უფერო, შეუფერებელი, ყველაფერი, მრავალფერი, ცისფერი, ვარდისფერი, მიხაკის ფერი“ და სხვა მრავალი.

სიტყვა ფართოდ არის გავრცელებული თითქმის ყველა ინდურ-ევროპულ ენაში. იხ. ბერძნ. *ῥῆσιος*, ლიტ. *saule*, პრუს. *sanle*, ძვ. სლავ. *slunice*, გუთ. *sanil*, *sunno*, ლათ. *sol* და სხვა.<sup>8</sup>

4. ძვ. ინდური *gūna*<sup>9</sup> — „ძაფი, ბეწვი, თვისება, ატრიბუტი, სიკეთე“, ძვ. ირან. \**ganna*, ავესტ. *gaona* „თმა, ბეწვი, ბეწვის. თმის შეფერალობა“ (*масть*), ფერი, ხასიათი, ნიშანი, თვისება“. ეს საერთო ირანული სიტყვაა. რომლის ორი ძირითადი მნიშვნელობა 1) თმა, ბეწვი; 2) ფერი სხვადასხვა ირანულ ენებში ხან ერთად არიან წარმოდგენილი, ხან ცალკადაა. შდრ. ძვ. სპარს. *ganna* — „ბეწვი, მატყლი“, სავ. სპარს. *gūn*, *gun* — „ფერი, გვარი, სახე“, ახ. სპარს. *gun* — „ფერი“, საკურ. ხოტანური — *γunak* „მატყლი, ბეწვი, ფერი, სახე“, *γun* — „მატყლის ფერი“, ოსურ. *qoyn|γun* — „თმა, ბეწვი“. ეს ფუძე ირანულიდან ქართულში შეთვისებულია ყველა თავისი მნიშვნელობით: „თმა, შეფერილობა, ნიშანი, ხასიათი“ მაგრამ სხვადასხვა დიალექტური წრიდან შდრ. ქართ. *ყვანი* — „თმა“, *დაყენა* — „თმის მოპარსვა“ ოსურიდან *qoyn|γun*<sup>10</sup> „თმა, ბეწვი“.

<sup>6</sup> Bartholmae Chr. Altiranisches Wörterbuch. Strassburg, 1904, გვ. 1847—1848.

<sup>7</sup> В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, М.-Л, 1949, с. 195.

<sup>8</sup> Т. В. Гамкрелидзе, Иванов Вяч. Вс. Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тбилиси, 1984, с. 684.

<sup>9</sup> Кочаргина В. А., Санскритско-русский словарь, М, 1978.

<sup>10</sup> შ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართულ ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ. 1966, გვ. 127—128.

საშუალო სპარსული ფორმა *gōn, gun*. შეფერილობის მნიშვნელობით გვეხვება სიტყვებში *გუნი*, *გუნი* „სიყვითლე“, იგივე *gun*. წარმოდგენილია სიტყვა *გუნ* მანში (შავგრემანი, თეთრგრემანი, გრემან თვალათა“, *ლურჯ*, ან ცისფერ თვალაინი, ე. ი. *ჭრელ თვალა*“). იგი უდევს საფუძვლად ძველ ქართულ ზმნას *გრემლება* „სახის ან თვალწარბის შეღებვა, სურმის წისამა“. სპარს. *gunemand-ფეროვანი, ჭრელი*“ > ქართ. \**გუნემან* > *გრემანი*-ი.

5. ძვ. ინდური *pīś-* „შემკობა“, *pīśanga* „წითელი ცხენი“<sup>11</sup>, ავ. *paēs-* „შეღებვა, შეფერვა“, *paēsa* „სამკაული“, საშ. სპარს. *pēs* „სამკაული“, *pēsah-* „კეთრი“ (ხალეზიანი), ახ. სპ. *pīśāk* „ჭრელი, ხალეზიანი „საქონელი“<sup>12</sup>, სოლდ *pyst-* „შემკობა, შეღებვა“, სომხ. *pēs-* ფერი“, ქართული ფესუები — „მორთული, სამოსელი“, ფესუი „სამოსლის შემკობილი შლეიფი“, აქედანვეა სიტყვა *პეწი* — „ბრწყინვალეობა“ (лоск, блески, тик). ბეწენიკი — „მორთული, ფრანტი“, ფესანგი — „ჭრელი, ხალეზიანი ცხენი და ძვ. ქართ. „ბზიკი ფესანგი“. ე. ი. ზოლიანი ბზიკი.

6. ძველი ინდური *citra* „ნათელი, ჭრელი“, ავ. *ciṣṭra-* — „ნათელი, სახე წარმომავლობა, ოს. *cynt | cir* — „ძველი, ნიში“, შეადარეთ ძვ ქართ. ჭორჯ „საფლავის ბორცვი“, საშ. და ახალი სპარსული *cihr* „სახე, გვარი, ნიშანი“, რომელიც ჩვენის ფიგურით, საფუძვლად უდევს ქართულ სიტყვა *ჭრელს* — ე. ი. „სახიანი, მრავალფერი“.

7. ძვ. ინდური *kṣī, kṣay* „ბრწყინვა, მეფობა, მმართველობა“<sup>13</sup>, ძვ. ორ. *akṣay* „ბრწყინვა, დიდება, მეუფება“, ოს. *akṣar* „სამხედრო დიდება“ *akṣ* „დედოფალი, დედამთილი“, *akṣed-* „განთიადი“<sup>14</sup>, საიდანაც მოდის ქართულ *akṣed-i* „წითელი ფერის ცხენი“. სკვითურს ემხრობა (იხ. ქვემოთ). აგრეთვე ქართული სიტყვა *მცეცე*; *მცეცე-ოვანი* „ჭალარა (საბატო), მოხუცი“ შდრ. მებრ. *čē-|r-čē, čān. kčē | kšē, kčē* „თეთრი“, ხინი, „მოხუცი“.

8. ძვ. ორ. \**xšaita*, ავ. *akṣaeta* „ბრწყინვალე“, ოს. *akṣid | akṣed* „განთადი“, საშ. სპ. *akṣēt*, ბართ. *akṣetak*, სომხ. *akṣet* „წითელი ცხენი“<sup>15</sup>, შდრ. ქართ. ხელი — „წითელი“ „ცხენი“.

9. ძვ. ინდური „*hari*“ — „ყვითელი, მწვანე“, ძვ. ორ. *saray* — „ყვითელი, ოქროსფერი“, ავ. *zairi gaona* „ოქროსფერი“. პაონას (სომას) ეპითეტი, აგრეთვე *raranyo. paesah* „ოქროს ფერი“, საშ. სპ. *zarēn pēsīt*, ახ. სპ. *zard* „ყვითელი“, შეადარეთ ქართ. ზარდი, ზერდავი — „ყვითელი ცხენი“. აღსანიშნავია აგრეთვე სხვა ქართული ცალკეული ფერების სახელები, რომლებაც ინდურ-ირანულ ენა-პარტუბიან შდრ. ძვ. ინდ. *śveta* — „თეთრი, ნათელი“, ავ. *spaēta*, საშ. სპ. *Spāt* სომხ. *spitak*, ქართული — სპეტაკი.

ძვ. ინდ. *śyāva* — „მუქი ყავისფერი, შავი“, *śyāma* „შავი“, ავესტ. *śyāva* „შავი“ შდრ. აგრეთვე ძვ ქართ. — „სიავი“ „ლურჯი“, სომხ. *sev* — „შავი“, სკვით. *syāva*, (ლიტვ. *syāva* „ნაცრისფერი“, რუს. *сивый* (= ქართ. შავი).

<sup>11</sup> Klaus Müller დაახ. ნმრ. გვ. 283—284.

<sup>12</sup> Оранский И. И. Ирано-славянские заметки II. Ежегодник Иранского языкознания, М. 1981, с. 3—4.

<sup>13</sup> Böthlingk O., Roth R., Sanskrit-Wörterbuch, I—VII; St. Petersburg, 1855—1875.

<sup>14</sup> Абзев В. И., ОЯФ..., с. 189.

<sup>15</sup> Ачарян Р. Этимологический словарь армянского языка, I—VII, Ереван, 1926—1935.



ძე. ინდური cit — „წენისუნა, შამხნევა“, ოს. citta „სხვი“, çeltun „ბაჭყინვა ნათება“, სომხ. citani — „წითელი“, ქართ. წითს — „წითლდება“ (წითს ციან) > წითელი და სხვა. ცალკე მსგელობის საგინი ქართ. ლურჯისა და შვან-ს ეტიმოლოგიაც.

М. К. АНДРОНИКАШВИЛИ

НАЗВАНИЯ ОГНЯ-СВЕТА-БЛЕСКА И СВЯЗАННАЯ С НИМ  
ЦВЕТООБОЗНАЧАЮЩАЯ ЛЕКСИКА В ДРЕВНЕИНДИИРАНСКИХ  
И КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

При сопоставлении картвельской и индоиранской лексики, выражающей понятия света-огня-блеска и связанной с ним светообозначающей лексики, выявляется большое сходство как в фонетическом облике, так и в области семантики, что можно объяснить древнейшими генетическими и ареальными связями между вышеуказанными языковыми системами.

В лексическом составе грузинского языка и других картвельских языков засвидетельствованы элементы индоиранского происхождения на различных хронологических уровнях, начиная с древнейших арийских и кончая новоперсидскими, поэтому проблема языковых контактов между картвельскими и индоиранскими языками является очень сложной и многоплановой. Конечно, на протяжении тысячелетий эти контакты, как в хронологическом, так и в диалектном плане, были неодинаково интенсивными и не всегда односторонними, как может показаться по многочисленным заимствованиям из иранских языков в грузинском, но их значение для истории картвельских языков с одной стороны и для индоиранских — с другой не вызывает сомнений. Для выявления этимологии и идентификации древнейших арийских и индоарийских элементов необходимо систематическое сопоставление указанных картвельских языковых данных с древнеиндийскими. Особенно плодотворными в этом смысле могут оказаться результаты сопоставления данных Ригведы и Авесты с древнейшим слогом картвельской лексики.

Предметом нашего исследования будут служить некоторые картвельско-индоиранские параллели из области цветообозначающей лексики, связанные с наименованиями понятий пламя, свет, блеск. Особенно богата словами, обозначающими эти понятия, Ригведа, обладающая многочисленными рядами синонимов, которые образуют глагольные и особенно именные формы. Многие из этих имен и глаголов имеют параллели в Авесте и других древнеиндоиранских и картвельских языках, что совершенно естественно для индоиранского культа огня, солярных божеств, распространенного в дохристианскую эру также и в картвельском ареале.

В статье рассматриваются и этимологизируются грузинские слова для обозначения огня, света, блеска, цвета, окраски, а также разноцветности и отдельных цветов.

THE NAMES OF FIRE-LIGHT-LUSTRE AND RELATED VOCABULARY  
 DESIGNATING COLOUR IN ANCIENT INDO-IRANIAN AND  
 KARTVELIAN LANGUAGES

Summary

A juxtaposition of Kartvelian and Indo-Iranian vocabulary expressing the notions of light-fire-lustre and related vocabulary designating color reveals a considerable similarity both in the phonetic makeup and in the field of semantics, which can be accounted for by ancient genetic and areal relations between the indicated language systems.

Elements of Indo-Iranian origin have been in the vocabulary of Georgian and other Caucasian languages at various chronological levels, ranging from ancient Aryan to New Persian, which renders the problem of linguistic contacts between Kartvelian and Indo-Iranian languages very complex and manifold. To be sure, over the millennia these contacts—on the chronological as well as dialectal planes—were not equally intensive, and not always one-sided, as it may seem from numerous loanwords from the Iranian languages into Georgian. However, the significance of these contacts for the history of the Kartvelian languages, on the one hand, and the Indo-Iranian, on the other, does not cause any doubts. Of these study was primarily made of Iranian elements whose number is large and attested at various chronological levels. The ascertainment of the etymology and identification of ancient Aryan and Indo-Iranian elements necessitate a systematic juxtaposition of the indicated Kartvelian language data with Ancient Indian. In this respect, comparisons of the evidence of the Rigveda and the Avesta with the earliest layer of Kartvelian vocabulary may prove particularly useful.

The present communication features certain Kartvelian-Indo-Iranian parallels from the field of vocabulary designating colour and related to the names of the notions of flame, light, and lustre. The Rigveda with its numerous rows of synonyms that create verbal, and especially nominal forms, is particularly rich in words denoting these notions. Many of these nouns and verbs have parallels in the Avesta and other Ancient Indo-Iranian and Kartvelian languages, which is quite natural, for the Indo-Iranian cult of fire and solar gods was prevalent in the pre-Christian period in the Kartvelian area as well.

Georgian words used to designate fire, light, lustre, colour, hue, as well as varicoloredness and separate colour are discussed and etymologized in the paper.



ელიზა კვანტალიანი

პირის ნაცვალსახელების შესახებ თურქულ ენაში

პირის ნაცვალსახელები ყველაზე უნივერსალურ კლასს წარმოადგენს ნაცვალსახელებს შორის. იგი ინდივიდუალიზმის გამოხატვის კარგი საშუალებაა საკუთარი სახელების შემდეგ.<sup>1</sup>

პირის ნაცვალსახელებში, საკუთარი სახელებისაგან განსხვავებით, ინდივიდუალიზაციისათვის გამოიყენება მხოლოდ დამატებით ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელსაც ტექსტიდან ან საკომუნიკაციო სიტუაციიდან ვღებულობთ.<sup>2</sup>

ნაცვალსახელი სახელთა ჯგუფს მიეკუთვნება, სახელებს კი თურქულ ენაში თურქი ავტორები შემდეგ გრამატიკულ თვისებებს ანიჭებენ: რიცხვი, სქესი, განსაზღვრულობა, ბრუნვა, კუთვნილება.<sup>3</sup>

სქესი, რასაკვირველია იგულისხმება გრამატიკული და არა რეალური სქესი, თურქულ ენას არ მოეპოვება და ამიტომ იგი არც ნაცვალსახელშია გამოხატული. თურქულ სალიტერატურო ენაში პირის ნაცვალსახელების სისტემა შემდეგნაირად გამოიყურება:

მხოლოდითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
ben/ban — მე	biz/bizler — ჩვენ
sen/san — შენ	siz/sizler — თქვენ
o/ on — ის	onlar — ისინი

biz არ არის რამდენიმე ben-ის მექანიკური კრებული. იგი ყოველთვის გულისხმობს მოლაპარაკეს და იმას, ან იმათ, ვისაც იგი ელაპარაკება, ან თვითონ მოსაუბრეს და სხვას, იმათ გარდა, ვიზუც ლაპარაკობს ან ვისაც ესაუბრება.

იგივე უნდა ითქვას siz-ის შესახებ. ამ ნაცვალსახელით მოლაპარაკე მოიხსენიებს ერთ ან მეტ პირს, რომელშიც თვითონ არ იგულისხმება.

მესამე პირში onlar — ყველა დანარჩენი, რომლებიც ამ ორი პირის გარეთ დგას. თუმცა თურქულ ენაში მრავლობითი რიცხვის პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს შეიძლება დაერთოს მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსები -lar, -ler. ამ შემთხვევაში აღნიშნული სუფიქსი ერთვის პირის ნაცვალსახელის არა მხოლოდითი რიცხვის ფორმას (ben-ს, sen-ს), არამედ სათანადო პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელებს: biz—biz+ler, siz—siz+ler.

1 Э. Бенвенист, Общая лингвистика, М., 1974, с. 24.  
 2 Р. О. Якобсон. Новое в лингвистике, М., 1965, с. 576.  
 3 М. Ergin, Türk Dil Bilgisi, Sofya, 1967, ss. 119.





bizler, sizler ნაცვალსახელებზე მ. ერვინი ყურადღებას არ ამახვილებს. პ. ედისქუნი და თ. ბანგუოლლუ მათ ისეთივე მრავლობითად თვლიან არსებითი სახელის მრავლობითს. თ. ბანგუოლლუ წერს — „ეს მრავლობითები სიმრავლის ხაზის გასამწვლად იხმარება, ჩვენ მას მრავლობითის მრავლობითს ვუწოდებთ“.<sup>4</sup>

ამ განმარტებას თუ კარგად ჩავუფიქრებთ, დავინახავთ, რომ იგი ქვეცნობიერად გვერდს უვლის სემანტიკას და მხოლოდ ფორმალურ მხარეს ასახავს — მრავლობითს ემატება მრავლობითი. სინამდვილეში აქ უმთავრესი და ინტერესის გამომწვევე არის ამ ახალი ფორმის ახალი, ძველისაგან (biz, siz) განსხვავებული, მნიშვნელობა. აქ სულაც არა გვაქვს საქმე სიმრავლის გამრავლებასთან, პირიქით, biz და siz ნაცვალსახელებზე მრავლობითი რიცხვის—ler სუფიქსის დართვის შედეგად ახალი ფორმის (bizler, sizler) მნიშვნელობა ამოსავლი ფორმების (biz, siz) მნიშვნელობასთან შედარებით უფრო ვიწრო და კონკრეტული ხდება.<sup>5</sup> ეს ახალი ფორმა უკვე გამოხატავს კონკრეტულ მრავლობითს. რაიმე, ერთი, საერთო ნიშნით ვაერთიანებულ ადამიანებს, ადამიანთა ჯგუფს: ოჯახის წევრებს (შღრ. ქართული—ჩვენები), ერთი შრომითი კოლექტივის წევრებს და ა. შ. აღნიშნული ნაცვალსახელები შეიძლება გამოხატავდეს, კონტაქტის შესაბამისად, პატივისცემას ან ირონიას.

biz—ler და siz—ler-ისაგან განსხვავებით on—lar-ში ფორმალურად მრავლობითობა მხოლოდ ერთხელ არის გამოხატული, და არა მარტო ფორმალურად, არამედ სემანტიკურადაც. ალბათ მართალია მ. შჩერბაკი, როცა ამბობს, რომ თავდაპირველად o იყო ჩვენებითი ნაცვალსახელი, პირის ნაცვალსახელად მისი გამოყენება უფრო გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს.<sup>6</sup>

პირის ნაცვალსახელი არსებითი სახელის მსგავსად იბრუნვის, მაგრამ პირის ნაცვალსახელების ბრუნების საერთო სურათი მაინც განსხვავდება არსებითი სახელის ბრუნვის საერთო სურათისაგან.


ზემოთ სქემატურად უკვე აღინიშნა, რომ მხოლოდითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელი ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი: პირველია თავისუფალი ვარიანტი ben, რომელიც მიცემითის გარდა, ყველა ბრუნვაში ben ფორმით გვხვდება; მეორეა ამ ნაცვალსახელის შეკრული ვარიანტი ban-, რომელიც მხოლოდ მიცემით ბრუნვაში გვხვდება ban-ფორმით: ban-a.

მხოლოდითი რიცხვის მეორე პირის ნაცვალსახელი ავრეთვე ორი პოზიციური ვარიანტითაა წარმოდგენილი: პირველია თავისუფალი ვარიანტი sen, რომელიც მიცემითის გარდა, ყველა ბრუნვაში sen ფორმით გვხვდება; მეორეა ამ ნაცვალსახელის შეკრული ვარიანტი san-, რომელიც მხოლოდ მიცემით ბრუნვაში გვხვდება: san-a.

მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ნაცვალსახელი, პირველი ორი პირის ნაცვალსახელების მსგავსად, ავრეთვე ორი პოზიციური ვარიანტი არის წარმოდგენილი: პირველია თავისუფალი ვარიანტი o, რომელიც მხოლოდ სახელობით ბრუნვაში გვხვდება; დანარჩენ ბრუნვებში და მრავლობით რიცხვში იხმარება მისი შეკრული ვარიანტი on-: on-un, o-na, on-u, on-da, on-dan და on-lar.

ბრუნებასთან დაკავშირებით პირველი პირის ორივე რიცხვის ნაცვალსახელებთან თავს იჩენს კიდევ ერთი თავისებურება. ამ ნაცვალსახელებთან, სხვა სა-

<sup>4</sup> T. Banguoğlu, Türkçenin Grameri, Ankara, 1990, გვ. 357.  
<sup>5</sup> А. М. Щербак, Очерки по сравнительной морфологии тюркских языков (Имя), Л., 1977, с. 127.  
<sup>6</sup> М. Щербак, დასახ. შრომა, გვ. 125.



ბელგისაგან განსხვავებით, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად ვეველინება სუფიქსი —im: ben—im, biz—im.

პირის ნაცვალსახელები, როგორც ეს მოსალოდნელი არის, საკუთარმან თანდებულების სემანტიკის შესაბამისად გარკვეულ თანდებულებს შეიწყობენ. ეს თანდებულება: 1. სახელობითი ბრუნვის თანდებულები—*ce*, 2. ნათესაობითი ბრუნვის თანდებულება: *için, ile, gibi, kadar* 3. მიცემითი ბრუნვის თანდებულება: *kadar, karşı, göre, doğru, ait, rağmen, dair* 4. დაწყებითი ბრუნვის თანდებულება: *başka, dolay, evvel, önce, sonra*.

მაგალითად:

1. *Bize bilinmeyen bir noktadadır.*  
ჩვენ მიერ უცნობ წერტილშია (A. N. 133).
2. *Orta ise köñü şeydir benim için.*  
სამაზი ცუდია ჩემთვის (N. H. 306).
3. *Hadı, kızım, demiş, seninle biraz dolaşmağa çıkalım.*  
წამო, შვილო, უთქვამს, მე და შენ ცოტა გავისეირნოთ (ქრეს. 12).
4. *Ana lar doğurmamış onun gibisini.*  
დედებს ჭერ არ უშვიათ მისი მსგავსი (ქრეს. 22)
5. *Benim kadarımış... Yirmi altı yaşında.*  
ჩემზელა ყოფილა... ოცდაექვსი წლის (43, 13).
6. *Bana göre büyük adam, odur ki.*  
ჩემი შეხედულებით დიდი ადამიანი ის არის, რომელიც... (N. H. 279).
7. *Size ait hiç bir şey çirkin olamaz sanıyorum.*  
ვეჭირობ, რომ შენს შესახებ ცუდი არ შეიძლება რამე იყოს (S. A. 335).
8. *Seni benim kadar, hattâ benden başka kim dinler?*  
შენ ჩემსავით, ის კი არა, ჩემ გარდა ვინ ვისმენს? (S. A. 425).
9. *Nasil herif! Senden önce mi buradaymış?*  
როგორ, ყმაწვილო! შენზე აღრე ყოფილა აქ? (K. T. 71).
10. *Ondan evvel hiçbir şey bilmiyorum.*  
მანამდე არაფერი ვიცო (ქრესტ. 171).

როგორც სახელების ერთ-ერთი სემანტიკური ჯგუფი, პირის ნაცვალსახელები წინადადების ყველა წევრის როლში შეიძლება შეგვევდეს, მათ შორის მისგან შეიძლება ნაწარმოები იქნეს ზმნა (ნასახელარი ზმნა, მაგ. *benimsemek*) და ის, აგრეთვე, შეიძლება სახელადი შემსემენლის სახელადი ნაწილის როლშიც მოგვევლინოს. მაგ.: *Munise utana başını salladı, —Bendim, hocahamım, dedi.* მუნისემ თავი მორცხვად დააქნია —მე ვიყავი, ჰოჯახანუმ, უფორა (ქრესტ. 227).

ნაწილაკების ხმარება პირის ნაცვალსახელებთან ჩვეულებრივი მოვლენაა:

1. *Bunu ben bile anladım! ეს მეც კი გავიგე!* (48, 30).
  2. *Sen de dalgınsın baba —შენც დაბნეული ხარ, მამა* (N. H. Pi, 6).
- თურქულ ენაში სახელებიდან სახელების წარმოება, რასაკვირველია, სუფიქსაციის დართვით ხდება. ამ პროცესში პირის ნაცვალსახელებიც მონაწილეობს, ოღონდ არა ისეთი ინტენსიურობით, როგორც არსებითი სახელები:

1. *Şimdi görüyorum, ki o da bensiz yaşayamıyacak.*  
გხლა ვხედავ, რომ ვერც ის იცხოვრებს უბემოდ (S. A. 356).

2. *Kendini o kadar beğenirdik ki, bu bencil beğeniş sam yeli olur, yemişlerini dallarından düşürür.*

ის იმდენად მოგვწონდა, რომ ეს ეგოისტური მოწონება სამემის ნიადად იქცეოდა, საჭმელს ხელიდან გვაყრევინებდა. (N. H. 77).



3. Sensizliđi düşünmek çok dehşetli, çok öğür.

უშენობაზე ფიქრი ძალიან საშინელია და მძიმე (Şiirler, 1966) ლექსი

4. Herkesle senli—benli... ყველასთან შენობით... (14, 20).

მეტყველების ნაწილები, როგორც ეს სპეციალური ლიტერატურიდან არის ცნობილი, მასზე აფიქსებს დართვის თანმიმდევრობის შესაბამისად მოდელირდება.

პირველ სტრუქტურულ ტიპში ფუნქციონირებს შემდეგი აფიქსები: რიცხვის, კუთვნილების, ბრუნვის. ეს სტრუქტურული ტიპი „სახელს“ სახელწოდებით გამოიყოფა. ამ კატეგორიის აფიქსებს (რიცხვი, ბრუნვა) პირის ნაცვალსახელებიც დაირთავს.<sup>7</sup>

პირის ნაცვალსახელები, როგორც არსებითი სახელების ერთ-ერთი სემანტიკურ-გრამატიკული წევრი, ამ რიგს განეკუთვნება და სუფიქსების დართვის სათანადო რიგსაც იცავს.

Э. Д. КВАНТАЛИАНИ

О ЛИЧНЫХ МЕСТОИМЕНИЯХ В ТУРЕЦКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Система личных местоимений в турецком языке выглядит следующим образом:

ед. число	множ. число
I —ben, ban — дат. падеж	biz, bizler
II —sen, san — дат. падеж	siz, sizler
III—o, on — косвен. пад.	onlar
и множ. число	

В словах bizler, sizler—ler прибавляется к местоимениям, выражающим множественное число. В этом случае мы имеем дело не с умножением множественности, а наоборот — с ее сужением и конкретизацией.

E. KVANTALIANI

PERSONAL PRONOUNS IN THE TURKISH LANGUAGE

Summary

The system of personal pronouns in Turkish is as follows:

Singular	Plural
1. ben, ban-dative case	biz, bizler
2. sen, san-dative case	siz, sizler
3. o, on-oblique case and in plurals	onlar

In the words bizler and sizler,-ler is added to the plural pronouns. In this case, we are not multiplying or expanding plurality, but on the contrary we are restricting and clarifying.

<sup>7</sup> М. С. Джикия, Структура словоформ турецкого языка, Тбилиси, 1984, с. 125.

მარიკა ჩაჩიბაია

### ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტები დამასკოს ნაციონალური მუზეუმთან

ქართველ მწიგნობართა მოღვაწეობას სირიაში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. სირიის სამონასტრო ცენტრებში მოღვაწე ცნობილი ქართველი ავტორების მიერ დატოვებული მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელსაც ჩვენამდე მოუღწევია ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებების სახით, იძლევა საფუძველსა და სტიმულს სირიაში დაიძებნოს ქართული ხელნაწერები.

საყურადღებოა, რომ რამდენიმე წლის წინათ სირიის მანკობლად, ლიბანის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ქართული ხელნაწერები, კერძოდ, ბეირუთში ფრანგმა ქართველოლოგმა B. Outtier-მ ბზომარის მონასტერში მიაკვლია X საუკუნის ქართული ლექციონარის ფრაგმენტებს, ხოლო სირიოლოგმა Leroy-მ ბალამენტის მონასტერში ნახა ქართული მონაწერი XVI საუკუნის არაბული სახარების ბოლოს<sup>1</sup>.

სირიის არაბთა რესპუბლიკაში, დამასკოში ყოფნისას საშუალება მოგვეცა გაცნობოდით ნაციონალურ მუზეუმში დაცულ ხელნაწერთა ფონდს. მუზეუმის სარდაფში მოთავსებულ სეიფში ბერძნულ, არაბულ, სომხურ და სირიულ ხელნაწერებს შორის აღმოჩნდა ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტებიც.

დამასკოს ნაციონალური მუზეუმის დაარსებამდე ხელნაწერები ინახებოდა ცნობილ ომაიანთა მეჩეთის ბიბლიოთეკაში. მუზეუმის დაარსების შემდეგ თითქმის ყველა ხელნაწერი (გარდა ყურანის ხელნაწერებისა) გადმოუტანიათ ნაციონალურ მუზეუმში, რომლის ფონდი გამდიდრებულია აგრეთვე მოსახლეობაში დაცული ხელნაწერებითაც.

ნაპოენი ქართული ხელნაწერები მოიცავს შვიდ ფრაგმენტს ჩვიდმეტი გვერდის ოდენობით. ხელნაწერთა ფრაგმენტები თავიანთი შინაარსით ლიტურგიკული ხასიათისა არიან. პალეოგრაფიული და ენობრივი მონაცემების საფუძველზე ხსენებული ფრაგმენტები შეიძლება დათარიღდეს X—XV საუკუნეებით.

<sup>1</sup> B. Outtier, Fragments onciaux du Lectionnaire georgien, Bedi Karlisa, vol. XXXIII, Paris, 1975, p. 110—118.



I. ფსალმუნი, 103, 29—35; 104, 1—5<sup>2</sup>, X ს. 1 ფ., ეტრავტი 14X11; მთავრული, სტრიქონთა რაოდენობა—13, ხელნაწერი ძალზე დაზიანებულია, გვერდი და ისიც ძნელად იკითხება, დაწერილია მუქი, ყავისფერი მეღვინით, ერთი ხელითა და ერთი ზომის ასოებით. დროთა განმავლობაში მეღვინე გაფერმკრთალებულა, რის გამოც ტექსტში არის გადაღული ადგილები.

II. იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის ამბავი დაუტავს ხელნაწერს, რომელიც ჰომილეტიკური შინაარსის თხზულების ფრაგმენტს წარმოადგენს, X—XI სს., ეტრავტი, 9, 5X7 ნუსხური, სტრიქონთა რაოდენობა—19, ფურცლის მარცხენა მხარე მთელ სიგრძეზე ჩამოხეულია. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ტექსტის თითქმის სრული წაკითხვა. ფრაგმენტი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი წარმოადგენს ათონის ცნობილ მრავალთავში (X ს.) შემავალი იმავე თხზულების განსხვავებულ რედაქციას (ამის შესახებ ცნობა მოგვაწვდის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის უ/ნეცნ. თანამშრომელმა ც. ქურციკიძემ). რომ წარმოადგენს ვიქონიოთ ტექსტების ურთიერთმიმართებაზე, მოგვყავს შესაძარბებლად ორივე მათგანი.

III. ნაწყვეტი სახარებიდან, იოვანე, XX, 1—7, XII ს., 1 ფ. ეტრავტი; 9, 7X9, ნუსხური, სტრიქონთა რაოდენობა—13, ხელნაწერს აქვს ჩვეულებრივი აღრიცხვა: გ. პირველი გვერდი ძნელად იკითხება, ასოთა მობაზულობა ბუნდოვანია, მრავლად გვხვდება გადაღული ადგილები, მეორე გვერდი უკეთესი დაცულობისაა. ტექსტი მისდევს საბარება-თხთავის გიორგი მთაწმიდლისეულ რედაქციას.

IV. ლოცვანი, XII ს., 2 ფ.; ეტრავტი, 19X14, ნუსხური, სტრიქონთა რაოდენობა—22, აქვს რვეულებრივი აღრიცხვა: ივ., ფურცლები ძალზე დაზიანებულია, მარჯვენა ზედა კუთხე ჩამოხეულია. წინადადების დასაწყისში ისეთი სიტყვები; როგორცაა „უფალი“, „დიდება“, „წმიდა“, იწყება სინგურით შესრულებული მთავრული ასოებით.

V. ლოცვანი, XIII ს. 1 ფ., ეტრავტი; 14X11, ნუსხური, სტრიქონთა რაოდენობა—15, საზედაო ასოები შესრულებულია სინგურით, მთავრულით; ზედა მარჯვენა კუთხე ჩამოხეულია.

VI. გალობანი, XIV—XV სს., 2 ფ., ეტრავტი; 9X8, ნუსხური, სტრიქონთა რაოდენობა—12. ხელნაწერის ზედა, მარჯვენა კუთხე ამოგლეჯილია, საზედაო ასოები შესრულებულია მთავრულით; ცალკე სტრიქონზე გამოტანილი სიტყვები „განძლიერდითსა, კურთხეულ არსა, აკურთხევდითსა“ ნაწერია სინგურით. მეორე გვერდზე, ტექსტის ქვეშ არის არაკალიგრაფიული ნუსხურით შესრულებული მინაწერი „წმიდა ხარ შენ, უფალო, შენ გაქებს სული ჩემი. ტექსტი ზღმიწვენიო მისდევს გიორგი მთაწმიდლისეულ რედაქციას<sup>2</sup>.

VII. ნაწყვეტი საგალობლიდან, XV ს., 2 ფ.; ეტრავტი; 18X15, ნუსხური, სტრიქონთა რაოდენობა—16, გვერდის დასაწყისში ცალკე სტრიქონზე გამოტანილია სინგურით შესრულებული „კურთხეულ არსა“. ხელნაწერი დაზიანებულია, ორი ფურცლიდან იკითხება მხოლოდ ერთი გვერდი, რომელსაც ქვედა მარცხენა მხარე მთლიანად ჩამოხეული აქვს.

<sup>2</sup> მ. შანიძე, ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, თბილისი, 1960, გვ. 282—283, 284, B. Outtier, Voyage bibliographique en georgie (1979), Bedi Kartlisa, vol. XXXVIII, Paris, 1980, p. 319.

<sup>3</sup> მ. შანიძე, ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, თბილისი, 1960, გვ. 413—414, 423, 433, 439.


I. 1r და მიწადვე თვისა მიიქცია[ნ].  
 გამოავლინო სული შენი [დაპ]-  
 ბადნე იგინი და გა . . . . .  
 . . . . .  
 . . . . .  
 . . . . .  
 . . . . .  
 . . . . .  
 . . . . .  
 . . . . .  
 . . . . .  
 . . . . .  
 . . . . .

IV. მიუთხრობდით წარმართთა შორის  
 საქმეთა მისთა აკურთხე-  
 ვდ[ით] . . . . . უგალობდით მას  
 მიუთხ[რობდით] ყოველთა საკვირ  
 . . . . .  
 აქ[ებდით] სახელსა წმიდასა [მისსა]  
 იხარებდით [გულნი] რომელნი [ეძიებთ]  
 უფალსა. მიიძიეთ . . . . . განმ[ლიერდით]  
 ი . . . . . ამ[დს]  
 მო . . . . . ნიდეს ნ  
 . . . . . სამარ  
 . . . . .  
 . . . . .

ათონის მრავალთავი X ს.

II. 1r [ა]ქლემისა სტევისა ემ-  
 [ო]სა სამოსელი  
 ვითარცა პოვეს თავი ნეტა-  
 [რ]ისა იოვანესი წარმო-  
 მართნეს რომელი იგი პერო-  
 [დე]ის ლაქნითა ასული-  
 საგან მიედო რომლისა მრავ-  
 ლით უამითგან გული უ-  
 თქუმიდა მონადირებად და  
 მიემთხუა მცბიერი იგი და-  
 ცხრომად ჰგონებდეს მ-  
 ხილებათა მათ წინაწარმეტყუე-  
 ლისა  
 ენისათა არა ხოლო ესე.  
 არამედ ამას ზრახვებდა ვითარმედ  
 უკუეთუ ყოველად გებუ-  
 ლად ხოლო იდვას გუამი  
 იგი წმიდად ადვილ იყოს ად-

(186) თითუესა ოკდონბერსა კუალად  
 უწყებამ და ცნობამ, ვითარ იგი თა-  
 ვი წმიდისა წინამორბედისაა ერო-  
 დეს ქალაქით ემეწელთა ქალაქსა  
 მიიწია.  
 „გარე-ემოსა თმისაგან აქლემი-  
 სა, რამეთუ ეროდიას მრავლით უა-  
 მითგან ამხილებდა უწყსოებასა, ხო-  
 ლო იგი უმზირდა მონადირებასა მის-  
 სა. და აღასრულა უკეთური ნება  
 მისი და ბირებთა ასულისა მისისა-  
 თა მოითხოვა ლანკითა წმიდა იგი  
 თავი იოვანესი, დადუმებასა ჰგონებ-  
 და დიდისა მის და უფროსისასა წი-  
 ნაწარმეტყუელთა შორის (187r) და  
 ამისთვის განაშორა თავი დაფლვითცა  
 გუამისაგან, ნუუკუე უადვილეს იყოს  
 ადგომამ მისი.



დგომაცა ხოლო უკუეთუ  
თავი იგი თვისისაგან

IV დამარხულ იყო არა[ე]-  
გეოდენ მარჯუენ იყო  
ამისთვის არღარა წრ...  
თად ვითარ იგი ღირდა და-  
მარხვად უტევა აღ...  
ზღუდე გარე მოდგმად  
ადგილსა მას რომლისა დაფ-  
ლვად მისი უბრძანა  
და კართა დასაჯუველითა დაკ-  
რბალვად სცა რამეთუ უსჯულო-  
მსა მის საწოლისა ტრფიალები-  
თა გულის სიტყუათაგან განკ-  
დომილ იყო და ვითარცა სიზ-  
მარსა შინა მხილებან[ი]  
იგი ეუცნებოდეს და წა[რ]  
კუეთილისა მისცა ვითარ  
ვპგონებ თუალუხუ-  
ავისა თავისა ეშინოდა.

ხოლო უკუეთუ თავი თვისაგან იყოს,  
უმარჯუ იყოს აღდგომად, ვინაჲთა  
ვითარ ღირდა, არა უტევა დამარხვად,  
ადგილსა მას გარე ზღუდე მოდგა და  
კართა დასაჯუველითა მოჰკრძალა იგი.  
რამეთუ ურჩულომსა მისი საწოლისა  
ტრფიალებითა გული მისი გწვრილ  
იყო და მრავალგზის ძილსა შინა  
თავისა მისგან თუალხუავისა ძილსა  
შინა ჩუენებით ემზილებოდა, დაღათუ  
ეშინოდა.

III. 1x ბნელ და იყო საფლავსა  
მას და იხილა ლოდი იგი  
აღებული კარისა მისგან  
საფლავისა რამეთუ რბიოდა და  
მოვიდა სიმონ-პეტრესსა და  
და სხუსა მის მოწაფისა, რომელი  
უყუარდა იესუს და ჰრქუა  
მათ: ადიდეს უფალი ჩემი საფ-  
ლავისაგან და არა უწყვი  
სადა დადვეს იგი გამო-  
ვიდა პეტრე და სხუად იგი  
მოწაფე და მოვიდეს საფლავად.  
რბიოდეს ორნივე ზოგად.

IV. და სხუად იგი მოწაფე წინა  
ურბიოდა უადრეს  
პეტრესსა და მოვიდა პირველად  
საფლავად. და შთანდნა  
საფლავსა მას და იხილნა  
ტილონი იგი მდებარე-  
ნი და შინა არა შევიდა.  
მოვიდა სიმონ პეტრეცა  
შემდგომად მისსა და შევიდა  
საფლავად და იხილნა  
ტილონი იგი მდებარე-  
ნი და სუდარი რომელ  
იყო თავისა მისსა. არა...



IV .1r შინა განწოდელი . . . . .  
 ვიკადრებ ა . . . . .  
 ობითა . . . . .  
 ღადებ . . . . .  
 შემიწყალე მე . . . . .  
 თცხუე . . . . .  
 ცოდვილი ვ . . . . .  
 ცბე არა ვიტყ . . . . .  
 ტისა ჟამისათა თანა . . . . .  
 მცხუენე მე. აწდა უ . . . . .  
 მშობელი ცათა შინა კურთხეული ქუეყანისა . . . . .  
 უფალო გიხაროდენ საძლე უსძლოო. კირილეისონი 40 . . . . .  
 და ყოველი სრულიად. დიდებამ შენდა უფალო იესუ  
 ქრისტე ღმერთო ჩუენო  
 რომლისა უკუნითგან ხარ და დასასრული არა  
 არა გაქუს, რომელმან ჩუენთვის ჯუარცუმაა და სი-  
 კუდილი თავს იდეე სახიერო და კაცთმო-  
 ყუარეო სულგებელი და მრავალმო-  
 წყალეო შემიწყალე ცოდვილი ესე და ნუ გან-  
 მირისხნები უფალო რამეთუ რომელთა საქმეთათვის  
 ვითხოვ შენგან შენდობასა მათვე შინა და  
 უცხუმელად შთავარდები ვიცი უფალო  
 უკუშთუმცა არა მღხინებელ გყო

IV. . . . . გე კაცთ-მოყუარებამ შენი  
 . . . . . ამ რომელიმცა ა  
 . . . . . მცა უბრძნ  
 . . . . . რძალ ხარ ჩემ  
 . . . . . და სიტყვს მი  
 . . . . . დიდებამ შენდა სახიერ  
 . . . . . უკმ გვედრები  
 . . . . . ა კაცთ-მოყუარეო შემიწყალე მე  
 . . . . . ა სატანჯელისამ და შემო  
 ცოდვანი ჩემნი რომელნი საშოათგან  
 . . . . . [დედი]საათა ვიდრე მოაქმომდე მიქმნიან  
 . . . . . [ლ]ამითი და დლითი მეცნიერებით და უმეტრე-  
 ბითა ცნებით და უცებნელად ნეფსით და  
 უნებლით ყოველნი ბრალნი ჩემნი ცხადნი და დაფა-  
 რულნი საჩინონი და უჩინონი. რაოდენი-  
 ცა მიცოდაეს თუალითა და ენითა სასმე-  
 ნელითა და საყნუსელითა, შეხები-  
 თა და საღვითა ყოველივე უფალო სახიერო და  
 კაცთმოყუარეო სულგებელი და მრავალ-  
 მოწყალეო რაუდენიცა შემოცოდებია შენ-



და საქმით და გონებით გულის-სიტყვით  
და მოგონებით შემინდევ მე უფალო შემი...

2r რაა მე ჰყო სული . . . . .  
 რაა განკითხე . . . . .  
 ვიდგებთან დ . . . . .  
 გემხილება . . . . .  
 საღმობით . . . . .  
 ღმერთო ჩემო საწ  
 საუკუნოა იგი წარ  
 მას და საყდართა ზ[ედა]  
 და ჰძრწი განჩინებისა [გან]  
 რაფე მოქცევად სინანულ . . . . .  
 ღი იგი თანა წარუვალ არს . . . . .  
 ხოცვილი მრავალ საგლოწლისათჳს სულისა  
 ჩემისა რომელმან განაქარვე ყოველი ცრემლი პირ[ისაგან]  
 ქუეყანისა რამეთუ შენ საღმობასა ყოველთასა იხებ და  
 მჭუნვარებასა და გარდაცუდილთასა ნუგეშინი[ს]-  
 ცემ და შენ ზარ ჩუენ ყოველთა სასოა და სიმტიციე  
 ყოველად წმიდაო ქალწულო დედაო ქრისტესო კირილესონი 40  
 ღმერთო მი-  
 ლხინე იესუ უფალო შეგცოდე იესუ შემეწყალე მეუფეო და  
 განჰკურნე სული ჩემი და ყოველი რაოდენ  
 სულსა ამას შინა ჰყო . . . . . ნდო მიწყალე  
 უფალო მიწყალე მე და . . . . .  
 . . . . . გ წმიდაო  
 . . . . . ე

2v . . . . . და ღირსი წმიდისა და ქ-  
 . . . . . და აურაცხელნი  
 . . . . . რაათა არა სრულიად  
 . . . . . მომიტევენ სა  
 . . . . . ჩემო გვედრ  
 . . . . . არა განგებული  
 . . . . . თა რსბოდა ვითარ  
 . . . . . ნი ჩემნი მოწყალებითა  
 . . . . . გამოჩნდნენ იგინი დღესა მას საშ-  
 . . . . . და ღალად ვყო. დიდებამ შენდა მრ-  
 . . . . . წმიდა]ო მეუფეო ატხოვნე სული ჩემი  
 წმიდაო ღმრთისმშობელო შემეწყალე და მეოხ შეყავ წინაშე  
 რომლისა შენისა  
 . . . . . ისა ჩუენისა წმიდანო მთავარ-ანგელოზნი მეოხ გვ-  
 ყვენით წინაშე ღმრთისა წმიდაო იოანე წინამორბელო  
 და ნათლისმცემელო მეოხ წმიდანო მოციქულნი პეტრე და  
 პავლე და ანდრია მეოხ გუეყავ წმიდანო მოციქ-  
 ულნი წინაწარმეტყუელნი მღღელთ-მოძღუარნი მოწამე-  
 ნო მამანო მამათ-მთავარნი და ყოველნი ღირსნი და  
 მართალნი მეოხ გვყვენით წინაშე უფლისა რათა მიე-

სნეს უსჯულოთა [ცო]ღვათა ჩუენთაგან რამეთუ თქუენ  
 . . . . . მეოსებად ჩუენდა უძლე  
 . . . . . უფლის . . . . . ნის  
 . . . . . სე . . . . .

V. 1r . . . . . თა უფლისათა გუაქურთხენ ღმერთო  
 [გუა]ქურთხენ მამაო უფალო იესუ ვითარცა ღმერთო  
 - . . . . . ერთობისაჲ წმიდაო უფალო უფლისაო  
 მამაო ჩუენო კირილეისონი 12 ბია . . . . . [მ]-  
 ოვედით თაყუანის ვსცეთ . . . . .  
 ადილსა ჩემსა ესმა ჩემი ღმერთსა . . . . .  
 სიშართლისა ჩემისა . . . . .  
 ბირსა ჩემსა . . . . . მი-  
 წვალე მე და ისმინე ღმერთო ლოცვ-  
 ისა ჩემისაჲ . . . . . ნო . . . . . თნო . . . . . ვდს  
 გულფიცხელ . . . . . გო-  
 ყუარსა და უფალო . . . . . ეძლე-  
 ბთ სიცრუევსა . . . . . [გუ]-  
 ლის ვმა ყავთ რამეთუ საკვირ-  
 ელ ყოვლისა უფალმან . . . . . თუისი

IV უფალსა შესუშინ ჩემი ღაღადებ[ა] . . . . .  
 სა მისსა მიმართ  
 განრისხდებოდეთ და ნუ სცო-  
 დავთ რაჲ სთქუათ გულ-  
 თა შინა თქუენთა სარეცელ-  
 თა თქუ[ენთა] ზედა შეინანეთ  
 შეიყვარეთ . . . . . სი-  
 მართლითა . . . . . დ ესე ვდით  
 უფალსა . . . . .  
 ნუვინ . . . . . ჩუენ კე-  
 თილ . . . . . ნდი ჩუენ ზედა ნათ-  
 ლიდ . . . . . შენისა  
 მოეც . . . . .  
 ჩემსა . . . . . იფქ-  
 ლი . . . . . და . . . . . ს

V1. 1r [ქვა] იქმნედ იგინი  
 ვიდრემდის განჯდეს ე[რი] შენი, უფალო  
 ვიდრემდის განჯდეს ერი ესე  
 შენი, რომელ მოიგე  
 შეიყვანენ და დაძნერგ-  
 ენ იგინი მთასა მას მკუდ-  
 რობისა შენისასა  
 განმზადებულსა მას სამკ-  
 ჯდრებელსა შენსა,



რომელ ჰქმენ სიწმიდე უფალო, რომელ  
განმზადეს კელთა შენთა უფალო.

IV [უფალი მეუფე ა]რს უკუნისამდე და უკუნითი

[უკუნისამდე]  
[რამეთუ შთავი] და ჰუნე ფარაოა-  
ს ეტლებითურთ და მკედ-  
რებით შუა ზღუასა.  
ამუაქცია უფალმან მათ ზედა წყ-  
ალი იგი ზღუსაჲ მის,  
ხოლო ძენი ისრაჲლისნი ვიდოდე-  
ს ვმელსა შუა ზღუასა მას

გ ა ნ ძ ლ ი ე რ დ ა ს ა

განძლიერდა გული ჩემი უფლის-  
ა მიერ და ამაღლდა რქაჲ  
ჩემი ღმრთისა მიერ ჩემისა  
განვრცნა პირი ჩემი ზედა მტ[ერთა]  
წმიდა ხარ შენ იესუ შენ გაქ-  
ებს სული ჩემი.

2r მოკლებასა ჩემგან სულისა ჩემი-  
სასა უფალი მოვივსენე  
შევედინ შენ წინაშე ლოცვაჲ ჩემი ტაძრ-  
ად წმიდად შენდა  
მცველთა მათ ამაოთა და ცრ-  
უთა წყალობაჲ მათი დაუტყვეს  
ხოლო მე კმითა ქებისაჲთა და აღსა-  
რებისაჲთა მსხუერბლი შეე-  
წირო შენდა  
რაოდენი ვილოცო მიგცე შენ  
საცხოვრებულად ჩემდა უფალსა

კ უ რ თ ხ ე უ ლ ა რ ს ა

კურთხეულ ხარ შენ უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო  
და უფროასად ქებულ და უფროა-  
სად ამაღლებულ უკუნისამდე.

2v და კურთხეულ არს სახელი წმიდაჲ დიდებისა შენი-  
საჲ და უფროასად ქებულ  
კურთხეულ ხარ შენ ტაძარსა წმიდასა დიდებისა შენისასა  
და უფროასად.  
კურთხეულ ხარ შენ, რომელი ჰპი ზედა ქერობინთა  
და ჰხედავ უფსკრულთა და უფროასად  
კურთხეულ ხარ შენ საყდართა ზედა დიდებისა სუფე-  
ვისა შენისათა უფროასად

აკურთხევედი თსა

აკურთხევედით ყოველნი საქმენი უფლისანი, უფალსა  
უგალობდით და უფრომსად ა-  
მადლებდით მას უკუნისამდე.

- VII 1r კურთხეულ ხარ შენ უ[ფალო] . . . [აღ]მზარდე შე სიყრ-  
მით ჩემ[ით] . . . [მე] ცი საზრდე-  
ლი . . . . . ესნ  
. . . . . რ . . . . . ვნ : . . . . . თა . . . . . თა გულნი  
. . . . . ე . . . . . არდის ყოველივე ონკ  
. . . . . მიობებდით ყოველსა ზედა  
. . . . . აქრისტეს იესუმს მიერ უფლისა ჩუენისა  
. . . . . და დიდებამ და პატივი და სიმ  
. . . . . [მიმა]რთ უკუნითი უკუნისამდე  
. . . . . [დიდე]ბამ შენდა წმიდათ დიდებამ შენდა  
. . . . . გცენ ჩუენ ჭანადნი საზრდელად  
. . . . . დ გვედრებით შენ აღმვს  
. . . . . წმიდათა რათა ვიყვნეთ წინაშე შენ[და]  
. . . . . არა სირცხვილ ოდეს იგი ეცდსა საქმეთა მათთაებრ.  
. . . . . წმიდათა რათა ვიყვნეთ წინაშე შენ[და]  
. . . . . არა სირცხვილ ოდეს იგი  
. . . . . ეცდსა საქმეთა მათთაებრ.

М. А. ЧАЧИБАЯ

ФРАГМЕНТЫ ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ РУКОПИСЕЙ В ДАМАССКОМ  
НАЦИОНАЛЬНОМ МУЗЕЕ

Резюме

Деятельность грузинских книжников в Сирии имеет многовековую историю. Дошедшие до нас, как оригинальные, так и переводные, сочинения грузинских авторов, подвизавшихся в монастырских центрах Сирии, дают основание и стимул для выявления неизвестных грузинских рукописей.

Во время научной командировки в САР автор изучал рукописные фонды Сирийской Арабской Республики с целью выявления древнегрузинских рукописей. В Дамасском национальном музее ей удалось обнаружить до сих пор неизвестные рукописи, выполненные письмом «асомтаврили» и «нუსхური».

Обнаруженные грузинские рукописи включают семь фрагментов объемом в семнадцать страниц. Фрагменты рукописей по своему содержанию литургического характера. На основании палеографических и языковых данных указанные фрагменты можно датировать X—XI веками.



FRAGMENTS OF GEORGIAN MANUSCRIPTS IN THE  
NATIONAL MUSEUM OF DAMASCUS

Summary

The activities of Georgian scholars in Syria has a centuries-old history. The existence of works belonging to Georgian authors that flourished in the monastic centres of Syria serves as an incentive for the search both for original and translated unknown Georgian manuscripts.

During a cholarly mission to the Syria Arab Republic the author studied manuscripts kept in that country in order to find some ancient Georgian manuscripts. In the National Museum of Damascus the author succeeded in finding some unknown manuscripts written in "asomtavruli" (ecclesiastical uncial) and "nuskuri" (ecclesiastical cursive) scripts. The discovered Georgian manuscripts include seven fragments (seventeen pages in all) of liturgical texts. On the basis of palaeographic and linguistic data the above mentioned fragments may be dated to the 10th-15th centuries.



მანანა კვაჭავაძე

### აქსტრალინგვისტურ ფაქტორთა მნიშვნელობის შესახებ ენობრივი კონტაქტების დროს

(გომპორებლ ლაიჯთა მეტყველებას მასალაზე)

ენობრივი კონტაქტები შორეულ წარსულში იღებს სათავეს. ამ კონტაქტების ნიადაგზე წარმოშობილი ბილინგვიზმის სხვადასხვა ტიპები, როგორც ჩანს, ყველა ისტორიული ეპოქისა და სოციალური ერთობისათვის იყო ცნობილი<sup>1</sup>.

ღრმა და ფართო ხასიათი აქვს ორენოვნობას (მრავალენოვნობას) თანამედროვე მსოფლიოში<sup>2</sup>.

ენათმეცნიერების მნიშვნელოვან პრობლემათა რიგს განეკუთვნება ენობრივი კონტაქტებისა და ბილინგვიზმის ტიპების შესწავლა; ენის საზოგადოებრივი ფუნქციის კვლევა, სესხების, ინტეგრაციის, ინტერფერენციის საკითხთა გარკვევა და სხვ. საქმე ის არის, რომ ენობრივი კონტაქტები, ენათა ურთიერთშემოქმედება რთული პროცესია, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ სამეტყველო მოღვაწეობას მეორე ენის დაუფლებისა და ორენოვნობის დროს, არა მხოლოდ ენობრივი სტრუქტურის შეღწევადობის პრობლემას, არამედ თვით ამ ხალხების — ენის მატარებელთა — ურთიერთშემოქმედებასაც<sup>3</sup>.

ორენოვნობის წარმოშობა და განვითარება განპირობებულია ისტორიული, ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და სხვა ხასიათის ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, იგი თავისთავად რთული, მრავალპლანიანი პრობლემა და მოიცავს როგორც საკუთრივ ლინგვისტურ, ისე სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, პედაგოგიურ და სხვა ასპექტებს. ამათგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მიჩნეულია ლინგვისტური და სოციოლოგიური ასპექტები.

ორენოვნობის ლინგვისტური ასპექტის ყურადღების ცენტრში დგას ინტერფერენციის გამოვლენათა კვლევა ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკურ-სემანტიკური სისტემისა და სტილისტიკის დარგში<sup>4</sup>. გამოყოფენ „სუბსტრატული ხასიათის“ ინტერფერენციას, როდესაც ხდება წყარო ენის შემოქმედება

<sup>1</sup> Ф. П. Филиц. Современное общественное развитие и проблема двуязычия. В кн.: Проблемы двуязычия и многоязычия, М., 1972, стр. 15—23.

<sup>2</sup> დაწვრილებით იხ. Проблемы двуязычия и многоязычия, М., 1972; Взаимоотношение развития национальных языков и национальных культур, М., 1980; Социолингвистические проблемы развивающихся стран, М., 1975.

<sup>3</sup> В. И. Кодухов. Общее языкознание, М., 1974, стр. 190.

<sup>4</sup> Ю. Д. Дешернев, И. Ф. Протченко. Основные аспекты исследования двуязычия и многоязычия. В кн.: Проблемы двуязычия и многоязычия, М., 1972, стр. 28.



მეორე ენაზე და — „ადსტრატული ხასიათის“ ინტერფერენციას, როდესაც ხდება მეორე ენის ზეგავლენა პირველზე<sup>5</sup>.

ორენოვნობის (მრავალენოვნობის) ლინგვისტურ ასპექტს დიდი თეორიულ-შემეცნებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ბილინგვიზში ღრმად სოციალური მოვლენაა, იგი დეტერმინირებულია საზოგადოებრივი განვითარების მრავალი ფაქტორით და, შესაბამისად, მისი კვლევის სოციოლოგიურ ასპექტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.


ორენოვნობის სოციოლოგიურ ასპექტში იგულისხმება საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულება ორი, ერთმანეთის მიმართ კონტაქტში მყოფი, ენის მიერ. სოციოლოგიურ ასპექტში ორენოვნობა იკვლევა არა ინტერფერენციის გამოვლენის თვალსაზრისით ენის სტრუქტურის სხვადასხვა დონეზე, არამედ საზოგადოებრივ ფუნქციათა მოცულობის დახასიათებითა და ორენოვანი მოსახლეობის მიერ თითოეული ამ ენათაგანის გამოყენების სფეროთი<sup>6</sup>.

ორენოვნობის პრობლემა საკითხთა მთელ რიგს მოიცავს. გავრცელების ხარისხის მიხედვით, განარჩევენ ნაწილობრივ და მასობრივ ორენოვნობას, მეორე ენის ფლობის ხარისხის მიხედვით კი არასრულ და სრულ ორენოვნობას.<sup>7</sup> ჯერ კიდევ ლ. ვ. შერბა უპირისპირებდა ერთმანეთს ინდივიდუალურ და მასობრივ ორენოვნობას გავრცელების არეალის მიხედვით<sup>8</sup>. კვლევის სოციოლოგიური ასპექტისათვის, ცხადია, პირველ რიგში მასობრივი ორენოვნობაა საინტერესო.

ორენოვნობის საკითხის განხილვის დროს, გარდა საზოგადოებრივი ფუნქციის მოცულობისა, გასათვალისწინებელია აგრეთვე მეორე ენის ფლობის ხარისხი და დონე, მისი მიმართება მშობლიურ ენასთან. ამ მიჯნისა და საზღვრის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა<sup>9</sup>. ავტორთა ნაწილი მეორე ენის მინიმალურ ცოდნას, მისი გამოყენების ელემენტარულ უნარჩვევებს უკვე ორენოვნობად მიიჩნევს, სხვა ავტორთა აზრით, ორენოვნობაზე ლაბარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანთა კოლექტივი მშობლიურის გვერდით ფლობს კიდევ რომელიმე ენას, რომელსაც ძალუძს მშობლიურის ბადალი ფუნქციების შესრულება, როდესაც მათი გამოყენების აქტივობასა და ფლობის ხარისხში განსხვავება არ არის, ამ კუთხით, ორენოვნობად მიიჩნევა დაახლოებით თანაბარი, თავისუფალი აქტიური ფლობა ორი ენისა, როდესაც მეორე ენის ცოდნის ხარისხი უაღრესად მიუახლოვდება პირველის ცოდნის ხარისხს.<sup>10</sup> თუ არ არსებობს არავითარი დაცილება ენათა ფლობის ხარისხში,

<sup>5</sup> Ю. Д. Дешериев, И. Ф. Протченко დასხ. ნაშრ., გვ. 29.  
<sup>6</sup> იქვე, გვ. 32—33.  
<sup>7</sup> В. А. Авроний, Двухязычие и школа. В кн.: Проблемы..., стр. 50, В. С. Расторгуева и др. Типы двухязычия у иранских народов Советского Союза, М., 1964, стр. 3—4.  
<sup>8</sup> Л. В. Щерба. Преподавание иностранных языков в средней школе. Общие вопросы методики, М.—Л., 1947, стр. 54.  
<sup>9</sup> დაწვრილებით იხ. А. И. Холмогоров. Конкретно-социологические исследования двухязычия. В кн.: Проблемы..., стр. 161, 162; К. Х. Ханазаров, Критерии двухязычия и его причины. Там же, стр. 119—125; М. С. Джуносов, Социальные аспекты двухязычия в СССР. В кн.: Социология и идеология, М., 1969, стр. 433. Вайнрайх Уриэль. Одноязычие и многоязычие. В кн.: Новое в лингвистике, т. 6., М., 1972, стр. 26—27; Хауген Эйнар. Языковой контакт. Там же, стр. 61—62.

<sup>10</sup> В. А. Авроний, დასხ. ნაშრ., გვ. 51; Т. А. Бертагаев. К вопросу о взаимовлиянии языков, В кн.: Взаимодействие и взаимообогащение языков народов СССР, М., 1969, стр. 124.



ანდა თუ ეს დაცილება მინიმალურია. რაც ვლინდება ნებისმიერ მათგანზე ფიქრის უნარში, მაშინ ლაპარაკობენ სრულ, ანუ ადექვატურ ორენოვნობაზე. ენათმეცნიერების ფლობის შესაძრწვევი, მაგრამ არც ძალიან მნიშვნელოვანი დაცილებების დროს, როდესაც ორივე ენით სარგებლობენ თავისუფლად და აქტიურად, მაგრამ აზროვნების პროცესი ხორციელდება მხოლოდ, ანდა უპირატესად ერთ-ერთ მათგანზე, ლაპარაკობენ არასრულ, ანუ არაადექვატურ ორენოვნობაზე<sup>11</sup>. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევის დროს მსჯელობენ ე. წ. „ორი მშობლიური ენის“ შესახებ. იერარქია მათ შორის დგინდება, პირველ რიგში, ენის ფლობის ხარისხის მიხედვით, ხოლო თუ იგი ერთნაირია, მაშინ კრიტერიუმად იღებენ მოლაპარაკეთა ეთნიკურ კუთვნილებას, — ამ შემთხვევაში „პირველ მშობლიურ ენად“ თვლიან იმ ეროვნების ენას, რომელსაც თავის თავს მიაკუთვნებს მოლაპარაკე<sup>12</sup>.

ტერმინი „ორი მშობლიური ენა“, ცხადია, ძალზე პარობითია, — არც მეორე ენის ცოდნის ყველა შემთხვევა შეიძლება მივიჩნიოთ ორენოვნობად და მით უფრო, არც ყველანაირი ორენოვნობა იძლევა „ორი მშობლიური ენის“ შესახებ მსჯელობის საფუძველს. მოლაპარაკის მიერ არამშობლიური ენის მშობლიურად დასახელება უადრესად სპეციფიკური ენობრივი სიტუაციისა და ორიენტაციის გამომხატულებაა და მისი განზოგადება უმართებულოა.

მასობრივი და სრული ორენოვნობის დროს ზოგჯერ მართლაც ჭირს დომინირებული ენის დადგენა თვით დედა-შვილის სამეტყველო ურთიერთობაში. ორენოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილი შერეული ენით მეტყველებს, ხშირია ენათა გაუცნობიერებელი, მექანიკური მონაცვლეობა, ხშირია აგრეთვე გაცნობიერებული, შეგნებული მონაცვლეობაც (ეს გარემოება გაძლიერებული ინტერფერენციის ნიადაგს ქმნის, სხვათა შორის, ორივე მიმართულებით და მნიშვნელოვნად არღვევს ორივე ენის სპეციფიკურ ნორმებს). თუ მოცემული ხალხისათვის მეორე ენა არის წიგნიერების ენა — განათლებისა და კულტურის სიმაღლეთა წვდომის ერთადერთი გზა, მაშინ იგი ყოფაშიც მყარად იქილებს ფეხს და თანდათანობით აზროვნებისა და მეტყველების უნივერსალურ საშუალებად იქცევა, ფლობისა და აქტივობის თვალსაზრისით ძნელი გასამიჯნი ხდება ჭეშმარიტი დედაენისაგან, ხოლო სოციალური ფუნქციის მოცულობის თვალსაზრისით, დიდი უპირატესობით სარგებლობს. ეს გარემოება გარკვეულწილად ზეგავლენას ახდენს ორენოვანი მოსახლეობის ეროვნულ ცნობიერებაზეც — ორენოვანი მოსახლეობის უმრავლესობა ოფიციალურ დოკუმენტებში მშობლიურ ენად სწორედ მეორე — საზოგადოებრივი სტატუსით უფრო მაღლა მდგომ ენას აცხადებს და აქედან გამომდინარე ასახელებს საკუთარ ეთნიკურ კუთვნილებასაც.

მასობრივი ორენოვნობა დამახასიათებელია უმწერლობო ხალხებისათვის, ბუნებრივია იგი აგრეთვე მიგრირებული მოსახლეობისათვის. არსებობს ორენოვნობის სხვა ტიპებიც, რომელნიც განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით და რომლებზედაც ამჯერად არ შევჩერდებით. როგორც აღვნიშნეთ, ორენოვნობა შორეული წარსულიდან მიმდინარეობს და ფრიად გავრცელებული მოვლენაა თა-

<sup>11</sup> В. А. Авронин, *დსახ. ნაშრ. გვ. 51—56*; ტერმინ „მშობლიური ენის“, შესახებ იხ. აგრეთვე Ю. Д. Дешериев, *Введение*. В кн.: *Взаимоотношение развития национальных языков и национальных культур*. М., 1980, стр. 20—21, примеч. 24 „მშობლიური ენის“, „პირველი ენისა“ და პირითადი, ანუ „დომინირებული ენის“ ცნებათა შესახებ, მათი ურთიერთმიმართების მოტივირებათა შესახებ. იხ. აგრეთვე V. Вайнрайх, *Одноязычие и многоязычие*, стр. 52—55.

<sup>12</sup> В. А. Авронин, *დსახ. ნაშრ. გვ. 52*.



ნამედროვე მსოფლიოში, იგი ძალზე რთული, მრავალსახოვანი პრობლემა და დიფერენცირებულ მიდგომას საჭიროებს.

მაგალითად, ირანულენოვანი ხალხების დიდი ნაწილი ისტორიულ-კულტურულ-რელიგიური, პოლიტიკური, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული და სხვა პირობების გამო ორ და მრავალენოვან სიტუაციაშია მოხვედრილი, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მათ ენობრივ ცხოვრებას და ეროვნულ თვითშეგნებას<sup>13</sup>. ამ თვალსაზრისით, საინტერესო ენობრივ სიტუაციაშია მოქცეული საგარეგოს რაიონის სოფ. გომბორში მცხოვრები ირანულენოვანი მოსახლეობის მეტყველება<sup>14</sup>.

ამ ეთნოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები საკუთარ თავს „ლაიჯებს“ უწოდებენ, ხოლო თავიანთ სამეტყველო ენას — „ლაიჯურს“. ეს მეტყველება თათური ენის მუსლიმური დიალექტის კოლოკავს წარმომადგენს. თათური ენა მიეკუთვნება ირანულ ენათა სამხრეთ-დასავლურ ჯგუფს და თავისი გრამატიკული წყობითა და ლექსიკური შედგენილობით სპარსულ და ტაჯიკურ ენებს უახლოვდება<sup>15</sup>.

თათები აზერბაიჯანის კასპიისპირა რაიონებში, დაღესტნის სამხრეთ ნაწილსა და ირანში მცხოვრები ხალხია. სარწმუნოების მიხედვით, ისტორიულად, იყოფიან სამ ჯგუფად, ესენია: მუსლიმი თათები, ებრაელი თათები (მთიელი ებრაელები) და ქრისტიანი (სომეხი) თათები<sup>16</sup>.

ირანიდან მიგრირებული თათების ყოფა საუკუნეთა მანძილზე მჭიდროდ ერწყმის კავკასიის ხალხთა ისტორიას. მუსლიმი თათების ენა უმწერლობა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განსახლებული თათებისათვის განათლების, კულტურის, ოფიციალური ურთიერთობების ენა აზერბაიჯანულია, იგი ღრმად არის შეჭრილი აგრეთვე საყოფაცხოვრებო და საოჯახო ურთიერთობებშიც. აზერბაიჯანში მცხოვრები თათების ორენოვნობა საყოველთაო ხასიათს ატარებს, იგი მასობრივია და სრული, მუსლიმი თათების უმრავლესობა მშობლიურ ენად აზერბაიჯანულს ასახელებს, თავსაც აზერბაიჯანულად აცხადებს<sup>17</sup>. აზერბაიჯანელებად იწერებიან გომბორელი ლაიჯებიც.

საველე მუშაობის დროს მოპოვებული მასალების ანალიზით ირკვევა, რომ გომბორელ ლაიჯებს XX საუკუნის 10—20-იანი წლებიდან დაუწყიათ წამოსვლა შემახის მაზრის სოფ. ლაპიჯიდან (დაბა ლაპიჯი, ამჟამად აზერბაიჯანის ისმაილის რაიონში მდებარეობს), თავდაპირველად კახეთის სხვადასხვა ადგილებში დასახლებულან, შემდეგ კი გომბორთან მოუყრიათ თავი და აქვე დამკვიდრებულან<sup>18</sup>.

<sup>13</sup> იხ. В. С. Расторгуева и др. Типы двуязычия у иранских народов Советского Союза, М., 1964.

<sup>14</sup> შ. კვაჭაძე, წინასწარი ცნობები გომბორელ ლაიჯთა მეტყველების შესახებ. ამიერკავკასიის ანალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია „საბჭოთა ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის აქტუალური პრობლემები“. მუშაობის კვება და თეზისები. თბ. 1982, გვ. 52—53.

<sup>15</sup> А. Л. Грюнберг. О месте татского среди иранских языков. В. Я, 1961, № 1, стр. 107—108; А. Л. Грюнберг, Л. Х. Давыдова. Татский язык. В кн.: Основы иранского языкознания. Новоиранские языки. М., 1982, стр. 232.

<sup>16</sup> А. Л. Грюнберг, Л. Х. Давыдова, დასახ. ნაშრ., გვ. 231; Б. Вс. Миллер. Таты, их расселение и говоры (Материалы и вопросы). Баку, 1929.

<sup>17</sup> А. Л. Грюнберг. Язык североазербайджанских татов. Л., 1963, стр. 6—7; Б. Вс. Миллер, დასახ. ნაშრ., Народы Кавказа, т. 2, М., 1962, стр. 181.

<sup>18</sup> შ. კვაჭაძე, ცნობები გომბორელი ირანულენოვანი ეთნოგრაფიული ჯგუფის შესახებ. წიგნში — მასალები გომბორელ ლაიჯთა მეტყველების შესწავლისათვის (შესავალი, ტექსტები, ლექსიკონი), თბილისი, 1988.

ჩვენი ინფორმატორების ცნობით, მიგრაციის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდა 30—40-იან წლებში.

მიგრირებული ლაიჯები თავიდანვე საინტერესო ენობრივ სიტუაციაში მოხვდნენ. ორენოვნობისა და მრავალენოვნობის სხვადასხვა ტიპები საქართველოს ტერიტორიაზე ძველთაგან იყო ცნობილი, რასაც განაპირობებდა მთელი რიგი ექსტრალინგვისტური ფაქტორებისა, მათ შორის აღსანიშნავია მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელეც. ასეთ პირობებში, ცხადია, გარვეულ ეროვნულ და სოციალურ ჯგუფებში სხვადასხვა ენები გამოიყენებოდა, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე ზოგადასაკომუნიკაციო ფუნქციებს ქართული ენა ასრულებდა და იგი მეტნაკლები ხარისხით ყოველთვის მოიცავდა ყველა ეთნიკურ და სოციალურ ჯგუფს. რაც შეეხება კონკრეტულად სოფ. გომბორს: ცნობილია, რომ მეფის რუსეთის დროს აქ, გარდა ძალზე მცირერიცხოვანი ქართველი მოსახლეობისა (ბასიხინის ცნობით — 10 კომლი ფშავი მოსახლე)<sup>19</sup>, ცხოვრობდნენ რუსეთის არმიიდან დემობილიზებული ჯარისკაცები და რუსი გლეხობა<sup>20</sup>. ჩვენი საუკუნის დამდეგს ამ მიდამოებში ჩამოსახლება იწყეს ამიერკავკასიისა და ირანის მეზობელი ოლქებიდან სამოფარზე წამოსულმა სხვადასხვა მუსლიმურმა ეთნიკურმა ჯგუფებმა. მათ შორის იყვნენ გომბორელი ლაიჯებიც.

დღესდღეობით გომბორში სულ 348 კომლი სახლობს. აქედან 226 კომლი ქართულია, 12—რუსული. აზერბაიჯანულად იწერება 110 კომლი, რომელთაგან გამოყვავით ლაიჯების 80 და აზერბაიჯანელების 30 კომლი.

როგორც ვხედავთ, სოფ. გომბორში რუსულმა მოსახლეობამ იკლო, (სამრწველო ქალაქებში წასვლის გამო); ქართულმა იმატა (მოიანი მხარეებიდან ფშავ-ხევსურთა ჩამოსახლების ხარჯზე); იმატა ლაიჯმა მოსახლეობამაც, რომელიც მიუხედავად ეთნიკური სხვაობისა, თავს აზერბაიჯანელებთან აიგივებს ისტორიული კულტურულ-რელიგიური ერთობის გამო. გომბორის პირობებშიც გრძელდება ის მჭიდრო საყოფაცხოვრებო ურთიერთობანი და შერეული ქორწინებანი, რაც დამახასიათებელია აზერბაიჯანში მცხოვრები თათებისათვის და რაც ხელს უწყობს იქ მასობრივი ორენოვნობის განვითარებას, აქ კი „ორივე მშობლიური ენის“ შენარჩუნებას.

გომბორელ ლაიჯებს სოფლის ძირითად მოსახლეობასთან ტკბილმეზობლური ურთიერთობა აქვთ. ხაზგასმით ცდილობენ ჩვეულებრივი გომბორელი გლეხის ცხოვრებით იცხოვრონ — სახლ-კარიც ისეთივე ჰქონდეთ, მეურნეობაც და ცხოვრების წესიც. თვალშისაცემია ქართული ტრადიციების გათვალისწინება, თითქმის მთლიანად მიღებულია და გაზიარებული ქართული სამზარეულო, ჭირისა და ლხინის სუფრა. მორწმუნე ლაიჯები მუსლიმი შიიტები არიან. დიდია ქართული საყოფაცხოვრებო ჩვევებისა და ადამ-წესების გავლენა, თუმცა ინტეგრაცია არ ხდება (შერეული ქორწინების თითო-ორილა შემთხვევა დავადასტურეთ).

კლასობრივი თვალსაზრისით გომბორელი ლაიჯები, პრაქტიკულად, მიეკუთვნებიან ყველა სოციალურ-პროფესიულ ჯგუფს, ისინი მონაწილეობენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ძირითად სფეროში. სხვადასხვაენოვანი მოსახლეობის ჯგუფებს შორის დამყარებული უშუალო კონტაქტები საყოფაცხოვრებო-საოჯახო,

<sup>19</sup> ხ. ციციხაია. — რუსების ჩასახლება გომბორში (რ-ნის წარსულიდან) ვახ. „სტალინური სიტყვა“ (საგარეჯო), 1961, 26 4.

<sup>20</sup> იქვე, იხ. აგრეთვე საქართველოს აღმოსავლეთი ეკონომიკური რაიონი, თბილისი, 1977, გვ. 48, 87; ვ. ჯაოშვილი, გარე კახეთის მოსახლეობა და მთავარი დასახლებული პუნქტები. გეოგრ. ინსტიტუტის შრომები, თბ. 1955, ტ. VII, გვ. 105,



საწარმოო თუ სულიერი ცხოვრების სფეროებში განაპირობებს გომბორელ ლაიჯ-  
თა ენობრივ ცხოვრებას.

ენობრივი თვალსაზრისით, პრაქტიკულად, ყველა გომბორელი ლაიჯი ფლობს „ორ მშობლიურ ენას“ — ლაიჯურსა (თათურს) და აზერბაიჯანულს, პრაქტიკულად ყველა გომბორელმა ლაიჯმა, მეტნაკლები ხარისხითა და დონით, იცის ქართული და რუსული ენები. სწავლების, ანუ განათლების ენის არჩევა მათ პირად მოსაზრებებზეა დამოკიდებული. გომბორელი ლაიჯები, განსაკუთრებით, უფროსი და საშუალო თაობის წარმომადგენლები, კარგი, ძარღვიანი ქართულით დაპარაკობენ, ახალგაზრდები უკეთ ფლობენ რუსულ ენას.

აღნიშნული გარემოებანი, დროის ძალზე მცირე მონაკვეთის მიუხედავად, ფრიად საინტერესო სურათს გვაძლევენ როგორც ცნობიერ, ისე არაცნობიერ დონეებზე. უცხო ენობრივ გარემოში მოხვედრილი მეტყველება, ძირითადად, ინარჩუნებს თვითმყოფადობას, თუმცა სხვა სისტემის ენათა გავლენა მეტნაკლებად ყველა დონეზე შეიმჩნევა. ცვლილებანი უმეტესწილად ფონეტიკასა და ლექსიკაში ვლინდება და, ძირითადად, ექსტრალინგვისტური ფაქტორებით არის განპირობებული.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ინტერფერენციის გამოვლენათა კვლევა ფონეტიკის თუ ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის სფეროში საკუთრივ ლინგვისტური ასპექტის საქმეა, ამდენად, მის დაწვრილებით ანალიზს ახლა არ შევუდგებით. შევხებით მხოლოდ რამდენიმე საინტერესო მომენტს, რომელსაც სოციოლინგვისტიკაში მიღებული მეთოდის თანახმად<sup>21</sup>, ექსტრალინგვისტური კრიტერიუმებით მივეუდგებით და სინქრონულ პლანში განვიხილავთ.

მჭიდრო საყოფაცხოვრებო, ეკონომიკური და კულტურული კავშირები სხვაენოვან ხალხებთან, გამუდმებული ურთიერთობანი მათთან ცხოვრების ყველა სფეროში, შერეული ქორწინებანი — ყოველივე ეს ხელს უწყობდა მთელ რიგ ადგილებში მასობრივი ორენოვნობის განვითარებას<sup>22</sup>. თავის მხრივ კი ორენოვნობა, დამწერლობის უქონლობა, კულტურული ერთობა აზერბაიჯანელებთან ხელს უწყობდა აზერბაიჯანული ენის თათურზე ზემოქმედების პროცესს. ამ ზემოქმედების კვალი აღინიშნება თათური ენის ყველა სფეროში — ფონეტიკაში, ლექსიკაში, გრამატიკაში<sup>23</sup>.

ორენოვნობის პირობებში, იქ, სადაც წამყვან საზოგადოებრივ ფუნქციას აზერბაიჯანული ენა ასრულებს, თათები (მათ შორის ლაიჯებიც) ხშირად თავიანთ ვოკალიზმსა და კონსონანტიზმს აზერბაიჯანულსას უქვემდებარებენ, რაც იწვევს ენობრივი ნორმების მერყეობასა და თათური ენისათვის უცხო ფო-

<sup>21</sup> იხ. Роджер Т. Белл. Социоллингвистика. Пер. с англ. М., 1980, стр. 42—43.  
<sup>22</sup> В. С. Расторгуева и др. Типы двуязычия у иранских народов Советского Союза. М., 1964, стр. 1.  
<sup>23</sup> А. Л. Грюнберг. К вопросу о языковых взаимодействиях. Краткие сообщения Инст. народов Азии, вып. XL, М., 1962; იხ. აგრეთვე: Н. Х. Мамедов, Значение языковых контактов в формировании диалектов и говоров (на материале азербайджанского и иранских языков). Совещание по общим вопросам диалектологии и истории языка. Тезисы докладов и сообщений. М., 1973, стр. 169—112; Т. М. Ахмедов. К вопросу о формировании некоторых диалектов и говоров татского языка в инсязычной среде. Там же, стр. 45—66; И. Г. Абдулаев. О характеристике и формах проявления двуязычия и многоязычия в Азербайджане (на материале взаимовлияния азербайджанского и иранского языков). В кн.: Проблемы двуязычия и многоязычия. М., 1972, стр. 213—217.



ნემების გაჩენას<sup>24</sup>. რაც შეეხება გომბორის ოთხენოვან სიტუაციას, სადაც აზერბაიჯანული ენა უწინარესობით ენის დონეზეა გადახაზვებული და ამდენად, დარღვეული აქვს ავტორიტეტული ორიენტირის ფუნქცია, გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში ბგერათა წარმოთქმა ზოგჯერ ექვემდებარება ქართულ ან რუსულ კანონზომიერებებს, რაც ხელს უწყობს საწარმოთქმონორმების მგრეყობას, ისედაც მრავალრიცხოვანი ფონეტიკური ვარიანტების გამრავლებასა და გავრცელებას. სხვა კილოკავებთან შედარებით გომბორელ ლაიჯთა ვოკალიზმის სისტემა ხასიათდება ხმოვანი ბგერების მეტი არამდგრადობით. თანხმოვანთა სისტემაში იცვლება უკანაენისმიერ ხშულთა პალატალიზაციის ხარისხი, შეზღუდულია ზემოფარინგალური და უფულარული თანხმოვნების გამოყენება და სხვ.

ქართულ-რუსული გავლენების მიმართ შედარებით მდგრადი აღმონდა გომბორელ ლაიჯთა მეტყველების მორფოლოგია. თათურის მორფოლოგია საერთოდ აზერბაიჯანული ენის დიდ გავლენას განიცდის. ეს პროცესი გომბორის ლინგვისტურ სიტუაციაში გრძელდება და, ჩვენი დაკვირვებით, დრმავედება კიდევ<sup>25</sup>.

ცნობილია, რომ განსაკუთრებული შედწევადობით ხასიათდება უცხოენოვანი ლექსიკა და ნასესხები სიტყვები მოიცავენ სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფებს. გომბორელ ლაიჯთა ლექსიკის ძირითად ბირთვს წარმოადგენს ზოგადიონული წარმომავლობის სიტყვები, ე. ი. თათური ენის ლექსიკაში შემავალი სიტყვები. ამას გარდა, იგი ინარჩუნებს ადრე შეძენილ ნასესხობებს. ნასესხობათა მნიშვნელოვან ფენას წარმოადგენს თათურ ლექსიკაში დამკვიდრებული აზერბაიჯანული სიტყვები.

გომბორელ ლაიჯთა მეტყველებამ შემოინახა თათური ენის არაბული ნასესხობანი, — ძირითადად, განყენებულ ცნებათა გამოხატველი სახელები, რელიგიური ტერმინები და საერთოდ, მუსლიმურ კულტურასთან დაკავშირებული სიტყვები.

თათური ენაში შეინიშნება ლექსიკის გაფართოების ტენდენცია საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ტექნიკური, საყოფაცხოვრებო ტერმინებით რუსული და ინტერნაციონალური ნასესხობების ხარჯზე<sup>26</sup>. გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში ეს პროცესი მიმდინარეობს ქართული ენის მეშვეობითაც, რაზეც მეტყველებს ჩვეი ინტერნაციონალური სიტყვების ქართული წარმოთქმა.

თათური ენის ყველა კილოკავისაგან განსხვავებით, გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში გამოიყოფა ქართულ ნასესხობათა პლასტი<sup>27</sup>. ესენია საყოფაცხოვრებო ხასიათის ლექსიკა, აგრეთვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ადმინისტრაციული ლექსიკა, ე. წ. „ეგზოტიზმები“ — ეთნონიმები, ტოპონიმები, ტანისამოსისა და კერპების აღმნიშვნელი სახელწოდებები და სხვ. ერთი სიტყვით, ქართ-

<sup>24</sup> В. С. Соколова. Очерки по фонетике иранских языков, т. I, М., 1953, стр. 125.

<sup>25</sup> М. И. Квачадзе. Фонетические особенности речи гомборских лайджей. В сб.: Проблемы референции в языке и литературе, Тбилиси, 1987, стр. 73—74; მახვიე, Некоторые вопросы морфологии речи гомборских лайджей. Республиканская конференция аспирантов и молодых научных сотрудников на тему «Актуальные проблемы филологии и истории стран Ближнего и Среднего Востока». Тезисы докладов, Тбилиси, 1987, стр. 24—25.

<sup>26</sup> А. Л. Грюнберг, Л. Х. Давыдова, დასახ. ნაშრ., გვ. 285.

<sup>27</sup> М. И. Квачадзе. Лексические особенности речи гомборских лайджей. В сб. Диалектика формы и содержания в языке и литературе. Тбилиси, 1986, стр. 64—65.



ველი ხალხის კულტურასთან, მეურნეობასთან და ცხოვრების წესთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები.

მოეყვანათ მაგალითებს ადმინისტრაციული ლექსიკიდან: *ḡabjo* 'საბჭო' (სასოფლო საბჭოს მნიშვნელობით), *aγmasokini* 'აღმასკომი' *tavjdomari* || *tavždomari* 'თავმჯდომარე', *mdivani* 'მდივანი'. *ḡreba* 'კრება'. *gamgē* 'გამგე'. *meurneoba* 'მეურნეობა', *saministrō* 'სამინისტრო', *tavroba* 'ნთავრობა'. და სხვ.

საყოფაცხოვრებო ლექსიკიდან. *samuḡaḡ* 'სამუშაო', *mḡenebloba* 'მწენებლობა', *sadguri* 'სადგური', *salaro* 'სალარო', *ludi* || *ludebi* 'ლუდი', *ḡkami* 'სკამი', *misamarti* 'მისამართი' და სხვ.

ნასესხობათა უმეტესი ნაწილი მიეკუთვნება ქართულ რელიგებს და ე. წ. „ეგზოტიზმებს“, მაგალითად: *natloba* 'ნათლობა', (როდესაც ქრისტიანული ნათლობა აქვთ მხედველობაში), *natlia* 'ნათლია', (როდესაც ქრისტიან ნათლიანზე ლაპარაკი). *jvari* 'ჯვარი', *xaḡoba* 'ხატობა', *xaḡi* 'ხატი', *kelexi* 'ქელეხი', (ქართველის ან რუსის ოჯახში გამართული)... *ḡurebi* 'წულეები', *mestebi* 'მესტები', *tamada* 'თამადა', *marani* 'მარანი', *venaxi* 'ვენახი', *ḡexura* 'კეხურა', *xeḡeḡuri* 'ხეჭეჭური', *ḡakapuli*, 'ჩაქაფული', *ḡaxoxbili* 'ჩახოხბილი', *xaḡapuri* 'ხაჭაპური', *sacivi* 'საცივი...' *ḡonguri* 'ჩონგური', *panduri* 'ფანდური' და სხვა.

ეთნონიმები: *kaxeli* 'კახელი', *pḡaveli* 'ფშაველი', *xevsuri* 'ხევსური', *imereli* 'იმერელი', *guruli* 'გურული', *megreli* 'მეგრელი'.

ტობონიმები: *Ruset* 'რუსეთი', *Estonet* 'ესტონეთი', *Bergznet* || *Saberznet* 'საბერძნეთი', *Inglis* 'ინგლისი', *Pinet* 'ფინეთი', *Indoet* 'ინდოეთი'. და ა. შ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გომბორელი ლაიჯები, რომელთაც რუსულ სასკოლო განათლება აქვთ მიღებული, გეოგრაფიულ სახელებს რუსულ ყაიღაზე წარმოთქვამენ. ამ ექსტრალინგვისტური ფაქტორით აიხსნება გომბორელ ლაიჯთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი მრავალი დებულება. მაგალითად: სასკოლო საგნებსა და საერთოდ სასკოლო ტერმინოლოგიას სხვაპასუხობით ჩამოთვლის ქართულ განათლებამიღებული ლაიჯი ქართულად, რუსულგანათლებამიღებული — რუსულად:

*gaḡvelili* — *urok*; *cxrili* — *raspisanie*; *zepiri* — *usni*; *ḡera* — *pismeni*; *ḡroma* — *ḡrud*; *gamocda* — *egzamen*; *saxazavi* — *lineika*; *ruka* — *ḡarta*; *arda-degebi* — *kanikuli* || *kanikulebi*; *masḡavlebeli* — *uḡtel* || *uḡitel*; *gobmelani* — *gobḡeruel* და სხვ.

საინტერესო სურათს იძლევა გომბორელ ლაიჯთა ონომასტიკა. გომბორელ ლაიჯთა შორის ფხვს იკიდებს საკუთარი სახელები: მარიამი, მარინა, მანანა, თინა, ნანა, დოდო, ლიანა, ვიორჯი, დათო... ზოგიერთი წმინდა აღმოსავლური სახელი ელფერსა და ქედრადობას იცვლის: ნაირა, ზაირა, რეზო, ზურიკო. ჩვეულებრივია საკუთარ სახელთა ადაპტაცია: ამირი—ამირანა, ალი—ალიკა, რუბაბა—ლუბა, შიმშით—შურა. გუდესტან—გულია და სხვ. საყოველთაოა საკუთარ სახელებთან ქართული კნინობითის ფორმა: აბაზა, ისლამა, ადამია, გილხიზა, ჰაქარა და სხვ.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ რომ გომბორელი ლაიჯები საკმაოდ კარგი ქართულით ლაპარაკობენ. წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით საინტერესოა ის ადსტრატული ინტერფერენცია, რომელიც ელინდება მათი ქართულად მეტყველების დროს, კიდევ უფრო საინტერესოა ის ტრანსფორმირებანი, რომელთაც ზოგიერთი ცნების გადაზრება იწვევს. მაგალითად: ქართულად მეტყველების



დროს გომბორელი ლაიჯი მეჩეთს „ხატად“ მოიხსენიებს, რელიგიურ დღესასწაულს — „ხატობად“ („ხვალზეთ ჩემ ხატში უნდა წავიდე სალოცავათ“ იტყვის იგი; „ეს ათი დღე ხატობა ვაქ“ და სხვ.), მუსლიმთა მსხვერპლშეწირვის წესს — ყორბან-ბაირამს „სადმროს“ უწოდებს, ხოლო ახალ წელს — ნოურუზ ბაირამს, რომელიც დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნება, „აღდგომას“ ეძახის ქართულად.

ქართულად წარმოთქმული სიტყვები ზოგჯერ ირანულ-თურქულ ფონეტიკურ გარსშია გახვეული, ზოგჯერ-უაქცენტოდ, ქართული ფონეტიკური და გრამატიკული კანონების დაცვით იხმარება.

აღნიშნული მოვლენები გამოწვეულია სოციალური და ენობრივი გარემოს სპეციფიკით, შედეგია უშუალო კონტაქტებისა და ხასიათდება არაერთგვაროვნებითა და ვარიანტულობით, ხშირად სტიქიურობითაც. დიდი მნიშვნელობა აქვს ბოლაპარაკე ინდივიდის ასაკს, სქესს, პროფესიას, განათლებას კულტურულ დონეს, ენობრივ ორიენტაციას და სხვა ექსტრალინგვისტიკურ ფაქტორებს.\*

М. И. КВАЧАДЗЕ

**О ЗНАЧЕНИИ ЭКСТРАЛИНГВИСТИЧЕСКИХ ФАКТОРОВ ПРИ  
ЯЗЫКОВЫХ КОНТАКТАХ**

(на материале речи гомборских лайджей)

**Резюме**

В силу культурно-исторической общности, сложившейся в результате длительных и тесных контактов, двуязычие среди татов, проживающих в Азербайджане, распространено повсеместно и носит всеобщий характер. Для носителей бесписьменного мусульманского диалекта татского языка азербайджанский является языком образования, культуры, официальных отношений.

Для переселенцев из Лахиджа в с. Гомбори Сагареджойского района Грузии создалась 4-языковая ситуация. Языком образования становится грузинский или русский. Речь населения (самоназвание — «Лайджи»), попавшего в многоязычную среду, дает весьма интересную картину на уровнях сознания и подсознания. Изменения преимущественно обусловлены экстралингвистическими факторами — вызваны они спецификой языковой среды, являются результатом непосредственных контактов и характеризуются неоднородностью и вариативностью, часто — стихийностью. Большое значение имеет возраст, пол, профессия, языковая ориентация, культурный и общеобразовательный уровень говорящего индивида.

\* წაკითხულია მოხსენებად აკად. გ. ახვლედიანის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ წლიურ სამეცნიერო სესიასზე (იხ. მოხს. თეზ., თბ., 1987).

## THE IMPORTANCE OF EXTRALINGUISTIC FACTORS IN LANGUAGE CONTACTS

(as exemplified by Gomborian Layiji speech)

### Summary

Bilingualism is spread in all places among the Tat people who reside in the Republic of Azerbaijan and is of universal character owing to the historical and cultural community formed as a result of long and close contacts. For the Muslim dialect speakers of Tat who have no written language, Azerbaijanian is the official language — that of education and culture.

For those who have migrated from Lahij to the village of Gombori (Sagarejo district Republic of Georgia) a quadrilingual situation has developed. Georgian and Russian have become the languages of education. The speech of the population (self-designation "Layiji") that lives in the indicated multilingual situation presents quite an interesting picture on the conscious and subconscious levels. The changes are mainly conditioned by extralinguistic factors, and are caused by the specific character of the linguistic environment. These changes are due to the immediate contacts and are characterized by heterogeneity and variety, and often by spontaneity. The age, sex, occupation, linguistic orientation, the level of culture and general education of the speaking individual are important.



### მერაბ რომაქიძე

## სახელის განუსაზღვრელობის გამომხატველი სიტყვათა ქველ სომხურსა და ქველ ქართულ ენაში

ქველი სომხური და ქველი ქართული ენების წერილობით წყაროებში და-  
დასტურებულია სახელის განუსაზღვრელობის გამოხატვა გარკვეული სიტყვებით.  
ამ ენათა შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ განუსაზღვრელობის კატეგო-  
რიის გამოხატვის საშუალებები სტრუქტურულ სიახლოვეს ავლენენ ერთმანეთთან  
ფორმალური და ფუნქციური თვალსაზრისით. ქველი ქართულსთვის ეს საშუა-  
ლებებია ძირითადად განუსაზღვრელი ნაწევრის ფუნქციით გამოყენებული რიცხ-  
ვითი სახელი „ერთი“ და განუსაზღვრელი ნაცვალსახელი „ვინმე“<sup>1</sup>, ხოლო ქველი  
სომხურსთვის — „მი“ (აგრეთვე განუსაზღვრელი ნაწევრის ფუნქციით გამოყენე-  
ბული რიცხვითი სახელი — ერთი) და განუსაზღვრელი ნაცვალსახელი „ვომნ“  
ამათგან „ვინმე“ და „ვომნ“ აღნიშნა სახელებს მიემართებიან, ხოლო „ერთი“  
და „მი“ — როგორც აღნიშნა, ისე არააღნიშნა სახელებს. ქველ სომხურშიც  
და ქველ ქართულშიც ეს სიტყვები სახელის განუსაზღვრელობის აღნიშვნისას  
პოსტპოზიციურნი არიან, ძირითადად მოსდევენ სახელს, ამასთან, გვექვს პრე-  
პოზიციის შემთხვევებიც.

I ქველი სომხურის განუსაზღვრელობის აღნიშვნელ მი-ს ქველ ქართულში  
„ერთი“ შეესატყვისება:

1. ა ღ რ მი ერ ტანუტერ, —  
კ ა ც ერ თ იყ თ მდიდარ, ლ. 16,1<sup>2</sup>.
2. ვორ ვოქ ენკალცი ზმანუკ მი აჰსისი, —  
რომელმან შეიწუნარას ყრმია ერთი ესევითარი, მ. 18,5.
3. ევნ კინ მი, —  
მოვიდა დედაკაცი ერთი, მრ. 14,3.
4. გაა ნა ი ქალ აქ მი სამარაცვოც, —  
მოვიდა იგი ქალაქსა ერთსა სამარტელთასა, ი. 4,5 C.
5. გნაც ანტი ღერკირ მი, —  
წარვიდა მიერ ქუეყანასა ერთსა, ი. 11,54 C.

<sup>1</sup> ი. იმნაიშვილი, ნაწევარი ქველ ქართულში, თსუ შრომები, 1956, გვ. 252—254.

<sup>2</sup> მაგალითები აქაც და ქვემოთაც ამოღებულია შემდეგი გამოცემებიდან: ქართული  
ოხსთავის ორი ქველი რედაქცია. გამოსცა აკაკი შანიძემ. თბილისი, 1945; ასტუ აწა შუნჩ  
მტუნან ბინ ევ ნორ კტაქარანაჲ, კოსტანდნუპოლის, 1895. შემოკლებები ზიბლიის ქველი და  
ახალი აღთქმის წიგნებისა: მ.—მთუ, მრ.—მარგოზ, ლ.—ლუკა, ი.—იოანე, მეფ.—მეფეთა.



II ძველ სომხურში განუსაზღვრელ სიტყვად გვაქვს „ვომნ“, „ძველ ქართულში“ — „ვინმე“:

1. ა მ რ ო მ ნ ტ ნ კ ე ა ც ა ზ გ ი,—  
კ ა ც მ ა ნ ვ ი ნ მ ე დ ა ი ს ხ ა ვ ე ნ ხ ი, ლ. 20,9.
2. მ ა რ გ ა რ ე ვ ო მ ნ მ ა რ ა ჯ ნ ო ც ნ მ ა რ ა ე ე,—  
წ ი ნ ა წ ა რ მ ე ტ ყ უ ე ლ ი ვ ი ნ მ ე პ ი რ ე ე ლ თ ა გ ა ნ ი ა ღ ღ გ ო მ ი ლ ა რ ს. ლ. 9,8 DE.
3. ე ე ყ ლ ე ვ ა ვ ე რ ს ჰ ე რ ო დ ი ა რ ქ ა ა ი პ რ ე ა ს ტ ა ნ ი ქ ა პ ა ნ ა ვ ო მ ნ,—  
ი ყ ო ღ ღ ე ს ა მ ა ს ჰ ე რ ო დ ე მ ე ღ ე ს ა ს ა ჰ უ რ ი ა ს ტ ა ნ ი ს ა თ ა მ ღ ღ ე ლ ი ვ ი ნ მ ე,  
ლ. 1,5 DE.
4. ა ღ ქ ა ტ ვ ო მ ნ ღ ა ზ ა რ ო ს ა ნ კ ე ა ლ დ ნ ე რ,—  
გ ლ ა ხ ა კ ი ც ა ვ ი ნ მ ე ი ყ ო ს ა ხ ე ლ ი თ ღ ა ზ ა რ ე, დ ა ვ რ დ ო მ ი ლ ი ღ ე ვ ა, ლ. 16,20 C.
5. ა რ ნ უ რ უ მ ნ მ ე წ ა ტ უ ნ ე ტ უ ნ ა ნ დ ქ ტ ო მ პ ა კ ა ნ,—  
კ ა ც ი ს ა ვ ი ს ი მ ე მ დ ი დ რ ო ს ა მ ნ ა ყ ო ფ ი ე რ ი ყ ო ა გ ა რ ა კ ი, ლ. 12,16 C.

მრავლობით რიცხვში დასმულ სახელს ძველ სომხურშიც და ძველ ქართულშიც განუსაზღვრელი სიტყვა მრავლობითში შეეწყობა. ძველ ქართულში მრავლობითი რიცხვის სახელობითში განუსაზღვრელი სიტყვა გვხვდება მხოლოდ ბოლოში შეწყობილი:

1. კ ა ნ ა ე ქ ვ ო მ ა ნ ქ, ვ ო რ ქ ბ ე შ კ ე ა ლ ე ი ნ ა ი ს ო ც ჩ ა რ ა ც ე ე ჰ ი გ ა ნ დ უ თ ა ნ ც,—  
დ ე დ ა ნ ი ვ ი ნ მ ე, რ ო მ ე ლ ნ ი გ ა ნ კ ო რ ნ ე ბ უ ლ ი ყ ე ვ ნ ე ს ს უ ლ თ ა გ ა ნ უ კ ე ი თ უ რ ი,  
ლ. 8,2 DE.
2. ა ღ ღ ე ვ კ ა ნ ა ე ქ ვ ო მ ა ნ ქ ი მ ე ნ ჯ ზ ა რ მ ა ც უ ც ი ნ ზ მ ე ზ,—  
დ ე დ ა თ ა ც ა ვ ი ე თ მ ე ჩ ე ნ ე გ ა ნ თ ა დ ა მ ა კ რ ე ვ ს ჩ ე უ ნ, ლ. 24,22.
3. ლ უ ა ნ ვ ო მ ა ნ ქ ი ფ ა რ ი ს ე ე ც ვ ო ც ნ,—  
ე ს მ ა ვ ი ე თ მ ე ფ ა რ ი ს ე ე ე ლ თ ა გ ა ნ თ ა, ი. 9,40 C
4. ა ს ე ნ ვ ო მ ა ნ ქ ი ფ ა რ ი ს ე ე ც ვ ო ც ნ,—  
თ ქ ე უ ს ვ ი ე თ მ ე ფ ა რ ი ს ე ე ე ლ თ ა გ ა ნ თ ა მ ი თ ვ ა ნ თ ა, ი. 9,16.

III გვხვდება მაგალითები, სადაც „მი“-ს „ვინმე“ შესატყვისება-

1. ა ჰ ა ა მ რ მ ი ა ღ ღ ა კ ე ა ც,—  
ა ჰ ა კ ა ც მ ა ნ ვ ი ნ მ ე ღ ა ღ ღ დ - ყ ო, ლ. 9,38 DE.
2. ღ ე ბ ე ლ ე ვ ქ ა პ ა ნ ა ა ი მ ი ო ჯ ი ჯ ა ნ ე ლ ე ნ დ ნ ო ა ნ ჭ ა ნ ა პ ა რ კ,—  
მ ღ ღ ე ლ ი ვ ი ნ მ ე შ თ ა ე ი ღ ო დ ა მ ა ს ე ე გ ზ ა ს ა, ლ. 10,31 DE.
3. ა რ ნ მ ი ო ჯ ე ი ნ ე რ კ უ ვ ო რ დ ი ქ,—  
კ ა ც ს ა ვ ი ს ი მ ე ე ს ხ ნ ე ს ო რ ძ ე, მ. 21,28 DE.

IV გვხვდებით ისეთ მაგალითებსაც, სადაც ვომნ-ს შესატყვისად ძველ ქართულში „ერთი“ აქვს:

- ა მ რ ვ ო მ ნ ე რ მ ე წ ა ტ უ ნ,—  
კ ა ც ე რ თ ი ყ ო მ დ ი დ ა რ, ლ. 16,1 C.

უეჭველია, ძველი სომხურის „მი“ და „ვომნ“ ფუნქციურად მეტად ახლოს ღვანან ერთმანეთთან, რასაც ეს მაგალითებიც ცხადყოფენ:

- ა მ რ მ ი ე რ მ ე წ ა ტ უ ნ, ლ. 16,1.  
ა მ რ ვ ო მ ნ ე რ მ ე წ ა ტ უ ნ, ლ. 16,19.

ასევე ახლოს დგანან ფუნქციურად ერთმანეთთან ძველი ქართულის „ერთი“  
და „ვინმე“:  
კაცი ვინმე იყო მდიდარ, ლ. 16,1 DE,—  
კაც ერთ იყო მდიდარ, ლ. 16,1 C.

ძველ ქართულში განუსაზღვრელობას გამოხატავს აგრეთვე „ვინ“:

1. ხოლო იყოს-მე ვინ თქუნთაგანი კაცი? მ. 7,9 C.
2. არასადა ვინ იტყოდა კაცი ესრეთ, ი. 7,46 DE,—  
არასადა ეგრე ვის უთქუამს კაცსა, C.

ძველ სომხურში და ძველ ქართულში ვგხვდებთ შესიტყვებები მი ვომნ და „ერთი ვინმე“, რაც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს მათ ფუნქციურ სიახლოვეს. ეს შეკავშირებები ერთ მთლიან ცნებებად უნდა მივიჩნიოთ, მათი შემადგენელი სიტყვები ერთმანეთს არ უნდა მოვწყვიტოთ. ამაზე მეტყველებს შემდეგი მაგალითები:

1. კაც ერთ ვინმე იყო მდიდარ, ლ. 16,19 C,—  
აჲრ კომნ ერ მეუატუნ.
2. ევ მატუცეალ მი ვომნ ი დპრაცნ,—  
და მოუტდა მწიგნობართაგანი ერთი, მრ., 12,28 DE.

„ერთი ვინმე“ და „მი ვომნ“ ერთ ფუნქციურ მთლიანობას რომ არ წარმოადგენდნენ, მათ შესატყვისებად „ვომნ“ და „ერთი“ არ გვექნებოდა.

ზემოთ გავეცანით ისეთ მაგალითებს, სადაც განუსაზღვრელობის აღმნიშვნელი სიტყვები პოსტპოზიციურნი არიან, მიგრამ გვაქვს ამ სიტყვათა პრეპოზიციის შემთხვევებიც როგორც ძველ სომხურში, ისე ძველ ქართულში, ამასთან, განუსაზღვრელობის გამოხატველი სიტყვა საკორელაციო სიტყვისგან გათიშულადაც წარმოგვიდგება ძველ ქართულში:

1. ახპეს ე ურახუთიენ აერკინს ვასნ მიოჲ მეღავორო, —  
ესრეთ იყო სიხარული ათა შინა ერთისათჳს ცოდვილისა, ლ. 15,7.
2. ავე ეღვე ი მიუმ ავეურს ავე ინქნ უსუცანერ, —  
და იყო ერთსა შინა დღესა და თავადი ასწავებდა მათ, ლ. 5,17.
3. ასე ცნა ომნ დაშაკერტაცნ,—  
პრქუა ვინმე მას მოწაფეთაგანმან, ლ. 11,1.
4. ევ ეპარც ზნა ვომნ იშხან,—  
და ჰვითხა ვინმე მას მთავარმან, ლ. 18,18.
5. ლუფე ძან ომნ ი ბაზმაკანაცნ,—  
ესმა ვისმე მის თანა-მეინაგეთა ესე ლ. 14,15.

ძველ ქართულში ვხვდებით „ვინმე“-ს ტნესის შემთხვევებსაც, როცა იგი განუსაზღვრელობას სქენს სიტყვას, ზოგჯერ ასეთ შემთხვევებში სიტყვას განუსაზღვრელობის „ერთი“-ც ახლავს:

1. მო-ვინმე-უტდა მას კაცი ერთი, C,—  
მოუტდა მას კაცი ერთი, DE,—  
მატე ავ აჲრ მი, მ. 17,14 C.

<sup>3</sup> ი, იმნაიშვილი. დასახ. ნომრ., გვ. 253.

<sup>4</sup> აღმოსავლეთმცოდნეობის შრომები

2. მოვიხსენიებთ იესუს ფარისეველნი,—  
მატან ვოჲმანქ ფარისეციქ, ლ. 13,31.

უძველეს ქართულ წერილობით ძეგლში „შუშანიკის წამება“<sup>4</sup> ვხვდებით სახელის განუსაზღვრელობის გამოხატვას „ერთი“ და „ვინმე“ სიტყვებით, აგრეთვე ამ სიტყვათა შეერთებით. მოვიტანთ მაგალითებს: „მოვიდა ყრმაჲ ერთი“, 14<sup>13</sup>; „ალიზი ერთი დაიდის სასთუნალ“, 25<sup>5</sup>.

საზღვრულ-საზღვრულის შემთხვევაში (მსაზღვრელი პოსტპოზიციურია — ატრიბუტულიცა და მართულიც) „ერთი“ მოსდევს საზღვრულ სიტყვას: „სახლაკი ერთი მცირე პოჲა მახლობელად ეკლესიასა“, 13<sup>7</sup>; „კაცი ერთი სპარსი მოვიდა“, 14<sup>13</sup>; „შუესაგებელად იყო გირჯაკი ერთი ძუელი“, 25<sup>5</sup>; „თაყუნის საცემელად კილიკი ერთი მცირე ქუე წარუღებელად“, 25<sup>11</sup>; „კაცთა თუალსა სასთაული ერთი ხალენისა უცნ სასთუნლით კერძო“, 25<sup>10</sup>.

მატანილ მაგალითებში „ერთი“ წარმოდგენილია სახელობით ბრუნვაში, მაგრამ მას ვხვდებით მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებშიც: „ხუცესმან ერთმან ჰრქუა მის“, 19<sup>21</sup>; „ბრძანა სენაკსა ერთსა შეყვანებაჲ“, 17<sup>20</sup>; „უბრძანა სენაკა პანსა ერთსა, რამთა წარიყვანონ წმიდაჲ შუშანიკ ცხელად“, 20<sup>11</sup>.

როგორც ზემონაჩვენები მაგალითები ცხადყოფს, სახელის განუსაზღვრელობა აქ გამოხატულია „ერთი“ სიტყვით, რომელიც ამ შემთხვევაში დაცლილია რიცხვითი სახელის მნიშვნელობისაგან და წარმოგიდგება განუსაზღვრელობის გამოხატველი შინაარსით.

„შუშანიკის წამებაში“ „ვინმე“ გვხვდება „ერთ“ სიტყვასთან ერთად, როგორც ერთი ფუნქციური ოდენობა, ანიჭებს სიტყვას განუსაზღვრელობას. ეს შესიტყვება გვხვდება ასეთი სახით: 1. „ერთი ვინმე“. 2. „ვინმე ერთი“. 3. „ვინმე... ერთი (ერთმანეთისგან გათიშული) მოვიტანთ მაგალითებს: „მაშინ წარმოიყვანეს და მოჰყვანდა წმიდა შუშანიკ უჯამური და თმა გარდატეხებული, ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთავანა“, 20<sup>13</sup>; „დიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისაჲ 20<sup>13</sup>; „იყო ვინმე დედაკაცი ერთი სპარსი, 23<sup>1</sup>. პირველ მაგალითში „ერთი ვინმე“ პრეპოზიციურია, მეორე მაგალითში „ვინმე ერთი“ — პოსტპოზიციური, ხოლო მესამე მაგალითში „ვინმე“ პრეპოზიციურია, „ერთი“ — პოსტპოზიციური.

მატანილ მაგალითებში „ვინმე“ „ერთ“ სიტყვასთან ერთად სახელობით ბრუნვაშია, მაგრამ ტექსტში ცალკე „ვინმე“ გვხვდება მიცემით და ნათესაობით ბრუნვებშიც: „ნუჟუჟუე მთავართა განსა ვისმე ეცოლოს, 24<sup>7-8</sup>; „ეპისკოპოსი... კაცისა ვისამე წმიდისა ვანად მისრულ იყო“, 13<sup>11</sup>. ორივე შემთხვევაში განუსაზღვრელობის გამოხატველი სიტყვა პოსტპოზიციურია.

სახელის განუსაზღვრელობის გამოხატველად „შუშანიკის წამებაში“ გვხვდება აგრეთვე განუსაზღვრელი ნაცვალსახელის მნიშვნელობით გამოყენებული ნაცვალსახელი „ვინ“: „არცა მდღელთაგანი ვინ იბოჲა მოწალე, არცა ერის კაცი ვინ გამიჩნდა შორის ერსა ამას“, 16<sup>17-18</sup>.

<sup>4</sup> იაკობ ტურტაველი, წამება წმიდისა შუშანიკისა დედოფლის, ძველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V-X სს.), თბილისი, 1963, გვ. 11—29; ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითებში წითითებულია ამ გამოთქმის გვერდი და სტრიქონი.



ძველ სომხურ ენაში განუსაზღვრელობა გამოიხატება აგრეთვე „ვოქ“, „ინჩ“  
 „იქ“, „ინჩ“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებით და „ურემნ“ განუსაზღვრე-  
 ლობითი ზმნიზებით. ამათგან „ვოქ“ აღმნიშნავს სახელებთან გვხვდება, დანარ-  
 ჩენი არააღმნიშნავს სახელებთან. ძველ ქართულში გარდა „ერთ“ და „ვინმე“  
 სიტყვებისა, მათ შესატყვისად გვხვდება „რაამე“ და „რომელიმე“. მოვიყვანთ  
 მაგალითებს.

I „ვოქ“ — „ვინმე“

მარგარე ვოქ მარაჯნოც მარევე, ლ. 9,19.  
 მარგარე ვოქ მარაჯნოც მარევე, ლ. 9,8,  
 წინაწარმე ტყუელი ვინმე... აღდგომილ არს, ლ. 9,8 DE; ლ. 9,19

II „იმნ“ — რაამე

ვრიპაკ იმნ გორწყცავ იმეზ,—  
 შემთხვევით რაიმე შეგუემთვა ჩუენ, I მეფ. 6,9.

III „იქ“ — რაამე

ინაზარეთე მართ ინჩ იცე ბარვო იმიქ ლინელ,—  
 ნაზარეთით შესაძლებელ არსა ქეთილისა რაასამე ყოფად? ი.  
 1, 46 C.

IV „ურემნ“ — რომელიმე

მიჩნდერ მტანერ ი გელ ურემნ, პატაპეკან ნშა ტასნ აარ ბოროტ,—  
 ვითარ შევიდოდა დაბასა რომელსამე, შეემთხვნეს ათნი კაცნი  
 განბოკლებულნი, ლ. 17,12 C.

V ინჩ — რაამე // რომელიმე // ერთი

ა) „ინჩ“ — რაამე

1. მითე შნოტპ ინჩ უნიცი წარაჲინ აინმიქ,—  
 ნუთუ მადლ რაამ იპყრას მონისა მის? ლ. 17,9
2. ქრისტოსნ მორემე გადცე, მითე აველი ინჩ ნშანს არნიცე,—  
 ქრისტე იგი რაჲემს მოვიდეს, ნუთუ უმეტესსა სასწაულსა რას  
 ჰყოფდეს? ი. 7,31 C.

ბ) „ინჩ“ — რაამე

1. ევ ჩუტეე მასნ ინჩ ხეგარინ,—  
 არა აქუნდეს ადგილი რაამე ბნელისაჲ, ლ. 11,36 DE.
2. ევ სპასელ ვორსალ ინჩ ბანს ი ბერანოჲ ნორა,—  
 უმზირდეს მას პოვნად რასმე სიტყუასა პირისაგან მისისა ლ.  
 11,54.
3. აკნ უნერ ნშან ინჩ ლიეალ ტესანელ ი ნმანე,—  
 ჰსწადოდა ხილვად რაასამე სასწაულისა ყოფად მისგან, ლ.  
 23,8 DE.

<sup>5</sup> მტკეთურა ხელნაწერი, გამოსაცემად მოაზრდა ელ. დოჩინაშვილმა, თბილისი, 1962.  
 ძველი აღთქმის ტექსტის მაგალითები ქვემოთაც ამ გამოცემიდანაა მოხმობილი.

1. ევ ანდ კადრ ამან ინჩ ლი ქაცახოვ, —  
და მუნ იღვა ტურტერი ერთი საესე ძმრითა, ი. 19,29 C.
2. ბან ინჩ პრამაჯალ, —  
სიტყუაჲ ერთი მიბრძანა, I მეფ. 21,2.

სახელის განუსაზღვრელობის გამოხატვას „რაიმე“ განუსაზღვრელი სიტყვიც ვხვდებით „შუშანიკის წამებანი“, „მისრულ იყო კითხვად რაჲსმე სიტყუჲ სი, 1311; „ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რასმე შევემთხვო, 245“

ქართული და სომხური მავალითების, ისევე როგორც ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის, შედარება გვიდასტურებს, რომ ხშირად ერთმანეთს ენაცვლებიან ჩვენ მიერ განხილული განუსაზღვრელობის სახეები და ნულოვანი განუსაზღვრელობა. საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

1. გაჲ კინ მი ი სამარიაჲ, —  
მოვალს დედაკაც ერთ სამარიაჲთ, ი. 4,7 C, —  
მოვიდა დედაკაცი სამარიაჲთ DE.
2. ევ ნოცა სპუნჯ ლცეალ ქაცახოვ ენდ ლეღოჲ, —  
აღაესეს ღრუბელი ერთი ძმრითა და ნავლითა, ი. 19,29 C, —  
ღრუბელი აღაესეს ძმრითა მით, DE.
3. მატეავ არ ნა პარიერაპეტ მი, —  
მოუტდა მას ასისთავი ერთი, მ. 8,5 DE, —  
მოუტდა მას ასისთავი, C.
4. გარ მანუკ ჭაპანაჲინ მინჩდერ ევერ მის, —  
მაშინ მოვიდა ყრმაჲ ერთი ძღღელისა აღმოღებედ ჳორცისა მის, I მეფ. 2,13.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ როგორც ქართულ, ისე სომხურ ტექსტებში კონტექსტით განსაზღვრული სიტყვა ხშირად განუსაზღვრელად არის წარმოდგენილი, რასაც შემდეგი მაგალითები გვიჩვენებს:

1. ევ აჰა აჲრ მი ანუნ მოვსეჲ აერესაღემ, —  
აჰა კაცი ერთი, რომელსა ერქუა იოსებ, ლ. 23,50 C, —  
აჰა ესერა კაცი, სახელით იოსებ, DE.
2. ევ აჰა აჲრ მი აერუსაღემ ოროჲ ანუნ ერ სიმეოვნ, —  
და აჰა იყო კაცი ერთ იერუსალიშს, რომლისა სახელი სუმიონ, ლ. 2,25 C.  
და აჰა იყო მუნ კაცი იერუსალიშს, რომლისაჲ სახელი სუმიონ DE.
3. გნაც ანტი აერკირ მი, ორ მერძ ერ ძანაპატ, ი ქალაქ მი,  
ორუმ ანუნ ერ ეფრაჲიმ, —  
წარვიდა მიერ ქუეყანასა ერთსა, რომელ ნახლობელ იყო უდაბნოსა ქალაქსა ერთსა, რომელსა ერქუა ეფრაჲიმ, ი. 11,54 C.  
წარვიდა მიერ სოფელსა, მახლობლად უდაბნოსა ქალაქსა, რომელსა ჰრქვან ეფრემ, DE.
4. აჲრ მი ერ მეწაბუნ, ვოროჲ ერ ტნტეს, —  
კაცი ერთ იყო მდიდარ და ესუა მას ეზოას მოძღუარ, ლ. 16,1 C, —  
კაცი ვინმე იყო მდიდარი, რომელსა ესუა მეს, DE.

СЛОВА, ВЫРАЖАЮЩИЕ НЕОПРЕДЕЛЕННОСТЬ ИМЕНИ  
В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ И ДРЕВНЕАРМЯНСКОМ ЯЗЫКАХ

Резюме

В статье на основе анализа древнегрузинских и древнеармянских текстов исследуется вопрос неопределённого выражения имени в этих языках посредством слов, выступающих в качестве неопределённого артикля. Вопрос изучен путем сопоставительного анализа в плане структурной общности, в формальном и функциональном отношениях. Помимо известных неопределённых слов, в статье исследованы и другие слова. Показан порядок места неопределённых слов; затронут вопрос и о нулевой неопределённости.

M. ROBAKIDZE

WORDS EXPRESSING INDETERMINATION OF NOUNS IN THE OLD  
GEORGIAN AND THE OLD ARMENIAN LANGUAGES

Summary

The question of indetermination of expression of nouns with the help of words, having the function of the indefinite article has been studied on the basis of an analysis of the Old Georgian and Old Armenian texts. The approach used was: comparative analysis in terms of structural similarity from the formal and functional viewpoints. Besides known indefinite words, some other words are discussed; the place of indefinite words is stated; the question of zero indetermination is touched upon.



**ქონსტანტინე ფალავა**

**ილია ჭავჭავაძე და სპარსული ლიტერატურა**

გერმანელ მწერალს, პუბლიცისტსა და მთარგმნელს, არტურ ლაისტს, რომელიც 1892 წლიდან თბილისში დამკვიდრდა საცხოვრებლად და საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა, განსაკუთრებით გულითადი მეგობრობა ჰქონია ილია ჭავჭავაძესთან, რომლის ღრმა აზროვნებითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ჩაუქრობელი პათოსით მოხიბლულს, მასთან მრავალ საკითხზე ჰქონია მსჯელობა. ამ სტრუქტურებს ავტორის ყურადღება მიიპყრო ილიას აზრმა სპარსულ ლიტერატურაზე, რომლის შესახებაც მას საუბრები ჰქონია ა. ლაისტთან. იგი გადმოგვცემს: „80-იან წლებში ილია ძლიერ ვატაცებული იყო პოეზიითა და ლიტერატურით და ხარბად ეტანებოდა ევროპის საუკეთესო მწერლებს თხზულებებს. მათში გენიალობის, პოეტობისა და ჭეშმარიტად მოაზროვნის გამომხატველად ილიას გოეთე მიაჩნდა, რომელსაც ზოგიერთი მხრით ბაირონსაც კი ამჯობინებდა.

— თქვენი ოლიმპიელი...? ოჰ, რამდენი აზრთა და გრძნობათა ძალა ჩანს მასში, ხშირად უთქვამს გოეთეს შესახებ.

— დიახ, გოეთე ოლიმპიელია, მაგრამ მიკვირს, რომ თქვენ, ქართველი, მას შიღერზე უფრო მაღლა აყენებთ?!, ვუთხარი ერთხელ ილიას, როცა საუზმის შემდეგ ორივე აივანზე ვისხედით და არაკვის საუცხოო ნაპირების სილამაზით ვტკებობოდით.

— განა ვერ ატყობთ, რომ ჩემს აზრებში ბევრი რამ ინდო-ევროპულიაო, — შითხრა მან და ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ს ა უ ბ ა რ ი დ ა ი წ ყ ო ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ - ხ ე!

— აღმოსავლეთს არ შესწევს იმგვარი ფილოსოფოსობა, როგორც ეს ევროპელს ესმის, — განაგრძო ილიამ. — ადამიანის ცხოვრებასა და საგნებზე ცივი, ფხიზელი მსჯელობა გრძნობათა დაუხმარებლად, მგონია, შეუძლებელია აღმოსავლეთში“.<sup>1</sup>

„ამ საუბრის შემდეგ მცირე ხანი გავიდა და თბილისში გერმანულად ნათარგმნი ფირდოუსის „შაჰნამე“ წაკითხეთხე.<sup>2</sup> წაკითხული ს ძლიერი შთაბეჭდილებით შეტყობილმა ილიას ვუთხარი: ამ პოემაში ბევრი ისეთი ადგილია, რომე-

<sup>1</sup> მოგონებები გარდასულ დღეთა, ილია, თბილისი, 1987, გვ. 370—371.

<sup>2</sup> ივლიანსხეება ალბათ პოეტისა და ორიენტალისტის ფრ. რუკერტის თარგმანი, რომელმაც თავის დროზე პოპულარობა მოიპოვა. ის გამოცემული იყო სამ ტომად (1890—1895). შეიცავდა ოცდაექვს ეპიზოდს. აღსანიშნავია, რომ განთქმული ეპიზოდი მამა-შვილის, როსტომისა და ზურაბის, სამკედრო-სასიცოცხლო შეგზმისა, მსწენებულ გამოცემაში არაა წარმოდგენილი.

ლიც თავისი ტრაგიზმით შექსპირს მოგვაგონებს-მეთქი.

— არა მოგონია, მას შეექმლოს შექსპირის ტრაგიზმის მსგავსი სიმბოლის წვდომა, — მომიგო ილიამ.

ამაში ნაწილობრივ სიმართლეს იყო, თუმცა ფირდოუსის დირსება სწორედ ტრაგიკულ ძალაშია მაგრამ იგი ეპიკური პოეტი იყო და არა დრამატურგი.

საზოგადოდ ილიას სპარსული პოეზია არ მოსწონდა, ამბობდა, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მან ცუდი გავლენა იქონია ქართულ მწერლობაზე, რადაცნაირი ქალური გულწვილობა და აზრთა გარყვნილება შენოიტანათ (ხაზი ჩვენია — კ. ფ.).

მწელია ილია ჭავჭავაძესთან შეკამათება, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მან მონაწილეობა მიიღო „ვისრამიანის“ ქართული თარგმანის გამოცემაში და, როგორც ერთ-ერთმა რედაქტორმა, ამ თხზულებას თავის წილად მდიდარი შეფასება მისცა.

„ილიას არ უნდოდა, რომ ქართველი მწერლები სპარსულ მწერლობას დაწაფებოდნენ, — განაგრძობს ლაისტი, — პირიქით, მას სურდა ქართული ლიტერატურა აღმოსავლეთის გავლენისაგან გაენთავისუფლებინა და გაევერობილებინა. ამას თვითონაც უწვობდა ხელს. იგი არა მარტო ლიტერატურის, არამედ, საზოგადოდ, ცხოვრების ევროპეიზაციის მომხრე იყო...“<sup>3</sup>

ქართულ ლიტერატურაში ცნება „ევროპეიზმი“ იყო „არა უბრალოდ ევროპულ ლიტერატურულ მიმდინარეობათა გავლენის ან მასთან მიახლოების მიმნიჭებელი ტერმინი, არამედ იგი იყო ერთნულ სამწერლო კულტურაში იგივე პოეტური კულტურის უნივერსალური ცნება“.<sup>4</sup> როდესაც ვლადიმერ ვერბოვიჩმა ქართულ მწერლობაში,<sup>5</sup> მისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა შორის უნდა აღინიშნოს აგრეთვე ანტიმუსლიმანური, კერძოდ, ანტისპარსული რეაქცია, რომლის გამოშხატველია ილიას უარყოფითი შეხედულება სპარსულ სიტყვაკაზმულ მწერლობასა და მის გავლენაზე. მაგრამ რით უნდა აიხსნას ილიას ასეთი შეხედულება სპარსულ ლიტერატურაზე? საქმე ისაა, რომ იმ დროისათვის ეს მდიდარი და მრავალფეროვანი მწერლობა ჯერ კიდევ არ იყო მადალმხატვრული თარგმანებით გავრცელებული, შესწავლილი და გაანალიზებული იმდენად, რომ ილია ჭავჭავაძეს მასში დაენახა ის დადებითი, პროგრესული და ცხოვრებისეული იდეები, რისთვისაც თვითონვე იღვწოდა.

„აღმოსავლური ლიტერატურებისათვის სრულიადაც არ ყოფილა დამახასიათებელი მხოლოდ ცხოვრებისაგან განდგომა, პირობითობა, სიმბოლურობა და მისტიციზმი, როგორც ხშირად ამტკიცებდნენ ზოგიერთი ორიენტალისტები და ამაში ხედავდნენ „აღმოსავლეთის სულის“ სპეციფიკური ასახვის შეუძლებლობას. სინამდვილეში კი პირიქით, მთელი თავისი არსებობის მანძილზე ეს ლიტერატურები ვითარდებოდნენ პროგრესული და რეაქციული იდეების ბრძოლის საფუძველზე, მათ იცოდნენ სინამდვილის მართალი და რეალისტური ასახვა, ფლობდნენ პიროვნების დრმა ფსიქოლოგიური განცდების გამოსახვის მეთოდებს, მათთვის დამახა-

3 მოგონებები გარდასულ დღეთა... გვ. 371.

4 მოგონებები. გარდასულ დღეთა... გვ. 371.

5 ს. ჩიქოვაძის თხზულებანი, III, გვ. 108.

6 დ. ლაშქარაძის ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში. თბილისი, 1977.



სიათებელია ყოფითი დეტალების ჩვენება, ცხოვრებისეულ სინამდვილეში წყველი, სოციალურ ბოროტებათა სატირული მხილების უნარი და მოქმედებისადმი მკაცრი წოდების მძლავრი პათოსი, ე. ი. ყველა ის ელემენტი, რომელთაგანაც ბურჟუაზიული ეპოქის გარკვეულ ისტორიულ პირობებში ჩამოყალიბდა კრეატიული რეალიზმი — რეალისტური ლიტერატურა სწორედ თანამედროვე გაგებით.<sup>7</sup>

როგორც ეთქვით, არტურ ლასტის გადმოცემით, „ილიას არ უნდოდა, რომ ქართველი მწერლები სპარსულ მწერლობას დაწაფებოდნენ... მას სურდა ქართული ლიტერატურა სპარსული გავლენისაგან გაენთავისუფლებინა და გაევერობილებინა“. მაგრამ ეს პროცესი ქართულ მწერლობაში ჯერ ვიდევ ე. წ. „აღორძინების“ ხანიდან იწყება და ამდენად ილიას მიზანსწრაფვას ნიდაგი უკვე შემზადებული ჰქონდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ სპარსული ლიტერატურის გავლენის ნიშნები ქართულ მწერლობას XIX საუკუნეშიც გადმოჰყვა და ილიას ცდაც საფუძველს მოკლებული არ იყო. იგი წერილში — „ცისკარი“ 1857 წლიდან — 1862 წლამდინა“ კონსპექტურად განიხილავს ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების გზას და შენიშნავს, რომ დ. გურამიშვილია ის პოეტი, რომელმაც სცადა თითქმის პირველად... ევროპეიზმის შემოტანა ლექსის გამოთქმაში.“<sup>8</sup> მისივე აზრით, აღ. ჭავჭავაძე უფრო ხშირად ცდილობდა მავ ევროპეიზმის განვითარებას, მაგრამ მავსაც აქვს ფაგურული ლექსი; გრ. ორბელიანი გამგრძელებელია ევროპეიზმისა; ნ. ბარათაშვილი ბრწყინვალე წარმომადგენელია ევროპეიზმისა.“<sup>9</sup> ამ ცნების მთავარ ნიშნად ჩვენს მწერლობაში ქართული ლიტერატურის ეროვნულ საფუძველზე განვითარებას თვლიდნენ, აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული პოეზიის გავლენისაგან განთავისუფლებას მიიჩნევდნენ და, ევროპული ლიტერატურული გემოვნების შესატყვისად, „გვარდბულბულიანსა“ და ზღაპრული სიუჟეტების წილ ხალხის ჭირ-ვიარამზე ყურადღების გამახვილებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სიძარდილით ასახვას რაცხდნენ.“<sup>10</sup>

ბუნებრივია, აღიძვრის კითხვა, თუ რა წყაროებით შეეძლო ილიას გასცნობოდა სპარსულ ლიტერატურას და რატომ ჩამოყალიბდა მის შესახებ ასეთი აზრი? ამაზე გარკვეული და შეუმცდარი პასუხის ვაცემა, რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ ვარაუდის დონეზე შეიძლება მაინც ჩვენი აზრი ვიქონიოთ. ასე, მაგალითად, რუსულ ენაზე ფირდოუსის პოემის ცალკეული მცირე ნაწყვეტები გამოჩენილია XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ხოლო ვ. უუკოვსკიმ რუს მკითხველს 1849 წ. შესთავაზა „შაჰ-ნამის“ ერთი ყველაზე უფრო დრამატული ეპიზოდის, „როსტომისა და ზურაბის“, შერკინების მის მიერ თარგმნილი და დამუშავებული ეპიზოდი. მას ამისათვის უსარგებლია რუკერტის თარგმანით. ეს კი იმას გვაფიქრებინებს, რომ სამეტომეულის გამოცემაზე ქვეყნდებოდა ცალკეული ეპიზოდების თარგმანები. არაა გამორიცხული გერმანელ პოეტს როსტომ-ზურაბის ეპიზოდიც გამოეცა ცალკე და იქნებ ამიტომაც აღარ შევიდა იგი „შაჰ-ნამის“ გერმანული თარგმანის სამეტომეულში, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. საგულისხმოა, რომ ვ. უუკოვსკის თავის თარგმანზე ერთი მეგობრისათვის მიუწერია: „ეს არ არის წმინდა სპარსული. რაც საუკეთესოა მასში, ეკუთვნის რუკერტს. ხოლო ჩემი თარგმანი არა მარტო თავისუფალია, არამედ თვითნებურია; მე ბევრი რამ მასში უკუ-

7 И. С. Брагинский, К итогам дискуссии. Проблемы становления реализма в литературах Востока. Материалы дискуссии, М., 1964, с. 54.

<sup>8</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, გვ. 157.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> დ. ლაშქარაძე, ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, გვ. 28.



კავდე და ბევრიც ჩემით ჩავეუმატე“. <sup>11</sup> ილიაც „შაპ-ნაშეს“ შეიძლება გასცნობოდა ამ თარგმანით. არაა გამორიცხული, რომ მას სპარსულ ლიტერატურაში ჩაეხედა სხვა წყაროებთან, მაგალითად წაეკითხა საადის „გოლესთანი“, რომლის სამი რუსული თარგმანი მაშინ უკვე არსებობდა (ს. ნაზარიანცის — 1857 წ., კ. ლამპროსის — 1862 წ. და ხოლმოგოროვის — 1882 წ.), აგრეთვე სხვა ნიმუშებიც. მაგრამ ილიას, რომლის შემოქმედების პათოსი იყო „ნიმძრაობა და მხოლოდ ნიმძრაობა“ როგორც „ქვეყნის ღონისა და ძალის მიმცემი“, რომ „მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა“, რომ ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა მივიცეთ მომავალი ხალხს“, ვერ დააკმაყოფილებდა რუსი და დასავლეთევროპელი ორიენტალისტებისა თუ მთარგმნელების მიერ შემოთავაზებული ისეთი სტრიქონები, რომლებშიც სპარსული პოეზია მეითხველის წინაშე წარმოდგებოდა როგორც „აღმოსავლეთის სულის“ სპეციფიკური ფენომენი, მისთვის დამახასიათებელი პესიმიზმით, მისტიციზმით და საერთოდ ამქვეყნიური ცხოვრების უარმყოფი მიხიზნებებით. მაგრამ ამავე სპარსულ ლიტერატურაში დასტურდება აგრეთვე ცხოვრებისეული სინამდვილის ასახვის ასპექტებიც — მოწოდება სოციალური თანასწორობისათვის (თუნდაც ზოგჯერ უტოპიური), აღამიანთა ფსიქოლოგიური განცდების გადმოცემა, ყოფითი დეტალების ჩვენება და სხვა მისთ. ამას ბურჟუაზიული აღმოსავლეთმცოდნეობა ნაკლებად ატყვევდა ყურადღებას და ამიტომაც მკითხველი სპარსული პოეზიის მდიდარ სამყაროს ეცნობოდა ისეთი ლექსებით, როგორიცაა, მაგალითად, რუდაქის მიერ თქმული ეს სტრიქონები:

„ლაღალ იცხოვრე და დატკბი სატრფოს შავი თვალებით,  
რადგან ეს საწუთრო მხოლოდ ზღაპარაა და ქარი“ <sup>12</sup>

ან შაჰიდ ბალხელის პესიმიზმით აღსავსე თქმანი:

„მწუხარებას რომ ცეცხლივით ასდიოფს კეაზლი,  
ნიელი საწყარო კვამლის მარადიულ საბურველში დაინთქმებოდა“ <sup>13</sup>

და ამ მოტივზე დაწერილი მრავალი სხვა.

ილია ჭავჭავაძეს რომ ორიგინალში გაეცნო სპარსული პოეზია, მის მახვილ თვალსა და ოპტიმისტურ სულისკვეთებას ალბათ შეუნიშნავი არ ღარჩებოდა მრავალსაუკუნოვანი სპარსული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი მეტროლი პათოსი: შეუპოვარი მხილება ტირანისა მჭედელ ქავეს მეთაურობით ამხედრებული ვატანჯული ხალხის მიერ (ფირდოუსის „შაჰნამედან“); ილიას კონცეფციაში ამადლებულ შეფასებას მიიღებდა ომარ ხაიამის აბოთქრებული პროტესტი; „ოთარანთ ქვრივის“ ავტორი თავის სიტყვას იტყოდა სასანელთა ირანის

<sup>11</sup> ამის გამო ე. ბერტელის შენიშვნაც; რადგან ვ. შუჟოესკის არ ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა ორიგინალით, მან დაუმასხურებლად მაღალი შეფასება მისცა რუჟერტის ნაშრომს. „საუკეთესო“ რაცაა პოემაში, ეკოლენის არა რუჟერტს, არამედ დიდ პოეტს, რომლის მთელი ტიტანური ძლიერების გადმოცემა მთარგმნელმა დაახლოებითაც კი ვერ შეძლო. მხატვრულობის თვალსაზრისით შუჟოესკის პოემა ვაცილებით მაღლა დგას, ვიდრე რუჟერტის საქმიად ღუნე ლექსები. შუჟოესკიმ გააძლიერა ამ ეპიზოდის ტრაგინიმი (როსტომ-ზურაბის — კ. ფ.), მაგრამ განაგებია, რომ „შაპ-ნაშეს“ ტონისა და ხასიათის გადმოცემა მან ვერ შეძლო. მისი „როსტომი და ზურაბი“ იმის მაგალითია, თუ რაოდენ სახიფათოა თარგმნა სხვისი თარგმანიდან (თუნდაც შედარებით უკეთესისაგან), როდესაც ორიგინალის გაცნობის შესაძლებლობა არაა“. *Е. Э. Бертельс. История персидско-таджикской литературы, М., 1960, გვ. 174.*

<sup>12</sup> თარგმ. ბ. ბრეგვაძისა. იხ. ჯეიმს ღარმსტეტერი, სპარსული პოეზიის სათავეებთან, თბილისი, 1985, გვ. 15.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 19.



(III—VII სს.) ზეიადი შაჰინშაჰის ფარვისისა და ქვისმტები მუშაგადის უბრუნებ, მაგრამ უებრო ვაჟკაცისა და ალაღმართალი ფარჰადის სიყვარულში თანასწორობის ნიშანისეულ გავებაზე (პოემა „სოსროვი და შირინი“), ნიშანისეულ რეალიზმზე; საადის ბედისაღმი მორჩილების სოციალურ და რელიგიურ საფუძველზე „კოლესთანში“ და მრავალ სხვა საკითხზე; რაც სულ უფრო რელიეფური ხდებოდა აზიის „გამოღვიძების“ ეპოქიდან აღმოსავლეთის ხალხთა მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მაღალიდეური და ჰუმანისტური იდეების ძიების შედეგად; განსაკუთრებით XX საუკუნის დამდეგიდან იმ სოციალურ და რევოლუციურ გარდაქმნათა გამო, რომელიც ამ დიდ რეგიონში ზდებოდა.

იმის ცხადსაყოფად, რომ სულ სხვა აზრის იქნებოდა ილია ჭავჭავაძე სპარსულ ლიტერატურაზე, „ვისრამიანის“ 1884 წლის გამოცემა და მასთან ილიას დამოკიდებულებაც საკმარისია. ვფიქრობთ, შეუმცდარი იქნება ჩვენი ვარაუდი თუ ვიტყვი, რომ სხენებული თხზულება იყო ერთ-ერთი პირველი ძეგლი სპარსული მწერლობისა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ მთლიანად გაიცნო საუკეთესოდ შესრულებულ ქართულ თარგმანში და მაღალი შეფასება მისცა მის მხატვრულ ღირსებას, რომელსაც რუსთაველის ყურადღებაც კი მიუპყრობია. ამასთანავე თანარედაქტორებისაგან განსხვავებით, რომლებიც თხზულების წარმომავლობის დადგენაში ერთგვარ მერყეობას იჩენდნენ, ილია ჭავჭავაძემ, ჭეშმარიტების მსახურმა, გარკვეულად აღნიშნა წინასიტყვაობის („ვისრამიანის“ დაბეჭდვის გამო) მისეულ ვარიანტში, რომ თხზულების ორიგინალი სპარსულია და გადმოთარგმნილია ქართულად. ასახელებს ავტორსაც. „ვისრამიანის“ ქართული თარგმანის პირველ გამოცემასთან დაკავშირებით აღძრული საკითხები განხილულია სამეცნიერო ლიტერატურაში.<sup>14</sup> ამიტომ მის შესახებ აქ სიტყვის გაგრძელება ზედმეტად მიგვაჩნება.

**К. ПАГАВА**

**ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ И ПЕРСИДСКАЯ ЛИТЕРАТУРА**

**Резюме**

Великий писатель и просветитель грузинского народа, поборник европеизма Илья Чавчавадзе считал, что в средние века персидская литература отрицательно влияла на грузинскую. Однако вместе с тем он принимал активное участие в издании грузинского перевода прославленного персидского романа «Висрамиани» (XI в.) и, как один из редакторов, дал этому произведению высокую оценку.

По мнению автора статьи, отсутствие в то время полных и высококачественных переводов лучших памятников персидской литературы, а также теоретический уровень востоковедения не давали возможности выявить прогрессивные и демократические идеи многовековой литературы Ирана.

<sup>14</sup> აღ. ბარამიძე, ილია ჭავჭავაძე და ვისრამიანი. ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული, თსუ, 1939.

## ILIA TSCHAWTSCHAWADSE UND DIE PERSISCHE LITERATUR

## Zusammenfassung

Der Verfasser untersucht die Ansichten des hervorragenden georgischen Schriftstellers und Aufklärers Ilia Tschawtschawadse über die persische Literatur. Nach seiner Auffassung hat sie georgische Literatur negativ beeinflußt. I. Tschawtschawadses zeitgenössische Orientalistik war nicht imstande, demokratisch progressive Ideen der persischen Literatur zu verdeutlichen. Es gab damals auch keine guten Übersetzungen in der russischen Sprache. All das zusammengenommen hat die Vorstellungen I. Tschawtschawadses von der persischen Literatur beeinträchtigt.

Inzwischen hat I. Tschawtschawadse die persische Lyrik hoch geschätzt. Er hat an der Herausgabe von "Wisramiani" 1884 teilgenommen.

## აღმოსავლური გვიანობა

### „სიბრძნე სიბრძნისა“ ორი არაქის აღმოსავლური პარალელი

ერთი ჩარჩოთი შემოფარგლული იგავ-არაკების კრებულთა სამშობლოდ ინდოეთი ითვლება<sup>1</sup>. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ ჩვენთვის კარგად ნაცნობი „ქილილა და დამანას“ წინაპარი, თითქმის ორიათასი წლის წინათ შექმნილი „პანჩატანტრა“ („ხუთწიგნედი“). ეს იყო საოცრად პოპულარული, ჭეშმარიტად სახალხო წიგნი. კათოლიკე მისიონერი ჟ. დიუბუა, რომელმაც ოცდაათ წელზე მეტი გაატარა ინდოეთში და 1826 წ. გამოაქვეყნა ამ ძეგლის ფრანგული კომპილაცია, წინასიტყვაობაში აღნიშნა, რომ „პანჩატანტრას“ კითხულობს ყველა ფენის წარმომადგენელი და წერა-კითხვის უცოდინარ ინდოელებშიც კი არ მოძებნება არც ერთი კაცი, ვინც არ იცოდეს მისი შინაარსი<sup>2</sup>. ამ პოპულარობაზე მეტყველებს ათეულობით სანსკრიტული ვერსია, აგრეთვე „პანჩატანტრას“ ქარგისა და მოდელის მიხედვით აგებული მრავალი ძეგლი: „პიტოპადეშა“ („ბრძნული დარიგება“, დაახლ. IX—X სს.), „ვეტალაპანჩაინშატი“ („ვეტალას ოცდახუთი არაკი“, დაახლ. V—VII სს.), „შუკასატატი“ („თუთიყუშის სამოცდაათი არაკი“, დაახლ. V—VII სს.) და სხვ. საკმარისია ითქვას, რომ არსებობს მხოლოდ „პანჩატანტრასა“ და მისგან მომდინარე არაბულ-სპარსული „ქილილა და დამანას“ ორასამდე თარგმანი სამოცზე მეტ აღმოსავლურ და დასავლურ ენაზე. არანაკლებ ვრცელდებოდა სხვა ძეგლები (მაგ. „შუკასატატი“ და მისგან მომდინარე „თუთინამე“).

რა განაპირობებდა ერთი ჩარჩოთი შემოფარგლული ინდური კრებულების ასეთ დიდ პოპულარობასა და გავრცელების უსაზღვრო დიპაზონს უმთავრესად ინდოეთიდან ირანული (საშუაღმოსავლური) და არაბული სამყაროს გავლის გზით მთელ მსოფლიოში? პირველ ყოვლისა ეს იყო ფორმალური მხარე: ჩარჩოსებრი კომპოზიცია (ზოგჯერ ერთ დიდ ჩარჩოში ჩასმული იყო უფრო მომცრო ჩარჩოები) შესაძლებლობას იძლეოდა ჭრელი და მრავალფეროვანი ჩანართი იგავ-არაკების ორგანული გაერთიანება-დაკავშირებისა როგორც ერთმანეთთან, ისე მთლიანად ჩარჩოსთან. ეს გარემოება აადვილებდა ამ ქანრის თხზულებათა ადაპტაციას ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ კულტურულ გარემოცვაში. მათი თარგმნა-გადაკეთებისას ადვილი იყო საილუსტრაციო მასალის შენაცვლება ადგილობრივი ფოლკლორული თუ ლიტერატურული ნიმუშებით. უფრო მეტი, ზშირად ამ მოდელის მიხედვით იგებოდა სრულიად ახალი, ორიგინალური თხზულება (მაგ. არაბული „ათასერთი ღამე“, „სინდბადნამე“, რომელთა პროტოტიპები ფალაურ

<sup>1</sup> П. И. Гринцер, Древнеиндийская проза (обрамленная повесть), М., 1963.

<sup>2</sup> П. А. Гринцер, Индийская обрамленная повесть как массовая литература средневековья (в сб.: Классические памятники литератур Востока), М., 1985, с. 31.

მწერლობაში ივარაუდება; ესპანური „გრავი ლუკანორი“; იტალიური „დეკამე-რონი“, ქართული „სიბრძნე სიცრუსა“ და ა. შ., თვით ჩვენ დრომდე).

მაგრამ კომპოზიციურ თავისებურებასთან ერთად ამ ტიპის კრებულთა მასობრივობას განაპირობებდა მისი შინაარსის მიწვიდველობა, ხელმისაწვდომი სიმარტივე და სიბრძნე, პრაქტიკული დანიშნულება. ამ გაერთიანებულ ივავ-არაკთა უმრავლესობა ფოლკლორული წარმომობისა იყო, მაგრამ უანრის თვალსაზრისით ისინი უკვე ატარებენ წმინდა ლიტერატურული დამუშავების ნიშნებს. ზღაპარი, ნითი, ლეგენდა განიცდის სტილურ და თემატურ სახეცვლილებას, კარგავს ზღაპრულ ატმოსფეროს, იძენს ზუსტ გეოგრაფიულ თუ ისტორიულ მისამართებს. მისი სიუჟეტი დაძაბულია, კვანძის გახსნა კი — მოულოდნელი და გონებაშახველური. ამავე დროს ის აუცილებლად გაუღენთილი უნდა იყოს დიდაქტიკური განწყობით<sup>3</sup>.

ეს დიდაქტიკური განწყობა თანაბრად ახასიათებს როგორც ჩარჩოს, ისე საილუსტრაციო არაკების უმრავლესობას. მაშინაც კი, როცა არაკები მხოლოდ მკითხველის გასართობადაა მოტანილი, მათ ეკისრებათ გარკვეული პრაქტიკული დანიშნულება (თუნდაც ინფორმაციული სახისა). ამასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გაარქობას; ხშირად ერთ კრებულში თავმოყრილი არაკები ერთმანეთის საწინააღმდეგო დასკვნებს გამოტანის შესაძლებლობას იძლევა, ხნეობრივი თვალსაზრისით არაერთგვაროვანია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასეთ დროს მათ განლაგებას, სიუჟეტურ ჩარჩოსთან კავშირს. ამ თვალსაზრისით აღრიდანვე ჩამოყალიბდა რამდენიმე ტიპის კრებული: საუკეთესო შემთხვევაში ჩარჩო და საილუსტრაციო მასალა მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, სიუჟეტის განუთარება დამოკიდებულია მასალის დიდოსტატურ შერჩევა-მონაცვლეობაზე. უნეტეს შემთხვევაში ეს ჩარჩო შესუსტებულია და მხოლოდ ფორმალურად აერთიანებს ამ თავმოყრილ ივავ-არაკებს. დაბოლოს, არც თუ იშვიათია გასართობ ნიშნითა შერება ყოველგვარი ჩარჩოს გარეშე, უკეთეს შემთხვევაში თემატურად (საუხვისათვის, სიძუნწისათვის, სიყვარულისათვის და ა. შ.). მაგრამ უბნისიერი ტიპის კრებულში წამყვან რგოლს წარმოადგენს საილუსტრაციოდ შერჩეული მასალა, ცალკეული არაკი, მისი დამუშავების დონე და წარმოთქმის ადგილი. ამდენად, ყოველი არაკი წარმოადგენს ჩარჩოიანი კრებულის შემდგენლის (ანონინისა თუ კონკრეტული ავტორის) კუთვნილებას და, შეიძლება ითქვას, ქნაილებას, რადგან თვით მისი შერჩევის აქტი, თხრობის ხერხები აუცილებლად გულისხმობენ შემოქმედებით მიდგომასა და სუბიექტურ ელენენტს<sup>4</sup>.

ამდენად, ამა თუ იმ კრებულის მონოგრაფიული განზიდვისას საჭიროა არა მხოლოდ ჩარჩოს, არამედ ყოველი საილუსტრაციო არაკის შედარებითი შესწავლა, მისი წყარობისა თუ პარალელების დადგენა არა მარტო ტიპოლოგიური თუ გენეტური კავშირების გამოვლენის მიზნით, არამედ ყოველი მათგანის ინდივიდუალურ თავისებურებათა და ღირსებათა წარმოსაჩენად<sup>5</sup>.

ყოველივე შემოთქმული შესანიშნავად უდგება სულხან-საბა ორბელიანის სახელგანთქმულ თხზულებას „სიბრძნე სიცრუსა“. საესებით სამართლიანად აღნიშნა ლიანა კეკელიძემ: „სულხან-საბა ორბელიანმა ქართულ მწერლობაში დაანკვიდრა ივავ-არაკული უანრი. მანამდე ივავ-არაკი ორი სახით გვხვდებოდა: ან სხვა უანრში შემავალ ნაწვევებად, როგორც ამა თუ იმ დებულების არგუ-

<sup>3</sup> П. А. Гринцер, *Индийская обрамленная повесть...*, с. 34—38.  
<sup>4</sup> С. Ольденбург, *Странствующие сказки*, «Восток», № 4, 1924.  
<sup>5</sup> ამ მხრივ სანამუშაო ბაილიზხაშან ფურუხანფარის მონოგრაფია ველაღედინ რუმის „მეს-ნეიში“ ჩართული ივავ-არაკების აღმოსავლური წყარობის შესახებ.

მენტორების ან ილუსტრირების საშუალება, ან თარგმნილი კრებულების სახით („სიბრძნე ბალავარისა“, „ქილილა და დამანა“ და სხვა). მართალია, ანგვარებულ არაკს არ აკლდა უანრისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები და მხატვრული ოსტატობა, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში იგი, როგორც დამოუკიდებელი ლიტერატურული უანრი, მხოლოდ „სიბრძნე სიცრუისას“ შემდეგ არსებობს<sup>6</sup>.

აქ უბირველესად იგულისხმება ერთი ჩარჩოთი შემოფარგლული იგავ-არაკების კრებული. ამასთან სულხან-საბა ორბელიანმა მოგვცა ჩარჩოსა და საილუსტრაციო არაკების იდეალური შერწყმა, როდესაც სიუჟეტური დინამიკა ვითარდება სწორედ იგავ-არაკების ელვისებური მონაცვლეობით და ამავე დროს არ კარგავს დამოუკიდებელ ინტერესს, ამ მხრივ საყურადღებოა რევაზ ბარამიძის ექსპერიმენტი, როდესაც მან საილუსტრაციო მასალა გამოაცალა „სიბრძნე სიცრუისას“ და მხოლოდ შიშველი, თავისთავადი მნიშვნელობის მქონე ჩარჩო წარმოადგინა<sup>7</sup>. აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა მტკიცე კავშირი ჩარჩოსა და არაკებს შორის<sup>8</sup>.

მაგრამ ვიდრე უშუალოდ „სიბრძნე სიცრუისას“ ჩვენთვის საინტერესო არაკებსა და მათ პარალელებს შევხებოდეთ, მოკლედ უნდა განვიხილოთ ერთი საკითხი: რამდენად ზუსტია ვახტანგ მეექვსის ცნობა, რომ „ქილილა და დამანას“ ძველი ქართული თარგმანიდან რამდენიმე არაკი „ქართლის ცხოვრებაშია“ ჩართული. ამ საკითხის ირგვლივ მთელი ლიტერატურა შეიქმნა. დაწვრილებით განიხილა იგი ლიანა კეკელიძემ საგანგებო ნაშრომში „იგავ-არაკი ძველ ქართულ მწერლობაში“<sup>9</sup>. ახლახან შეეხო მას გ. წულაია მის მიერ რუსულად თარგმნილი ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისას“ წინასიტყვაობაში<sup>10</sup>. საქმე ეხება „ქილილა და დამანას“ არაკს „ქორის ბარტყი და ყორანი“. მისი პარალელი მართლაც გვხვდება ჯუანშერის თხზულებაში სინდთა მეფის არაკის სახით, რომელსაც იგი ვახტანგ გორგასალს უყვება. ოღონდ აქვე უნდა ითქვას, რომ სხვაობა მათ შორის მაინც საგრძნობია („ქილილა და დამანას“ მიხედვით ვრცლად, შიგ ჩართული დამატებითი არაკების მეშვეობით მოთხრობილია, როგორ გაზარდა ყორანმა ბუდიდან გადმოვარდნილი ქორის ბარტყი (ქულა), რომელიც მისი გამზრდელის ფრთებქვეშ ყოფნას აღარ მოისურვებს, გაფრინდება, ჯერ კაკებს და დურაჯებს დაერევა, შემდეგ კი სამეფო მონადირის თანამდებობასაც მიიღებს... სინდთა მეფის მიხედვით კი ყვავი არწივის მიერ დაგლეჯილ ქორს წააწყდება, მოუვლის, მოარჩენს, ეს უკანასკნელი კი მის მიერ მორთმეულ კალიასა და გველს აღარ დასჯერდება და თვით ყვავს შეჭამს, მით ძალას მოიკრებს და ნადირობას დაიწყებს...). ლ. კეკელიძის დასკვნით, „ქილილა და დამანას“ და სინდთა მეფის არაკს ერთი და იგივე სიუჟეტური ქარგა აქვთ, მაგრამ იგრძნობა, რომ ჯუანშერს არაკი შემოქმედებითად გადაუმუშავებია“<sup>11</sup>.

<sup>6</sup> ლ. კეკელიძე, „სიბრძნე სიცრუისა“ როგორც იგავ-არაკული უანრის თხზულება და მისი ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები (კრებ. „ძველი ქართული ლიტერატურა“, XI—XVIII), თბ., 1977, გვ. 125.

<sup>7</sup> რ. ბარამიძე, ქართული მწერლობის შესწავლისათვის, თბ., 1986, გვ. 99—128.

<sup>8</sup> ა. გვახარია, ერთი მხარე „სიბრძნე სიცრუისას“ კომპოზიციისა, „ლიტ. ვაჭეთი“, № 56, 1959.

<sup>9</sup> კრებ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები“, VII—VIII, თბ., 1976.

<sup>10</sup> Джуаншер Джуаншеряни, Жизнь Вахтанга Горгасала, перевод, введение и примечания Г. В. Сулая, Тб., 1986, с. 32—33.

<sup>11</sup> ლ. კეკელიძე, იგავ-არაკი ძველ ქართულ მწერლობაში..., გვ. 55.



ჯერ ერთი, მნელია ითქვას, რომ მათ ერთი სიუჟეტური ქარგა აქვთ, მათ უფრო საერთო წყარო აქვთ. რაც შეეხება ჯუანშერის მიერ შემოქმედებით გადამუშავებას, უნდა ითქვას შემდეგი: მაგალი თოდუამ უარყო ამ არაქის წარმომადგენლობა ჯუანშერის ტექსტში „ქილილა და დამანას“ იმ დამაფიქრებელი სპეხუთით, რომ პირველად ეს არაქი გვხვდება XV ს. ვაგზ ქაშეფის მიერ შედგენილ ვერსიაში „ანვარე სოჰაილი“. მინამდე, არც არაბულ (მუსყაფასეულ) და არც სპარსულ (ნასრალაჰისეულ) ვერსიებში იგი არა გვაქვს<sup>12</sup>. არანაკლებ დამაფიქრებელი და გონებამახვილური პასუხი მოუძებნა ამ არგუმენტს ლ. კეკელიძემ: „...საგულისხმია, რომ „ვისრამიანის“ ქართულ რედაქციაში გამოყენებულია „ქილილა და დამანას“ ამ იგავ-არაქის სიუჟეტი. აი, ნაწყვეტი ტექსტიდან: რამინი გულოს დაუკავშირდა, ვისიმ შეიტყო ამის შესახებ და რამინის დამკარგავი მწარედ მოთქვა: „მე ჳელად მიწნდა ქორისა ზრდა და დავება, გავზარდე ერთი მართეუ ათასითა ნებეირობითა. რა იკაბოეტა, ახალი ნაკრტენი მოიწყო, ალაღდა და აფრინდა, კაკაბთა დევნა დაიწყო. მე ჩემთოის მონადირე მეგონა, ანაზდად ესრე წამივიდა, რომელ ჰაერთა შიგან უჩინო მექნა. აწ დამაშურალ ვარ დევნით და დაკარგულია ძებნითა“. აქ ზუსტი დამთხვევა გვაქვს: ყვაგმა (ამ შემთხვევაში ვისი თავის თავს ყვაეს ადარებს) გავზარდა ქორის მართეუ; როდესაც გაიზარდა, ფრთები დაისხა, კაკებს დაუწყო დევნა. არ არის მხოლოდ ბოლო ნაწილი, როდესაც ქორი სამეფო ფრინველი გახდა. ყოველივე ეს საბუთს გვაძლევს დავსკვნათ: რომ ყოფილა რომელიღაც, დღეისათვის უცნობი, რედაქცია „ქილილა და დამანასი“, რომელშიაც აღნიშნული იგავ-არაქი ადრევე შეუტანიათ, და არა მე-15 საუკუნეში; აქედან კი სხვა ხალხთა ენაზედაც გამხდარა ცნობილი“<sup>13</sup>.

მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ეს იგავი არ წარმოადგენს „ვისრამიანის“ ქართული რედაქციის კუთვნილებას, იგი აქ გადმოვიდა „ვის ო რამინის“ სპარსული ტექსტიდან, სადაც უფრო სრული სახითაა წარმოდგენილი დეტალების თვალსაზრისით:

„მე ქორია აღზრდა მონესურვილა,  
 ვზრდიდი ერთ ქორს ასი ნაზობით.  
 დღესით წყავლა იგი ვერცხლის ზელზე [დასპული],  
 დამით მხოლოდ ბალიშზე ვასვენებდი.  
 როდესაც დასცივდა დედისაგან თანდაცოლილი ბუმბული,  
 სხვა ფრთები ამოუვიდა და გაფრინდა.  
 ისწავლა ჩემი ხელიდან აფრენა,  
 თავის ნებაზე კაკებსაც განოდევენება.  
 ასე შეეგონა, ისწავლიდა ნადირობას;  
 იწებოლა ჩენი ნუგეშისმცემელი.  
 უეტრად გამისხლტა ზელიდან,  
 დრუბლებში თვალს მიეფარა...“<sup>14</sup>

ამ იგავის გაჩენის ასახსნელად „ვის ო რამინის“ სპარსულ (და აქედან ქართულ) ტექსტში არ არის აუცილებელი უცნობი „ქილილა და დამანას“ (მით უფრო მისი ქართული რედაქციის) არსებობა კლასიკურ პერიოდში. ასევე, ჯუანშერსაც პტონდა, როგორც ჩანს, რაღაც სხვა წყარო სინდთა მეფის არაქის შესაქმნელად<sup>15</sup>.

<sup>12</sup> მაგალი თოდუა, „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია, თბ., 1967, გვ. 79-80.  
<sup>13</sup> ლ. კეკელიძე, იგავ-არაქი ძველ ქართულ მწერლობაში..., გვ. 56-57;  
<sup>14</sup> ვის ო რამან, მ. თოდუას და ა. გვახარიას რედაქციით, თბილისი, 1970, გვ. 347 (სპარს. ენაზე).  
<sup>15</sup> Г. В. Цулая, Джуаншер Джуаншеряни и его исторический труд (Введение к русскому переводу «Жизни Вахтанга Горгасала»)..., с. 33.



ასლა კი კვლავ სულხან-საბა ორბელიანის თხზულებასა და მის არაკვებ დაეუბრუნდეთ. „სიბრძნე სიცრუისას“ არაკვების წყაროებთან დაკავშირებით მოთქმულია მრავალი საყურადღებო მოსაზრება. ამ არაკვების პირველი მეცნიერ-კომენტატორი და მთარგმნელი ალექსანდრე ცაგარელი ნაწარმოების გვემას თვლიდა ორიგინალურად, არაკვების ნაწილს — ფოლკლორული, ნაწილს კი უცხოური გზით შემოსულად, ოღონდ ეს უკანასკნელი უძველესი ზეპირგადმოცემების დროინდელად მიიჩნდა<sup>15</sup>.

კორნელი კეკელიძე თხზულების ქარგას „ბალავარიანის“, „ქილილა და დამანას“, „თამარიანის“ ჩარჩოს უახლოვებს, ხოლო „რაც შეეხება იგავ-არაკვებს, არც ერთი მათგანი საბას მოგონილი ან უცხო კრებულებიდან ამოღებული არ უნდა იყოს, ისინი ამოღებულია, მართლაც ხალხური წიადიდან“<sup>17</sup>.

ფრთხილად უდგება ამ საკითხს ალექსანდრე ბარამიძე, რომელიც თუმცა ძალაში ტოვებს ფოლკლორულ წყაროს, როგორც ძირითადს, ამავე დროს არ გამოირიცხავს უცხოურ წყაროებს: „სულხანს შეეძლო ესარგებლა მწიგნობრული წყაროებითაც, მაგრამ ქართულ ენაზე არსებული წყაროებით“<sup>18</sup>. ამ უკანასკნელ მოსაზრებასთან დაკავშირებით ჩვენ გვქონდა შემთხვევა საბას არაკვის „უბედური დიდგაჭრის“ წყაროდ მიგვეთითებინა „ბახთიარნამეს“ ვახტანგისდროინდელი ქართული თარგმანის „ბედუკულმართი ვაჭრის ანბავი“<sup>19</sup>.

მაგრამ, ვიმეორებთ, აუცილებელი არ არის ყოველთვის გენეტური კავშირის ძიება, თანაც მხოლოდ ქართულ ენაზე არსებული წყაროების მიხედვით, რადგან ტიპოლოგიური პარალელებიც კი საყურადღებოა სულხან-საბა ორბელიანის დიდოსტატობის ნათელსაყუფად. ამ მხრივ საინტერესო დაკვირვებანი აქვთ წარმოდგენილი ნიკო მარს, ზურაბ ავალიშვილს, ილია აბულაძეს, სოლომონ იორდანიშვილს, გერონტი ქიქოძეს, აკაკი გაწერელიას, ქსენია სიხარულიძეს, რევაზ ბარამიძეს. სულ ახლახან ვრცელი წერილი „სიბრძნე სიცრუისას“ ნიმართებას შუასაუკუნეების სომხურ იგავ-არაკვების კრებულებთან მიუძღვნა გიგლა ბარამიძემ<sup>20</sup>. ჩვენი ცდაც ამ მიმართულებით გადადგმულ მოკრძალებულ ნაბიჯს წარმოადგენს.

XII საუკუნის ცნობილი აზერბაიჯანელი სპარსულენოვანი პოეტის ნიზამი განჯელის პირველი პოემა „მანხან-ულ-ასრარ“ („საიდუმლოებათა საგანძური“) წარმოადგენს დიდაქტიკური ჟანრის საყურადღებო ძეგლს. მას არ გააჩნია ერთიანი ჩარჩო, იგი შედგება ოცი თავისაგან, რომლებიც ეძღვნება სამართლიანობას, სიბერეს, სოფლის გაუტანლობას და სხვ. ყოველ მათგანში ჩართულია საილუსტრაციო არაკვები. ნიზამი ალევგორიულად მოუწოდებს შირვანის შაჰებს, რომელთა მმართველობის დროს მოუხდა მას მოღვაწეობა, სამართლიანობისა და სიკეთისაკენ. ამ პოემაში გვხვდება ორი არაკვი, რომელთა ანალოგიები წარმოდგენილია „სიბრძნე სიცრუისაში“. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი მათგანის მოქმედება სწორედ შირვანში იშლება (პირობითი სათაურია „უსამართლო შირვან-

<sup>15</sup> Книга мудрости и лжи, СПб. 1878, с. VI.

<sup>17</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, თბ., 1952, გვ. 351.

<sup>18</sup> ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1953, გვ. 262.

<sup>19</sup> ა. გვახარია, „სიბრძნე სიცრუისას“ ერთი არაკვის შესახებ, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, № 7, 1955, გვ. 117—125.

<sup>20</sup> გ. ბარამიძე, მხითარ გოშის, ვარდან აივაცისა და სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკვითა ურთიერთმიმართებისათვის, „კრიტიკა“, № 5, 1986, გვ. 88—98.



შაპ“). ნიშანისთან ანუ შირვანი და მისი ვეზირი ნადირობისას ჭოტების საუბარს შეესწრებან. ვეზირი უხსნის, ქალის პატრონი ნანგრევებს ითხოვს სასიძოვს მშობლისაგან. ვე არ არის ძნელი, თუ ჩვენი შაპი დიდხანს იმეფებს, ათასობით გაპარტახებულ სოფელს მოგართმევო. ანას მოსდევს ანუ შირვანის ვრცელი მონანიება და გამოსწორება. საბას არაკის ქარვა იდენტურია ნიშანისა, ოღონდ დამატებულია საინტერესო დეტალი მორივარი კაცისა, რომელმაც ფრინველთა და მხეცთა ენის ცოდნა დაიბრალა და მით გადარჩა სიკვდილს; ვეზირმა ციოქოს მისგან ისწავლა ეს ენა და სინამდვილეში შაპს თავისი მოსაზრება წაუყენა ჭოტების საუბრის საბაბით. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ორივეგან ქალის პატრონები ითხოვენ პირის სანახავს აღმოსავლური ადათის მიხედვით<sup>21</sup>.

ამჯერად უფრო სხვა არაკი გვიანტერესებს (პირობითი სათაურით „მეფე და დალაქი“): „ინდოთ მეფე აბანოს იბანებოდა და დალაქი თავსა პარსავდა. რა ყელთან სამართებელი მიიღო, მეფეს უთხრა: შენი ასული შემერთეო. გაუკვირდა მეფესა და მიცემას დაჰპირდა. გამოვიდა აბანოდამ, ვაზირთა ჰკითხა: ვით შემომდგა ქალის თხოვაო? მათ მოასხენეს: ფერხი საღაროსა ზედა სდგმია და მას უთქმევიანებიაო. მოთხარეს აბანოს ძირი და სულ ოქროთა და ვერცხლითა სავსე იყო“ (თხზულება, I, გვ. 63).

ნიშანის პოემის მეცხრამეტე თავში იკითხება არაკი „ჰარუნ-არ-რაშიდი და დალაქი“:

„ერთხელ შუალანისას პარუნ-არ-რაშიდმა თანანცხედრეს აქცია ზურგი,  
 მოსახუნებლად აბანოს მიაშურა.  
 დალაქმა თავის პარსვა რომ დაუწყო,  
 თმა მოაცილა და სადარღებელი გაუჩინა;  
 — „შენ კარგად უწყე ჩენი ოსტატობა,  
 გამომარჩიე დღესვე ჩემი სამკობით.  
 გაცეცა ბრძანება დაუცოვებლავ,  
 რათა შენი ქალიშვილი ჩემი საცოლუ გახდეს!“  
 ხალიფას გუნება აემღვრა და აღდგა,  
 შემდეგ სარცხელმა თავი შეაკავებინა.  
 თქვა: აღმათ სიკისგან გონება დაუბნელდა,  
 ჩენმა ნახვამ ჭკუაზე გადააციონა.  
 გონდაკარგულმა წამოიროშა ასეთი სისულელე,  
 სხვა შემთხვევაში როგორ განიბეღავდა ასეთ თხოვნას.  
 მეორე დღეს კვლავ გამოსცადა დალაქი,  
 დირემზე ფიციე სიქა აღიბეჭდა (ე. ი. ფიციე განშეორდა).  
 რამდენჯერმე მოუწყო ასეთი გამოცდა,  
 დალაქს არ შეუცვლია თავისი პირობა.  
 როდესაც ვეღარ ვაერკვა პარუნი ამ ბნელ საქმეში,  
 ვეზირთა ვეზირს უამბო ყოველთვე.

<sup>21</sup> როგორც ს. იორდანიშვილმა მიუთითა, ამ არაკის პარალელი ექსტრემა XII ს. სირიელი მწერლის აბულ-ფარაჯ ბარ-ბერტის „გასართობ იგავ-არაკთა წიგნში“ (Мудрость лжи, перев. Ал. Цагарели, редакция, предисловие и комментарии С. Иорданшвили, Тб., 1939, с. 201; Абуль-Фирадж, Книга занимательных историй, М., 1957, с. 114). ერთი ბეითი ნიშანის არაკიდან ანდაზის სახით შეტანილი აქვთ მ. ლაფაროვსა და ვ. გორდლევისს სპარსული ანდაზების კრებულში და იქნეა წარმოდგენილი ამ არაკის მოკლე შინაარსი ვარკვეული ვარიანტული სხვაობით (მეფე მაჰმუდ დაზნელი, მისმა ვეზირმა ფრინველთა ენა იცის და ა. შ.). იხ. М. А. Гаффаров и Вл. Гордлевский, Персидские пословицы, транскрипция, перевод и комментарий, оттиск из «Древностей Восточных», т. IV, в. I, М., 1913, с. 18—19.

დალაქის ვალანს მოსწყდა ეს უხეშობა,  
გამოარკვევ, რა ამბავია ჩემს თავს.  
როგორ იფიქრა ჩემი სიძეობა,  
როგორ აკადრა ეს უზრდელობა?  
ყოველთვის ბედისწერასავით მომეგლინება,  
ქვას მესვრის მეც და ჩემს გვარსაც.  
ენის ნაცვლად ხანჯალი აქვს და ხელში სამართებელი,  
თავი ორ მახვილს შუა მაქვს ვაგლახად მოქცეული.  
ვეზირმა მიუგო: შეუნდე ეს საქციელი,  
იქნებ ფეხი გა ა ნ ძ ე უ დგას?!  
როდესაც კვლავ თავზე დაგადგება ის საცოდავი,  
უბრძანე, ადგილი გამოიცვალოს.  
თუ ისევ ისეთი ღარჩა, თავი მოკვეთე,  
თუ არა და ის ბირეული ადგილი მოთხარე,  
როგორც კი დალაქმა ადგილი იცვალა,  
მისი გუნება შეის გამოიცვალა.  
სიტყვაძუნწი შეიქნა და ბავშვეერილი,  
თვალეზღაბრილი და ზრდილობაანი.  
ვიდრე ფეხი განაშე ედგა,  
მეფური იერი სახეზე ეხატა.  
როგორც კი ფეხი განაშს გადაუცდა,  
თავი კვლავ სადალაქოში იგარძნო.  
სწრაფად მოთხარეს ის ადგილი, სადაც ადრე იდგა,  
მის ფეხქვეშ დიდძალი გა ა ნ ძ ი იმოფეს.  
ვისაც ფეხი განაშე უდგას,  
რაც მოადგება ენაზე, ყველაფერს იტყვის...“<sup>22</sup>

როგორც ვხედავთ, საერთოა ქარგა, მოქმედი პირები, მოქმედების ადგილი, დასკვნა. განსხვავებაა საბაზს გასაოცარ ლაკონიზმში და ნიზამის მრავალსიტყვაობაში, რაც ფორმის სხვაობითაა გაპირობებული.

მაგრამ საინტერესო ის ვახლავთ, რომ ეს არაკი აღმოჩნდა ნიზამიზე უფრო ადრინდელ წყაროში, სახელგანთქმული პოეტის ომარ ხაიამის პოეზიაში დაწერილ ისტორიულ ტრაქტატში „ნოვრუზნამე“ („სახალწლო წიგნი“), რომელშიც აღწერილია ნოვრუზთან დაკავშირებული ხალხური წარმოდგენები. იგი შედგება თავებისაგან „ოქროსათვის“, „მახვილისათვის“, „მშვილდისრისათვის“, „ცხენისათვის“, „ღვინისათვის“ და ა. შ. თავები ილუსტრირებულია იგავ-არაკებით. ჩვენთვის საგულისხმო არაკი ვხვდებოდა თავში „ოქროსათვის“, სადაც აღწერილია ამ კეთილშობილი ლითონის ძალა: „პეჭ ა ი ა თ ი“. ერთხელ ნუშინრაევანმა იხმო ბადში და ლ ა ქ ი, რათა მისთვის თავი გადაეპარსა, როდესაც დალაქმა მას თავზე ხელი დაადო, უთხრა: — „თუ შე ნ ს ა ს უ ლ ს ცოლად შემრთავ, კეისრის ქვეყანაზე ზრუნვისაგან ვაგათავისუფლებო“. ნუშინრაევანმა გაიფიქრა, ეს კაცუნა რას ბედავსო, საშინლად გაუკვირდა, მაგრამ სამართებლის შიშით ვერაფერი შეხედა და მიუგო: — „სიამოვნებით, ოღონდ ჯერ გამპარსეო“. როდესაც დალაქმა ის გაპარსა და წავიდა, იხმო ბუზურჯმიძრი და ყველაფერი უამბო. ე ვ ზ ი რ მ ა ბრძანა დალაქის მოყვანა და ჰკითხა, მბრძანებელს რომ პარსავდი, რა უთხარიო? არაფერიო, მიუგო დალაქმა. მაშინ ვეზირმა გაათხრევინა ის ადგილი, სადაც დალაქი იდგა, მეფეს რომ პარსავდა, იქ იმდენი გა ა ნ ძ ი აღმოჩნდა, დათვლა არ შეიძლებოდა. ბუზურჯმიძრმა მოახსენა: მეფეთმეფეო, ის

<sup>22</sup> ნ ი შ ა მ ი ვ ა ნ ჯ ა ვ ი, მახან-ულ-ასრარ, ბაქო, 1960, 234—236 (სპარსენაზე).



სიტყვები დალაქს ამ განმმა ათქმევინა, რადგან არაბულად უთქვამთ: ვისაც ფეხქვეშ განძი ეგულება, უფრო მეტს ითხოვს, ვიდრე იმსახურებს<sup>23</sup>.

როგორც ჩანს, ეს არაჟი გავრცელებული ყოფილა მასლობელ აღმოსავლეთში. საბასეული დამუშავება ღირსეულ ადგილს იმკვიდრებს მის სხვადასხვა ვარიანტებს შორის (დეტალების მხრივ ის უფრო ახლოსაა ნიზამისთან).

მეორე არაჟი (პირობითი სათაურით „მეფე და მხატვარი“), რომლის აღმოსავლური პარალელი გვინდა აქ მოვიხმოთ, შემდეგი შინაარსისაა: „მეფე ლავდიკისა“<sup>24</sup> იყო ბრმა ცალის თვალითა. ჰყვა მხატვარი ზელოვანი და მიზეზსა ეძებდა მის მხატვრისასა. უბრძანა: — მინდა მსგავსი ჩემი ხატი დამიხატო! თქვა გულსა შინა მხატვარმან: — აჰა, მოვიდა დღე აღსასრულისა ჩემისაო. თუ ბრმა დავხატო, მომკლავს, ვით მკადრო, და თუცა ორთვალი, მომკლავს, ოდეს არს მსგავსი ჩემიო? მოიპოვა ესე ღონე: დახატა ირემი, მეფესა ზელთ თოფი მისცა, ბრმა თვალი დაუხუჭა და მიართვა მეფესა. ამ საქმეს მიზეზი ვერა ჰპოვა და მორჩა მხატვარი იგი“ (თხზულებანი, I, გვ. 23).

ამ არაჟის პარალელი სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა XVI ს. ირანელი კალიგრაფის ყაზი აჰმადის ტრაქტატში, რომელიც მიეძღვნა ცნობილ მხატვრებსა და კალიგრაფებს. აქ დეტალურად არის აღწერილი არაბული დამწერლობის სხვადასხვა სტილი და ხელნაწერთა მინიატურებით შემკობის ოსტატობა. ტრაქტატი უხვად არის დანშევნებული დეკუსით თუ პროზით გაწყობილი არაჟებითა და შესანიშნავი მინიატურებით — ილუსტრაციებით. ჩვენთვის საინტერესო არაჟი მოთავსებულია დასვენით ნაწილში. აქვე უნდა ითქვას, რომ მოსკოვური ხელნაწერი, საიდანაც შესრულდა რუსული თარგმანი, დეფექტურია. დაზიანებულ ადგილებს შორის მოხვდა განსახილველი არაჟიც, მაგრამ შინაარსის აღდგენა სიმნელეს არ წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ არაჟი დასურათებულია: მინიატურაზე გამოსახულია ცალთვალნობუჭული მეფე მშვილდისრით ზელში, მუხლმოყრილი მხატვარი, მხლებლები, უკანა პლანზე სურათში სურათთა დახოცილი ირმებით...<sup>25</sup> არაჟი გალექსილია:

„მოკეთხრობენ, რომ იყო ერთი შაჰი,  
სახით მოვარის მსგავსი, ნზეხაიით ღიღებული.  
სახე კი არა, ყაყაოს ბალი ჰქონდა,  
ზედ გოშლელი ნარგისებით დანუწუნებული.  
მას ჰყავდა დაახლოებული თანაინახე,  
რომელსაც ნიჯი ჰქონდა ზელებში.  
მანის<sup>26</sup> მსგავსად ხატავდა იმგვარად,  
რომ მისა ნონახაზი ბედის ბეჭედს ენსგავებოდა.  
ქვაზე რომ წყალს გამოსახავდა,  
ვინც კი ნახავდა, დოქს შეაღწავდა.“<sup>27</sup>

<sup>23</sup> Омар Хайям, Трактаты, перевод Б. А. Розенфельда, М., 1961, с. 198: (აქვე მოთავსებული „ნაერუნამის“ სპარსული ტექსტის ფოტოკოპი, გვ. 86).

<sup>24</sup> ლავდიკა, ლავდიკა — რამდენიმე ქალაქის სახელწოდება აღმოსავლეთში (შდრ. ს. ი. ო. რ. დანიშვილი: „ქალაქ ფრეიაში; ავტრეი — ირანისა ინდოეთს სხედვარზე, თეირანის სამართეთ-აღმოსავლეთით“. „სიბრძნე სიტრუსა“, 1938, გვ. 182).

<sup>25</sup> Казим-Ахмед, Трактат о каллиграфях и художниках, введение, перевод и комментарии Б. Н. Заходера, М.—Л., 1947, с. 136 (мнн. VII),

<sup>26</sup> მანი, მანიქეველთა მოძღვრების მამამთავარი, ეადმოცემის მიხედვით იყო შესანიშნავი მხატვარი, სურათების გაღვრვის („არჟანგ“) ავტორი.

<sup>27</sup> ჩანს, აქ გადაკერით ივლინებება აღმოსავლეთში აგრეთვე გავრცელებული ამბავი, რამდენიმე გვებდება ნიზამის „სიქანდერნამეში“: ჩიწელებმა ვანოცდის მიწით პროლეს აუხი შექმნეს.

მთვარეს თუ შემოავლებდა თავის ყალბას,  
მთვარე არასდროს დაბნულდებოდა...  
მზისდარი შაბი, რისხვით ზეცის მსგავსა,  
თავის მანის ცალი თვალით უმწერდა (ე. ი. ცალთვალა იყო).  
იყო მეორე მხატვარი, მანის რომ ედრებოდა,  
მოშურნე, გულში ბოროტების დამფარავი.  
მან უმწიკობის მახე დააგო,  
მწავერობით მისი დაღუპვა განიზრახა.  
მოაწყო ისე, რომ ქვეყნისმყრობელმა შაბმა  
თავისი გამოსახულების ხელვა მოისურვა...<sup>28</sup>

გონიერმა მხატვარმა მეფეს ხელი მშვილდ-ისარი მისცა, ხოლო რადგან ის-  
რის ტყორცნისას ცალი თვალი უნდა მოზუჯო, ამით თავი დაიხსნა დაგებული  
მახისაგან. შაბს ისე მოეწონა მხატვრის უნარი, რომ ორი სამეფოთი დაასანურქა:  
ერთი — ოსტატობისათვის, მეორე — გონებასმხვილობისათვის. მოშურნე კი დარ-  
ჩაო იმედგატრეებულა<sup>29</sup>.

ყაზი აჰმადის „ტრაქტატს“ განსაკუთრებული ბედი აღმოაჩნდა. ბ. ზაზოღე-  
რის თარგმანის გამოქვეყნების შემდეგ ამ ძეგლით დაინტერესდა ცნობილი აღ-  
მოსავლეთმცოდნე ვ. მინორსკი. მან მოიძია „ტრაქტატის“ რამდენიმე ახალი ნუს-  
ხა, თავისთავად აგრეთვე დეფექტური, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ისინი ავსებდნენ  
ნოსკოვური ხელნაწერის ლაკუნებს. ასე მოხდა, კერძოდ, ჩვენთვის საინტერესო  
არაკთან დაკავშირებით: «Например, рассказ, помещенный на стр. 179—180  
русского перевода, оставался темным без вставок из рукописи Е  
(ნუსხა, რომელიც ეკუთვნოდა ვ. მინორსკის მიწაფეს ვ. ეღვარდს — ა. გ.).  
Соперник художника, любимца шаха, желает погубить его в глазах  
покровителя. Шах косил на один глаз, и соперник думал, что, если он  
увидит свой точный портрет, сделанный его любимцем, он на него  
разгневается. Соперник убедил шаха заказать такой портрет, но лов-  
кий художник изобразил шаха стреляющим из лука в цель. Для этого  
шаху нужно было прищурить один глаз, чем его физический недоста-  
ток и был прикрыт»<sup>30</sup>.

აი ეს სიუჟეტი დამუშავა დიდოსტატურად სულხან-საბა ორბელიანმა. მან  
სულ ამოიღო მოშურნეს დეტალი (მეფე თავად ეძებს მიზეზს მხატვრის წასახდ-  
ნად), დაუმატა სრულიად ბუნებრივი განსჯა მხატვრისა გამოუვალი მდგომარეო-  
ბის გამო და გაიმეორა გონებასმხვილური გადაწყვეტა საკითხისა (ოღონდ ისარი  
შეცვალა თოფით).

ეფიერობით, ანალოგიური ძიებანი უნდა გაგრძელდეს.

ზედ ტაღლები გამოსახეს და როდესაც მწყურვალმა მანამ დოქი ატაკა, ჭურჭელი დაიმსხვრა. მან  
არ დაბნა, ზედაპირზე ეყვარო ბაღლი დაშატა, რათა სხეუბი არ შემცდარიყენენ (ბაქუ, 1947,  
გვ. 380). ანალოგიური არაკი მოტანილი აქვს საბასაც „ოტალიელი მხატვრების“ ციკლში (ონზ,  
ტ. I, თბ., 1959, გვ. 84), ოღონდ აქ ბრძენი მხატვარი წინასწარ მიხედება სტიუს რქინის აუზზე  
ძალის მძობის განმობატავს და თავს ისე იმართლებს, ეს წყალი არ ისმებაო.

<sup>28</sup> ამის შემდეგ ტექსტი ძალზე დაზიანებულია, ბ. ზაზოღერს მხოლოდ ცალკე სიტყვები აქვს  
თარგმნილი. ერთი ბეილი მინიატურაზეა წერიახული. აზრის ვაკება მაინც შეიძლება, მით უფრო,  
რომ დასკვნითი ნაწილი დაცულია.

<sup>29</sup> Казы-Ахмед, Трактат... с. 179—180.

<sup>30</sup> В. Ф. Минорский, Трактат о каллиграфах Казы Ахмеда Куми и его  
изучение, сб.: Ближний и Средний Восток, М., 1962, с. 84:

А. А. ГВАХАРИЯ



О ДВУХ ВОСТОЧНЫХ ПАРАЛЛЕЛЯХ К ПРИТЧАМ «МУДРОСТИ ВЫМЫСЛА»  
СУЛХАН-САБА ОРБЕЛИАНИ

Резюме

В статье рассмотрен вопрос о восточных параллелях к некоторым притчам из дидактического сборника известного грузинского писателя XVII в. С.-С. Орбелиани «Мудрость вымысла». С этой целью привлечены вставные рассказы из поэмы Низами «Сокровищница тайн», трактата Омара Хайяма «Наврузнаме» и трактата о каллиграфрах Казии Ахмада.

A. GVAKHARIA

ON TWO ORIENTAL PARALLELS TO THE FABLES OF THE  
"BOOK OF THE WISDOM OF LIES" BY SULKHAN-SABA  
ORBELIANI

Summary

The paper presents hitherto unknown parallels to some fables from the didactic collection of the well-known 17th cent. writer S.-S. Orbeliani. To that end interpolated stories from Nizami's poem "Makhzanu'l-asrar" (Treasure Chamber of Mysteris), Omar Khayyam's treatise "Nauruz-nama" (On the New Year Feast), and from a treatise on calligraphers by Kazi Ahmad (16th cent.) are adduced.



## ლილი ჟორჯიანი

### „როსტომიანის“ მონომასტიკონის ზოგირითი თავისებურების შესახებ

„შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიების ცენტრალური ნაწილის — „როსტომიანის“ პირის საკუთარი სახელები სრული სახით დღემდე არ იყო შესწავლილი. „მეფეთა — წიგნის“ ქართული ვერსიების ინომასტიკონის პირველ მკვლევარს იუსტ. აბულაძეს „როსტომიანის“ ტექსტის მხოლოდ ის სახელები აქვს იდენტიფიცირებული სათანადო სპარსულ ფორმებთან, რაც „შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიებს I ტომშია დაბეჭდილი, 1 ხოლო ცნობილი მკვლევრები დ. კობიძე და მ. ანდრონიკაშვილი თავიანთ გამოკვლევებში ამ თხზულების მხოლოდ ცალკეულ სახელთა შესწავლით იფარგლებიან. 2

ჩვენ „შაპ-ნამეს“ სპარსული ტექსტის მონაცემებთან შეპირისპირებით შევისწავლეთ „როსტომიანის“ პირის ყველა საკუთარი სახელი. სახელთა ამოსავალი სპარსული ფორმების ძიებისას აღმოჩნდა, რომ მათ უმრავლესობას ფარდოუსის თხზულების სპარსულ ტექსტში ეძებნება შესატყვისი სპარსული ფორმა, ხოლო მცირე ნაწილი სახელებისა სხვაგვარ სურათს გვიჩვენებს. სწორედ ამ უკანასკნელთ ეძღვნება წინამდებარე გამოკვლევა. ეს სახელებია:

1. ასილ (ასლი) 3 — კეისრის ელჩი ღუარსაბ მეფის კარზე;

„წავიდა ასილ ვაზირა მალე, — უფიცხე ქარისა,  
ღუარსაბს ჰკადრეს „მოვიდა აქ ელჩი კეისარისა“. 4

ფარდოუსის თხზულების სპარსული ტექსტის მიხედვით ამ ელჩის სახელია ყალუს:

აქი ნანვარ ბუდ ყალუს ნამ,  
ხერანდმანდო ბადანუშო რაე ო ქამ.  
ერთი სახელოვანი კაცი იყო, სახელად ყალუს,  
ჭკვიანი, მცოდნე, ნებისყოფიანი და საზრიანი. 5

„როსტომიანის“ ასილ-ის დაცემობა სპარსულ ყალუსთან ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და ისინი უდავოდ სხვადასხვა სახელებია. სპარსულ ტექსტში

1 იხ. შაპ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, I, თბ., 1916, გვ. 849—874.

2 იხ. დ. კობიძე, „ფილოლოგიური დაკვირვებანი“, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II, თბ., 1969 და შაპ-ნამეს ქართული ვერსიები, II, ლექსიკონი, თბ., 1974.

3. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.

4 აქ და შემდგომ ფრჩხილებში ვუთითებთ „როსტომიანის“ ხელნაწერებში დადასტურებულ სახელთა ვარიანტულ ფორმებს.

4 შაპ-ნამეს ქართული ვერსიები, II, თბ., 1934, 5141 1—2.

5 „შაპ-ნამეს“ მოსკოვის გამოცემა (1960—1967), ტ. 6, გვ. 55, 743.



სტოან მიმართებით სახელთა სხვაობის შემთხვევები „შაჰ-ნამეს“ სხვა ქართულ ვერსიებშიც ვაქვს. მაგალითად, „შაჰ-ნამეს“ სპარსულ ტექსტში ერაჯის ცოდნა სახელია საჰი, ხოლო ფრიდონის ერთ-ერთი ძმისა — ფორმაჲე, „ფრიდონიანში“ კი ამ ქალს ურიბაშათ ჰქვია, ხოლო ფრიდონის ძმას — აშთარ. ვფიქრობთ, მოცემულ და სხვა მსგავს შემთხვევებში ქართულ ვერსიებში სპარსული დედნის მონაცემები უნდა იყოს ასახული, რადგანაც ზოგიერთ სახელთა სხვაობას ადგილი აქვს თვით „შაჰ-ნამეს“ სპარსულ ვერსიებსა და ხელნაწერებში. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ ზოჰაქის მამის სახელი. „შაჰ-ნამეს“ ლექსითი ტექსტის თანახმად, მისი სახელია მარდას. ხოლო ამ თხზულების ერთ-ერთ სპარსულ პროზაულ ვერსიაში მას ფური ჰქვია<sup>6</sup>.

2. ბ ა დ უ დ — მეფე არჯასფის ლაშქრის ერთ-ერთი სარდალი არჯასფ — გოშთასფის ომის დროს:

„მარცხნივ მისი ძმა არდამონ მხითი სძითა დააყენა,  
 ორთავე ასი ათასი მეომარი მოუყენა,  
 სეფურ, ბ ა დ უ დ და ვანასი იმათ გვერდით დააყენა,  
 მათგან აქვს საქმის მეტი არ გამოვა, იქ აყენა“.<sup>7</sup>

ბ ა დ უ დ „როსტომიანში“ მოყვანილ სტროფში იხსენიება და კონტექსტის მიხედვით, იგი საკუთარი სახელი ჩანს. „მეფეთა წიგნის“ ქართული ვერსიების II ტომის სახელთა საძიებლის შემდგენელს სტ. ჩხეკელიცა იგი საკუთარ სახელად აქვს გაგებული და ჩართული აქვს სახელთა საძიებელში, მაგრამ რატომღაც ბ ა დ უ დ რ ფორმით.<sup>8</sup>

„შაჰ-ნამეს“ სპარსულ ტექსტში სახელი ბ ა დ უ დ არ აღმოჩნდა. ქართულ და სპარსულ ტექსტთა ურთიერთშედარებისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ბეითმა:

სეფაჰრა ბედუ დად ესეზაჰადი,  
 თო გოფთო ნაღანაღ ჰამი ჯოზ ბზდი,  
 სპა მას მისცა სპასეგტაჰ;  
 იტყოლი, სიაკის მეტი არაფერი იცისო.<sup>9</sup>

„როსტომიანიდან“ ზემოთ მოყვანილი სტროფის ბოლო ორი სტრიქონი სწორედ ამ ბეითის თარგმანი ჩანს, ხოლო ქართულში ხსენებული სახელები ბადუდ და სეფურ<sup>10</sup> ამ ბეითის ; პირველ მისრაში მოცემული შესიტყვების — sepāh ra bedu dād — საკუთარ სახელებად ქცევის შედეგად არიან გაჩენილნი. ტექსტის ასეთი დამახინჯება და შერყვნა სპარსული ხელნაწერების სათანადო ადგილის დაზიანებით უნდა აიხსნას.

3. გ უ ა რ ა მ // გ ვ ა რ ა მ // გ უ რ ა მ — ზაალის დესპანი საამთან მისი ქაბულისტანში ყოფნისას:

ა/ „წიგნი ჭეივანსა გ უ ა რ ა მ ს მისცა, წაიდა რეხითა“  
 ბ/ „ჩამოვდა ზაალ, დალიცა, მადლს იღობ გ ვ ა რ ა მ ი ს ა ვ ა წ“  
 გ/ რა გ უ რ ა მ ი ს გ ა ნ ე ს ე ს მ ა, ზაალ იქს ვახარებასა“.<sup>11</sup>

6 იხ.: ლ. ჟორჯოლიანი, ზაქის ამბის ერთი სპარსული ვერსიის შესახებ, ოსუ შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობა, ტ. 180, თბ., 1976, გვ. 79.

7 შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, II, 5236.

8 იქვე, გვ. 640.

9 ტ. 6, გვ. 84<sup>279</sup>.

10 შესაძებ სახელი ვ ა ნ ა ს თურანელი მეომრის სახელის Xānās -ის დამახინჯებული ვარიანტი ქართული ფორმის ქართული შესატყვისი ჩანს. შდრ. „შაჰ-ნამეს“ მოსკოვის გამოცემის სქოლიოებში მითითებული. ამ სახელის ვარიანტები (გვ. 84-85).

11 იხ.: შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, I, 1402 გ, 1422, 1425<sup>1</sup>.



„შამ-ნამეს“ სპარსულ ტექსტში ზაალის მსლებლის სახელი, რომელსაც საამ-  
თან მოციქულად გზავნიან, არ დასტურდება. იგი სპარსულ ტექსტში უსახელოდ  
მოქმედებს და იხსენიება სიტყვით ფერესთადე — „დესპანი, შიკრიკი, მაცნე, მა-  
ლემსრბოლი“.<sup>12</sup>

საკუთრადღებოა, რომ ფ. იუსტი<sup>13</sup> სახელს გ უ რ ა მ, რომელიც „როსტომიან-  
ში“ ამ დესპანის სახელის ერთ-ერთი ვარიანტული ფორმაა, უკავშირებს სპ. ბპპ-  
რამს, რომელიც საქართველოში ძველთაგანვეა ცნობილი და გავრცელებული.<sup>14</sup>

4. გ უ ლ ა რ — კეისრის უმცროსი ასული:

„ჩინეთთ პარონ მოვიდა, გ უ ლ ა რ ქალისა მობოველი“.<sup>15</sup>

ეს სახელი „როსტომიანში“ მხოლოდ მოყვანილ კონტექსტში გვხვდება. იგი  
საკუთარი სახელი ჩანს და „მეფეთა — წიგნის“ II ტომის სახელთა საძიებელშიც  
ამიტომ ჩაურთავთ. ფირდოუსის თხზულების სპარსულ ტექსტში, არც „როსტო-  
მიანის“ ზემოთ აღნიშნული სტრიქონის შესატყვის ბეითებში და არც სხვა ადგი-  
ლას, კეისრის უმცროსი ქალის სახელი არ დასტურდება. სპარსულში იგი ვველ-  
გან უსახელოდ იხსენიება.<sup>16</sup>

5. დ ა რ ა მ — (დარმან) — ირანელი დიდებული, ზაალის მსლებელი მისი  
ქაბულისტანში ყოფნისას:

„დ ა რ ა მ თქუა: „მერაბს წინაშე ვერა ვთქუი ქება ქალისა“.<sup>17</sup>

„შამ-ნამეს“ სპარსულ ტექსტში ამ დიდებულის სახელი აღნიშნული არ არის.  
იგი აქ იხსენიება უსახელოდ, როგორც ერთი სახელოვანი კაცი დიდებულთა შო-  
რის:

დეჟი ნამდარ ზუ მიდანე მეჰან  
ჩენინ გოფთქეა ფაჰლჰანე ჯეჰან  
ერთმა სახელოვანმა კაცმა დიდებულთა შორის  
ასე უთხრა (ზაალს): — „ქვეყნად სახელგანთქმული  
ფალავანო“...<sup>18</sup>

„როსტომიანის“ დ ა რ ა მ გრაფიკულ ნიადაგზე, — მთარგმნელის მიერ გამო-  
ყენებულ დედანში ზემოთ მოყვანილი ბეითის პირველი მისრის დასაწყისის დაზი-  
ანების გამო ტექსტის მცდარად ამოკითხვის (ალბათ ასე: (yeki nām Dārā ze)  
გამო უნდა იყოს გაჩენილი.

6. დ ა რ ა ზ — გოშთასფ მეფის მოკავშირე არჯასფ — გოშთასფის ომისას:

„დ ა რ ა ზ ს, ხაყანს, მარდის, — ფიცხლავ კის წიგნსა მისწერებდა“.<sup>19</sup>

დ ა რ ა ზ (ასევე მ ა რ დი) აქ მოყვანილი კონტექსტის მიხედვით, სადაც  
ისინი ხაყანის გვერდით იხსენიებიან, საკუთარი სახელი ან ტიტული მაინც უნდა  
იყოს (შდრ. ხაყან — ტიტული და საკუთარი სახელი). საკუთარ სახელად აქვს და-  
რ ა ზ მიჩნეული „მეფეთა წიგნის“ ქართული ვერსიების სახელთა საძიებლების შემ-  
დგენელს სტ. ჩხენკელსაც.<sup>20</sup>

<sup>12</sup> ტ. I, გვ. 173-177.

<sup>13</sup> F. Justi, Iranisches Namenbuch, Hildesheim, 1963, გვ. 166.

<sup>14</sup> იხ. ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955.

<sup>15</sup> შამ-ნამეს ქართული ვერსიები, II, 51072.


<sup>16</sup> იხ.: მავ. ტ. 6, გვ. 364<sub>65</sub>.

<sup>17</sup> შამ-ნამეს ქართული ვერსიები, I, 1249<sub>1</sub>.

<sup>18</sup> ტ. I, გვ. 157<sub>312</sub>.

<sup>19</sup> შამ-ნამეს ქართული ვერსიები, II, 5239<sub>3</sub>.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 642.



„შაპ-ნამეს“ სპარსულ ტექსტში დარაზის (ასევე მარდის) შესატყვისი საკუთარი სახელი არ აღმოჩნდა. სპარსულში იქ, სადაც მოთხრობილია ვოშტაქის შესატყვისი ფის მიერ მასშველი ჯარის შესაკრებად მოკავშირეთათვის წერილების დაგზავნის შესახებ, ვკითხულობთ:

სუჟე მარზდარანში ნაშე ნევეშო  
ქე ხაჟან რაჟე, რად მარდი ზევეშო.  
თავის მოსახლერე თაფადება (მარზანებს) წერილები მიაწერა,  
რომ ხაჟანმა ეპაკატობის გზა დაადლო. 21

ამ ბეითისა და „როსტომიანის“ ზემოთ მოყვანილი სტრიქონის ურთიერთშედარება გვიჩვენებს, რომ დარაზ (შდრ. mārzdārān, და მარდი (შდრ. mārdi, სპარსული ტექსტის არასწორ თარგმანს წარმოადგენს, რაც ამ შემთხვევაშიც სპარსული დედნის სათანადო აღგების დაზიანებით უნდა აიხსნას. ქართული ტექსტის გაუმართაობა ადრეც უგრძნიათ და „როსტომიანის“ ერთ-ერთ ხელნაწერში ეს სტრიქონები სხვაგვარად გაუწყვიათ. 22

7. ე რ ო ბ — აფრასიაბის მალემსრბოლი:

„რა თაფადა ვაივონეს, მიხედენ დიდსა სიანესა,  
მოიყვანეს მწიგნობარი, გვერც დასკვეს, სიახლესა,  
დაწერეს და ფახურს მისცეს, გვერცა ერობ აახლესა;  
„გვიშველე რა! „შეუთვალეს საფათელსა კელმწიფესა. 23

არც ამ სახელის ამოსავალი სპარსული ფორმა არსებობს „შაპნამეს“ სპარსულ ტექსტში. სპარსულში, „ბეჟან-მანიყეს“ ეპიზოდში, როსტომის მიერ დამარცხებული და ხალოხს გადახვეწილი აფრასიაბი შურისძიებისათვის ემზადება, წერილებს გზავნის ჩინეთსა და ხოტენში და ფახურს დახმარებას სთხოვს. ფახურთან იგზავნება მალემსრბოლი (დესპანი), რომლის სახელიც მითითებული არ არის. 24

8. თ ა ქ ო რ — ქეი ქავუსის მახანდარანზე ლაშქრობის წინ ზაალთან გაგზავნილი მაცნე:

„პუი-პუინ მოციქულად გჰკადროთ, — შეჲლი თაქორისი“ 25

„როსტომიანში“ სახელი თ ა ქ ო რ მხოლოდ ზემოთ მითითებულ სტრიქონში იხსენიება. „შაპ-ნამეს“ სპარსულ ტექსტში თ ა ქ ო რ ის შესატყვისი საკუთარი სახელი არ მოიძებნა: ზემოთ მოყვანილი კონტექსტის შესატყვისად სპარსულში ასეთი ბეითი გვაქვს:

ჰეჟანი თაქავარ ბარ ზალე სამ  
ბეჟანად ფერესთადო დადჳნ ფეჟამ.

ამ ბეითში ყურადღებას იქცევს შესიტყვება heyuni tākavār, სადაც პირველი სიტყვა heyuni — ნიშნავს — „ერთი დიდი სატვირთო (ერთკუზიანი ან ორკუზიანი) ფეხმალი აქლემი, ან ცხენი“, ხოლო tākavār — „სწრაფმავალი, ფეხმალი ცხენი, ან აქლემი“, 26 რომელსაც, როგორც ჩანს, შიკრიკები და მალემსრბოლები იყენებდნენ. ამიტომ ამ ბეითის ქართული თარგმანი იქნება:

21 ტ. 6, გვ. 85<sup>293</sup>.

22 შაპ-ნამეს ქართული ვერსიები, II, გვ. 532.

23 იხ.: შაპ-ნამეს ქართული ვერსიები, II, გვ. 4379.

24 ტ. 5, გვ. 88<sup>40-45</sup>.

25 შაპ-ნამეს ქართული ვერსიები, I, 2126<sub>2</sub>.

26 იხ.: Персидско-русский словарь под редакцией Ю. А. Рубинчика, М., 1970, 33-

„სამის ზალონ ერთი ფენმაღცენიანი (ფენმაღაქლენიანი) შიკრიკის  
გავზაუნა და ამის შეტეობანება ხამს“. 27

ოუსტინე აბულაძე სავსებით მართებულად თვლის, რომ სპარსულ ტექსტში  
ხსენებული საზოგადო სიტყვები (უფრო სწორად, შესიტყვება) heyuni takavar  
წარყვნილია და ქართულში მამა-შვილის საკუთარ სახელებად ქცეულა. 28

9. მ ა რ დ ი — გომთასფ მეფის მოკავშირის სახელი ან ტიტული:

„ღარაზს, ხაყანს, მ ა რ დ ი ს; — ფიცხლავ კაის წიგნსა მისწერება“. 29

იხ.: ღარაზ.

10. რ ა ი ნ დ — საამის სასახლის კარის მსახური:

„ბრძანა: „რ ა ი ნ დ მოიყუანეთ, ერთგული და გაუღენილი“. 30

რ ა ი ნ დ იუსტ. აბულაძეს საკუთარ სახელებში აქვს შეტანილი და თვლის,  
რომ იგი წარმოდგება სპარსული სიტყვისაგან რინდ — „გაწვრთნილი, ზრდილი,  
მოხერხებული, ცბიერი და უშიშარი მოყმე“. 31

„შაპ-ნამეს“ სპარსულ ტექსტში ქართული რაინდ-ის შესატყვისად ყველგან  
გვაქვს სიტყვა დაჟე — „ძინა“, ლალა, გამზრდელი“, რომელიც უსახელოდ მოიხ-  
სენიება. იუსტ. აბულაძის მიერ რ ა ი ნ დ სახელის ამოსავალ სპარსულ ფორმად  
შიჩნეული სიტყვა რინდ — სპარსულ ტექსტში ამ გამზრდელის ეპითეტადაც არ  
გვხვდება. 32

11. რ ე დ ა ქ — ზაალის მსლებელი (პაეი) მისი ქაბულისტანში მოგზაურობი-  
სას:

„სამაის ვაზრდელი იყო, რ ე დ ა ქ მას ერქვა რომელი“. 33

„როსტომიანის“ რ ე დ ა ქ უდავოდ საკუთარი სახელია. იუსტ. აბულაძე ამ სა-  
ხელს უკავშირებს სპარსულ სიტყვას რედჷქ „პაეი, ახალგაზრდა მსახური ბიჭი“.  
„შაპ-ნამეს“ სპარსულ ტექსტში რედჷქ საკუთარი სახელის მნიშვნელობით არ  
არის გამოყენებული და თანაც, აქ ამ სიტყვის პარალელურად იხმარება სიტყვა  
ქუდჷქ „ბავშვი“. 34

12. ს ე ფ ე რ — არჯასფის ჯარის ერთ-ერთი სარდალი არჯასფგომთასფის  
ომისას:

„სეფერ, ბადუდ და ვანასი იმათ ვვერდით დაიყენა“. 35

იხ. ბადუდ.

13. ჯ ა მ ა ზ — ფირანის მიერ აფრასიბთან გაგზავნილი მაცნე ფალავან ბა-  
რამის მოკვლისა და ირანელთა დამარცხების შემდეგ:

„ფიცხლავ ჯ ა მ ა ზ გაუგზავნა აფრასიბოს მახარობლად“ 36

27 ტ. 2, გვ. 79<sup>59</sup>.

28 შაპ-ნამეს ქართული ვერსიები, I, გვ. 856, 870.

29 შაპ-ნამეს ქართული ვერსიები, II, გვ. 523<sup>39</sup>.

30 შაპ-ნამეს ქართული ვერსიები, I, 1091<sup>3</sup>.

31 იქვე, გვ. 860.

32 ტ. I, გვ. 137-139<sup>43-60</sup>.

33 შაპ-ნამეს ქართული ვერსიები, I, 1308<sup>4</sup>.

34 ტ. I, გვ. 166<sup>457</sup>.

35 შაპ-ნამეს ქართული ვერსიები, II, 523<sup>6</sup>.

36 იქვე, 348<sup>54</sup>.



„შაჰ-ნამეს“ სპარსულ ტექსტში ეს მაცნე (მახარობელი) უსახელოდ იხსენი-  
ბა. აქ ვკითხულობთ:

ბედან აგაძე ნაზდ აფრასიაბ  
ჰეჟენი ბჰრ ჰფენდ პანგაჟე შჰა

ინ ცნობით აფრასიაბის წინაშე ვაგზანა ფეხმალცხენიანი (ფეხმალაქლემიანი)  
შიკრიკი ღამეულად.<sup>37</sup>

საყურადღებოა, რომ სპარსულ ენაში სიტყვა ჰეჟენ-ის (იხ. მეორე მისრა) სი-  
ნონიმი ჯამმას. ჩვენი ვარაუდით, „როსტომიანის“ დედანში სწორედ ეს უკანასკ-  
ნელი უნდა გვეწონოდა და მთარგმნელმა იგი საკუთარი სახელის მნიშვნელობით  
გაღმორიცხა.

14. პუი - პუინ — ქვი ქავუსის მახანდარანზე ლაშქრობის წინ ზაალთან  
ვაგზანელი შიკრიკი:

„პუი - პუინ მოციქულად ვაკადროთ შეიღო თანორისი“. 38

იხ. თაქორ.

ამრიგად, „როსტომიანის“ ზემოთ განხილული სახელები, ძირითადად, სპარსუ-  
ლი ტექსტის შერყვნის და სპარსული საზოგადო სახელების საკუთარ სახელებად  
გაღმორიცხის შედეგად არიან შეთხზულ-შექმნილი, რაც თავის მხრივ სპარსული  
დედნის სათანადო ადგილების დაზიანებას და ბუნდოვანებას უნდა გამოეწვია.  
„შაჰ-ნამეს“ სპარსულ ტექსტში არარსებული ზოგი სახელი კი „როსტომიანის“  
დედნის მონაცემებს უნდა ემყარებოდეს.

Л. Д. ЖОРЖОЛИАНИ

НЕКОТОРЫЕ ОСОБЕННОСТИ ОНОМАСТИКИ «РОСТОМИАНИ»

Резюме

В статье рассмотрены личные имена грузинской версии «Шах-наме» — «Ростомיאни»: Asil, Badur, Guagam (Gvagam||Guram), Gular, Daran, Daraz, Erob, Takor, Mardi, Raind, Redak, Seper, Jamaz, Hui-Huin. В персидском тексте «Шах-наме» они не имеют соответствующих антропонимов. Сопоставление персидских и грузинских контекстов показало, что эти имена в основном созданы вследствие искажения персидского текста, путем превращения нарицательных имен в имена собственные, что, со своей стороны, можно объяснить повреждением соответствующих мест персидского оригинала. Можно также полагать, что исходные персидские формы имен Asil, Guagam (Gvagam//Guram), Gular существовали и в персидском оригинале, которым пользовался переводчик «Ростомיאни».

37 ტ. 4, გვ. 113<sup>1633</sup>.

38 შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, I, 2126.

## EINIGE ONOMASTIKONBESONDERHEITEN IN "ROSTOMIANI"

## Zusammenfassung

Im Artikel sind Personalnamen der georgischen Version von "Schah-Name" "Rostomiani" — Asil, Badur, Guaram, (Gvaram||Guram), Gular, Daram, Daraz, Erob, Takor, Mardi, Raïnd, Redak, Seper, Jamaz, Hui-Huin betrachtet. Im persischen Text von "Schah-Name" haben sie keine entsprechenden Anthroponymen.

Die Vergleichung der persischen und georgischen Texte hat gezeigt, dass diese Namen hauptsächlich infolge der Verfälschung des persischen Textes durch Verwandlung (Umgestaltung) der Gattungsnamen in Eigennamen herausgebildet sind, das seinerseits durch Verletzen entsprechender Stellen des persischen Originals erklärt werden kann.

Man kann auch annehmen, dass es die persischen Ausgangsformen der Namen Asil Guaram (Gvaram||Guram), Gular auch im persischen Original gab und gerade dieses benutzte der Übersetzer von "Rostomiani".



ЗАЗА АЛЕКСИДЗЕ

## „МНИМОЕ УПОМИНАНИЕ“ ОДНОГО ТОПОНИМА В АРМЯНСКОЙ НАДПИСИ АТЕНСКОГО СИОНА

Обнаруженная на западном фасаде Атенского Сиона армянская надпись X века вызвала живой интерес среди специалистов-кавказоведов. Надпись, которая с трудом поддается дешифровке, разумеется, дает повод для разночтений и разных толкований. В полемике с П. М. Мурадяном мы постарались защитить свое прочтение наиболее трудных мест надписи<sup>1</sup>, так что в данной заметке мы не будем останавливаться на этом.

Недавно Р. М. Бартикяном в статье „Мнимое упоминание“ картлийской царицы“ в армянской надписи из Атенского Сиона“ было предложено новое прочтение одного места из надписи, а именно: вместо *ṭikini vgas eṭ agav* „поссорился с царицей Картли“ — З. Алексидзе; „заставил царицу грузинскую отстать (от сговора) — П. Мурадян; читать *Tik-]v]in vgas eṭ agav* („отвоевал у картлийцев Тик[в]и“)<sup>2</sup>. Статья Р. М. Бартикяна, написанная почему-то в полемическом духе, вызвала лаконичное и, с нашей точки зрения, во многом справедливое возражение П. М. Мурадяна<sup>3</sup>. Пространный ответ Р. М. Бартикяна П. М. Мурадян<sup>4</sup> и, в особенности, заключительный его абзац, который целиком можно отнести в адрес самого автора, заставил нас откликнуться на новое чтение надписи Гергиума (или Герджиума).

1. Р. М. Бартикяна ввел в заблуждение неточный перевод Г. В. Сулая на русский язык интересующего нас места из „Летописи Картли“. Ни о каком „вступлении“ Баграта Ш в Тигва, а тем более о „взятии“ в грузинской хронике нет ни слова. Предельно точным является перевод М. Д. Лордкипанидзе: Баграт „затем перешел в Кар-

<sup>1</sup> З. А. Алексидзе. Четыре надписи Атенского Сиона. Тб., 1983, с. 21—26 (на груз. яз.).

<sup>2</sup> См.: Вестник общественных наук АН Арм. ССР, 1986, № 2.

<sup>3</sup> П. Мурадян. По поводу статьи Р. Бартикяна „Мнимое упоминание „картлийской царицы“ в армянской надписи Атенского Сиона“. — Вестник общественных наук АН Арм. ССР, 1986, № 7.

<sup>4</sup> Р. Бартикян. Ещё раз об армянской надписи из Атенского Сиона. — Вестник общественных наук АН Арм. ССР, 1986, № 8.

т.е. чтобы привести в порядок тамошние расстроенные дела. Плиний  
расположился в Тигва...<sup>5</sup>. Совершенно очевидно, что Тигва при-  
надлежала Баграту III и он выбрал её в качестве плацдарма для бу-  
дущих своих действий против азнауров Картли. Всякая другая интер-  
претация указанного места из „Летописи Картли“ может привести к  
ещё большей путанице при дешифровке армянской надписи Атенского  
Сиона.

2. Никакого топонима Тики, Тик[в]и и даже Тигви не существует  
в Грузии, не засвидетельствован он также в источниках. Р. М. Барти-  
кяна вводит в заблуждение небрежная передача Г. В. Цулая в тексте  
грузинского топонима русскими буквами (в комментариях он правильно  
транскрибирует тот же топоним). Правильное написание по-армянски  
грузинского топонима „თიგვა“ будет Tiguа и все „лингвистические  
закономерности“ необходимо выводить именно из этой формы (топоним  
содержит в основе не „в“, а безударное „у“; оканчивается на „а“, а не  
на „и“). Поэтому все рассуждения Р. М. Бартикяна об „опускании“  
(или же „добавлении“) графемы „в“ в „топониме Тик[в]и“ оказываются  
просто не к месту. То же самое можно сказать и в связи с „определи-  
тельным членом п“. В своей статье Р. М. Бартикян пишет: „В топониме  
Уплисхихе он опущен, и логично было бы ожидать, что и в топониме  
Tik[v]i его не должно было быть. Но он поставлен верно, поскольку  
за этим топонимом следует предлог отложительного падежа „и“ (у, от,  
из) и буква „и“ повторилась бы — Tik[v]i. Это тоже свидетельствует о  
грамотности Герджуума“. Оставляя в стороне тот факт, что для текста  
X века употребление „определяющего члена п“ было бы слишком  
ранней новацией, хотелось бы еще раз подчеркнуть: топоним თიგვა  
оканчивается на „а“, а не на „и“, что при условии хотя бы приблизи-  
тельно правильного написания, исключает всякую возможность повтора  
графемы „и“.

3. Что касается „лингвистических закономерностей“ и соответ-  
ствующих примеров, приводимых Р. М. Бартикяном, то тут мы стал-  
киваемся с такой путаницей, что подчас становится невозможным дис-  
кутировать с автором.

а) ტვიღისი || თვიღისი || თბიღისი и Tgdaf || თბდაფ явления совер-  
шенно другого порядка. Подчиняются они строгим и хорошо известным  
науке фонетическим закономерностям. Для разъяснения თიგვა > tiki  
они совершенно непригодны.

б) ტვიღორე || თვიღორე для грузинского языка явное недоразумение.  
Такое написание не засвидетельствовано и не может быть засвидетель-  
ствовано ни в одном из источников.

в) ატევი || ათევი не известно грузинскому языку и не зафиксиро-  
вано в источниках. В древнеармянском переводе „Картлис цховреба“  
встречается единственно правильная форма указанного топонима—Ateni.

д) Вопреки утверждению Р. М. Бартикяна, в „Летописи Картли“  
топоним „Тмогви“ фигурирует не как „Тмоги“, а именно так, как и

<sup>5</sup> Матиане Картлиса. Тб. 1976, с. 39.

должно быть — տծոց (в именительном падеже տծոց). На этот раз автора подвел грузинский перевод, сделанный И. В. Абуладзе с древнеармянского перевода „Картлис цховреба“. Несмотря на неточность в документации, автор подмечает верно: грузинское „з“ (ჟ+ც) в древнеармянских текстах иногда передается через „h“. Но и этот факт, к сожалению, никакого отношения не имеет к искомому топониму.

е) Греческое υ („инсилоп“) в древнегрузинских текстах передается через ჳ, а в современном грузинском, ввиду отсутствия соответствующей графемы, пишется через „o“ или же „zo“: ჳროც || ჳრის (ჳროუ || ჳრის) > ჳროს || ჳრის (ჳრობ = ჳრობ) > ჳროს || ჳრის (ჳრობ || ჳრის). Можно допустить и вторичное заимствование из греческого в грузинском антропонимов с „инсилопом“ в корне, поскольку в греческом языке с позднеклассического периода „υ“ читался как „υ“.

ж) Грузинское „ღ“ в армянском должно быть передано или через γ (конец X века!) или же через х, но никак не через „k“. Тут не может быть никаких сомнений, и всякое другое предположение уведет нас еще дальше от истины.

4. Критикуя чтение и перевод армянской надписи Атенского Сиона своих предшественников, Р. М. Бартиян спрашивает: „Если Баграт — царь „абхазов“, как могла его мать быть царицей „грузинской? „Такое противопоставление“ автору кажется „противоестественным“. Но в действительности в таком „противопоставлении“ ничего „противоестественного“ нет: Гуарандухт, дочь абхазского царя Георгия, была супругой царя Картли Гургена и не могла быть никем иной, кроме как царицей Картли. По свидетельству все той же „Летописи Картли“, когда её сына Баграта возвели на трон абхазского царства, „в то время владела крепостью Уплисцихе и Картли царица Гуарандухт“. Таким образом, до известного времени сын был царем абхазов, а мать — царицей Картли.

В заключение хотелось бы подытожить: 1. В „Летописи Картли“ нет сведений об „овладении“ Багратом городом „Тигуа“. 2. Топоним տղղ (Tighua) невозможно подвести фонетически к мнимому „Тики“ (Tiki). Об остальном, конечно, можно и нужно спорить.

## Z. ALEKSIDZE

### “AN IMAGINARY” ALLUSION TO A TOPONUM IN AN ARMENIAN INSCRIPTION OF THE ATENI SIONI

#### Summary

The article demonstrates the fallacy of the interpretation of a passage in an Armenian inscription of the Ateni Sioni suggested by R. M. Bartikyan. 1. „Kartlis Tskhovreba“ („Chronicle of Georgia“) does not contain any data concerning the „capture“ of the settlement Tighua by King Bagrat III. 2. The toponym տղղ tighua cannot be phonetically correlated with the Armenian tyky.



## ენის აზიკაური

### „გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრებათა“ სიკლის თხზულებაჲი (კლასიფიკაციის საკითხეჲი)

„გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრება“ აღრქერისტიანული სომხური მწერლობის ერთ-ერთი საინტერესო ძეგლია, რომელიც სომეხთა მოქცევისა და მათი განმანათლებლის შესახებ გვაწვდის ცნობებს. იგი მნიშვნელოვანი წყაროა სომეხთისა და მისი მესობელი ქვეყნების კულტურულ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების შესასწავლად. განსაკუთრებით საინტერესოა ეს ძეგლი სომეხთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობისა და კავკასიოლოგიის ისეთი რთული საკითხის გასაშუქებლად, როგორცაა კავკასიის გაგრძობის განხილვა. ეს თხზულება ერთადერთი ძეგლია სომხურ ისტორიოგრაფიაში, რომელიც თარგმნილია შუასაუკუნეების თითქმის ყველა ქრისტიან ხალხთა ენაზე (ბერძნულ, ლათინურ, ქართულ, არაბულ, ეთიოპიურ, სლავურ).

„გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრება“ ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ აგათანგელოსის „სომეხეთის ისტორია“, თავისი მრავალენოვანი ვერსიებითა და რედაქციებით, ერთიანდება გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრებათა ციკლში, რომელშიც სპეციალისტთა უმრავლესობა ორ ძირითად ჯგუფს გამოყოფს. პირველ ჯგუფში შეაქვთ „სომეხეთის ისტორია“, რომლის ავტორადაც ტრადიციულად აგათანგელოსი ითვლება,<sup>1</sup> ბერძნული თარგმანითა<sup>2</sup> და მათგან მომდინარე ტექსტებით.<sup>3</sup> ამავე ჯგუფში აერთიანებენ აგათანგელოსის არაბულ ტექსტს, რომელიც 1968 წელს გამოსცა ა. ტერ-ღევონდიანმა სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკის ხელნაწერის მიხედვით.<sup>4</sup> არაბული აგათანგელოსის „ისტორიის“ შემცველი ეს ხელნაწერი (sin ar. 395). 1328—29 წლებითაა დათარიღებული. ხელნაწერი სვინაქსარული კრებულია და შეიცავს წმინდანთა „ცხოვრებებს“ 21 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით. მკვლევრის ვარაუდით, ეს არაბული თარგმანი შესრულებულია IX—X სს-ში. ტერ-ღევონდიანს არაბული ტექსტის

<sup>1</sup> აგათანგელოსის სომეხეთის ისტორია, თბილისი, 1909 (სომხ. ენაზე).

<sup>2</sup> G. Lafontaine. La version grecque ancienne du livre arménien d' Agathange. Edition critique, Louvain 1973.

<sup>3</sup> სპეციალურ ლიტ-ში „გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრებათა“ ციკლის I კვ. აღნიშნავენ A ანტიკვითრით (აქედან მომდინარე Aa — სომხური „ისტორია“, Ag — ბერძნ. „ისტორია“, Aar — არაბ. „ისტორია“).

<sup>4</sup> ა. ტერ-ღევონდიანი, აგათანგელოსის ახალი არაბული რედაქცია, ერევანი, 1968 (სომხ. ენაზე).

დღენად ისეთი ბერძნული თხზულება მიამჩნია, რომელიც ვაცოლეზით ახლოს უნდა ყოფილიყო სომხურ დედანთან, ვიდრე ჩვენამდე მოღწეული აგათანგელოსის რომელიმე ბერძნული ტექსტი.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ „გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრებებს“ მთორე ჯგუფს.<sup>5</sup> მათში გაერთიანებულ ტექსტებს პირობითად „ცხოვრებებს უწოდებენ. თავდაპირველად ამ ჯგუფში მხოლოდ ორი თხზულება იყო შეტანილი: 1. ნიკო მარის მიერ სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის წიგნთსაცავის ხელნაწერში (sin ar. 460) დაცული გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრების“ არაბული ტექსტი,<sup>6</sup> 2. 1946 წელს ე. გატიის მიერ ესკუტიალის (ესპანეთი) ბიბლიოთეკაში აღმოჩენილი XII ს-ის ბერძნულ ხელნაწერში დაცული წმ. გრიგოლ განმანათლებლის ბერძნული „ცხოვრება“.<sup>7</sup> ნ. მარის მიერ გამოცემული გრიგოლის არაბული „ცხოვრების“ ტექსტი ნაკლები იყო. 1972 წელს კი ბეირუთის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერთა მიკროფილმებში აღმოჩნდა გრიგოლ განმანათლებლის არაბული „ცხოვრების“ სრული ტექსტი.<sup>8</sup> ხელნაწერი მეთორმეტე საუკუნისაა. ახლადმოკლებული „გრიგოლის არაბული ცხოვრების“ შედარებამ მარის მიერ გამოცემულ ტექსტთან ცხადყო, რომ ეს ერთი და იგივე რედაქციაა, იმ განსხვავებით, რომ ახლადმოჩენილი ტექსტი სრულია და დამატებით ოცდახუთ გვერდს შეიცავს.<sup>9</sup> ამგვარად, დღესათვის ჩვენ ხელთ გვაქვს გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრების“ სრული არაბული ტექსტი, რომელიც შეიცავს გრიგოლის მარტვილობიდან დაწყებულ აგათანგელოსის „სომხეთის ისტორიის“ თითქმის ყველა ნაწილს.

ზემოთ დასახელებული ბერძნული და არაბული „ცხოვრების“ გარდა, სპეციალისტთა უმრავლესობა ამ ჯგუფში აერთიანებს 1961 წელს მაკედონის ოქრიდის მონასტერში აღმოჩენილ გრიგოლ განმანათლებლის ბერძნული „ცხოვრების“ ახალ ტექსტს<sup>10</sup> და იერუსალიმის წმ. მარკოზის მონასტრის ხელნაწერთა კოლექციაში მიკვლეულ „გრიგოლის ცხოვრების“ კარშუნულ რედაქციას<sup>11</sup>.

სხვა სპეციალისტებისაგან განსხვავებით, გ. ვინკლერმა შემოგვთავაზა გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრებათა ციკლში გაერთიანებული თხზულებების დაყოფა ორ ძირითად ჯგუფად:<sup>12</sup>

<sup>5</sup> გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრებათა ციკლის II ჯგ. აღნიშნავენ V ბრევიატურით (შესაბამისად, Vg ბერძ. „ცხოვრება“, Va — არაბული, Vk კარშუნული, ხოლო Vo — ოქრიდული („ცხოვრება“).

<sup>6</sup> H. Marr, Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорием арабская версия), СПб, 1905.

<sup>7</sup> G. Garitte, Documents pour l'étude du livre d'Agathange, Vatican, 1946 (Studie et Testi 127).


<sup>8</sup> ა. ტერ-დეკონდიანი, აგათანგელოსის არაბული რედაქციის ახლადმოჩენილი სრული ტექსტი: ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი, ერევანი, 1973 № 1, გვ. 209 (სომხ. ენაზე).

<sup>9</sup> ა. ტერ-დეკონდიანი, აგათანგელოსის არაბული რედაქციის ახლადმოჩენილი სრული ტექსტი... გვ. 211.

<sup>10</sup> G. Garitte, „La vie grecque inédite de Saint Grégoire d'Arménie (Ms. 4 d'Ochrida)“ Analecta Ballandiana 83 (1965), p. 89—118).

<sup>11</sup> M. Van Esbroeck, „Un nouveau témoin du livre d'Agathange“, REA. 8 (1971), p. 13—167.

<sup>12</sup> G. Winkler, Our present knowledge of the history of Agat'-Angelos and its oriental versions, REA, t. XIV, 1980, p. 126.



1. ავთანგელოსის „ისტორიის“ სომხური ტექსტი, ბერძნულ-არაბული თარგმანებით.
2. ე. წ. „ცხოვრება“, წარმოდგენილი ბერძნული და არაბული ტექსტებით.
3. „ისტორიისა“ და „ცხოვრების“ შეერთების შედეგად მიღებული კარშუნული და ოქრიდული რედაქციები.
4. ბერძნული, ლათინური, ქართული და არაბული მეტაფრასული რედაქციები.

როგორც დავინახეთ, ე. ვინკლერმა სხვა სპეციალისტთა მსგავსად, ცალკე ჯგუფად გამოყო ე. წ. „ცხოვრებები“, იმ განსხვავებით, რომ მათში გააერთიანა მხოლოდ გრიგოლის ცხოვრების ბერძნული (გამომც. ე. ვარიტი) და არაბული (გამომც. ნ. მარი) ტექსტები. ხოლო სპეციალისტთა მიერ „ცხოვრებად“ წოდებული ოქრიდული და კარშუნული ტექსტები კი ნარეკ და „ისტორიისა“ და „ცხოვრებების“ შეერთების შედეგად მიღებულ გერსიებად ჩათვალა. გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრებათა დაჯგუფების შესახებ არსებული აზრთა სხვადასხვაობა მოითხოვს ავთანგელოსის რედაქციათა ურთიერთმიმართების საკითხის დამატებით კვლევას.

ავთანგელოსის „ისტორიები“ სხვაობას გვიჩვენებენ „ცხოვრებებთან“ შედარებით.<sup>13</sup> ეს სხვაობა მხოლოდ ტექსტთა მოცულობასა და შედგენილობას როდი შეეხება.

1. V რედაქცია დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის თრდატ მეფის მიერ ვიდარშაბატში მოწვეული კრების შესახებ, რომელზეც გადაწყდა კერპთა მსხვერვის საკითხი.<sup>14</sup> (Vg § 98—102, Va § 86—90). V რედაქცია ასახელებს კრების მონაწილე მეფეებსა და ნახარარებს (Vg § 98, § Va § 86). ეს რედაქცია გვაძლევს იმ სიტყვის ტექსტსაც, რომელიც თრდატ მეფემ ამ კრებაზე წარმოთქვა (Vg § 100, Va § 88). აქვე მოცემულია გრიგოლის რჩევა-დარიგებანიც (Vg § 102, Va § 90). გრცელი A რედაქცია კი მოთვლ ამ მონაცემთა სულ რამდენიმე ფრაზით მოგვითხრობს. (Aa § 777—778, Ag § 126), A რედაქციისაგან განსხვავებით, V რედაქცია რჩეულ ნახარართა ჩამოთვლამდე ასახელებს აფხაზთა, ქართველთა და ალანთა მეფეებსაც.


2. ორივე რედაქციის მიხედვით სომხეთში კერპთა მსხვერვეა იწყება, ოღონდ V რედაქცია ვაცილებით მოკლეა. იგი დეტალურად არ აღწერს წარმართულ კერპებს, არ განსაზღვრავს ზუსტად არტემიდე-ანაპიტის და აპოლონ-ტირის ბონონთა ადგილ-მდებარეობას (Vg § 103, Va § 91), A კი მიუთითებს, რომ ვიდარშაბატიდან არტაშატიისაკენ ანაპიტის ტაძრის დასამსხვერველ მიმავალი თრდატი ერაზამუნად წოდებულ ადგილას ხედება ტირის ტაძარს (Aa § 778, Ag № 128).

3. A რედაქცია სომხეთის რჩეულ ნახარართა სიას იძლევა იმ დროს, როდესაც წმ. გრიგოლი მიჰყავთ კესარიის ხელდასახელებულად (Aa § 795, Ag § 135). V რედაქციის მიხედვით კი მათი შეკრება და ჩამოთვლა ხდება ვაცილებით ადრე, კერპთა მსხვერვეამდე (Vg § 98, Va § 86).

4. ლეონტი არქივისკოპოსისადმი თრდატის მიერ მიწერილი წერილის შინაარსს A რედაქცია გვაძენობს კესარიის გრიგოლის გამგზავრებამდე (Aa § 797—801, Ag § 136—137), V რედაქციის მიხედვით კი წერილის შინაარსს

<sup>13</sup> G. Garitte, Documents pour l'étude du livre d'Agathange. p. 313—323.

<sup>14</sup> V ჯგუფში ჩვენ ვგულისხმობთ მხოლოდ Vg-ს და Va-ს.



გვეხმობთ შედარებით გვიან, გრივოლისა და მისი თანმხლები პირების კესარიასში ჩასვლის შემდეგ (Vg § 134—142, Va § 122—130).

5. ლეონტი ეპისკოპოსის საპასუხე წერილი თრდატისადმი V ციკლში ჩართული გრივოლის ხელდასხმის ტექსტის შემდეგ (Vg § 148—151, Va § 136—139), A რედაქცია კი წერილის წინააღმდეგ ვამცნობს კესარიიდან სამშობლოში დაბრუნებული ექსპედიციის თრდატთან შეხვედრის დროს (Aa § 822—826, Ag § 144—146).

6. თრდატის მიერ ანგელოზის ხილვა ვრცელად აღწერილი V რედაქციაში (Vg § 120—122, Va § 108—110), მასში როცა „ისტორიაში“ მის სულ რამდენიმე სტრიქონი აქვს დათმობილი (Aa § 794, Ag § 135).

7. V რედაქციის მიხედვით, თრდატის მიერ ლეონტისადმი მიწერილ წერილში დაწვრილებით არის აღწერილი გრივოლის ხაროში ჩადება, მისი წამება, რიფსიმეანთა მარტვილობა, სასწაული, რომელიც თავს დაატყდა სომხეთის სამეფო კარს, გრივოლის ხაროდან ამოყვანა, მის მიერ თრდატის ხსნა, ანგელოზის ხილვა და გრივოლის კესარიასში გამგზავრება (Vg § 134), ვრცელი A რედაქცია კი მთელ ამ ეპიზოდს მოკლედ აღწერს (Aa § 797—79, Ag § 136).

8. არქიეპისკოპოს ლეონტის მიერ გრივოლის ხელდასხმის ცერემონიული გარკვევით და დეტალურად არის აღწერილი V რედაქციაში (Vg § 145, Va § 133), „ისტორიაში“ კი არ მოგვეპოვება ამის შესახებ არავითარი ცნობა (Aa § 805).

9) V რედაქციაში უფრო ვრცელად აღწერილი გრივოლის მოგზაურობა კესარიასში. მასში დიდი ადგილი ეთმობა წმინდა გრივოლის დამოკიდებულებას კესარიისა და სებასტიის ეპისკოპოსებთან დაწვრილებით არის ნოთხობილი გრივოლის შეხვედრა ლეონტი ეპისკოპოსთან, მის მიერ გრივოლის ხელდასხმა, კესარიიდან სებასტიაში ჩამოსვლა, სებასტიაში ეპისკოპოს პეტრესთან სტუმრობა და იმავე პეტრეს თანხლებით სამშობლოში დაბრუნება (Vg § 152—153, Va § 140—141). ეს ეპიზოდი ან შემოკლებული ან გამოტოვებულია „ისტორიაში“. სებასტიის ეპისკოპოსის პეტრეს სახელი კი საერთოდ არ არის ნახსენები A რედაქციაში.

10. V რედაქცია, A რედაქციისაგან განსხვავებით, კესარიასში გამგზავრების დაწვრილებით დეტალურად ვამცნობს (Vg § 124, Va § 112). ჯგუფს ხელმძღვანელობდა მამიკონიანთა ნახარარი, სომხეთის სპარაპეტი არტავაზდი, იქვე მითითებულია არმიის შემადგენლობაც—Vg-ს მიხედვით 30000 ცხენოსანი, Va-ს მიხედვით კი—3000 და ქვეითი ჯარი.

11. ორივე რედაქციის მიხედვით წმ. გრივოლი თანმხლებ პირებთან ერთად სომხეთში ბრუნდება. ამტიმატში ამსჯერევენ წარმართულ ტაძრებს, ამწებენ კელესიებს და ნათლავენ ხალხს. V რედაქცია ამ მონაკვეთში გაცილებით მოკლეა. იგი არ იძლევა ამტიმატის წარმართულ ტაძრების აღწერას (Aa § 809, Ag § 140), წმ. გრივოლის მიერ მონათლულ კაცთა რაოდენობას. (Aa § 814, Ag § 142). იგი არ იცნობს სომხეთის სხვა ადგილებში კელესიების ამწების ფაქტს (Aa § 816, Ag § 143) და წმინდანთა სახსენებლად დღესასწაულის დაწესებას (Aa § 815, Ag § 142).

12. წმ. გრივოლის მიერ ზაგაენში მონათლის სცენებს უფრო ლაკონურად აღწერს V რედაქცია. მასში A რედაქციისაგან განსხვავებით, წმ. გრივოლის თრდატ მეფესთან შეხვედრას (Vg § 159, Va § 147), და განმანათლებლის ასკეტური ცხოვრების თხრობას (Vg § 163, Va § 151) რამდენიმე სტრიქონი უჭირავს. ლაკონური ხასიათის მიუხედავად, V რედაქცია შეიცავს ისეთ დეტა-



ლებსაც. რომლებიც არა გვაქვს A რედაქციაში. იგი დაწერილებით ადვილად ნათლობის სცენებს (Vg § 165, Va § 153), ქალთა ნათლობისათვის სპეციალურად დადგენას, გრიგოლის მიერ ახალმოქცეულთა მირონცხებას (Vg § 166, Va § 154).

13. V რედაქცია ვრცელი რედაქციისაგან განსხვავებით, რამდენჯერმე იხსენიებს სომხეთის მეზობელ ხალხს. კესარიიდან დაბრუნებულ გრიგოლს თრდატი ხელდება ლაზთა, ალბანთა და იბერთა მეფეებთან ერთად (Vg § 159, Va § 147). ამავე მეფეებთან ერთად ინათლება თრდატი წმ. გრიგოლის მიერ მდინარე ეფფარტში (Vg § 164, Va § 152). სომეხთა განმანათლებელი აგზავნის მღვდლებს იბერთა, ლაზთა და ალბანთა ქვეყნებშიც (Vg § 163, Va § 151).

14. მცირე V რედაქცია არაფერს ამბობს სომხეთში ბერძნული და სირიული სკოლების არსებობაზე (Aa § 840, Ag § 152).

15. ვრცელი A რედაქციის მიხედვით, წმ. გრიგოლი აარსებს ეკლესიებს ედარშაბატში, არტაშატსა და ქვეყნის სხვა ადგილებში. იგი ქადაგებს მთელ სომხეთში და დაადგენს ეპისკოპოსებს. მცირე რედაქციაში ვხვდებით ისეთ ადგილებს, რომლებიც „ისტორიისათვის“ უცნობია. წმ. გრიგოლი ეპისკოპოსებს აგზავნის არა მხოლოდ სომხეთში, არამედ იბერთა, ალბანთა და ლაზთა ქვეყნებში (Vg § 170, Va § 158).

16. V რედაქცია იძლევა გრიგოლის მიერ სომხეთში გავზავნალი ცამეტა ეპისკოპოსის სია და ამავე დროს განსაზღვრავს თითოეული მათგანის საეპისკოპოსოსს (Vg § 172, Va § 160). A რედაქცია კი ასახელებს თორმეტ ეპისკოპოსს და მცირე რედაქციისაგან განსხვავებით, მხოლოდ ორი მათგანის ეპარქიაზე მიუთითებს (Aa § 845).

A რედაქცია ბევრ დეტალს შეიცავს V რედაქციისაგან განსხვავებით. ამის მიზეზი მოცულობაა, ამიტომ მათ ცალკე არ განვიხილავთ და არც სხვაობის საჩვენებლად გამოვიყენებთ. ამ ორ რედაქციას შორის სხვაობას მართაოდენ მოცულობა და შედგენილობა როდი განსაზღვრავს. მათ შორის სხვაობა იმდენად ხელშეშასებია, რომ ისინი განსხვავებული გენეალოგიური შტოს წარმომადგენლებადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ.

ოქრიდის (მაკედონია) მონასტერში აღმოჩენილი გრიგოლ განმანათლებლის ახალი ბერძნული ტექსტის შემცველი ხელნაწერი X საუკუნით თარიღდება.<sup>15</sup> ოქრიდული „ცხოვრების“ ტექსტის შედარებამ გრიგოლის ციკლში გაერთიანებულ თხზულებებთან, ცხადყო, რომ ეს ახალი ბერძნული ტექსტი მჭიდროდაა დაკავშირებული გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრებათა ციკლის როგორც პირველ, („ისტორიები“) ისე მეორე („ცხოვრებები“) ჯგუფთან. ოქრიდული ცხოვრების პირველი ნაწილი იმდენად უმსალოდაა დაკავშირებული მეორე ჯგუფში გაერთიანებულ ტექსტებთან, რომ ტერ-დეგონდიანმა ეს ოქრიდული „ცხოვრება“ ნ. მარის გამოცემულ არაბული „ცხოვრების“ პირველი ნაწილის წყაროდ მიიჩნია<sup>16</sup> (79-ე აბზაცამდე). ოქრიდული ტექსტის მეორე ნაწილი კი მთლიანად ავთანგელოსის „ისტორიის“ ბერძნულ ტექსტს მისდევს. ოქრიდული რედაქცია, როგორც ჩანს, შეუღლებული რგოლია „ისტორიებსა“ და „ცხოვრებებს“ შორის. იგი მათი შეერთების შედეგად მიღებული ნარევი რედაქცია უნდა იყოს.

მ. ვან ესბროკის მიერ 1971 წელს გამოცემული ასურულ იაკობიტთა იერუსალიმის წმ. მარკონის მონასტრის კანონიწერი ხელნაწერი თარგმნილია 1178

<sup>15</sup> G. Garitte "La vie grecque inédite de Saint Grégoire d' Arménie (Ms. 4 d' Ochrída)", *Analecta Bollandiana* 83 (1965), p. 89—113.

<sup>16</sup> ა. ტერ-დეგონდიანი, ავთანგელოსის არაბული რედაქციის ახლად აღმოჩენილი სრული ტექსტი..., 88—212.



წლით დათარიღებული სირიული ტექსტებიდან ბეშარა მოძღვრის მიერ დაბეჭდილ —ზაფარანის მონასტერში. არაბულ ტექსტში გამოყენებული საკუთარი და გეოგრაფიული სახელების ფილოლოგიური კვლევის შემდეგ ესბროკი ასკვნის, რომ კარშუნული „ცხოვრების“ სირიული ტექსტი სომხურიდან უნდა იყოს თარგმნილი. ეს ტექსტი კი მისი აზრით. VII ს-ის პირველ ნახევარში, კერძოდ კი 604—610 წლებში უნდა იყოს შედგენილი.<sup>17</sup>

კარშუნული ტექსტი მთლიანად განსხვავდება აგათანგელოსის „ისტორიის“ ყველა რედაქციისაგან. იგი განსაკუთრებულია თავისი აგებულიებითაც. ეს რედაქცია იწყება სანატრუქისა და თადეოსის ისტორიით, რომელიც არა გვაქვს გრაგულ განმანათლებლის ციკლის არც ერთ თხზულებაში. კარშუნული ტექსტის მიხედვით, „სომხეთში იყო მეფე სანატრუქი, დისწული აბგარისა... ამ სანატრუქის დროს მოვიდა ვინმე ლაზი, ტადედ თუ ადედ წოდებული და იქადაგა ქრისტეს რჯული, აბგარის დისწულმა სანატრუქმა მიიღო იგი. სომხეთის მეფეებმა შეიტყვეს ეს, შეიკრიბნენ მასთან და უსაყვედურეს წინაპართა რჯულის მიტოვება. ისიც დაემორჩილა მათ. აღი კი მოკლეს. მორწმუნე ხალხმა იგი დაკრძალა. გავიდა ხინი და მოკვდა სანატრუქი. მის შემდეგ გამეფდა ართაშესი (არტაშესი). სანატრუქისა და თადეოსის ეპიზოდს მოსდევს გრიგოლისა და თრდატის ისტორია, რიფსიმეანთა მარტვილობა, თრდატის დასჯა, გრიგოლის ხაროდან ამოყვანა და სომეხთა მოქცევის ისტორია. კარშუნული ტექსტი ტოვებს არა მხოლოდ გრიგოლის ქადაგებას, არამედ წმ. გრიგოლის ხილვასაც. „ცხოვრებაში“ გაერთიანებული ტექსტებისაგან განსხვავებით, კარშუნული რედაქცია მოგვითხრობს ხოსრო მეფის ბრძოლების შესახებ. ამ რედაქციას მიხედვით, ხოსროს დედის ახლოს კლავენ, გრიგოლი ძიძას მიჰყავს არა კესარიაში, არამედ ნეოკესარიაში, ანაკი ხოსროს ძმად არის წარმოდგენილი. ტექსტი ამოკლებს წმინდა გრიგოლის წამების ეპიზოდს და გრიგოლის თორმეტი წამებიდან მხოლოდ ცხრას შეიცავს. ეს რედაქცია პარალელს აგლებს არტაშატის ხაროში ჩაგდებულ გრიგოლსა და ბიზლიურ დანიელს შორის. კარშუნულ რედაქციას არ მოეპოვება წმინდა ქალწულთა წამების თარიღი, არც ცნობები კავკასიელ მეფეთა და მთავართა საკრებულოს შესახებ. მის პირდაპირ შემოაქვს ცნობა წარმართული კერპების მსხვერვის შესახებ. აქ კერპთა მსხვერვის თანამიმდევრობა განსხვავდება ყველა დანარჩენი რედაქციისაგან. თხრობა შემოკლებულია, დეტალები განოტოვებული, გეოგრაფიული აღვნიშნები არ არის მითითებული (ბაგაფანისა და ერეზის გარდა): ბაგაფანში, ამ რედაქციის მიხედვით თორმეტი უზარმაზარი კერპი იყო, კარშუნული ტექსტის მიხედვით გრიგოლს ხელდასახსნილად აგზავნიან არა სენასტიაში, არამედ რომში, გრიგოლი თვითონ სთხოვს მეფეს არისტაკესისა და ვრთანესის მოძებნას, წმ. გრიგოლი და თრდატი ხვდებიან კონსტანტინე იმპერატორს არა რომში, არამედ კონსტანტინოპოლში. ახლად აღმოჩენილი ტექსტი იძლევა ცნობას გრიგოლის განდგომილების შესახებ მანის ქვაბებში. მასში მითითებულია, რომ გრიგოლს ნეშტი ზენონ კეისრის დროს მწყემსმა ამრამ ჩამოასვენა თორღანში და ჰერაკლე კეისრის დროს იმ ადგილას დიდი ეკლესია ააშენეს.

კარშუნული ცხოვრების მთლიანი ტექსტის შედარებამ გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრებათა“ ციკლში გაერთიანებულ თხზულებებთან, ცხადყო, რომ იგი თავისთავადი და დამოუკიდებელი თხზულებაა, რომელიც შეიცავს აგათანგელოსის „ისტორიის“ ძირითად მასალას სრულიად განსხვავებული რედაქციით.

<sup>17</sup> M. van Esbroeck, Un nouveau témoin du livre d' Agathange, REA, VIII, Paris, 1971, p. 162.



შესაძლოა მისი ცალკე ერთეულად გამოყოფა, მიუხედავად იმისა, რომ **„ხრეშტისა“** კვეულ მიმართებაში როგორც ავთანგელოსის „ისტორიასთან“, ისე „ცხოვრებად“ წოდებულ რედაქციასთან.<sup>18</sup>

ბერძნული და არაბული „ცხოვრებების“ აღმოჩენის შემდეგ, გამოითქვა მოსაზრება, რომ უნდა არსებუდიყო მათი სომხური დედანი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, ამის გამო დაიწყო სომხური არქეტები ადგენისა და მისი დათარიღების ცდები. ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. მარამ შემდეგი სქემა შემოგვთავაზა:<sup>19</sup>

ა. V—VI სს-ში არსებობდა თხზულება წმ. გრიგოლის შესახებ (ავტორი მესრობ მამუტოცი ან სხვა ვინმე), რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია,

ბ. მეორე რედაქცია (ე. წ. „ცხოვრება“) უნდა შექმნილიყო VII—VIII სს-ში ტაოელ ქალკედონიტთა წრეში, რომელიც ითარგმნა ბერძნულად და არაბულად.

გ. VIII ს-ში შეიქმნა ახალი ((მესამე) „ეროვნული“ რედაქცია, რომელიც წარმოადგენილია ავთანგელოსის „სომხეთის ისტორიით“.

მსგავს სქემას იძლევა ნ. აღონცი, მცირეოდენი განსხვავებით,<sup>20</sup>

ა. I რედაქცია შეადგინეს V ს-ში. მასალა ამ ტექსტისთვის უნდა შეეგროვებინა მესროპს, რედაქტორი კი კორიუნე უნდა ყოფილიყო.

ბ. თხზულების II რედაქცია შექმნილი უნდა იყოს VII საუკუნის დასაწყისში ეზნაკ ხუცესის მიერ.

გ. III, „ეროვნული“ რედაქცია VIII საუკუნის დასაწყისშია შედგენილი.

ა. ტერ-ლეგონდიანი იზიარებს მარის მოსაზრებას, მაგრამ მოუღებლად მიიჩნია მის მიერ დადგენილი ქრონოლოგია.<sup>21</sup> მკვლევრის ვარაუდით, შეუძლებელია ავთანგელოსის „სომხეთის ისტორიის“ VIII საუკუნით დათარიღება, რადგან ამ რედაქციიდან მომდინარე ბერძნული თარგმანი VI საუკუნით თარიღდება, ასევე შეუძლებელია ტერ-ლეგონდიანის აზრით, „ცხოვრების“ სომხური ტექსტის შექმნა VII—VIII სს-ში. მისი ვარაუდით, სომხური „ცხოვრების“ არქეტები V ს-ის I ნახევარში უნდა იყოს შედგენილი და წინ უნდა უსწრებდეს V ს-ის II ნახევარში შეთხზულ ავთანგელოსის „სომხეთის ისტორიას“. ამ ორ რედაქციას ტერ-ლეგონდიანი სხვადასხვა მიმდინარეობას მიაკუთვნებს და განსხვავებულ გარემოში შექმნილად მიიჩნევს. მარისაგან განსხვავებით, მკვლევარი გრიგოლის „ცხოვრების“ სომხურ ტექსტს ასურულ მიმდინარეობას მიაკუთვნებს, ავთანგელოსის „ისტორიას“ კი დასავლურ-ბერძნულს უკავშირებს. „ცხოვრების“ სომხური არქეტების დაკარგვას მკვლევარი დასავლურ-ბერძნული და ასურული მიმდინარეობების დაპირისპირებით ხსნის.<sup>22</sup>

გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრების“ ბერძნული და არაბული ტექსტების აღმოჩენის შემდეგ დადგა საკითხი სომხური არქეტების რეკონსტრუქციისა, რაც დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რადგან „ცხოვრებათა“ ველში გაერთიანებული ტექსტებიდან არც ერთი არ არის მეორის ზუსტი შესატყვისი.

<sup>18</sup> ნ. მ. მარამიანი, ავთანგელოსის ძველი ქართული რედაქცია, ერევანი, 1982, გვ. 10 (სომხ. ენაზე).

<sup>19</sup> Н. Марр, Крещение армян, грузин, абхазов и алабов, св. Григорием, ст. 182.

<sup>20</sup> Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, СПб, 1905, ст. 341—342.

<sup>21</sup> ა. ტერ-ლეგონდიანი, ავთანგელოსის არაბული რედაქციის ახლად აღმოჩენილი სრული ტექსტი... გვ. 214.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 215.



სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად გამოკვეთილი ის სპეციფიკური ნიშნები, რომელთა მიხედვითაც აჯგუფებენ „გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრებათა“ ციკლის თხზულებებს. არც იმის შესახებაა გარკვევით ნათქვამი, რატომ აერთიანებენ ახლად აღმოჩენილ კარშუნულ და თქრიდულ ტექსტებს რედაქციითა მეორე ჯგუფში. გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრების“ ბერძნულ და არაბულ თარგმანთა სიმრავლეში ტექსტთა აღრევის თავიდან აცილების მიზნით კარშუნული და თქრიდული რედაქციების გაერთიანება რედაქციითა მეორე ჯგუფში პირობითად გვეჩვენება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია გრიგოლის „ცხოვრებათა“ ციკლში გაერთიანებული თხზულებების დაყოფა ორ ძირითად ჯგუფად: „ისტორიებად“ და „ცხოვრებად“. პირველი ჯგუფის ტექსტები მოცულობით ვრცელია და ცალკე, დამოუკიდებელი ავტორისეული თხზულებებია, „ცხოვრებები“ კი შედარებით მცირე მოცულობისაა, წმ. გრიგოლის მარტვილობით იწყება და შეიცავს ავათანგელოსის „სომხეთის ისტორიის“ სხვა დანარჩენ ნაწილებს. „ცხოვრებათა“ ჯგუფში უმჯობესია გაერთიანდეს მხოლოდ ბერძნული (Vg) და არაბული (Va) ტექსტები, ე. წ. თქრიდული „ცხოვრება“ კი „ისტორიისა“ და „ცხოვრების“ ნარეგ რედაქციად უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება კარშუნულ რედაქციას, აუცილებელია მისი ცალკე, დამოუკიდებელ ერთეულად განიყოფა.

Н. К. АПЦИАУРИ

СОЧИНЕНИЯ ЦИКЛА «ЖИТИЕ ГРИГОРИЯ ПРОСВЕТИТЕЛЯ»

(вопросы классификации)

Резюме

В статье рассмотрены вопросы классификации цикла житий Григория Просветителя.

Сочинения этого цикла принято делить на две группы: — „истории“ и „жития“.

В первую группу объединены древнеармянский, древнегреческий и арабский тексты „Истории Армении“ Агафангела, а вторая, кроме греческих и арабских житий, включает новооткрытые редакции — „Охридское житие“ и „Житие Каршуни“.

Сравнительное исследование групп цикла Агафангела показало, что эти „жития“ не должны быть отнесены ко второй группе, т. к. „Охридское житие“ представляет собой смешанную редакцию „историй“ и „житий“, а „Житие Каршуни“ является обособленной, независимой единицей в этом цикле.

Н. АПТСИАУРИ

WORKS OF THE CYCLE "GREGORY THE ILLUMINATOR'S LIFE"

(Questions of Classification)

Summary

The questions of classification of the cycle "St. Gregory's life" are studied in the article.





ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ԱՆՔՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ԱՆՔՆԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

The works of this cycle are divided into two groups: the "History" and the "Life". The Greek, Armenian, and Arabic texts of the "History of Armenia" by Agathangclus are united in the first group, the second containing newly discovered recensions of the "Life of Ochrida" and the "Life of Karshuni", besides Greek and Arabic ones.

A comparative study of these groups has shown that the "Life of Ochrida" and the "Life of Karshuni" should not be included in the second group, as the "Life of Ochrida" is a mixed recension of the "History" and the "Life", the "Life of Karshuni" proves to be an independent and distinct component of the cycle.

ანი ჩანტლაძე

### კირილე ალექსანდრიელის თხზულებები არსენი პარეს ქის „დოგმატიკონში“

არსენი ვაჩეს ძის „დოგმატიკონის“ უძველეს ნუსხაში (ხელნაწერთა ინსტიტუტის S 1463), დატულია კირილე ალექსანდრიელის რამდენიმე თხზულება: 1. თარგმანება შენდგომითი შემდგომად ათორმეტთა თავთაჲ ამათთა მამრალბელთა მიმართ (18 r—186 v), 2. ორი ეპისტოლე დიოკესარიის ეპისკოპოს სუკუნსონის მიმართ (186 r—188 v). 3. ნაწყვეტები კირილეს ანტინესტორიანული თხზულებიდან „განკაცებისათვის მხოლოდშობილისა“: ა) რა არის ქრისტე, ბ) თუ რაოდენ სახედ ვიტყუთ შეერთებასა, გ) ვითარმედ უსხეულოჲსა ღმრთიებისა სხეული იქმნეს ჯორცნი, მქონებელნი სულისა გონიერისანი, დ) ვითარმედ იესუ ქრისტედ სახელიდების განკაცებული სიტყუაჲ ღმრთისა, ე) თუ ვითარ ღმრთისმშობელად გულისკმაიყოფების წმიდაჲ ქალწული ვ) რაჲ არს პირველ შეერთებაჲ სიტყუსაჲ კატობრივთა თანა (189 r—190 v).

ვევლა ეს თხზულება ანტინესტორიანულია და შემონახულია „დოგმატიკონის“ ზოგიერთ ნუსხაში. კერძოდ, ძველი (XIII—XIV სს.) ნუსხებიდან S 1463-ში, ხოლო უფრო გვიანდელიდან (XVIII—XIX სს.)—Q 51 და S 401-ში. სხვა ხელნაწერ კრებულებში ეს თხზულებები არ გვხვდება. მხოლოდ მეფერამეტე საუკუნეში ანტონ კათალიკოსსა და ფილიპე ყაითმაზაშვილს მსოფლიო კრებების აქტებთან ერთად სომხურიდან ზოგიერთი ეს ტრაქტატები უთარგმნიათ.

„დოგმატიკონში“ დატული კირილე ალექსანდრიელის ტრაქტატები დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათის თხზულებებია, რომლებიც მიმართულია კონსტანტინეპოლის პატრიარქ ნესტორის მოძღვრების წინააღმდეგ.

430 წლის 30 ნოემბერს კირილემ ნესტორს ალექსანდრიის კრების სახელით წერილი გაუგზავნა, რომლითაც უკვე მესამედ მოუწოდა, დაეგმო თავისი მკლარი მოძღვრება. თუ მონანიება რომის პაპის კელესტინეს მიერ დათქმულ ვადაში არ მოხდებოდა, მაშინ კირილე და მისი მომხრეები ყოველგვარ ურთიერთობას გაწყვეტდნენ ნესტორთან. ამ წერილში კირილემ თორმეტი ანათემის სახით ჩამოაყალიბა თავის მოძღვრების ძირითადი დებულებები. 431 წელს, ეფესოს კრების მოთხოვნით, მას მოუხდა ამ შეჩვენებებისათვის განმარტებების დართვა. მოგვიანებით, აღმოსავლელ ეპისკოპოსებთან ურთიერთობის აღდგენის ცდისას, კირილემ კიდევ ერთხელ განმარტა ეს ანათემები.

1 კ. კეკელიძის ცნობით, ეპისტოლე სუკუნსონის მიმართ არის ქუთაისის მუზეუმის № 24 ხელნაწერში (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. I, 1957, გვ. 88). ქუთაისის ხელნაწერთა აღწერილობაში, № 24 ხელნაწერში ეს თხზულება აღნიშნული არ არის (იხ. ქუთაისის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, თბ., 1953).

„დოგმატიკონში“ შეტანილია ეფესოს კრებისათვის კომენტირებული ანათემების თარგმანი. ამ თარგმანის ბერძნულ ტექსტთან შედარებისას განსაკუთრებული ტექსტი ზედმიწევნით ზუსტად მიჰყვება ბერძნულ დედანს არა მხოლოდ შინაარსობრივად, არამედ წინადადების წყობითაც.

ამ ანათემების სომხური თარგმანი დაცულია VII საუკუნეში შედგენილ კრებულში „სარწმუნოების ბეჭედი“. თარგმანი ბერძნულიდან არის შესრულებული.

S 1463 ნუსხის ანათემათა ტექსტი შეეუღარეთ მეთვრამეტე საუკუნის A 266 ნუსხისას<sup>2</sup>. აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელში შეჩვენებათა ტექსტი „დოგმატიკონიდან“ შეუტანიათ მცირეოდენი ცვლილებებით:

1. შეცვლილია ანათემის დასაწყისი ფორმულა. ძველ თარგმანში შეჩვენებები ასე იწყება: „ვინცა ვინ არა აღიარებს...“, მე-18 საუკუნისაში — „უკუეთუ ვინმე არა აღიარებს...“

2. ძველი ტერმინი „თარგმანი“ მე-18 საუკუნის ტექსტში გათანადროულებულია ტერმინით „განმარტება“.

3. შეცვლილია სათაური და პირველი წინადადება.

4. თუმცა შინარსი შენარჩუნებული აქვს, მაგრამ გადაკეთებულია პირველი მეოთხე, მეექვსე, მეშვიდე, მეცხრე, მეათე და მეთორმეტე ანათემების ფორმულირებაში. სამაგალითოდ მოვიტანოთ რამდენიმე:

ანათემა პირველი: ძველი თარგმანი — „ნეტართა მამათა დედაქალაქსა შინა ნიკიელთასა შეკრებულთა...“

მე-18 საუკუნის თარგმანი: „სიტყვისა ამის წრფელითა პაზრითა განგებულთა, ნეტართა მამათა დედაქალაქსა შინა შეკრებულთა...“

ანათემა მეოთხე: ძველი თარგმანი — „ვინცა ვინ ორთა პირთა, ესე იგი გუამთა განუჩინებდეს სახარებასა და სამოციქულოთა წიგნთა შინა მოკსენებულთა მათა ანუ წმიდათა მიერ თქმულთა ქრისტესთვის, ანუ თვს მისთა თავისა თვისსათვს და რომელთამე ვითარცა კაცსა, თვნიერ სიტყუსა ღმრთისა თვსაგან გულისწმყოფილსა განუთვსებდეს, ხოლო რომელთამე „ვითარცა ღმრთივშუენიერთა მხოლოსა ღმრთისა მამისაგანსა სიტყუსა განუსაზღვრებდეს, შეჩუენებულ იყავნ!“

მე-18 საუკუნის ვარიანტი: უკუეთუ ვინმე ორთა პირთა, ესე იგი გუამოვნებათა ზედა სახარებასა შინა და სამოციქულოთა წიგნთა აღწერილთა სიტყუათა განწყოფდეს, ვინათუ წმიდათა მიერ თქმულთათვს, ვინათუ თავადისა ქრისტეს მიერ თქმულთა თავისა თვისსათვს და რომელთამე ვითარცა კაცსა გარეშე სიტყუსა ღმრთისა თვსაგან ვითარცა კაცსა განითვსებდეს და რომელთამე — ვითარცა ღმრთივშუენიერსა მხოლოსა ღმრთისა მამისაგანსა სიტყუსა განსაზღვრებდეს, შეჩუენებულ იყავნ!“

ყველა ეს ცვლილება შინაარსობრივად არაარსებითია, არც სომხურის მიხედვით არის ჩასწორებული და ამდენად, გაუგებარია ამ ადგილების შეცვლის მიზეზი.

შემდეგი ნაწარმოებები, რომელიც „დოგმატიკონშია“ დაცული, არის ორი ეპისტოლე სუკნისონის მიმართ. დოკესარიელთა ეპისკოპოსი კირილეს უკიდურეს მომხრეთა რიცხვში შედიოდა. ეფესოს კრების შემდეგ, კირილემ მორიგება და ურ-

<sup>2</sup> იხ. კ. კეკელიძე, ეტიულები, ტ. I თბ, 1957, გვ. 88; ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი A 266.



თერთობის აღდგენა განიზრახა ე. წ. „აღმოსავლელუბთან“, რომლებიც ითხოვნიან ანტიოქიელის მეთაურობით ნესტორის დამცველები იყვნენ და არ იზიარებდნენ კარაღეს თორნეტ ანათემას იმ სახით, რა სახითაც მან ეფესოს კრებას განუმატრა და ამიტომ კირილემ ანათემები კიდევ ერთხელ განმარტა აღმოსავლელუბთისათვის.

ამავე დროს, კირილეს მომხრეთა შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც დაგმო კირილეს ურთიერთობა აღმოსავლელუბთან და აკაცო მედიტინელის, სუკენსონ დიოქესარხელის, პრესბიტერ ევლოგისადმი მიწერილი წერილებით ალექსანდრიის პატრიარქი ცდილობდა თავისი მომხრეებისათვის განემარტა, რომ ქრისტეს ორი ბუნების აღიარება არ ნიშნავდა მისი ერთობის დარღვევას. კირილე ეწინააღმდეგებოდა მისი მოძღვრებიდან პირდაპირი მოწოდებით დასკვნების გამოტანას, მაგრამ ამავე დროს ამბობდა, რომ აღმოსავლელთა მოძღვრების „ორი ბუნება განუყოფელი“ სხვა არაფერია, თუ არა მისი „ერთი ბუნება სიტყვა ღმრთისა განხორციელებული“ და ამ მცირე ნიუანსით სრულიად ცვლიდა აზრს.

სუკენსონისადმი პირველ ეპისტოლეში კირილე ჯერ აყალიბებს ნესტორის ძირითად დებულებებს: 1. „განჰყოფს იგიცა ერთსა განუყოფელსა კაცსა“, 2. ამას თანა მამათაცა, რომელნი სახარებათა შინა და სამოციქულოთა ქადაგებათა მღებარე არიან ქრისტესთვის, ორად განჰყოფს და იტყვს, ვითარმედ, რომელთამე კაცისა ჯერ არს შემსგავსებაჲ, ცხად არს, ვითარმედ ღმრთივემუნებოდა“. 3. „და ვინაჲთგან მრავალგუარად განჰყოფს და კიდევანად დაიწესებს, ვითარცა განთესებულსა კაცსა წმიდისა ქალწულისაგან შობილსა და ეგრეთვე განთესებულად და კიდევანად ბედ ღმრთისა მამისაგანისა სიტყუისა. ამისთვის წმიდასა ქალწულსა არა ღმრთისმშობელად, არამედ უფროსიდა კაცისმშობელად ქადაგებს.

შემდეგ კირილე იშველიებს წმინდა მამათა გამოწამებებს, ცდილობს გამართლოს თავისი დებულებები, ამასთანავე უარყოფს მისდამი აღმოსავლელთა მიერ წამოყენებულ ბრალდებას, რომ ის აპოლინარიუს მიმდევარია.

წერილის ბოლოს კირილე ცდილობს გაამართლოს ათანასე ალექსანდრიელი, რომლის ეპისტოლეც კორინთელთა ეპისკოპოსის, ეპიკტიტეს მიმართ შეურყენაო, რადგანაც ნესტორიანთა საწინააღმდეგო დებულებებს შეიცავდა „განჰრწნეს ეპისტოლე იგი“, ზოგი რამ შემატყეს, ზოგიც დააკლეს, რათა ეს წმინდა მამაც ნესტორის თანამოაზრედ გამოეყვანათ. როგორც წერილიდან ჩანს, კირილეს სუკენსონისთვის ამ ეპისტოლის თავდაპირველი, აღდგენილი ტექსტი გაუგზავნია, რათა ნესტორის მომხრეებმა შეცდომაში არ შეიყვანონ და პირიქით, თავად იქნან მხილებულნი.

მეორე ეპისტოლე „მოსახსენებელი ნაცვლად მოწერილი მის მიერ კითხვათა მომართ ჩუენთა“, წარმოადგენს კირილეს პასუხებს ეპისკოპოსის შეკითხვებზე. კირილეს ჯერ მოაქვს კითხვა, შენდეგ ვი თავისი პასუხი. კითხვები ასეთია: 1. უკუეთუ ერთა ბუნებათაგან შემოკრბა ემმანუილ, ხოლო შემდგომად შეერთებისა ერთი ბუნებაჲ გულისკმაყოფიების სიტყსაჲ განხორციელებული, უეჭვილად შეუდგეს საგმარყოფაჲ თქემისაჲ, ვთარმედ თუსითა ბუნებით მისითა იგნო მან. 2. უკუეთუ ერთი ბუნებაჲ არსო, იტყვს, სიტყსაჲ განხორციელებული ყოვლითურთ ვითამე საჭირო არს თქუმაჲ შერწყმისა და შეზავებისაჲ მოკლებითა ვითამე და განლევითა მის შორის კაცობრივისა ბუნებისაჲთა. 3. და უკუეთუ სრული ღმერთი არსო, იტყვან, და სრულად კაცად გულისკმისსაყოფელი იგივე და თანაარსი ვიეთმე მამისაჲ ღმრთეებითა, ხოლო კაცებითა თანაარსი ჩუენი,

სადა არს სრული, უკუეთუ არა შემტკიცნა ბუნებაჲ კაცისაჲ, ანუ სადა არს თანაარსი ჩუენი, უკუეთუ არა დამტკიცნა არსებაჲ, რომელ არს ბუნებაჲ ჩვენსაჲნი.

ამ ეპისტოლეთა სომხური ტექსტი გამოცემული არ არის. ჩვენ იგი მატეა-დარანის ხელნაწერ № 115-ის მიხედვით შეგუდართუ ქართულ და ბერძნულ ტექსტებს და აღმოჩნდა, რომ ისევე, როგორც ანათემების შემთხვევაში, აქაც განსხვავებები ძალიან მცირე და უმნიშვნელოა, თანაც ქართულიცა და სომხურიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არის თარგმნილი ბერძნულიდან. განსხვავებები შემდეგნაირია:

1. ქართულ თარგმანში პირველი ეპისტოლის სათაურში „სუკენსონის“ მაგივრად არის „ნეუკენსონის“, როგორც ჩანს ეს გადაწერის შეცდომაა.

2. სომხურ თარგმანში გამოტოვებულია: „უჟამოდ და უკორცოდ ღმრთისა მისაგან შობილი“.

3. ქართულ ტექსტში: „რამეთუ თუსნი და საკუთრად მისნი იყვნეს ვორცნი იგი, ვითარ ესე ჩუენთაგანისა თითოეულისა თუსნი არიან ვორცნი კაცად კაცადისნი“. ბერძნულ და სომხურ ტექსტებში „კაცად კაცადისნი“ არ არის.

4. ქართულსა და სომხურში არის „არამიდ უფროჲსა ქალწულისაგან მიიხუნა იგი“, ბერძნულში კი — „...ქალწულისაგან მარამისა...“

5. ქართულ-ბერძნ. — „ძე თუსი მიაგლინა“, სომხურში — „ძე თუსი მხოლოდ-შობილი“.

6. ბერძნულ გამოცემაში, კირილეს მეორე ეპისტოლეში აზრობრივად ოთხი ძირითადი პუნქტია გამოყოფილი. ქართულ და სომხურ ტექსტებში ამგვარი დაყოფა არა გვაქვს, მაგრამ ქართულ თარგმანში მესამე პუნქტის წინ ჩაწერილია „მისივე“, ისე თითქოს ახალი თხზულება იწყება. ამის გამო, ამ პუნქტის წინადადება ივ. ლოლაშვილმა ცალკე სათაურად გამოიტანა<sup>3</sup>.

ამგვარად, როგორც აქ დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, განსხვავებები მეტად უმნიშვნელოა და შექანაურად შეიძლება ჩაითვალოს, თუმც არ არის გამოირიცხული რაღაც ნუსხის არსებობა, საიდანაც ითარგმნა ქართული ან სომხური ტექსტი, და რომელიც უმნიშვნელოდ განსხვავდებოდა მინის გამოცემისაგან.

შემდეგი თხზულება კირილე ალექსანდრიელისა „სქოლიოები განკაცებისათვის მხოლოდშობილისა“, არსენი ვაჩეს ბის „დოგმატიკონში“ ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი.

„დოგმატიკონის“ აღწერისას, ხელნაწერთა აღწერილობებში<sup>4</sup> და მკვლევართა ნაშრომებშიც<sup>5</sup> აღნიშნულია, რომ სუკენსონისადმი ეპისტოლეებს მოსდევს ნაწყვეტები კირილე ალექსანდრიელის „საუნჯიდან“. ეს მოსაზრება მცდარი აღმოჩნდა, რადგან როგორც გავარკვეით, ეს არის ნაწყვეტები კირილეს ანტი-ნესტორიანული თხზულებიდან „სქოლიოები განკაცებისათვის მხოლოდშობილისა“ ანუ როგორც მას „დოგმატიკონის“ სხვა თხზულებაში „თითოსახეთა თავთაჲში“ უწოდებს მთარგმნელი — „სხოლიონი“.

„სქოლიონი“ შეიცავს სხვადასხვა ქრისტიანული ტერმინებისა თუ ცნებების განმარტებებს. მაგალითად, რა არის ქრისტიკი, რა არის ემმანუილი და სხვა. ეს თხზულება ბერძნულ ხელნაწერებში სხვადასხვა რაოდენობის პარაგრაფს შეიცავს.

<sup>3</sup> ივ. ლოლაშვილი, არსენი ავლთოელი, თბილისი, 1978, გვ. 125.  
<sup>4</sup> S ფონდის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II.  
<sup>5</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1980, გვ. 281, ივ. ლოლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 126.



განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა ეს თხზულება სამეხ და სირიელ მონოფიზიტთა შორის. სომხური ტექსტი მრავალი ხელნაწერით არის მოღწეული. იგი გამოცემა კონიბერმა 1689 წელს სპარსეთში გადაწერილი ხელნაწერის მიხედვით. ამ გამოცემაში აგრეთვე გათვალისწინებული აქვს სენ-ლასაროს კოდექსის № 308 და № 448 ხელნაწერები, გარდა ამისა, 1711 წლის კონსტანტინოპოლის გამოცემა და ამდენად კონიბერის ტექსტი საკმაოდ სარწმუნოა.

ხელნაწერებზე დართული ანდერძის მიხედვით, ამ თხზულების მთარგმნელები არიან დავით ვარლაპეტი და სტეფანოს ქერდილი, მოსე სიენიელთა უნივერსიტეტის მოწაფე. ეს დავითი კონიბერს პირველად დავიდ ანჰალითი ეგონა, მესოეთე საუკუნის მოღვაწე, მაგრამ შემდეგ ერთ-ერთი ხელნაწერის ჩვენების თანახმად, მეშვიდე საუკუნეში მოღვაწე დავითად მიიჩნია.

ამ სომხურ გამოცემაში „სქოლიონი“ ოცდათექვსმეტი თავისაგან შედგება. ქართულ თარგმანში სრულად არა ვეაქვს, მხოლოდ რამდენიმე პარაგრაფია ამოკრებილი „დოგმატიკონში“. მეთვრამეტე საუკუნეში ანტონისა და ფილიპეს მიერ თარგმნილი ეს თხზულება ოცდარვა პარაგრაფისაგან შედგება და სავარაუდოა, რომ ამავე მოცულობის უნდა ყოფილიყო სომხური დედანიც, საიდანაც ამ ნაწარმოებს თარგმნიდნენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „დოგმატიკონის“ ქართულ თარგმანში პარაგრაფს „თუ ვითარ ღმრთისწობებლად გულისგმაიყოფების წმიდაი ქაღწული“ პირდაპირ ებმის რაღაც ფრაგმენტი, რომელიც, შინაარსობრივად დალიოკიდებულ ერთეულს წარმოადგენს და რომელიც არ არის არც ბერძნულ, არც სომხურ ტექსტში. ასევე მეორე ნაწყვეტიც, რომელიც ქართულში გამოყოფილია ხიტყვით „მისივე“, არ არის სხვა ენებზე.

რაც შეეხება ტექსტობრივ დონეზე განსხვავებებს, გამოთვალისი არც აქ არის და ქართულიც და სომხური თარგმანებიც უმნიშვნელოდ განსხვავდებიან ბერძნული ორიგინალისაგან. ასე მაგალითად:

1. სომხურში გამოტოვებულია ფრაზა „თუ რაოდენ სახედ ვიტყუთ შეერთებასა“.
2. ქართულში გავრცობილია წინადადება. ბერძნულ ტექსტში ვეაქვს: „სხვა ბუნებისა არიან ხორცინი სულისა მიმართ“. ძველქართულ თარგმანში: „რამეთუ ვითარცა სხუაბუნება არს სული ვორცთა მიმართ და ვორცნი სულისა“.
3. ბერძნულში არის: „და არის სხეული ქვემდებარე. ძველქართულ თარგმანში ოღნავე შეცვლილია და აზრი თითქოს გავრცობილია: „ხოლო ქუედ მისსა არს ხილული იგი სახე შროშანისა“.

ამგვარად, „დოგმატიკონში“ დაცული კირილე ალექსანდრიელის თხზულებათა შესწავლამ გამოავლინა:

1. სუვენსონისადმი ეპისტოლეებს მოსდევს ფრაგმენტები კირილეს „სხოლიონიდან“ და არა „საუნჯიდან“, როგორც აქამდე იყო მიჩნეული.
2. ქართული და სომხური ტექსტები ბერძნულიდან არის თარგმნილი. სომხური სრულად, ქართულში კი „დოგმატიკონის“ მთარგმნელის თვალსაზრისით მერჩული ფრაგმენტები.
3. მეთვრამეტე საუკუნეში ანტონისა და ფილიპეს კირილეს თორმეტი ანათემა თავიდან, სომხურიდან კი არ უთარგმნიათ, არამედ გამოუყენებიათ და კრებულში წესდებისათ „დოგმატიკონის“ თარგმანი მცირეოდენი, უმნიშვნელო ცვლილებებით.

ТРАКТАТЫ КИРИЛЛА АЛЕКСАНДРИЙСКОГО В «ДОГМАТИКОНЕ»  
АРСЕНИЯ ВАЧЕСДЗЕ

Резюме

В «Догматикон» Арсения Вачесдзе включены переводы антинесторинских трактатов Кирилла Александрийского:

1. 12 анафем против Нестория;
2. Два послания к Сукезону, епископу Диокесарии;
3. Фрагменты догматического сочинения «Scholia de Incarnatione Unigeniti».

В рукописный сборник А—266, составленный в 18-ом веке, внесен перевод Арсения «12 глав», с незначительными изменениями, и с армянского сделан новый полный перевод «Scholia de Incarnatione Unigeniti».

Вышеупомянутые антинесторинские трактаты переведены и на армянский язык.

Сравнение греческого, грузинского и армянского текстов показало, что грузинский и армянский переводы сделаны с греческого и точно следуют оригиналу.

A. CHANTLADZE

CYRIL OF ALEXANDRIA'S TREATISES CONTAINED IN  
ARSENI VACHESDZE'S "DOGMATICONI"

Summary

Arseni Vachesdze's "Dogmaticoni" contains the following anti-Nestorian treatises by Cyril of Alexandria:

- 1) twelve anathemas against Nestorius; 2) two epistles to Successonus, bishop of Diocaesarea; 3) fragments from the dogmatic work "Scholia de Incarnatione Unigeniti".

Arseni's translation of "12 anathemas", with slight alterations, is included in an 18th century Georgian manuscript. The same manuscript contains a new full translation of "Scholia de Incarnatione Unigeniti", made from the Armenian.

A comparative study of the Greek, Georgian, and Armenian texts demonstrates that both — Georgian and Armenian—translations were made from the Greek with hardly any alterations.

ნათია ჯავახიშვილი

### „ნინოს ცხოვრების“ სომხური სვინაქსარული რედაქციები

ქრისტიანობის შემოღების შემდეგ სომხეთში სირიულიდან და ბერძნულიდან ითარგმნებოდა საეკლესიო დანიშნულების მქონე კრებულები. ამავე დროს იქმნებოდა ორიგინალური სასულიერო ხასიათის მატარებელი ძეგლებიც.

მე-10 საუკუნის ბოლოს იოსებ კონსტანტინეპოლელმა ბერძნულიდან სომხურად თარგმნა სვინაქსარული კრებული. მე-12 საუკუნეში კი გრიგოლ ვკაიასერმა (მარტიროფილმა) სამოციქულო კრებულთა რეფორმაციის საფუძველზე შეადგინა „რჩეულ-სიტყვანი“, რომელიც ქართული „მრავალთავის“ ანალოგიურია. მე-13 საუკუნის დასაწყისში, ხაჩენის ეპისკოპოსმა, ტერ-ისრაელმა ბერძნულიდან თარგმნილი სვინაქსარული კრებული გადაამუშავა. მასში ჩაამატა გრ. მარტიროფილის „რჩეულ-სიტყვიანიდან“ გამოკრებილი საკითხავები სომეხ წმინდანთა შესახებ და ტექსტები დალაგა კალენდარული წლის მიხედვით (სათავლადი დაიწყო პირველი იანვრით). ამ რედაქციიდან იღებს სათავეს კრებულის სომხური სახელწოდება „ჰაისმაფურქი“<sup>2</sup>. ამავე საუკუნეში იქმნება „ჰაისმაფურქის“ კიდევ ორი ახალი რედაქცია (კირაკოს არეველცისა და გრიგოლ ანავარზელი კათალიკოსის ნიერ შედგენილი). მე-15 საუკუნეში კი გრიგოლ ზღათელმა ბერძნულიდან თარგმნილი სვინაქსარისა და სომხური „ჰაისმაფურქების“ საფუძველზე შეადგინა ამ კრებულის გაცალეებით სრული და საბოლოო რედაქცია, რომლითაც დღემდე სარგებლობს სომხური ეკლესია.

სომხური „ჰაისმაფურქების“ სან რედაქციაში შეტანილია „ნინოს ცხოვრების“ სვინაქსარული ტექსტები, რომელიც გამოქვეყნებული აქვს ცნობილ სომეხ ნკველევარს ნერსეს აკინიანს.<sup>3</sup>

ნ. აკინიანს „ნინოს ცხოვრების“ პირველი სვინაქსარული საკითხავი ამოღებული აქვს ტერ-ისრაელის სახელით ცნობილ რედაქციიდან, რომელიც გრ. ფეშტიმალჭენამა გამოსცა კონსტანტინეპოლში 1834 წელს. თუნცა, ეს უკანასკნელი, გ. სარგისიანისა და ნ. ავადალბეგიანის გამოკვლევათა მიხედვით, გრიგოლ ანავარზელის რედაქციას მიჰყვება და არა „ტერ-ისრაელისას“<sup>4</sup>. ამ უკანასკნელში კი „ნინოს ცხოვრება“ საერთოდ არ არის შეტანილი<sup>5</sup>. ამდენად, ნ. აკინიანის მიერ გამოცემულ ტექსტთა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა იტყ-

1 ი. აბულაძე, შრომები, ტ. 1, თბ., 1975, გვ. 6.

2 მ. ავადალბეგიანი, „ჰაისმაფურქები“ და მათი ისტორიულ-ლიტერატურული ღირებულება, ტ. 1, 1982, გვ. 54-86. (სომხ. ენაზე).

3 ნ. აკინიანი ქრისტიანობის შემოსვლა სომხეთსა და საქართველოში. ვენა, 1949, გვ. 151-161 (სომხ. ენაზე).

4 ვენის მხითარისტთა კონგრეგაციის წიგნთსაცავის სომხურ ბელნაწერთა აღწერილობა. ტ. 1. გამოსცა ი. ტაშიანმა, ვენა, 1895, გვ. 544-546. (სომხურ ენაზე).

5 ნ. აკინიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 174.



ლება: I კირაკოს არეველცის (მე-13 ს.-ის მეორე მეოთხედი) და 2. გრიგოლ ანა-  
ვარზელის მე-13 ს.-ის ბოლო) რედაქციები.

სომხურ ისტორიოგრაფიაში პირველი ცნობა წმ. ნინოს შესახებ მოხსენიებული  
რენელთან გვხვდება გრ. ვკაიასერის „რჩეულ-სიტყვანში“ შესული საკითხავიც  
ამ ვერსიიდან მომდინარეობს. რაც შეეხება „ჰაისმაეურქებში“ დაცულ სვინაქსარულ  
ტექსტებს, ისინი მეტ-ნაკლებ რედაქციულ სხვაობებს იძლევიან.


როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი სვინაქსარული რედაქცია გ. არეველცის  
მიერ შედგენილ კრებულშია შესული. ამ ტექსტის ძირითადი ნაწილი მოსე ხო-  
რენელის ნინოს ისტორიას მიჰყვება. მხოლოდ, დასაწყისში მოცემულია ნინოს  
მოგზაურობის მარშრუტი: „... ვიდრე წმინდა ქალწულები (იგულისხმება რიფსი-  
მეანელები) სომხეთს მოვიდოდნენ, ჯერ ედესაში მივიდნენ, საიდანაც გადავიდნენ  
ეკელეაცის გავარში. იქ, ერთ მთაზე ქალწული მანი დარჩა, რომელმაც გამო-  
ქვაბულში დაიდო ბინა. სხვები წამოვიდნენ და ავიდნენ მთაზე, ნაწილი ორ  
მდედელთან ერთად დარჩა ვარაგის მთაზე. მათ თან ჰქონდათ უფლის სისხლით  
შეერთებული ჯვარი, რომელიც რომიდან წამოიღეს. ხოლო ერთი მათგანი, რომ-  
ლის სახელია ნუნი, აქედან წავიდა ქართველთა ქალაქ მწხითას, სადაც სიქველი-  
თა და სიწმინდით ცხოვრობდა...“.

ამ რედაქციისაგან განსხვავებით გრ. ანავარზელისეული „ჰაისმაეურქში“ და-  
ცული ტექსტის ავტორი წყაროდ იყენებს სოკრატე სქოლასტიკოსის „საეკლესიო  
ისტორიის“ სომხურად არსებულ თავისუფალ თარგმანს, ე. წ. „მცირე სოკრა-  
ტეს“<sup>6</sup>. და ავსებს მას მოსე ხორენელიდან ამოღებული ფრაგმენტებით (გრიგოლ  
განმანათლებელთან ნინოს მიერ მოციქულების გაგზავნა და კერპების დამსხვრევა).

„ნინოს ცხოვრების“ ბოლო რედაქცია შედის გრ. ხლათელის მიერ შედგე-  
ნილ „ჰაისმაეურქში“ (მე-15 ს.-ის დასაწყისი), რომელიც ორ წინანობრებულ სვინ-  
აქსარულ ტექსტთან შედარებით ვრცელია. ავტორი ამ შემთხვევაშიც საფუ-  
ძვლად ხორენელისეულ ვერსიას იღებს და ავსებს მას სხვადასხვა წყაროებიდან  
ამოკრებილი ცნობებით. გრ. ვკაიასერის „რჩეულ-სიტყვანში“ დაცულ „რიფსიმე-  
ანთა მარტილობიდან“ გამოღებულია ქალწულთა მოგზაურობის საკმაოდ ვრცე-  
ლი აღწერა, სადაც გაცილებით მეტი გეოგრაფიული პუნქტებია დასახელებული,  
ვიდრე კირაკოს არეველცისეულ „ჰაისმაეურქში“: „სამშის ოცსა და ოქტომრის  
ოცდაცხრას არის წმიდა ნუნესა და მანეს ხსენება. ისინი წმინდა ქალწულებთან  
ერთად წამოვიდნენ რომიდან, მოვიდნენ ალექსანდრიაში, საიდანაც გადავიდნენ  
იერუსალიმში, შემდეგ ურპას და იქიდან მოვიდნენ მაჟაქს, რომელიც არის კე-  
სარია. აქედან წამოვიდნენ ეკელეაცის გავარში, რომელიც არის ერწინჯა და კა-  
მახი. აქ დარჩანდის მთაზე, ერთი მათგანი, რომლის სახელია მანი, დარჩა. მან  
გამოქვაბულში დაიდო ბინა და იქ ცხოვრობდა აღსრულებამდე. დანარჩენები  
წამოვიდნენ ქვეყნის ზემო მხარეს და მიიღწიეს ქალაქ ხლათს, აქედან გადაი-  
ნაცვლეს თუხში, გადავიდნენ აღმისში, შემდეგ მოქქის გავარში და დაბანაკდნენ  
იმ ადგილზე, რომელსაც წმიდა ჯვარი ერქვა, ამჟამად კი, წმიდა ქალწულთა  
მონასტერს უწოდებენ. აქედან წავიდნენ ჰალკში და წმიდა ჯვრის ძალით, რომელიც  
მათ თან ჰქონდათ, აღმოატყნეს ცხოველმყოფელი წყალი, რომელიც სას-  
წაულებრივ კურნავდა ავადმყოფებსა და ისრით დაჭრილებს. აქედან მივიდნენ  
პოგეოცის მონასტერში და თავიანთ სცეს ღვთისმშობლის ზის ხატს. შემდეგ

<sup>6</sup> მოსე ხორენელი, სომხეთის ისტორია, თბ., 1913, გვ. 232—234 (სომხ. ენაზე).

<sup>7</sup> ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართ. ტექსტი და ბე. სომხური თარგმანი  
გამოკვლევითა და ლექსიკონითურთ გამოცემა ილ. აბულაძემ. თბ., 1953, გვ. 66—71.



გადავიდნენ ტოსპის გავარში და დაბანაკდნენ ვანაბერდის პირდაპირ, სამხრეთის მხარეს, ამ ადგილას, რომელსაც წმიდა ჯვარი ჰქვია და ღურუბასაც უწოდებენ, აქედან ავიდნენ ვარაგის მთაზე და იქ შეკრეს წმ. ჯვარი ცხოველმყოფელი სხეულითა და სიგანითა. ერთი ნაწილი, ორ მღვდელთან ერთად ამ მთაზე დარჩა..... ისინი სამოცდაათნი იყვნენ, ვადარშაპატამდე მოადწია ოცდათვრამეტმა, აქედან ოცდათექვსმეტი რიფსიმესთან ერთად აღესრულა... ერთი მათგანი, რომლის სახელია ნუნი, რიფსიმეანთა წამების დროს გაიქცა და მიადწია ქართლს, ქართველთა ქალაქ მწხითას, სადაც სიმდაბლითა და სიწმინდით ცხოვრობდა. ქრისტეს ძალით მოსპო ქართველთა ყოველგვარი სენი. განკურნა ქართველთა მეფის მიპრანის ცოლი და უჭადაგა მას ღმრთისმსახურება...". ამის შემდეგ თხრობა ხორენელის ისტორიის 86-ე თავს მიჰყვება, მაგრამ ტექსტის ბოლოს წინოს სამოციქულო საზღვრებში კლარჯეთის ნაცვლად აფხაზეთია დასახელებული: „...ხოლო წმიდა ნუნე წავიდა სხვა წარმართი გავარების — ქართველთა და აფხაზთა, რომელიც არის ალანთა კარებამდე, კასპიის ზღვის ნაპირებამდე, მასქუთთა საზღვრებამდე. ებრაეებით მიიცვალა ქრისტეს მიერ“. აფხაზეთის მითითება, როგორც ჩანს, სვინაქსარისტის შეცდომა უნდა იყოს, ვინაიდან ტექსტის დანარჩენი ნაწილი ხორენელის მონაცემებს იმეორებს.

სვინაქსარული ცხოვრების ავტორი, როგორც ჩანს, იცნობს „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანსაც, ვინაიდან მირიან მეფე, ერთ ადგილას „სპარსის ძეგ“ არის მოხსენიებული. აგრეთვე, ქართული წყაროს გავლენის კვალი ჩანს იმ ნაწილშიც, სადაც მოთხრობილია წმიდა წინოს ნეშტის ღუსკუმაში ჩასვენების შესახებ<sup>8</sup>. „... იგი ქართველებმა პატივით ჩაასვენეს ღუსკუმაში და თავყანისცეს, როგორც თავიანთ წინამძღოლსა და განმანათლებელს. ღუსკუმაში ჩადებული ნაწილები, ქრისტეს ძალით უამრავ სასწაულებს ახდენდა“.

წინოს ცხოვრების“ სვინაქსარული ტექსტის შემდგენლები ძირითადად მოსე ხორენელის ისტორიას ეყრდნობიან, თუმცა აესებენ მას „რჩეულსიტყვიანად“ (რიფსიმესა და გაინეს ცხ-ბა)“, „მცირე სოკრატეს“ ისტორიიდან და ქართული წყაროდან ამოკრებილი ფაქტობრივი მასალებით.

Н. ДЖАПАРИДЗЕ

АРМЯНСКИЕ СИНАКСАРНЫЕ РЕДАКЦИИ «ЖИТИЯ НИНО»

Резюме

В редакциях армянского агиографического сборника «Айсмавурк» (К. Арвелци — середина XIII в. Гр. Анаварзечи — конец XIII в. и Гр. Хлатеци — начало XV в.) имеются синаксарные тексты жития св. Нино, которые, по данным текстологического и источниковедческого анализа, отличаются друг от друга.

На основе сличения синаксарных редакций можно заключить, что составители этих житий пользуются преимущественно версией Моисея Хоренаци, обогащая ее сведениями из различных источников.

<sup>8</sup> ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართ. ტექსტი და ძვ. სომხური თარგმანი ვიკოვლევიტა და ლექსიკონითურთ გამოსცა ილ. აბულაძემ. თბ., 1953, გვ. 66-71.

## ARMENIAN SYNAXARION REDACTIONS OF "THE LIFE OF ST. NINO"

## Summary

Some synaxarion texts of the "Life of St. Nino", differing in terms of textual and source analysis, are to be found in the redactions of Armenian hagiographic collection "Aismavurk" (K. Areveltsi: mid 13th cent., Gr. Anavarzetsi: end of the 13th cent., and Gr. Khatetsi; early 15th cent.). On the basis of a collation of synaxarion redactions it can be concluded that the compilers of these "Lives" primarily used Moyses Khorenatsi's version, enriching it with information from different sources.

## ლელია თუშიშვილი

### დავით კობიძე — ქართულ-სპარსული ლექსიკონის ავტორი

დავით კობიძე ძირითადად მუსოხობდა ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების და ლიტერატურის ისტორიის პრობლემებზე. ბუნებრივია, რომ მისი ინტერესების სფეროში მოექცა ქართულ-სპარსული ლექსიკონი, რომლის შესწავლა დიდ დახმარებას უწევდა შემოსხენებული საკითხების კვლევისას.

მისი აზრით, ნათარგმნი ძეგლების ნამდვილი მეცნიერული შესწავლა მათი დედნებთან შედარების გზით არის შესაძლებელი. შედარება იძლევა მეტად საინტერესო მასალას სიტყვითა მნიშვნელობების დადგენაში. გარდა ამისა, სპარსულიდან მომდინარე ძეგლებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ თვით სპარსული ტექსტის შესწავლაში, მოებოვებათ რა უხვი მასალა სპარსული ტექსტის შესწორებისა და დადგენისათვის. საილუსტრაციოდ შეიძლება ერთი მაგალითის დასახელება „ვისრამიანიდან“, ქართულ „ვისრამიანში“ იკითხება „გულისაგან ნაღვისაებრი სიტყვა ამოყარა“; თეირანში გამოცემულ სპარსულ ტექსტში ეს ადგილი ასე იკითხება: სობანჰაჟ რუ ზარ აზ დელ ბარ აქნანდი — გულიდან თქროსაებრი სიტყვები ამოყარა;

ბატონი დავითის აზრით, შინაარსის მიხედვით ქართული ტექსტის წაკითხვა უფრო განართლებულია: მოაბადის გულს, რომელიც საგონებლისა ცეცხლით იწვოდა, ნაღვისებრი სიტყვის ამოყარა უფრო უდგება, ვიდრე თქროსაებრი. ე. ი. ნათარგმნელის ტექსტში ყოფილა არა „ზარ“-თქრო, არამედ „ზაპრ“ „ნაღველი“. ე. ი. სპარსულ ტექსტში „ზარ“-ის ნაცვლად უნდა იყოს „ზაპრ“.

განსაკუთრებით მდიდარია აღმოსავლური მწერლობიდან ნათარგმნი თხზულებებით აღორძინების პერიოდი (XVI—XVII ს.). ამ ხანებში აღმოსავლური ლექსიკა შედიოდა ქართულში როგორც თარგმანების, ისე ზეპირი მეტყველების საშუალებითაც. ამ ლექსიკიდან ზოგი შეითვისა და გაითავისა ქართულმანამ, ზოგმა კი ვერ მოიკიდა ფეხი, ვერ დამკვიდრდა. მკვლევრის აზრით, ნათარგმნი თხზულებებში წარმოდგენილი ლექსიკის შესატყვისი უნდა დაიძებნოს მათ დედნებში. ასეთი სახით სამუშაოს ჩატარება მათ შესწავლასაც შეუწყობს ხელს, ამავე დროს მოგვცენს დიდ მასალას ვრცელი ლექსიკონების შესადგენად, კერძოდ, სპარსულ-ქართული ლექსიკონისა. განსაკუთრებით მიზანშეწონილი იქნებათ ამ თვალსაზრისით შესწავლილ იქნეს „ვისრამიანი“, „შაჰ-ნამე“ და მისი ციკლის ყველა ქართული თხზულება, აგრეთვე „ბახთიარ-ნამე“, „სინდბადნამე“, „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიები და სხვ.

აქედან ცხადია ის დიდი ინტერესი, რომელიც ჰქონდა ბატონ დავითს ყველა ჩამოთვლილი თხზულების ლექსიკისადმი. თვით დ. კობიძემ ასეთი ხასიათის



კვლევის შესანიშნავი ნიმუშები დაგვიტოვა (განსაკუთრებით ეს ეხება „ვისრამიანის“ კვლევას). მისი აზრით, „ვისრამიანში“ მთარგმნელს ბევრი სპარსული სიტყვა (სრა, პეშანი, თათბირი, ჯუფთი, ძაბუნი და სხვ. მრავალი) უთარგმნელად დაუტოვებია. ბუნებრივია, ეს სიტყვები „ვისრამიანამდე“ იყო ხალხში გავრცელებული და გასაგები. მაგრამ ერთი წყება სიტყვებისა კლასიკურ ხანის ძეგლებში არ გვხვდება, იგი გვიანდელი უნდა იყოსო! მაგ. ფარანდა „მფრინავი ფრთოსანი“, რაც ალ. გვ. შარასა და მ. თოდუას დაკვირვებით უაქის (შეკრივის) სინონიმადაა გამოყენებული და მის პარალელურად იხმარება „ვის-ო-რამიანის“ სპარსულ ტექსტში არსად არ გვხვდება „ფარანდა“ შეკრივის მნიშვნელობით.

ბევრი სიტყვა თავისი ადგილმდებარეობის მიხედვით ემთხვევა სპარსული ტექსტის ლექსიკურ მონაცემებს და ხელსაყრელ პირობას ქნის მის შესასწავლად.

„ვისრამიანის“ სპარსულ და ქართულ ტექსტებზე ასეთი ხასიათის კვლევები შედეგად გამოვლინდა არაერთი და ორი სიტყვის მნიშვნელობა, რაც „ვისრამიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ არსებულ ლექსიკონებში არ არის აღნიშნული, ტექსტის სათანადო ადგილს კი ის უფრო მიესადაგება.

ასეთებად ნიანჩია:

**ბ ა ს რ ა** — „ვისრამიანში“ და „ვეფხისტყაოსანში“ ნიშნავს ფოლადს და არამჭრელს ან ბასრულს.

**ი ა ლ მ ა გ ი** — „ვისრამიანში“ ნიშნავს ჯავშანს (ვისრამიანი არ იცნობს სიტყვა ჯავშანს), „ვეფხისტყაოსანში“ მის საბადლოდ ჯავშანია.

**ლ ა მ ა ზ ი** — არაბ. სიტყვაა, ნიშნავს — ცილისწამებელი, მლანძღავი, მაყინებელი. სპარსულში იშვიათად იხმარება; „შაჰ-ნამე“ და „ვისო რამინი“ არ იცნობს ამ სიტყვას; მაგრამ გვხვდება „ვისრამიანის“ ქართულ ვერსიაში, როგორც მისი არაბული მნიშვნელობით, ისე მისი დღევანდელი გაგებითაც.

**მ ტ ე რ ი და მ ტ ე რ ი ა ნ ი** — შესატყვისია არაბ-სპარ. საარჟ-ისა (ბუნდა, ებილფუსია). ამ მნიშვნელობით გვხვდება „ვისრამიანშიც“, „ვეფხისტყაოსანში“ მტერიანის ნაცვლად არის „მტერდაცემული“.

**ნ ა ზ ი** — ნიშნავს საყვედურს, კიცხვას. ნაზი-ნაზობა წყრომის სინონიმად ჩანს. (ნის შესატყვისად სპარსულ ტექსტში არის ცათბ, ცეთაბ). როგორც ჩანს, „ნაზ“-ის მნიშვნელობა ქართულში შენდეგ დაეწროვდა.

გარდა ამისა, საინტერესოა, რომ ქართულ „ვისრამიანში“ არ გვხვდება სიტყვები: მინა, ჩოგანი, ჯავშანი, ბულბული (მათ საბადლოდ გვაქვს ჭიჭი, ყვანჯი, იალმაგი, იაღონი). აქედან მკვლევარი ასკვნის, რომ „ვისრამიანი“ უფრო ადრე ითარგმნებოდა, ვიდრე დაიწერებოდა „ვეფხისტყაოსანი“. „ვისრამიანის“ თარგმნისას სპარსული ლექსი: ქართულ ენაში მძაფრად არ იყო დამკვიდრებული. ამით „ვისრამიანს“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კლასიკური ხანის ძეგლებში.

მკვლევარი, როგორც აღინიშნა, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ქართულ და სპარსულ ტექსტებში პარალელურად ხმარებული ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების შესწავლას. საინიშნოდ მოგახსენებთ მის მიერ დადგენილ შესატყვისებს „ვისრამიანში“:

1 ვისრამიანის საკითხები (ქართულ-სპარსული ლიტ. ურთიერთობანი, ტ. I).

აბგანე — შინა, ბროლი	ჭიქა
ბოლბოლ — ბულბული	იაღონი
ფულად — ფოლადი	ბასრი
ბიზარ — ღარდა, მწუხარება	სიმძიმელი
ჩამ — ორმო, ჭა	ლილევი
ჯავშან — ჯავშანი	ილმაკვი
ჩოგვან — ჩოგანი	ყვანჭი
ხანჯარ — ხანჯალი	ხმალი, დანა
სახთ — დიდად, მეტისმეტად	ღია
სარე — ბნელა, ავიზნე	მტერი
ქათიბ — სავეფური, კიეხვა	ნაზი
გურესთან — სასაფლო	სამაროანი
მეგესთან — სამიციტნო	საწნახელი
პარკეზ — ოღესმე	ჯოლა
პამიშე — მუღან	ნოწყით
აბრე ხორუშან — მგრგენი დრუბელი	დრუბელი ქუხილიანი
ბეზალასარე — სიმაღლით სარი	ნაკვეთად ნაძვი.

მეტად საინტერესო განმარტებებს იძლევა საკუთარი სახელების შესახებ. მაგ. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მისი აზრი ისეთ საკუთარ სახელებზე, როგორცაა სავარსამი, ხვარანზე და სხვ. მრავალი. სავარსამი ასხნილია როგორც მხედარი საამი (საამ — საკ. სახელი. შაჰ-ნამეს გმირი და სპ. სავარ — მხედარი), ხვარამზე — სპ. ხვარ-მზე<sup>2</sup> და ქართ. 'მზის' შეერთება.

ამგვარად შედგენილი სიტყვები და სახელები ვრცელდებოდა და ფხვს იკიდებდა როგორც ლიტერატურულ, ისე ხალხურ თხზულებებში. მაგ., „სელიანი-ანში“ იკითხება საკუთარი სახელი ა ს მ ა ნ ი ც ა (სპარსული ასმან 'ცა' და ქართ. — 'ცა'); თეიმურაზ I-ის „იოსებ ზილიხანიანში“ ვეაქვს სიტყვა მისრ — ეგვიპტე (არ. სპ. მისრ „ეგვიპტე“ და ქართ. ეგვიპტე), გეშთ — სასიერნოდ (სპ. გეშთ — სიერნობდა და ქართ. სიერნობა); „ვისრამიანში“ ხელმწიფე — ხუასროვი (ქართ. 'ხელმწიფე', სპ. ხუასროვი იგივე მნიშვნელობით).

სპარსულ სიტყვასთან მისი თარგმნის წარმოდგენა შეინიშნება სპარსულიდან ნათარგმნ თითქმის ყველა თხზულებაში, მიუხედავად მათი გადმოთარგმნის დროისა. ხალხურ „ეთერიანში“ გვხვდება საკ. სახელი შერელომი (სპ. შერ-ლომი და ქართ. ლომი)<sup>2</sup>.

მისი აზრით, ქართულ ტექსტში ზოგ სიტყვას ცნობილი ძირითადი მნიშვნელობის გარდა, შეიძლება სხვა მნიშვნელობაც ჰქონდეს და ქართულში იგი შეძენილი არ იყოს. მაგალითად მოაქვს სიტყვა „რაზმ“. ქართულში მხოლოდ ჯარის, ლაშქრის ნაწილი კი არ არის, მას ომის, ბრძოლის მნიშვნელობაც აქვს. მაგრამ ეს მნიშვნელობა „რაზმს“ სპარსულშიც აქვს, ქართულში არ შეუძენია. ამიტომ უცხო წარმოთქმის სიტყვას უნდა ახლდეს მისი ძირითადი მნიშვნელობების თარგმანი ნაინც. მაგ., ამ მხრივ საინტერესოა სიტყვა შ ა რ უ ხ ი. იგი ლექსიკონში განმარტებულია როგორც ბულბულის მსგავსი ფრინველი (ჩუბინაშვილის ლექსიკონიდან მოდის). არ არის გათვალისწინებული „ვისრამიანის“. ი. აბულაძის სეული ლექსიკონი, სადაც ეს სიტყვა სწორად არის განმარტებული — კუ და შარუხი ჭადრაკის კაცების ძველებური სახელწოდებებიაო. აღ. გვახარასა და მ. თოდუას განმარტებით შარუხი არის ეტლი<sup>2</sup>.

<sup>2</sup> „ვისრამიანის“ საკითხები (ურთიერთობები, ტ. I).  
<sup>3</sup> ინათმეცნიერული შენიშვნები (ურთიერთობები ტ. III).

მეტად საინტერესოდ არის ახსნილი სიტყვა ხურომანი<sup>1</sup>. იგი არის საკუთარი სახელი. „როსტომიანის“ ხალხური ვერსიით ზურაბის დედაა. დ. ანდრონიკაშვილი-ბა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ აზრს, რომ ხურომანი ქართული ვერსიის თუმიანის შეცვლის შედეგად მიღებული, და ფიქრობს რომ წარმომდგარა სპარსული სიტყვიდან „ხორამიდან“ — გომანით, მოხდენილად სიარული. ხორამან ამ ზმნის აწმყო მინდობის ფორმაა და ნიშნავს მოხდენილად მოსიარულეს. ზშირად გვხვდება სპ-ში სარეე ხორამან — მოხდენილად მოსიარულე ნაძვი (ტანადი აღამიანი).

ძალიან ფრთხილად ეკიდებოდა მკვლევარი მისთვის საინტერესო სიტყვების დაწერილობასაც. მისი აზრით, გამომცემელს არ აქვს არავითარი უფლება ცალკეული სიტყვებისა და სახელების ორთოგრაფიის და ფორმების გასწორებისა. ზეუნაწერებში არსებული სურათის უცვლელად დატოვება მეტ საშუალებას იძლევა ამა თუ იმ საკითხის ძიებაში, იქნება ის ენათმეცნიერული თუ ლიტერატურული ხასიათისა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მის მიერ „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების III ტომზე დართული ლექსიკონი.

აქ, გარდა სიტყვის ყველა მნიშვნელობის ჩვენებისა, არის ზუსტი მითითება ტექსტის იმ ადგილის, სადაც ეს სიტყვა გვხვდება. ბევრ ლექსიკურ ელემენტს ასევე ვრცელი მსჯელობა (მაგ. ბადახში, ნოშტარო, ზეგარდმო, კარნი, ნახლი; საკუთარი სახელები: ბაამანი, გვარჯასკი და სხვა მრავალი. თითოეულ ამ სიტყვას ბუდე წარმოადგენს ცალკე სტატიას, სადაც სამ-ოთხ გვერდზე ორ-ორ სვეტად არის წარმოდგენილი მსჯელობა სიტყვის წარმოშობაზე, მის მნიშვნელობებზე საერთოდ, და კერძოდ მოცემულ ადგილზე. განხილულია სხვადასხვა მეცნიერის აზრი, მოშველიებულია სხვა ქართული ტექსტების სათანადო ადგილები და მხოლოდ ამის შემდეგ ავტორის მოსაზრებები.

როგორც ზევეთაც აღნიშნეთ, დ. კობიძის ყურადღების გარეშე არ დარჩენილა არც ხალხური სიტყვიერების მონაცემები. მაგ. აჭარის ზულოს რაიონის სოფ. დანისბირულში მის მიერვე ჩაწერილ მასალებშიც აქვს დაძებნილი სპარსულ-არაბული სიტყვები (ქოშე სპ. გუშე „კუთხე“, რომელიც აჭარულში თურქულის მეშვეობით არის შესული). აღნიშნული აქვს აგრეთვე ბევრი თურქული წარმოშობის სიტყვა. მის მიერ შესწავლილი თითოეული სიტყვა წარმოადგენს ცალკე მოხსენიების საგანს.

Л. Н. ТУШИШВИЛИ

Д. И. КОБИДЗЕ — ИССЛЕДОВАТЕЛЬ ГРУЗИНСКО-ПЕРСИДСКОЙ  
ЛЕКСИКИ

Резюме

Д. И. Кобидзе — исследователь истории персидской литературы и персидско-грузинских литературных связей. Естественно, в сфере его интересов оказалось и изучение персидско-грузинской лексики.

В его лексических исследованиях главную роль играет сравнение лексики переводной литературы с оригиналом. Кропотливый анализ текстов часто дает возможность установить время проникновения пер-

<sup>1</sup> ფილოლოგიური დიკციონარები.

сидских слов в грузинский язык. Кроме того, с помощью грузинского текста уточняется и исправляется текст оригинала.

Д. И. Кобидзе выявляет также значения грузинской лексики, которые не указаны в словарях переводной литературы. При исследовании он привлекает материалы из народного творчества, уделяя больше внимания орфографии рукописей.

L. TUSHISHVILI

D. KOBIDZE — THE INVESTIGATOR OF THE GEORGIAN PERSIAN  
VOCABULARY

Summary

David Kobidze was a student of the history of Persian literature and Persian-Georgian literary contacts. Naturally, study of the Persian-Georgian vocabulary came within the sphere of his interests.

Comparison of the vocabulary of the translation with the original played a leading role. Pains taking of texts often allow to determine the penetration of a Persian word into the Georgian language. In addition, with the help of the Georgian text the text of the original was specified and amended.

Kobidze also brought to light meanings of the Georgian vocabulary not indicated in the glossaries of the translated literature. In his research Kobidze drew on folklore material paying special attention to the orthography of the manuscripts.



## აპოლონ სილაგაძე

### ქართული ლექსის უკველსი და წინარე საუბურები


იმ ქართველოლოგიურ პრობლემატიკაში, რომელიც ყოველთვის იქცევდა ქართველ ორიენტალისტთა ყურადღებას, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ქართულ ლექსთწყობასთან დაკავშირებულ საკითხებს. საკმარისია ვაეისხენოთ დავით კობიძისა და სხვათა გამოკვლევები. ამ ასპექტში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აკად. გიორგი წერეთლის აღიარებული ნაშრომი<sup>1</sup>, რომელშიც გამოთქმულმა ერთ-ერთმა დებულებამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ასახვა პოვა წინამდებარე სტატიაში.

ლექსთწყობის დონეზე რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული პრობლემა (იქნება ეს ლიტერატურულად ფიქსირებული საფეხურის წინა ვითარების აღდგენა, თუ ერთი და იმავე ჯგუფის ენოვანი ლექსთწყობებისათვის ამოსავალი მოდელის დადგენა) ან ტიპოლოგიურად ერთი და იმავე სახეობის ლექსთწყობებისათვის საერთო წინა სისტემის სახის განსაზღვრა<sup>2</sup> გადაწყდება მაშინ, როცა ა) ჩატარდება სისტემის ანალიზი, ბ) განისაზღვრება დიაქრონია — განვითარების საფეხურები და კანონზომიერებები. ამ სტატიის კონკრეტული ამოცანიდან გამომდინარე, ჩვენ გვაქვს საშუალება, სისტემა, მისი სტრუქტურული წესები (ან ერთი კონკრეტული წესი, ძირითადი) განვიხილოთ განვითარებაში დიაქრონული ტრანსფორმაციების კანონების მიხედვით და გამოვავლინოთ განვითარების კანონ-

1 მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში. წიგნი: მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, რითმითა სიმფონია და სიტყვათა მატრიკლობრივი განაწილების ცხრილები. გამოსაცემად მოამზადეს გ. წერეთელი, ვ. კარტოზიანი, ც. კვიციანი, ს. ცაიშვილი, გ. წერეთლის რედაქციითა და გამოკვლევით. თბილისი, 1973.

2 კერძოდ, გენეტიკურად დაკავშირებული ლექსთწყობებისათვის საერთო პრასისტიკის რეკონსტრუქციის პოზიციიდან უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გვაქვს ჩამოყალიბებული კონცეფციები ინდოევროპულთათვის:

A. Meillet, *Les origines indo-européennes des mètres Grecs*, Paris, 1923; R. Jakobson, *Slavic Epik Verse, Studies in Comparative Metrics, Selected Writings, IV*, The Hague-Paris, 1966, p. 414—463; C. Watkins, *Indo-European Origins of a Celtic Metre*. In: *Poetics, Poetyka, Poetika*, Warszawa, 1961, p. 99—117; Т. В. Гамкрелидзе, Вяч. В. Иванов, *Индоевропейский язык и индоевропейцы*, т. II, 1984, с. 839—844 და სხვ. ნაწილობრივ შეიძლება იმის თქმა თურქულენოვან ლექსზე (ძირითადად, ვ. ყიფნისის ნაშრომების წყალობით); სამაგეროდ, პრაქტიკულად არაფერი გვაქვს სემიტურ ლექსზე (გამონაკლისი—J. Kurylowicz, *Studies in Semitic Grammar and Metrics*, Wroclaw—Warszawa—Krahow—Gdansk, 1972, p. 158—187). ქართული (და კავკასიური) ლექსთწყობისათვის ამოსავალი ვითარების თეორიული მოდელირების საინტერესო ცდა იხ. მ. ქურდიანი, მასალები ქართველურ ენათა გერსილიკაციის გენეზისისთვის. კრებ. ქაშვიცი 1984, გვ. 18—43.



ზონიერი საფეხურების ჯაჭვი, რის შედეგადაც შეიქმნება საშუალება რეტრო-სპექტულად დაღმავალი გზით, გავიაროთ საფეხურები, დაეადგინოთ უკონსტრანსფორმაციების წესები და ბოლოს მივიღეთ იმ მდგომარეობასთან, რომელიც, აღდგენილი სახით, საწყისი საფეხურია განვითარების ფიქსირებული საფეხურებისათვის. რეკონსტრუირებული საწყისი, ამოსავალი საფეხური უნდა იყოს ბუნებრივი პირველი რგოლი დიპტონიულ საფეხურთა ჯაჭვში, უფრო ზუსტად — ა) იგი უნდა შეესაბამებოდეს სისტემის პრინციპულ სახეს; ბ) მისგან უნდა გამოიყვანებოდეს განვითარების მთელი გზა ყველა ფიქსირებული საფეხურისა და ტრანსფორმაციის ყველა წესის მიხედვით.

ქართული ლექსთწყობის სისტემა, ჩვენი ინტერპრეტაციით, სქემატურად შემდგენილია შემდეგიდან გამომდინარე. გვაქვს ერთეულთა ოთხი იერარქიული დონე და, შესაბამისად, მოქმედებს ოთხი სტრუქტურული, რიტმული ერთეული: რომელთაგან თითოეული ორშემადგენლიანია — ბინარული სტრუქტურის მქონე; ამ სტრუქტურას განსაზღვრავს ორ შემადგენელს შორის მოქმედი რიტმული გასაყარი. 1) ორწევრედი — უმცირესი რიტმული ერთეული, შემდგარი ორი მუხლის ანუ სეგმენტისაგან, როგორც ვარკვეულა სილაბური სიგრძის მქონე დიფერენციალური ერთეულებისაგან, მაგ. 5+5 (ფსტიკაურის ორწევრედი), შემდგარი 5-მარცვლიანი პირველი შემადგენლისგან და 5-მარცვლიანი მეორე შემადგენლისგან; გვაქვს ორწევრედის სისტემის სამი ქვესისტემა, რომელთაგან ერთში ორწევრედებში პირველი შემადგენელი 5-მარცვლიანია, მეორეში — 4-მარცვლიანი, მესამეში — 3-მარცვლიანი:

I	II	III
5+5	4+4	3+3
5+4	4+3	3+2
5+3	4+2	3+1
5+2	4+1	3+0
5+1	4+0	
5+0		

2) სტრიქონი — ერთეული, შემდგარი ორი ორწევრედისაგან. 3) ორსტრიქონედი, შემდგარი ორი სტრიქონისაგან. 4) სტროფი, შემდგარი ორი ორსტრიქონედისაგან. როდესაც ეს ერთეულები რეალიზებულია ლექსში, ე. ი. ერთდროულად არიან წარმოდგენილი, გვაქვს ბინარული ვაკეეთის უნივერსალური პრინციპის მოქმედება: სტროფი იყოფა ორ ორსტრიქონედად ისე, რომ ორსტრიქონედი იყოფა ორ სტრიქონად ისე, რომ სტრიქონი იყოფა ორ ორწევრედად ისე, რომ ორწევრედი იყოფა ორ სეგმენტად. ეს არის ქართული ლექსის სტრუქტურის პრინციპული სქემა, რომელსაც კონკრეტული შემთხვევები აქვს.

რაც შეეხება დიპტონიას, ჩვენ გამოვყოფთ ოთხ საფეხურს: 1) მე-18 ს-მდე, 2) მე-18 ს., 3) მე-19 ს., 4) მე-20 ს. თითოეული ეს საფეხური კანონზომიერია და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით მარკირებული. კანონზომიერია საფეხურებრივი განვითარების სურათიც, რომელიც შემდეგ სქემას ემორჩილება: ყოველი ორი საფეხური, რომელთა შორის არის მესამე, პრინციპულად ანალოგიურია. განვითარებაში დადასტურებულ ტრანსფორმაციათაგან ყველაზე ნიშნავნიანია ის, რომ ვარკვეულ ეტაპზე კერძოდ მეორე საფეხურიდან, ჩნდე-

ბა ისეთი ლექსებიც, რომლებს ყოველი რიტმული მონაკვეთი, დაწყებული სტროფიდან, ნახევრდება სივრცეში, ე. ი. გვაქვს ერთი დონით გადმოსვლა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა შემდეგი წესი: მოცემული ერთეულის სიმრავლეში არის ერთი ქვესიმრავლე, რომელიც მატერიალურად ემთხვევა შესაბამისი ქვედა დონის სიმრავლეს.

სხვადასხვა დონეთა რიტმული ერთეულები სტრუქტურულად იდენტურია. ჩვენი ამოცანის პოზიციებიდან, კერძოდ, გამოსაყოფია ერთი წესი, რომელიც საერთოა ყველა ბინარული ერთეულისათვის: ერთეულის სტრუქტურაში მეორე შემადგენელი სივრცით არ უნდა აღემატებოდეს პირველს, ე. ი. მეორე შემადგენელი პირველის ტოლია (მაგ. ორწევრედში —  $5+5$ ). ან მასზე მოკლეა (მაგ. ორწევრედში —  $5+3$ ). თუ ერთეულის სტრუქტურას სიმბოლურად აღვნიშნავთ როგორც  $n+k$ , მაშინ აღინიშნება მოცემული წესიც:  $n \geq k$ . ლექსთწყობისათვის სტრუქტურული წესის განსაზღვრა და სისტემის თვალსაზრისით მარტივებული ფორმის დადგენა ნიშნავს იმას, რომ ეს წესი მიემართება ტიპურ ფორმებს, რომელთაც, კერძოდ, რეპროდუქციის უნარი აქვთ; გადახვევები კვალიფიცირდებიან გადახვევებად იმის გამო, რომ მათ რეპროდუქციის უნარი არ გააჩნიათ (მაგ., გურამიშვილს ნახმარი აქვს ორწევრედი  $4+5$ , რომელშიც მეორე შემადგენელი პირველზე გრძელია, მაგრამ ეს ორწევრედი მომდევნო საფეხურზე აღარ გამეორებულა — სისტემამ, განვითარების მექანიზმის საშუალებით, იგი უარყო).

საწყისი ვითარების რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა ის გარემოება, რომ მოცემული წესის ორ პრინციპს (შემადგენელთა ტოლობის და პირველი უფრო გრძელი შემადგენლის პრინციპებს) განვითარებაში უშუალო მიმართება აქვს ზემოთ გამოყოფილ ოთხ საფეხურთან ერთეულთა ოთხი დონის მიხედვით.

მე-18 ს-შივე საფეხურზე სტროფი აუცილებლად ორი ტოლი შემადგენლისაგან (ორი ორსტრიქონედისაგან) შედგება, ორსტრიქონედი — ორი ტოლი შემადგენლისაგან (ორი სტრიქონისგან), სტრიქონი — ორი ტოლი შემადგენლისაგან (ორი ორწევრედისგან), მაგრამ ორწევრედის სტრუქტურა განსხვავებულ პრინციპს გვიჩვენებს: გვაქვს ორწევრედები, შემდგარი ორი ტოლი ნაწილისაგან ( $4+4$ ,  $5+5$ ), გვაქვს ორწევრედი, შემდგარი ორი არატოლი ნაწილისგან ისე, რომ პირველი მეორეზე გრძელია ( $5+3$ ). ამგვარად, სტროფისთვის, ორსტრიქონედისთვის, სტრიქონისთვის სტრუქტურის ფორმულა  $n=k$ , ორწევრედისთვის —  $n \geq k$ .

მე-18 ს-ის საფეხურზე ჩნდება სიტუაცია, როდესაც ორი არატოლი ნაწილისგან შეიძლება აიგოს სტრიქონიც, მაგ.,  $(4+4) + (4+4)$ -ის გვერდზე ჩნდება  $(4+4) + (4+2)$ . ამგვარად, ამ საფეხურზე სტროფისთვის და ორსტრიქონედისთვის გვაქვს  $k=n$ , სტრიქონისთვის და ორწევრედისთვის —  $n \geq k$ .

ორი არატოლი ნაწილისგან შემდგარი ორსტრიქონედი მე-18 ს-ის საფეხურზე არ გვაქვს (აქ და ქვემოთ მხედველობაში არ მიიღება ისეთი ცდები, რომლებიც არაკორექტული გამოდგა და განვითარებამ უარყო). ასეთი ვითარება ჩნდება მე-19 ს-ის საფეხურზე, მაგ.  $5+5/5+2/5+5/5+2$  სტროფში. ამ საფეხურზე სტროფისთვის გვაქვს  $n=k$ , ხოლო დანარჩენი სამი ერთეულისთვის —  $n \geq k$ .

მე-20 ს-ის საფეხურზე ყალიბდება ორი არატოლი შემადგენლის პრინციპი სტროფშიც, მაგ.,  $4+4/4+4/4+4/4+2$  ტიპის სტროფი, თუმცა ეს შემთხვევა არ გაერთიანებულია დიდი ძალით.

ამგვარად, პრინციპი  $n=k$  (მხოლოდ  $n=k$ );

- ორწევრედში არასდროს გვაქვს ფიქსირებული,
- სტრიქონში გვაქვს მე-2 საფეხურამდე,
- ორსტრიქონედში გვაქვს მე-3 საფეხურამდე,
- სტროფში გვაქვს მე-4 საფეხურამდე;

სხვანაირად — პრინციპი  $n \geq k$ .

- ორწევრედში გვაქვს თავიდან, პირველი საფეხურიდან,
- სტრიქონში გვაქვს მე-2 საფეხურიდან.
- ორსტრიქონედში გვაქვს მე-3 საფეხურიდან,
- სტროფში გვაქვს მე-4 საფეხურიდან.

როგორც ვხედავთ, ოთხი საფეხური შეგვიძლია განვსაზღვროთ ოთხი დონის ერთეულში არატოლ შემადგენლებად დაყოფის პრინციპის ჩამოყალიბების მიხედვით: I საფეხური — I დონის ერთეულში მოცემული წესის რეალიზება, II საფეხური — II დონის ერთეულში მოცემული წესის რეალიზება, III საფეხური — III დონის ერთეულში, IV საფეხური — IV დონის ერთეულში. ამავე დროს ყოველ საფეხურზე ერთეულში მოცემული წესის რეალიზებას წინ უსწრებს წინა საფეხურზე ანავე ერთეულში ამ წესის არარსებობა, ე. ი. მხოლოდ ტოლობის წესის არსებობა.

ამგვარად, ყოველი უფრო მაღალი დონის ერთეული სტრუქტურულად იმეორებს უფრო დაბალი დონის ერთეულს. ღიაქრონიის ენაზე: ყოველი უფრო მაღალი დონის ერთეული იმეორებდა უფრო დაბალი დონის ერთეულს, რაც განვითარებაში ნაწილდება ოთხი საფეხურის მიხედვით: უტოლობის პრინციპი გვაქვს I საფეხურზე I დონის ერთეულში — ორწევრედში, ამის შემდეგ II საფეხურზე იგივე პრინციპი რეალიზდება II დონის ერთეულში — სტრიქონში; უტოლობის პრინციპი გვაქვს II საფეხურზე II დონის ერთეულში — სტრიქონში, ამის შემდეგ III საფეხურზე იგივე რეალიზდება III დონის ერთეულში — ორსტრიქონედში და ა. შ. რეტროსპექტულად, უკუღმა განვითარებაში — შემდეგი სურათი: ყოველი უფრო დაბალი დონის ერთეული უარყოფდა უფრო მაღალი დონის ერთეულს სტრუქტურულ პრინციპს (არატოლი და ტოლი დაყოფის ერთდროული მოქმედების პრინციპს ტოლი დაყოფის პრინციპის სასარგებლოდ).

შეგვიძლია მოვასწინოთ რეკონსტრუქცია: პირველი დონის ერთეულისთვისაც, ორწევრედისთვისაც, აღდგება მდგომარეობა, როდესაც განხორციელებულია მხოლოდ ორი ტოლი შემადგენლის პრინციპი, რაც გვაძლევს ვიდრე ერთ საფეხურს, რომელიც უსწრებს პირველს და ბუნებრივად ჯდება საფეხურთა აღმასვლის სურათში.

უფრო დაწვრილებით:

ა) საფეხური, როდესაც ორწევრედშიც რეალიზებული იყო მხოლოდ ორ ტოლ შემადგენლად დაყოფის პრინციპი, შეიძლება რეკონსტრუირდეს იმ ვითარების მიხედვით, რომ ჩვენ გვაქვს პირველი საფეხური, როდესაც ვხვდებით ერთეული იყოფა მხოლოდ ორ ტოლ შემადგენლად, გარდა პირველი დონის ერთეულისა — ორწევრედისა.

ბ) ეს საფეხური შეიძლება რეკონსტრუირდეს იმის საფუძველზე, რომ პირველი საფეხურის შემდეგ ვხედავთ სტრიქონში ორ ტოლად დაყოფის პრინციპის გვერდით ორ არატოლად დაყოფის პრინციპს, შემდეგ — მომდევნო საფეხურზე ორსტრიქონედში ვხედავთ ორ ტოლად დაყოფის პრინციპის გვერდით ორ არატოლად



გაყოფის პრინციპს, შემდეგ — მომდევნო საფეხურზე — ანავეს ვხედავთ უფრო მეტ სიტყვას. ანტიკომ შეგვიძლია ჩამოვაცადებოთ შემდეგი დასკვნა: ორწევრედშიც ორი ტოლი შემადგენლის პრინციპი თავის დროზე შემდეგ „დაიარღვა“ მის გვერდით პირველი უფრო გრძელი შემადგენლის პრინციპის რეალიზაციის გზით.

გ) შეიძლება ასეთი დასკვნის ფორმულირებაც. საფეხურების მიხედვით ჩვენ ყოველთვის გვაქვს რომელიმე დაბალ იერარქიულ დონეზე ერთეულში ტოლობის პრინციპის „დარღვევა“ (ე. ი. ტოლობის პრინციპის გვერდით პირველი უფრო გრძელის პრინციპის გაჩენა) ისე, რომ შესაბამის მაღალ დონეზე ეს პრინციპი დაცულია: მეორე საფეხურზე ტოლობის პრინციპი დარღვეულია სტრიქონში, მაგრამ დაცულია ორსტრიქონედში, მესამე საფეხურზე დარღვეულია ორსტრიქონედში, მაგრამ დაცულია სტროფში. აქედან: როდესაც გვაქვს პირველი საფეხური, სადაც ტოლობის პრინციპი დაცულია სტრიქონში, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვედა დონის ერთეულში, ორწევრედში, იგი იყო და შემდეგ დაიარღვა.

დ) განვითარება დიქრონიული საფეხურისა და ერთეულთა იერარქიული დონეების მიხედვით გვაძლევს კანონზომიერ სურათს: IV საფეხური —  $n \geq k$ . პრინციპი მოქმედებს ყველა დონის ერთეულში; III საფეხური —  $n \geq k$  პრინციპი მოქმედებს ყველა დონის ერთეულში, გარდა IV დონისა, სადაც გვაქვს ტოლობის პრინციპი; II საფეხური — I და II დონის ერთეულში გვაქვს  $n \geq k$ . III და IV დონისაში — ტოლობის პრინციპი; I საფეხური —  $n \geq k$ . გვაქვს მხოლოდ I დონის ერთეულში, II, III, IV დონის ერთეულში — ტოლობის პრინციპი.

	IV საფეხური	III	II	I
სტროფი	$n \geq k$	$n = k$	$n = k$	$n = k$
ორსტრიქონედი	$n \geq k$	$n = k$	$n = k$	$n = k$
სტრიქონი	$n \geq k$	$n \geq k$	$n \geq k$	$n = k$
ორწევრედი	$n \geq k$	$n \geq k$	$n \geq k$	$n \geq k$

ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა ერთეულს, გარდა ორწევრედისა, განვითარებაში აქვს ეტაპი, როდესაც მხოლოდ ტოლი შემადგენლის პრინციპი მოქმედებს. ამ სურათის მიხედვითაც რეკონსტრუირდება პირველის წინა საფეხური, რომელშიც პირველი დონის ერთეულშიც რეალიზებული იყო მხოლოდ  $n = k$  წესი.

ე) თუ ბოლო საფეხური, ეს არის საფეხური ყველა დონის ერთეულში ერთდროულად  $n \geq k$ . პრინციპის განხორციელებისა, ხოლო ყოველი უფრო ქვედა საფეხური, ეს არის ზემოდან ქვემოთ ერთ დონეზე  $n = k$  პრინციპის განხორციელება, რაც ქვედა, პირველ საფეხურზე გვაძლევს  $n = k$  პრინციპს ყველგან, გარდა ყველაზე ქვედა დონის ერთეულისა, ორწევრედისა, — მაშინ პოსტულირდება არსებობა პირველი საფეხურის წინა საფეხურისა, რომელშიც ერთდროულად ყველა დონის ერთეულში რეალიზებულია  $n = k$  პრინციპი. განვითარება ამ შემთხვევაში მოგვცემს კანონზომიერ სურათს, რომელშიც ბოლო საფეხურზე ყველა დონის ერთეულში  $n \geq k$ . წესია, საწყის (აღდგენილ) საფეხურზე — ყველა ერთეულში მხოლოდ  $n = k$  წესი, ამ ორ, საწყის და ბოლო მდგომარეობას შორის გვაქვს საფეხურები, რომლებშიც  $n = k$  ტრანსფორმირდება  $n \geq k$  წესში პირველი დონის



ერთეულიდან დაწყებული მეოთხე დონის ერთეულამდე მეოთხე დონის ერთეულში ეს ტრანსფორმაცია გვაძლევს ბოლო საფეხურს, რომელშიც ყველა  $n \geq k$  წესია რეალიზებული).

	IV	III	II	I	*საფეხური
სტროფი	$n \geq k$	$n = k$	$n = k$	$n = k$	$n = k$
ორსტროქონედი	$n \geq k$	$n \geq k$	$n = k$	$n = k$	$n = k$
სტროქონი	$n \geq k$	$n \geq k$	$n \geq k$	$n = k$	$n = k$
ორწვერედი	$n \geq k$	$n \geq k$	$n \geq k$	$n \geq k$	$n = k$

ვიღებთ შემდეგ სიმეტრიულ სურათს: აღდგენილ საფეხურზე ყველა ერთეულში შემადგენელთა ტოლობის პრინციპი გვაქვს; პირველ საფეხურზე ყველაზე ქვედა, პირველი, დონის ერთეულში მას ემატება პირველი გრძელი შემადგენლის პრინციპი; იგივე ხდება მეორე დონის ერთეულში მეორე საფეხურზე; იგივე — მესამე დონის ერთეულში მესამე საფეხურზე; იგივე — მეოთხე დონის ერთეულში მეოთხე საფეხურზე. ბუნებრივია ისიც, რომ ისეთ განვითარებას, როდესაც გვაქვს ტოლობის პრინციპი და შემდეგ თანდათანობით 4 დონიდან თითოეულში რეალიზება უტოლობის პრინციპიც, სჭირდება 5 საფეხური.

ჩვენ, ამგვარად, გვაქვს სრული უფლება მოვანდინოთ: ა) რეკონსტრუირება იმ საწყისი საფეხურისა, რომელშიც ორწვერედშიც რეალიზებული იყო ორი ტოლი შემადგენლის პრინციპი; ბ) პოსტულირება იმ ამოსავალი სისტემისა, რომელიც დროში მე-6—7 საუკუნეებამდე გაცილებით ადრე ივარაუდება (უშუალოდ ამ საუკუნეების წინა ეტაპს თავისი სახე აქვს) და რომელიც ემყარებოდა ერთდროულად ყველა ბინარულ ერთეულში ორ ტოლ შემადგენლად გაყოფის პრინციპის რეალიზებას; ეს არის სისტემა, რომელშიც მოქმედებდა ორი ორწვერედი  $5+5$  და  $4+4$ , რომელიც გვაძლევდა სტროქონის ორ სახეს და ორ საზომს. სხვათა შორის, ორწვერედთა კონკრეტული რეალიზაციების ანალიზიც გვაძლევს არგუმენტს იმისათვის, რომ აღვადგინოთ საფეხური, სადაც ორწვერედში განხორციელებული იყო ორი შემადგენლის ტოლობის პრინციპი: ორწვერედთა სამი ქვესისტემიდან მეორეში და მესამეში განვითარებაში გვაქვს დადასტურებული საფეხური, როდესაც რეალიზებული იყო მხოლოდ  $4+4$  (მეორე ქვესისტემაში) და  $3+3$  (მესამეში) აგებულებები: ანუ ის ორწვერედები, რომლებშიც მოქმედებს მხოლოდ შემადგენელთა ტოლობის წესი (ამ საფეხურზე მოცემულ ქვესისტემებში  $n > k$  პრინციპით მიღებული აგებულებები  $4+3$ ,  $4+2$ ,  $3+2$  და ა. შ. არ გვაქვს). შემდეგ: არც ერთ საფეხურზე, არც ერთ დადასტურებულ ვითარებაში, ცვლილებათა და ახალ ფორმათა აღმოცენების არც ერთ სურათში, მთელ ისტორიაში ჩვენ არ გვაქვს არც ერთი შემთხვევა, რომ არსებობდეს პირველი გრძელი წვერის წესის ( $n > k$ ) მიხედვით რეალიზებული ერთეული ისე, რომ გვერდით არ არსებობდეს ტოლი შემადგენლების მქონე ( $n = k$ ) ერთეული; პირიქითა შემთხვევა ყველგან, ყველა დონეზე გვაქვს.

მას შემდეგ, რაც პოსტულირებულია მოდელი, რომელიც ასახავს საყარაულო საწყის სისტემას ან განვითარების ამოსავალ საფეხურს, დგება მისი ვერსიფიკაციის საკითხი. აღდგენილი ობიექტის სისრულე და რეალურობა უშუალოდ გან-

3 ან. ა. სილაგაძე, ქართული ღვინის განვითარების საწყისი ეტაპების საკითხებისათვის. კრებ: აკაკი შანიძე — 100, თბილისი, 1987, გვ. 274—284.



პირობებშია იმ ინფორმაციით, რომელსაც იძლევიან ანალიზის ფაქტები. ამიტომ აპრიორულად დაიშვება, რომ თეორიული კონსტრუქტი ანუ სინტაქსის ზუსტი ამსახველი არსებული ისტორიული სიტუაციისა (რაც ლინგვისტური აღდგენებისათვის ბოლოდღე კურტენემ აღნიშნა<sup>4</sup>), მაგრამ რჩება რეალრობასთან მაქსიმალური მიახლოების ამოცანა, ამიტომ რჩება პოსტულირებული სურათის რეალრობასთან მიმართებაში სარწმუნოობის შემოწმების ამოცანა, რაც პრაქტიკულად ნიშნავს დამატებითი არგუმენტაციის გამოხატვას. რასაკვირველია, მთავარი არგუმენტი იგივეა, რაზეც ზემოთ გვექონდა საუბარი: თუ მოცემული სისტემიდან ამოსვლით დადგენილია განვითარების წესები და გამოყოფილია საფეხურები, რომელთაგან უკანასკნელი ტიპოლოგიურად ყველაზე ახალია, ხოლო უკუსვლით ყოველ საფეხურზე უფრო არქაული სიტუაციის სურათია, — ჩვენ გვაქვს უფლება და საშუალება დავადგინოთ ფიქსირებულზე ადრინდელი მდგომარეობა, რომელიც ყველაზე უფრო არქაულია და რომლისგანაც გამოიყვანება განვითარების მთელი გზა უკანასკნელი ეტაპის ჩათვლით, მაგრამ სარწმუნოობის შემოწმების ამოცანა მაინც რჩება.

იდეალურად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი შემთხვევა, როდესაც შემოწმებისას სისტემის რეალიზაციის ფიქსირებულ ფაქტებში აღმოჩნდება გარკვეული მიკროვითარება, რომელიც პრინციპულად იდეალურია აღდგენილი სურათისა და, გარკვეული მოდელის სახით, გამოდგება მთელი აღდგენილი სურათის ანალოგიად.

ვინაიდან სისტემის საწყისი მდგომარეობა ზემოთ ფაქტიურად რეკონსტრუირდა ორწევრედის საწყისი სტრუქტურის აღდგენით, შესამოწმებელია, რამდენად სარწმუნოა ორწევრედისთვის სქემა  $n = k \rightarrow n \gg k$  ასეთი შემოწმების საშუალება არსებობს. ორწევრედის სისტემის მესამე ქვესისტემა  $3+X$  ჩამოყალიბდა ჩვენს „თვალწინ“ და ჩვენ გვაქვს საშუალება რეალურად ენასთან ქვესისტემის განვითარების პროცესი — საწყისი ეტაპიც და შემდგომი განვითარებაც. აქ კი ვითარება ასეთია: ჯერ შეიქმნა  $3+3$ , ე. ი. ორ ტოლ შემადგენლად გაყოფილი ბინარული აგებულება, — ეს არის მე-18 ს., კერძოდ გურამიშვილის შემოქმედება. ამასთან, საქმე გვაქვს სწორედ საწყის ეტაპთან. I. ამ ეტაპზე არ ჩანს ლექსი, მთლიანად აგებული მოცემული ორწევრედის ბაზაზე — გვაქვს მხოლოდ სტროფი ან რთული სტროფის ნაწილი ლექსში; II. ორწევრედი ყოველთვის არ გვიჩვენებს სტაბილურ აგებულებას; ზუსტად გაფორმებული, იგი გვევლინება უფრო გვიან, მე-19 ს.-ში (ბარათაშვილის „ცისა ფერს“); ჩვენთვის ამჯერად მთავარი ისაა, რომ არც მე-18 ს. არც მე-19 ს.-ში არ ჩანან ქვესისტემის სხვა წევრები, ისინი, რომლებიც პირველი უფრო გრძელი შემადგენლის წესით არიან გაფორმებული  $n > k$   $3+2$ ,  $3+1$ ; ეს ორწევრედები მე-20 ს.-ის საფეხურზე რეალიზდებიან (დაახლოებით ორი საუკუნის შემდეგ ტოლად გაყოფილი  $3+3$ -ის რეალიზებიდან). ამასთან, მათი ხმარების არე დღესაც შეზღუდულია: დამოუკიდებლად ისინი ლექსს ან სტროფს პრაქტიკულად არ ქმნიან, სტრიქონის სახითაც უმთავრესად  $3+3$ -ის ვერდით იხმარებიან. ამგვარად, ორწევრედის მესამე ქვესისტემის ჩამოყალიბების პროცესი ცალსახად გვიჩვენებს, რომ: 1) ჯერ რეალიზდება ორ ტოლ ნაწილად გაკვეთილი ერთეული, შემდეგ — არატოლ ნაწილად გაკვეთილი;

<sup>4</sup> W. P. Lehmann, Historical Linguistics: An Introduction. New York, 1962, p. 84.

<sup>5</sup> И. А. Бодуэн де Куртене, Сравнительная грамматика, Избр. труды по общему языкознанию, т. I, М., 1963, с. 374.



2) არატოლნაწილებიანი ორწევრედი ქვესისტემაში ჩნდება ტოლნაწილებიანის რეალობიდან დიდი ხნის შემდეგ. ეს კი ადასტურებს იმ დასკვნას, რომ საწყის სისტემა სასიათღებოდ ყველა ერთეულში ერთდროულად მხოლოდ ორი ტოლნაწილები მაღაგენლის პრინციპის მოქმედებით; დაეუმატოთ: ეს სისტემა ივარაუდება რამდენიმე საუკუნით ადრე მე-6—7 საუკუნეებამდე. უფრო ზუსტად რაინეს თქმა ძნელია. ყოველ შემთხვევაში გასათვალისწინებელია შემდეგი ვარაუდები: ა) 3+3-ის ფორმირება განვითარების მეორე საფეხურზე მხოლოდ იწყება, სრულდება ნაწილობრივ მესამე საფეხურზე, საბოლოოდ — მეოთხეზე. ბ) ქვესისტემის ის წარმომადგენლები, რომლებშიც არ გვაქვს ტოლობის პრინციპი, რეალიზდებიან დაბლობით ორი საუკუნის შემდეგ. გ) მთლიანად ქვესისტემა სრული სახით ყალიბდებოდა სამი საფეხურის ფარგლებში. დ) ორი საფეხურის, I—II, ფარგლებში ყალიბდებოდა მეორე ქვესისტემა, რომელშიც პირველად ასევე ტოლობაზე დამყარებული 4+4 შეიქმნა;  $n > k$  პრინციპზე აგებულნი ჩნდებიან მინიმუმ 0—12 ს. შემდეგ. ე) 3+3-ის რეალიზებამდე უზარმაზარი მონაკვეთის—უნდა ვივარაუდოთ მინიმუმ 10—12 საუკუნის განმავლობაში 15 შესაძლებელი ორწევრედიდან ფუნქციონირებს მხოლოდ სამი: 5+5, 4+4, 5+3<sup>მ</sup> 3) შემდგომ, მე-18 საუკუნისათვის და მე-19 ს-ის დასაწყისისათვის, რეალიზდება 8 ახალი ორწევრედი. 3) ბოლო საფეხურზე მათ ემატება ოთხი ორწევრედი.

ვერსიფიკაციის პოზიციებიდან ყველაფერ ამის შემდეგ შესაძლოა მაინც ვაჩინდეს ერთი კითხვა: რამდენად რეალურია სისტემისათვის, რომელშიც რიტმული ერთეულები გვიჩვენებენ  $n \geq k$  სტრუქტურას (ამასთან, მაგალითად, ორწევრედის სისტემაში სამი ორწევრედი ემორჩილება  $n = k$  წესს, დანარჩენი თორმეტი კი —  $n > k$ -ს), ისეთი საფეხურის დაშვება, როდესაც მხოლოდ  $n = k$  წესია განხორციელებული, რაც გვაძლევს მხოლოდ ორ ორწევრედს 5+5, 4+4, ორი სახის სტრიქონს და ორ საზომს? ამ კითხვასაც დადებითი პასუხი გაცემია.

ლაპარაკია ქართული ხალხური ლექსის მონაცემებზე. ჩვენთვის, კერძოდ საინტერესოა ერთი ფაქტი — დასავლურ-ქართულ ლექსში ნაკლებადაა გამოყენებული დაბალი შაირის 5+3 სტრუქტურა, მაშინ როდესაც, აღმოსავლურ-ქართულში მდგომარეობა საპირისპიროა<sup>7</sup>. ამ პოზიციებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მგერული ლექსი.

6 ამ პერიოდისათვის, სახელდობრ IX საუკუნისათვის, ახალი მიგნებების წყალობით, ატენის სიონის წარწერებს მიხედვით. კიდე ერთი მეტრი ივარაუდება — „7-ნარცელიანი“ (იხ. ზ. ალექსიძის, ატენის სიონის ოთხი წარწერა, თბილისი, 1984, გვ. 5—21). ჩვენ ამ ნაოცრადვე მეტრს ჩვენს ანალიზში ამჯერად არ განვიხილავთ, რადგან ვერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება დანადგობით, რომ წარწერები პოეტურ ტექსტებს წარმოადგენენ. რაც შეეხება მეტრს, რიტმულ საბეს, იგი ცალსახად ჯერ კიდევ დასადგენია: 7-ნარცელიანობა, აზოილიანობა, ყველგან არ ჩანს — გვაქვს 8—9—10 მარცვლიანი სტრიქონებიც. ამიტომ ვერჯერობით არც მეტრული აგებულება დიფინება: გვაქვს 5+2 და 4+3, მაგრამ ჩანს 3+5-ც, 6+2-ც 4+5-ც, 4+2-ც და სხვ. თუ საბოლოოდ დადგინდება 5+2 და 4+3 ორწევრედეტის არსებობა, ეს ჩვენს ინტერპრეტაციას არ შეეცდის; დროის მიხედვით შესაბამისი ადგილიდან ეს აგებულებები გადაიწვევს უკან, ამასთან განვითარებას პირველი საფეხურია უფრო სიმეტრიულიც კი იქნება იმ ვაგებით, რომ თუ 5+x ქვესისტემაში ამ დროისათვის რეალიზებულაა  $n > k$  წესი 5+3-ის სახით, ასევე რეალიზებული იქნება იგი 4+x ქვესისტემაშიც 4+3-ის სახით.

7 იხ. ჯ. ბარდავლიძე, ხალხური ლექსის აქცენტური თავისებურება. წიგნში: ლიტ. ბიბლია, ტ. 12, თბილისი, 1959, გვ. 308.



მეგრული ხალხური პოეზიის ლექსთწყობის სისტემა პრინციპულად იდენტურია ქართული სალიტერატუროსი<sup>8</sup>. მაგრამ ფაქტობრივი რეალიზაციის მდგომარეობაა: 1) მეგრულში რეალიზებულია (ნაკლები გავრცელებულობით)  $5+5$  ორწევრედი, მაგრამ არ ჩანს მთლიანად ქვესისტემა  $5+X$ , რადგანაც არ გვაქვს  $5+4$ ,  $5+3$  და ა. შ. ორწევრედები. სხვა სიტყვებით: გვაქვს ტოლად გაყოფილი ორწევრედი, მაგრამ არ გვაქვს ქვესისტემის არც ერთი სხვა წევრი, რომელიც  $n > k$  პრინციპზე აიგება. 2) მეგრულში რეალიზებულია  $4+4$  ორწევრედი, რომელიც დომინირებს. ამ ქვესისტემის სხვა წარმომადგენელთაგან ჩანს  $4+3$ -ც (მოიბეზნება  $4+2$ -ის და  $4+1$ -ის ნიმუშებით). მაშასადამე, გვაქვს ქვესისტემა  $4+X$ , მაგრამ პრინციპული ვითარება ფაქტობრივად სხვანაირია. ჯერ ერთი, ლექსების აბსოლუტური უმრავლესობა აგებულია  $4+4$  ორწევრედზე. მეორეც, აბსოლუტური უმრავლესობა  $4+3$  აგებულებისა (აგრეთვე  $4+2$  და  $4+1$ ) გვევლინება ჰეტერომეტრულ ლექსებში  $4+4$ -ის გვერდით, ჰეტერომეტრული სტრიქონებისაგან სტროფის აგება კი, ქართული სალიტერატურო ლექსის მონაცემების მიხედვით ახალი მოვლენაა. მესამეც, პრაქტიკულად ყველა სტრიქონი, აგებული  $4+3$  (ასევე — სხვა) ორწევრედზე, თავისუფლად ინტერპრეტირდება როგორც  $4+4$ , მეგრულში წარმოთქმის ორი სტილის ფაქულტატური გამოყენების მოვლენის გამო (სიტყვის ბოლოში ხმოვნის დამატება — არდამატება: კოჩუფი) კოჩუფ და სხვ., გრძელი ხმოვნის ერთ ხმოვნად წარმოთქმა — ორ ხმოვნად წარმოთქმა: ქოკოთხი (ქოკოთხი და სხვ.; ხმოვნის მარცვლოვნობა-გაუმარცვლოვნება: ამჭუანი) ამჭუანი და სხვ.; ხმოვნის დატოვება-ამოღება: მასუმა (მასმა და სხვ<sup>9</sup>).

მაგალითად: ჰეტერომეტრული სტროფი  $4+4/4+3/4+4/4+3$  ინტერპრეტირდება როგორც იზომეტრული,  $4+4$  სტრიქონზე აგებული<sup>10</sup>:

ჰეტერომეტრული:

„შო, ჩიტი ქოფურინი  
ქიმული თენა თის,  
დიო ხესი ქემეჩი დო  
უკულ ქააჯული პის“.

$4+4$ -ზე აგებული:

„შო, ჩაჭა ქოფურინი,  
ქიმული თენა თის,  
დიო ხესი ქემეჩი დო  
უკულ ქააჯული პისი“.

ამასთან, ლაპარაკია არა უბრალოდ იმის შესახებ, რომ მარცვალთა გარკვეული სიგრძე ინტერპრეტირდება ორნაირად (ან მეტნაირად), არამედ იმაზე, რომ 1) ყველა ეს ვარიანტი აღიქმება როგორც თითქმის ერთი ზომა<sup>11</sup>, ხოლო ინვარიანტად  $4+4$  წარმოგვიდგება. 2) ან სწორედ  $4+4$  ინტერპრეტაცია აძლევს ტექსტს რიტმული ლექსის სახეს; ჩაწერილ ტექსტებში, სწორში გრამატიკულად, სტრიქონებში შეიძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა სიგრძეები, სხვადასხვა აგებულებები და ურიტმობა, მაგრამ  $4+4$  ინტერპრეტაცია მას რიტმულ ლექსად აქცევს, მაგალითად:<sup>12</sup>

<sup>8</sup> შ. ი. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб. 1914, с. 146—150.

<sup>9</sup> ტ. გუდავა, მეგრული ლექსის სტრუქტურის საკითხები. წიგნში: ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, თბილისი, 1975, გვ. 356—364.

<sup>10</sup> იხ. ტ. გუდავა, გვ. 364—365.

<sup>11</sup> ტ. გუდავა, გვ. 365.

<sup>12</sup> იხ. ტ. გუდავა, გვ. 359.



### ტექსტის შესაძლებელი ვარიანტი:

„ვითოჯირი წანერ ვორდი,	4+5=9
მოკოდ ტორონჯ ჰუოფიკონი	6+4=10
ჩქამ დუდიში გემუანო	5+4=9
ჩქიმი ხეთი მოკოდ მობრდუკონი“.	7+4=11

### სინამდვილეში:

„ვითოჯირი წანერ ვორდი,	4+4
მოკოდ ტორონჯ ჰუოფიკონი,	4+4
ჩქამ დუდიში გემუანო	4+4
ჩქიმ ხეთ ნოკოდ მობრდუკონი“.	4+4

ადვილად დასანახია: რომ ყველა შესაძლებლობა რიტმულად გულისხმობს  $4+4=8$ , როგორც ამოსავალს, ინვარიანტს. ამგვარად, ლაპარაკი უნდა იყოს  $4+4$  მეტრზე და, ზოგჯერ, მის ვარიანტებზე. საბოლოოდ,  $4+x$  ქვესისტემის რეალიზაციაც პრაქტიკულად გვაძლევს ორ ტოლად გაყოფილ ორწევრედს —  $4+4$ .

ჩვენ ვხედავთ ჩვენთვის საინტერესო ფაქტს: ქართული ლექსის სისტემის წევრულდიალექტოვანი რეალიზაცია პრინციპულად გვიჩვენებს ვითარებას, როდესაც სისტემაში მოქმედებს მხოლოდ ორ ტოლ შემადგენლად გაკვეთის პრინციპი, რაც ორწევრედისთვის იძლევა ორ სტრუქტურას —  $4+4$  და  $5+5$ .

ამ თვალსაზრისით ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმო უნდა იყოს ის ფაქტი, რომ მეგრულში საერთოდ არ არის რეალიზებული აგებულია  $5+3$  (დაბალი შაირი), რომელიც დომინანტურია აღმოსავლურ-ქართული ლექსისთვის, ხოლო აღმოსავლეთის მთის ლექსისთვის პრაქტიკულად ერთადერთია. ამგვარად,  $5+3$  დომინანტურია აღმოსავლურ-ქართული ლექსისთვის, ხოლო ამ სიტუაციასთან დაპირისპირებულია მეგრულის ვითარება, სადაც უარყოფილია ყველაზე პოპულარული ხალხური მეტრი, რომელიც ორწევრედში ორ არატოლ შემადგენლად გაყოფის პრინციპზეა დაფუძნებული. ხაზგასასმელია ამ ფაქტში ის, რომ ტრადიციის მიხედვით „შაირს“ რუბრიკაში გაერთიანებული ორი ყველაზე უფრო პოპულარული ქართული საზომიდან მეგრული ლექსი „ირჩევს“  $4+4$ -ზე დამყარებულს (შემადგენელთა ტოლობის პრინციპი) და უარყოფს  $5+3$ -ზე დამყარებულს (პირველი გრძელი შემადგენლის პრინციპი).

ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ მეგრული ლექსის რიტმული სახე ჩამოყალიბდა იქამდე, ვიდრე ჩამოყალიბდებოდა აღმოსავლურ-ქართულში ის ვითარება, რომელიც  $5+3$  აგებულიების დომინანტობაზეა დამყარებული. შეგვიძლია დავსკვნათ: მეგრულ ლექსში დადასტურებული ვითარება უშუალოდ ასახავს იმ საფეხურს, როდესაც ქართული ლექსთწყობის სისტემაში (იგი საერთოა ქართულისთვის და მეგრულისთვის) არ იყო რეალიზებული ორი არატოლი შემადგენლის პრინციპი, ე. ი. ასახავს იმ საწყის ვითარებას, როდესაც რეალიზებული იყო მხოლოდ ტოლი შემადგენლების პრინციპი, რაც ზემოთ რეკონსტრუირებული მდგომარეობის სახით წარმოვადგინეთ.


ამასთან, წარმოდგენილ მსჯელობებში არ იგულისხმება ის, რომ რომელიმე მოცემული მეგრული ტექსტი, ან მოცემული საზომი უფრო ძველია, არამედ იგულისხმება მხოლოდ დადასტურებული ვითარება. მეგრულ ლექსში გამოვლენილ ვითარებას, როდესაც დომინანტურია და პრაქტიკულად ერთადერთია ორი ტოლი ნა-

წილის პრინციპი, შემოუნახავს ქართული ლექსთწყობის განვითარების ის ძველი საფეხური, რომელშიც საღმრთო ერთეულებში ორი ტოლი შემადგენლის პრინციპი მოქმედებდა. ქართულ ლიტერატურულ ლექსში და აღმოსავლურ ხალხურ ლექსში ეს საფეხური მოცემული მდგომარეობის სახით არ არის შემონახული: ის პირველი მდგომარეობა, რომელიც ფიქსირებულია ლიტერატურულ ლექსში, და ის მდგომარეობა, რომელიც გვაქვს აღმოსავლურ ხალხურ ლექსში, დამყარებულია ტოლი შემადგენლების პრინციპის გვერდით არატოლი შემადგენლების პრინციპის აქტიურ მოქმედებაზე. ამასთან, იგულისხმება, რომ ამ მდგომარეობის ერთი ნაწილი — ტოლი შემადგენლების პრინციპით მიღებული ერთეულების სახით — ძველი სიტუაციის ასახვაა, მაგრამ იგი სწორედ ცალკე მდგომარეობის სახით არ გვაქვს: ზემოთ ჩვენ მისი რეკონსტრუირება მოვახდინეთ, რასაც მეგრული ლექსი ადასტურებს. ამავე პრინციპიდან, ვითარება, როდესაც აღმოსავლურ-ქართულ ლექსში დომინანტურია  $5+3$ ; მეგრულს ვითარებაზე ახალია. ამასთან, აღმოსავლურშიც გვხვდება  $4+4$  (ზოგი ასეთი ლექსი ძალიან ძველი, შესაძლოა, ყველაზე ძველი ჩანს), მაგრამ გვაქვს  $5+3$ -ის დომინანტურობა, გვაქვს საბოლოოდ ის ვითარება, როდესაც ტოლი შემადგენლების პრინციპის გვერდით არატოლი შემადგენლების პრინციპი მოქმედებს და ამ უკანასკნელი პრინციპით მიღებული ერთეულები უფრო პოპულარულია.

ამგვარად, რეკონსტრუირებული საწყისი, ამოსავალი სისტემა, რომელიც დამყარებულია ორ ტოლ შემადგენლად გაკვეთილ ბინარულ სტრუქტურულ ერთეულებზე, ვერსიფიკაციისას დასტურდება ვერსიფიკაციული სურათით მეგრული ლექსისა, რომელიც ასახავს ქართული ლექსთწყობის განვითარების უძველეს საფეხურს. განვითარების ეს საფეხურიც და მომდევნოც, როდესაც ტოლობის პრინციპი ქვედა ერთეულში ცვლის ტლობის ან პირველი გრძელის პრინციპი, განეკუთვნება ქართული ლექსთწყობის სისტემას, რომელიც პრინციპულად საერთოა ქართული ხალხური ლექსისათვისაც (აღმოსავლურ-ქართული, მეგრული, სენური...); ეს სისტემა რეალიზებულია სხვადასხვადალაღმრთოან ლექსში და სალიტერატურო ლექსში.

რაც შეეხება საერთო-ქართველურ ფუძე-ლექსს, პრასისტემას, იგი როგორც ჩანს, თეორიულად უნდა აღდგეს მოცემული ორი პრინციპული საფეხურის —  $n=k$  და  $n \geq k$  — წინა ვითარების სახით. თუ ჩვენ მივიღებთ ქართული ლექსთწყობის განვითარებაში ორ მთავარ საფეხურს, რომელთაგან მეორე გულისხმობს ორ არატოლ ნაწილად გაკვეთის პრინციპსაც, ხოლო პირველი — მხოლოდ ორ ტოლ ნაწილად გაკვეთას, მაშინ სავარაუდო იქნება უფრო წინა ვითარება, როდესაც გვაქვს „დაუნაწევრებელი“ ლექსი — ლექსი, რომელშიც სტრიქონები (ან ნახევარ-სტრიქონები), როგორც რეგულარულად გამოიწვები და მუდმივი სიგრძის მონაკვეთები, არსებობენ, მაგრამ რომელშიც სტრიქონები (ან ნახევარ-სტრიქონები) უმცირეს ერთეულებად არ დაიყოფიან. ამგვარი აზრი გამოთქვა გ. წერეთელმა, როდესაც განაცხადა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს ნიმუშები: „როდესაც ნახევარკარგი სეგმენტებად არ არის დაყოფილი. არამედ წარმოადგენს ერთ მთლიან სეგმენტს, ე. ი. რუდინენტალურად ასახულია მეტრიკული სისტემის განვითარების წინა საფეხური“<sup>13</sup>. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ვარაუდის რეალურობის შემოწმების საშუალებაც არსებობს. კერძოდ, ახალი ორწევრებების (ან სტრიქონების) რეალიზებისას ჩვენ ვხედავთ საწყის ეტაპს და საბოლოო სახეს. ჩვენთვის სინ-

<sup>13</sup> გ. წერეთელი, მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, გვ. 35.



ტრებსო ისაა, რომ საწყის ეტაპზე ერთეული ვაუფორმებელია, რაც ხშირად იმანი ვლინდება, რომ იგი დაუნაწევრებელია ბინარულად, ან მერყევი გასაყარი აქვს. ასე იყო, მაგალითად, 3+3 ორწევრედის ჩამოყალიბებისას, 4+2-ის ჩამოყალიბებისას და ა. შ. „დაუნაწევრებელი“ ლექსის საფეხურის ვარაუდისთვის საფუძველს ქმნის ქართული ხალხური შაირის ბევრი ნიმუში, რომელშიც შერეულია 5+3 და 4+4, ე. ი. 8-მარცვლიანი მონაკვეთი არ არის დიფერენცირებული 5+3 და 4+4-ად, რისი ცოცხალი ასახვაც დღემდეა შემონახული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს საერთო საფეხური ან არ არის ზუსტად ლექსის სისტემა — არის ლექს-სიმღერის“ სისტემა, ან არ არის ისეთი სისტემა, რომელიც, ჩვენი დღევანდელი გაგებით, ქმნის ჩვენთვის ჩვეულებრივ ქართულ ლექსს.

ის პარალელები, რომლებიც ვაკვლებულია საერთო-ინდოევროპულ ლექსთან, სწორედ ამ საფეხურს უნდა ეხებოდეს. სხვა საფეხურზე (= მოქმედ სისტემას) ინდოევროპულთან შედარება პრინციპულ განსხვავებას ვგაძლევს. ქართული ლექსის სისტემაში 4+4 და 5+3/3+5 ყველა ნიშნის მიხედვით არა მარტო დამოუკიდებელი აგებულებებია, არამედ რიტმული სემანტიკის მქონე უმცირეს ერთეულთა სისტემაში ყველაზე პოლარულ დაპირისპირებებს ქმნიან: 4+4 და 5+3/3+5 არა მარტო სხვადასხვა მეტრების ბაზებია, არამედ მათ მიერ აგებული სტრიქონები და მეტრები უფრო უპირისპირდებიან ერთმანეთს: ვიდრე, ვთქვათ, 5+5 და 5+3, ან 4+4 და 4+3 (რომლებიც ასევე სხვადასხვა მეტრებს ქმნიან, მაგრამ პეტერომეტრულ აგებულებებში ერთმანეთთან მეზობლობენ). რაც შეეხება საერთო — ინდოევროპულ ვითარებას, მისთვის საბოლოოდ, როგორც ჩანს, უნდა ვივარაუდოთ 4+4-ის 5+3-ის, 3+5-ის ფაკულტატური მონაცვლეობა<sup>14</sup>, გამოვალთ ხეთური ტექსტების მონაცემებიდან<sup>15</sup>, თუ ხალხური სლავურიდან<sup>16</sup> და ა. შ. ე. ი. სემენტაცია. 8=4+4, 8=5+3 და 8=3+5, თუ იგი რიტმული ძალის მქონეა, ერთი და იმავე რიტმული ფუნქციის მატარებელია — 4+4, 5+3 და 3+5 ერთი და იგივეა, ეს არის 4+4/5+3/3+5 სიტუაცია, ამგვარად, აბსოლუტურად დაპირისპირებულია ქართული ლექსოწყობის სისტემასთან, რომელიც დანაწევრებულია სწორედ იმაზე, რომ 4+4 და 5+3 დაპირისპირებული აგებულებებია. 4+4/5+3 (უფრო სწორედ, საერთოდ არარსებობა დანაწევრებისა) ქართულში შეიძლება ვივარაუდოთ მხოლოდ ქართული ლექსოწყობის სისტემის, როგორც ასეთის, განხორციელების წინა ეტაპზე, როდესაც სავარაუდოა, რომ „ლექს-სიმღერა“ დაუნაწევრებელ მონაკვეთს (კონკრეტულად 5+3/4+4 მონაცვლეობასაც) გვიჩვენებდა: ვაკვეთის პრინციპი მოქმედებდა ზოგადად, გამოყოფდა სტრიქონს, სტრიქონის შიგნით რეგულარული გაყოფა, რიტმული ფუნქციის ძალით, არ გექონდა. მხოლოდ ამ საფეხურის ვითარება შეიძლება ჩავთვალოთ იზომორფულად საერთო — ინდოევროპულსა.

შესაძლებელია განვითარების ასეთი სავარაუდო სურათის წარმოდგენა (სავარაუდო — პირველი ორი პუნქტისათვის):

1. სალექსო ფორმა ჯერ ვიდრე არ წარმოადგენს რიტმულ ლექსს დღევანდელი გაგებით, გარკვეული რიტმული პერიოდები ენორჩილება ენობრივი ნორმების მიხედვით სინტაქსურ-ინტონაციურ მონაკვეთებად დაყოფას<sup>17</sup>.

<sup>14</sup> იხ. Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейцы и индоевропейский язык, с. 839—842.  
<sup>15</sup> ნიმუშები იხ. Н. Otten, Hethitische Totenritualen, Berlin, 1958.  
<sup>16</sup> იხ. R. Jakobson, Slavic Verse, p. 447—453  
<sup>17</sup> იხ. В. Е. Холщевнико, Русская и польская силлабика и силлабо-тоника. Сб.: Теория стиха, Л., 1968, с. 30.



2. ყალიბდება რიტმული ლექსის გარკვეული სახეობა, პირველად ესაზღვრება, რომელიც ფუნქციონირებს სასიმღერო (= არაკითხვით) შესრულებაში. იქნება მოქმედებას გაკვეთის პრინციპი, რომელიც რეგულარულ საზღვრებს უდებს სინტაქსურ-ინტონაციურ მონაკვეთებს, რის შედეგადაც იქმნება სტრიქონი, როგორც დაუნაწევრებელი რიტმული მონაკვეთი (ეს არის იზონილაბიზმის პრინციპი, რომელიც შემდეგშიც ვლინდება რიტმული სიჭარბის სახით). სხვა ერთეულები, ერთეულთა იერარქიის სისტემა ჯერ არ ჩანს. არ გვაქვს, კერძოდ, რიტმული სემანტიკის პლანის მქონე უმცირესი რიტმული ერთეული ორწევრედის სახით, რომელიც შემდეგში განსაზღვრავს ქართულ რიტმულ ლექსს. ამ სიტუაციის კვალი ჩანს იმ სალხურ ნიმუშებში, რომლებშიც მ-მარცვლიანი მონაკვეთი არ არის დიფერენცირებული როგორც 4+4 ან 5+3.

3. მოქმედებას იწყებს ორ შემადგენლად გაკვეთის პრინციპი, რომელიც ქმნის რიტმულ ერთეულებს (მათ შორის — ორწევრედსაც). ამ საფეხურზე ორ ტოლ შემადგენლად გაკვეთის პრინციპი გვაქვს. საკუთრივ ქართული ლექსთწყობის სისტემა იწყება სწორედ მაშინ, როდესაც საერთოდ გაკვეთის ცვლის ყველა ერთეულის ტოლ ნაწილებად ბინარული გაკვეთის პრინციპი. ეს არის ქართული ლექსთწყობის განვითარების საწყისი საფეხური, რომელიც შემონახულია მეგრულ ლექსში.

4. ორ ტოლად გაკვეთის დიქტომია ვითარდება და მის გვერდით ჩნდება ორ არატოლად გაყოფის პრინციპი (საერთო პრინციპი —  $n \geq k$ ). ამით მთავრდება ქართული ლექსთწყობის სისტემის პრინციპული სახის ჩამოყალიბება.

მაშინ კორექტული ჩანს ორი შემდეგი დასკვნა:

1). ქართული ლექსი არქაულია ქრონოლოგიურად. ჩვენ გვექონდა მონაკვეთი მე-ნ საუკუნემდე, რომელშიც ერთეულთა ორი ტოლი ნაწილის დიქტომია მოქმედებდა, რასაც მეგრულის ვითარებაც ადასტურებს. ამ საფეხურს, გარკვეული წყაროს სახით, წინ უსწრებდა მონაკვეთი, რომელშიც სტრიქონი დაუნაწევრებელი იყო.

2). ქართული ლექსი არქაულია ტიპოლოგიურად. თუ ერთ საფეხურზე გვაქვს ყოველი ერთეულის ორ ტოლ ნაწილად გაყოფის პრინციპი, მის წინა საფეხურზე ჩანს დაუნაწევრებელი სტრიქონების სისტემა, მაშინ სულ წინა საფეხურზე საგარაუდებელია სიტუაცია, როდესაც ზოგადი სალექსო რიტმიკა ემყარებოდა ენობრივ სინტაქსურ-ინტონაციურ დანაწევრებას, მის აქტუალიზაციას არაპროზაულ მეტყველებაში. ინტონაციური და სინტაქსური პარალელიზმები საერთოდ უძველესი ფორმა ჩანს. განსაკუთრებით ახსიათებდა თურქულენოვან ფორმებს. „ინტონაციური-სინტაქსური ლექსი“ ივარაუდება ევროპული ენებისთვისაც როგორც დაწყებითი, პრიმიტიული ფორმა, ამასთან — ენის პროსოდიული თვისებები ამ ეტაპზე მხოლოდ ტენდენციებს ქმნიან და პირველ პლანზე განოდიან განვითარების შემდგომ ეტაპებზე და სახეს უცვლიან სისტემას<sup>18</sup>. ქართული ლექსთწყობა, თუ მისთვისაც გასაუღლებელი იყო ეს ეტაპი, უბრალოდ ვი არ ცვლის ენობრივი სინტაქსური კონსტრუქციის აქტუალიზაციის ამ უძველეს პრინციპს, არამედ ინარჩუნებს ამ დროს რაღაც გარკვეული სახით გამქაფავებულ გაკვეთის ზოგად პრინციპს (სინტაქსურ-რიტმულ კონსტრუქციებად), ანიჭებს რა რიტმული ფაქტორის მნიშვნელობას სინტაქსურ-ინტონაციურა მონაკვეთების გასაყარს, აგრეთვე, რაც მთავარია, სიტყვათგასაყარს, და ქმნის რიტმულ გასაყართა იერარქიულ სისტემას ყველაზე გრძელი რიტმული მონაკვეთის გასაყარისა და ყველა სხვა, მათ შორის ყველაზე მოკლე

<sup>18</sup> В. Е. Холщевников, Русская силлабика и силлабо-тоника, с. 30.



მონაკვეთის რიტმული გასაყარის, სახით. ე. ი. ამოქმედებულმა პროსოდიულმა ფორმამა თვისებრივად ახალი პრინციპი კი არ შემოიტანა, არამედ გაკვეთის უძველეს, ამორფულად რეალიზებულ პრიმიტიულ და არარგანიზებულ პრინციპში (თანდათანობით, ჯერ — სტრიქონის საწარმოებლად) თვისებრივად შემოიტანა ახალი საფეხური, როდესაც დანაწევრების მონაკვეთები იღებენ რეგულარულ სივრცეს და ხდებიან რიტმული მონაკვეთები, იქმნება მათი იერარქია და ბინარული სტრუქტურების ერთდროული რეალიზაცია — საბოლოოდ ვიღებთ რთულ და მაღალ-ორგანიზებულ სისტემას ბინარული დანაწევრებისა.

A. A. СИЛАГАДЗЕ

ДРЕВНЕЙШИЕ СТУПЕНИ РАЗВИТИЯ ГРУЗИНСКОГО СТИХА

Резюме

Восстановление для процесса развития стихосложения начальной ступени, или исходной системы, как теоретического конструкта осуществляется на основе данных структурного анализа системы и анализа закономерностей развития системы. Путем анализа обратных трансформаций при ретроспективном рассмотрении закономерных ступеней развития можно перейти к картине непосредственно того состояния, которое предшествовало литературно зафиксированным ступеням.

Для грузинского стиха возможность реконструкции создает анализ правила равных составляющих или первой более длинной составляющей ( $n \geq k$ ) действующего в бинарных единицах ( $n+k$ ) разных уровней грузинского стиха. В работе рассматривается одно изменение в рамках данного правила, которое на разных ступенях развития (всего—4) реализуется в системах единиц разных уровней (всего—4). В результате восстанавливается исходная ступень, на которой во всех бинарных ритмических единицах действует только принцип равенства составляющих.

При верификации этот вывод подтверждается анализом процесса формирования новой подсистемы в системе наименьшей ритмической единицы, а также анализом версификационной картины мегрельского стиха.

A. SILAGADZE

THE EARLIEST STAGES OF THE DEVELOPMENT OF THE GEORGIAN VERSE

Summary

The reconstruction of the process of development of versification of the initial stage or of the initial system as a theoretical construct is effected on the basis of the data of the structural analysis of the system and analysis of its developmental regularities. Analysis of back transformations under retrospective consideration of the regular stages of develop-



Georgian Literature Society  
1957-1958

ment can lead to a direct picture of the stage that preceded the recorded stages.

For the Georgian verse, reconstruction is made feasible by an analysis of the rule of equal components or of the first longer component ( $n \geq k$ ), operative in binary units ( $n+k$ ) of different levels of the Georgian verse.

The paper discusses one change within the given rule which, at different developmental stages (there being four stages in all), is realized in the systems of the units of various levels (also four in number). As the result, the initial stage, at which in all binary rhythmic units only the principle of the equality of components is operative, is reconstructed.

Under verification, this conclusion is confirmed by analysing the process of formation of a new subsystem within the system of the least rhythmic unit as well as by analysing the versification picture of the Megrelian verse.



## ზურაბ ჭიქნაძე

### „ვითარცა მარიამ და მართაჲ“

მეორე მუხლში „ქებასა ქართლისა ენისაჲ“ დამარხული ენა შედარებულა მიძინარე ლაზარეს, რომელიც თავისი დების — მარიამისა და მართას მეოხებით მკვდრებით ადადგინა მაცხოვარმა. „მოუფლანეს იესოს დათა მისთა და ჰრქუეს: „უფალო, აჰა, რომელი ვიყუარს, სნეულ არს“, ვკითხულობთ სახარებაში იოანესაგან (11,3). „ქებას“ მიხედვით, ასეთი მშველელნი მიძინარე ქართულ ენასაც ჰყავს, ესენი არიან ნინო და დედოფალი ჰელენე, რომლებიც მიწაწილეობენ მის მოქცევაში: „და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაჲ“. „გადვიძება“, გაცოცხლება (ან სნეულებისგან განკურნება) თითქოს სიმბოლური გამოხატულება უნდა იყოს წარმართობიდან ქრისტიანობაზე მოქცევისა. მაგრამ მას აქვს კიდევ სხვა, ესქატოლოგიური აზრი თვით „ქებას“ ფარგლებში. რადგან ტექსტის პირველივე მუხლი ვგამცნობს, რომ დამარხული (და, როგორც შემდეგ ირვევა, მიძინარე) ქართული ენა, რომელშიც ქართველი ერიც უნდა იგულისხმებოდეს, ქრისტეს მეორედ მოსვლას მოეღის. როგორც ლაზარესთან უამთა დასასრულს მეორედ მოვა ქრისტე, მის საბოლოოდ აღსადგენად, ასევე ეს მოსვლა ქართული ენისათვის თუ ერისთვისაც მეორედ მოსვლა იქნება, რაკი პირველად ქრისტე ნინოსა და ჰელენეს მეოხებით მოვიდა.

ამრიგად, მარიამ-მართასა და ნინო-ჰელენეს შორის დამყარებულია სინბოლური იგივეობა; ამ ორ წყვილს შორის გატარებულია მისტიური პარალელი, ამასთანავე პირველი წყვილი არქეტიპულია მეორის მიმართ: სახარებისეული საკრალური დროყამი გარდევულია და გადმოსულია IV საუკუნეში, ქრისტიანობის ტრიუმფის ხანაში. ანავე დროს, უნდა ვიფიქროთ, რომ მარიამისა და მართას ხორციელი დობა ნინოსა და ჰელენეს სულიერი დობის მეტაფორაა: სახარებისეული ხორციელობა აქ სულიერობაშია გადაზრდილი, რამდენადაც მათი დობის საფუძველი ხორციელობა არ არის.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ქრისტეს ნეგობარი ბეთანიელი ქალები, დვიძლი დანი, რომელთა დობა „ქებას“ ავტორის თვალში სამაგალითოა IV საუკუნის ქრისტიან მოღვაწე ქალთა ურთიერთობისათვის, როგორც სახარების ტექსტი მოწმობს (სხვა წყარო, ცხადია, არ არსებობს), სრულიადაც არ არიან სულიერადები. „ქებას“ ავტორისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ მარიამ და მართა, როგორც განსხვავებული ბუნებისანი, ადამიანური აქტივობის ორ, ერთმანეთისაგან დიამეტრულად განსხვავებულ ტიპს განასახიერებენ. მოგვყავს ებიზოდილუკას სახარებიდან:

„და იყო ვითარცა წარვიდეს ესენი (მოწაფენი, ზ. კ.), და თავადი (იესო,





ბ. კ.) შევიდა დაბასა რომელსამე, და იყო ვინმე მუნ დედაკაცი, რომელსაცაჲსაჲ-  
 ლი მართა, და შეიყვანა თავადი სახით თვისა. და იყო დაჲ მისი, რომელსაჲსაჲსა  
 მარიამ. რომელი დაჯდა ფერჯთა თანა იესოასთა და ისმენდა სიტყუათა მისთა.  
 ხოლო მართა მიმოდაზრუნედა მრავლისა მსახურებისათვის, ზედა მიადგა და  
 პრქუა: უფალო, არა ილუწი, რამეთუ დამან ჩემან მარტოა დამიტევა მე მსა-  
 ხურებად? არქუ მას, რაათა შენეწოდის მე. ნიუგო იესო და პრქუა მას: მართა.  
 მართა! ჰზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათვის, აქა ერთისა არს საგმარ. ხოლო  
 მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არსადა მიეღოს მისგან“ (10, 38-  
 42).

უფალი არ ამბობს, რომ მართას მსახურება უსარგებლოა. არა, ის ამბობს,  
 რომ მარიამის წილია უკეთესი, რადგან ეს წილი მარადიულობასთან არის ნაზი-  
 არები; მართას ზრუნვა და შფოთი კი წარმავალია, როგორც სოფელი, წუთისო-  
 ფელი სახარებაში იოანესაგან მათი განსხვავებულობა სხვაგვარად არის გამოხატუ-  
 ლი: „... ხოლო მართას, ვითარცა ესმა, რამეთუ იესო მოვალს, მიეგებოდა მას; ხო-  
 ლო მარიამ სახლსა შინა ჯდა“ (ი. 11,20). ჯდომა მარიამისა, ჯდომა „ფერჯთა თანა  
 იესოასთა“ და სმენა „სიტყუათა მისთა“ ცხადყოფს, რომ მარიამი მოძღვრის  
 ჭეშმარიტი მოწაფეა (შდრ. უპანიშადების, მოძღვრებათა წიგნების, ეტიმოლო-  
 გია: უპა-ნი-შად „(მოძღვრის) ფერხითთ ჯდომა“). მარიამი უძრავად ზის და  
 ისმენს, ხოლო მართა „ზრუნავს და შფოთ არს“, მოძრაობს, ეგებება სტუმრებს,  
 ის ზრუნავს მათი საზრდოსათვის, ნივთიერისთვის, ანუ ემსახურება ხილულს  
 და, ამიტომაც წარმავალს. მართა ემსახურება ხილულად, მარიამი — უხილავად,  
 და რაკი „ხილული ესე საწუთრო არს, ხოლო არა ხილული იგი — საუკუნო“ (2  
 კორ. 4,18), ეს ორი და ხილულ-უხილავის, ჟამიერ-უჟამოს ერთიანობის გამომ-  
 ხატველნი არიან თავიანთი დობით; ისინი ერთმანეთს ავსებენ, რადგან ერთი  
 ძირიდან არიან ამოზრდულნი, ერთი დედის საშოდან გამოშავლნი. იესო — მათი  
 მოძღვარი არ უარყოფს მართას და მის ღვაწლს არ უკუაგდებს, შესაძლოა, უფრო  
 მეტად უყვარდეს, რადგან სახარებაში სწერია: „უყუარდა იესოს მართა და დაჲ  
 მისი და ლაზარე“ (ი. 11,5), ანუ პირველ რიგში ჯერ მართა, მერედა მარიამი და  
 ლაზარე. ნამდვილად, სრულიად გარკვეული აზრით, უფლის სიყვარული წუთისო-  
 ფლის ზრუნვაში ჩაფლულს უფრო ესაჭიროება წუთისოფლის ტყვეობაში მყოფს,  
 აკი იმავე სახარებაში ვკითხულობთ, რომ „არა მოაელინა ღმერთმან მე თვისი  
 სოფლად, რაათა დასაჯოს სოფელი; არანედ რაათა აცხოვნოს სოფელი მის მიერ“  
 (ი. 3,17), უფრო მეტიც, თუ სიყვარულზეა ლაპარაკი: „რამეთუ ესრეთ შეიყუარა  
 ღმერთმან სოფელი ესე, ვითარნედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას“  
 (ი. 3, 16).

ანალოგიური სიმბოლური მნიშვნელობები აქვს მინიჭებული ძველი აღთქმის  
 ბერსონაჟებს — რახელს და ლეას, მამამთავარ იაკობის ცოლებს ქრისტიანულ მწე-  
 რლობაში. რახელი მჭერტელობითი ცხოვრების გამომხატველია, ლეა — აქ-  
 ტიური, ქმედითი ცხოვრებისა. ამავე დროს, ლეა ნაყოფიერია ფიზიკურად, ხოლო  
 უნაყოფო რახელი სულიერი ნაყოფის ნომტანია. დანტე „სალხინებელში“ ამგვარ-  
 რად აღაპარაკებს ლეას: „იცოდეს ყველამ, ვინც ჩემს სახელს იკითხავს, რომ მე  
 ლეა ვარ და, განუწყვეტლივ მოარული, ვამოქმედებ ჩემს მშვენიერ ხელებს გირ-  
 ლიანდების გასაკეთებლად, რომ შემკულმა ჩაიხედო სარკვეში. ჩემი და რახელი კი  
 არასოდეს შორდება თავის სარკვეს და მთელი დღე ზის. მას სურს ჭვრეტდეს  
 თავისი მშვენიერი თვალებით, მე კი მსურს ვიმკობოდე ხელებით, მას ჭვრეტა



იტაცებს მე ვი საქმე“ (სალხ. XXVII, 101—108). ამრიგად, ლეას ნიშანია „მშვენიერი ხელები“ (le belle mani), რახელის ნიშანია „მშვენიერი თვალები“ (begli occhi). მართას ლეას ნიშანი აქვს, ხოლო მარიამი რახელის ნიშანს არტყობს. თუ აყვებით ძველი აღთქმის ალგეორიულობას, ლეა თავისი ხელებით შეიძლება კაენს — მიწის მუშავს და ხელსიანს (მისი შთამომავალი მჭედლები გახდნენ) შევადაროთ, ხოლო რახელი თავისი თვალებით აბელს — მწყემსს, მისი სახელი რახელ „დედაცხვარს“ ნიშნავს, მწყემსური ცხოვრება კი ნჭვრეტელობითი ცხოვრების ხატია (ამგვარი წარმოდგენა მწყემსზე ახალი დროის პოეზიაშიც იჩენს თავს, შდრ. გალაკტიონი: „შეგვიანებულ გზით ვაივლის ხევსური მწყემსი (და მისი სული ვარსკვლავების სულზე უვრცესი) ოცნებობს მთავრის სითეთრეში, ვით ქანდაკება“).

იგივე თემა ორგვარი აქტივობის ურთიერთდაპირისპირებისა დანტეს განვითარებული აქვს „ნადიმში“, სადაც მჭვრეტელობითი ცხოვრება სანთელს არის შედარებული, ვარეგანქმედებითი — თავფს. ეს ორივე — თავფლი და სანთელი, წერს პოეტი, ფუტკარის შექმნილია, თუმცა ადამიანთა უმრავლესობა თავფლს ეტანება და ფუტკარში უფრო თავფლისმკეთებელ არსებას ხედავს, ვიდრე სანთლისას („ნადიმი“, IV, 7). თავფლი და სანთელი ერთი არსებიდან მომდინარეობენ. მათი ძირი ერთ არსებაშია; ამიტომაც ფუტკარი, როგორც მოვლენა, შეიძლება გახდეს სიმბოლო ნიწისა და ზეცის ერთიანობისა, ცისა და მიწის კავშირისა, და ეს ასეა, მაგალითად, აკაკის პოეზიაში:

„მწყემსის თავფლზე უნდადებ  
და სანთელს უნათებ ზენასა...“ („ფუტკარი“).

ან:

„წვეუშხადო მით ქვეყანას  
თაფლი, ზეცას — სანთელიო,  
რომ იქ წმინდად შეიწიროს  
და აანთოს აქ ბნელიო...“ („ხარაბუზა და ფუტკარი“)

ჩვენი პოეტის იმაგინაციური ჯვრეტა — ამ კერძო შემთხვევაში ფუტკარის გასინბოლიურება მისი ორბუნებოვნების ასპექტით ეხმაურება ქრისტიანულ ტრადიციულ სიმბოლიზმს, რომლის ძალითაც ფუტკარი ქრისტეს, კერძოდ აღმდგარი ქრისტეს ხატია (ასეა კატაკომბების ზელონებაში). ერთ ქრისტიანულ ლეგენდაში ღვთისმშობელი მარიამი ამბობს: „მე ჭეშმარიტად სკა ვიყავი, როცა წმიდათა წმიდა ფუტკარი, ძე ღვთისა, ჩემს საშოში ჩაბუდა“ (იხ. „მსოფლიოს ზალხთა მითები“, 2, 335). სიმბოლიზმის საფუძველი ცხადია: როგორც ქრისტეს პიროვნებაშია შეერთებული ორი ბუნება — ღვთიური და ადამიანური, ასევე ფუტკარი აერთებს, უფრო სწორად, წარმოშობს სულიერისა და ნივთიერის შესატყვის ელემენტებს. თავფლი ქვეყნიურია, მიწიერი, ადამიანური, როგორც ამბობს პოეტი, სანთელი კი — სულიერი, ზეციური. (თუმცა, უნდა შეინიშნოს, რომ სხვა კულტურულ წრეში თავფლია სულიერებისა და ღვთაებრივი სიბრძნის სახე, მაშინ ცვილი დაბალი რანგის — ნივთიერი საწყისი იქნება. პლატონის სიბრძნე, პინდარეს პოეზია დაკავშირებულია თავფლთან, სკანდინავური მითოსი პოეტური შემოქმედების საწყისს ოდინის მოპოვებულ თავფლში ხედავს).

თავფლი ხორციელი საზრდოა და როგორც მისი განზოგადებული სახე, წარმოგვიდგენს ადამიანური არსებობის ყოფაცხოვრებით მხარეს; სანთელი საკრალურ სფეროს განეკუთვნება, როგორც ღვთისმსახურების ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი.

ნენტი, რომელიც შეიძლება გამოხატავდეს საკულტო ცხოვრების საბუნძლო, როგორც ამბობს ჩვენი პოეტი:

ნიევარს, როდესაც შატის წინ  
ანთია წმინდა სანთელი  
და საიდუმლო პარბალით  
ბნელს ჰჟანტავს მისი ნათელი.  
მყუდროდ, უხნოდ და უბრავედ  
ღნება, ეთ მსხვერპლდ ღიადი,  
რომ მადლით გაასპეტაკოს  
თქალწუნდომელი წყვილად.

სანთელი სულიერების და ღვთისმსახურების (ზოგადად მსხვერპლშეწირვის: „სანთელი ჩემი ხორცია, სიცოცხლე — მოკლე პატრუქი...“) ელემენტია მსგავსად წმინდა ზეთისა, რომელიც მჭვრეტელობითა (გინდა სულიერი) ცხოვრების წარმომადგენლის — მარიამის ნიშანია: („ესე იყო მარიამ, რომელმან სცხო ნელსაცხებელი უფალსა“ (ი. 11, 2), ამ აქტით გამოირჩევა ის არა მხოლოდ თავისი დისგან, მართასგან, არამედ ყველა იმითგან, ვინც ესწრებოდა ამ შემთხვევას, რომელიც მოხდა იესოს ჯვარტანამდე ექვსი დღით ადრე და ამის გამო სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა. ეს ამბავი მხოლოდ იოანეს სახარებაშია მოთხრობილი:

„ხოლო იესო უწინარეს ექუსისა დღისა ენებისა მის მოვიდა ბეთანიად, სადა იგი იყო ღაზარე მომკუდარი, რომელი-იგი აღადგინა მკუდრეთით. და მოუშადეს მას მუნ სერი და მართა პსახურება და მას, ხოლო ღაზარე იყო ერთი მენავეთაგანი მის თანა. ხოლო მარიამ მოიდო ღიტრად ერთი ნელსაცხებელი ნარდისა სარწმუნოსაჲ მრავალ-სასყიდლისაჲ და სცხო ფერტთა იესოსთა და თმითა თვისითა წარჭოცნა ფერჯნი მისნი, და სახლი იგი ყოველი აღივსო სუნწელებითა მის ნელსაცხებელისაჲთა“ (ი. 12, 113). მარიამის ეს საქციელი, რომელიც ყოფაცხოვრებით, თუნდაც ზნეობრივ, პლანში აღქმული იქნა როგორც უგუნურება, როგორც ერთ-ერთი მოწაფის (იუდა ისკარიოტელის) საყვედურთან სიტყვებში ჩანს — „რამათვის ნელსაცხებელი ესე არა განიყიდა სამასის დრაჰკინის და მიეცა გლახაკთა?“ — მსხვერპლშეწირვის მნიშვნელობას იძენს, რაც აშკარად ჩანს იესოს პასუხში: „უტევე მაგას, დღედ დაფლვისა ჩემისა დამიმარხა ვე“ (ი. 12, 7); მაგრამ ფაქტია, რომ მთელი მარაგი ამ ოჯახში შენახულა წმიდა ზეთისა, სამასი დრაჰკანის საფასური ნელსაცხებელი, მთლიანად შეწირა ცოცხალ იესოს, რომელიც უკანასკნელად იმყოფებოდა მათ შორის, როგორც თავად ამბობს: „რამეთუ გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ“ (ი. 12, 8). მთელი მირთნი დაიდვარა იესოს წინაშე ყველას თვალწინ და მთელი სახლი მისი სურწელებით აივსო. ეს იყო სწორედ მსხვერპლშეწირვის ნიშანი. ამ ეპიზოდში აშკარად გამოჩნდა ამ ორი დის მსახურებათა საპირისპირო ხასიათი, თუმცა ერთმანეთის შემავსებელი — მიწიერ-ზეციერის ერთიანობის მომასწავებელი, მსახურება იმის წინაშე, ვინც თავად მოიცავდა თავის პიროვნებაში ამ ერთიანობას, როგორც მე ღვთისა და მე კაცისა.

ცხადია, ჯდომა „ფერტთა თანა იესოსთა“ თავის განსრულებას ლიტურგიულ ქმედებაში — იესოს ფერხთა მირონცხებაში და თნებით შემწარალებაში პოულობს, ისევე როგორც სასიცოცხლო მოძღვრების მიღება მადლობით ანუ ექვარისტის აქტით გვირგვინდება; ეს კი სამუდამოდ გამოკვეთავს მარიამის სახეს წუთისოფელში მოფუსფუსე და „ნიმოდამზრუნველი“ ღის წინაშე. მაგრამ, მოუ-

ხედავად ამისა, ეს ორნი დანი ქრისტეში ერთიანდებიან როგორც ფუტკარში — თაფლი და სანთელი.

ასევე ერთიანდებიან ქრისტეში „ახალი ნინო“ და „ჰელენე დედოფალი“, რომელთა შესახებ ამბობს „ქებას“ ავტორი, რომ ესენი აბრიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაა“. ეს „ვითარცა“ მხოლოდ იმის მინიშნება უნდა იყოს, რომ ავტორის თვალში ჰელენე დედოფალი მართას განასახიერებს, ხოლო ნინო — მარიამს. მის მიერ არჩეული „კეთილი ნაწილითურთ“, რომელიც მაცხოვრის სიტყვით, არასოდეს წაერთმევა მას (ლ. 10,42). „ქებას“ ავტორის ეს საგარაუდებელი თვალსაზრისი შეიძლება შევამოწმოთ „ქართლის მოქცევის“ ტექსტით — სრულიად სარწმუნო ისტორიული დოკუმენტით. არ არის ძნელი იმის დანახვა, რომ ნინო თავისი საკრალურობით და სულიერობით უბირისპირდება ჰელენე დედოფალს. ერთგვარი პარალელიზმი მათ შორის გამოვეყვავს ამ დაპირისპირებას. ნინოც ჰელენესავე „დედოფლის“ ღირსებას ატარებს: ჯერ თავად ჰელენემ შეამკო იგი წერბარში „დედოფლობით“, მერე ქართლში უწოდეს მას დედოფალი („აწ მექმნა ჩუენ ტყუე იგი დედოფალ...“). მაგრამ, რაკ ტყვე ქალი დედოფალი ვერ იქნება ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, მისი დედოფლობა სულიერი ღირსებისა უნდა იყოს; იგი არის, ასე ვთქვათ, შინაგანი დედოფალი, როგორც შინაგანი აღამიანი, რასაც გულისხმობს მისი ეპითეტი „ახალი“.

ჰელენე ნაყოფიერი ღვია — ხორციელი დედა პირველი ქრისტიანი იმპერატორისა, ნინო ქალწულაა, პირველი ხანის რაპელივით უნაყოფო, მაგრამ სულიერი დედა მირიან მეფისა („აწ მექმნა... უცხოა იგი — დედა“) და არა მხოლოდ მირიანის, არამედ მთელი ქართლის ერისა — მისი ემბაზი.

ჰელენე დედოფალი ეძებს ქრისტეს ჯვარს და აღმოაჩენს — ეს არის მისი მოღვაწეობის გვირგვინი; ნინო უფლის კვართის კვალზე მიდის „ჩრდილოას ქვეყნისკენ“ და ნათელხილივით მიაგნებს ყველასაგან დაფარულ ადგილს: „და არს ადგილი იგი, რომელი ღმერთმან იცის და იცის დედამან ჩემმან ნინო და არა იტყვის, რამეთუ არა ჯერ-არს სიტყუად აწ“. ნინოსთვის საუფლო კვართის არსებობა მისტიური ფაქტია, კვართი ხილულია სულიერი თვალთ და მას, როგორც გრაალის თასს, საფარველი ადევს გარეშეთათვის და საიდუმლოდ არის შენახული იმ დრომდე, „ოდეს გამონდეს დიდებითა ქუეყანასა ზედა“... კვართი დამარხული უნდა იყოს როგორც ხილულის უხილავი საფუძველი. ეს იდეა უხილავის (გინდა ფარულის) უპირატესობისა მნიშვნელოვანია „ნინოს ცხოვრებაში“ და პასუხობს ქართლის განმანათლებლის მჭვრეტელობით, ასე ვთქვათ: „მარიამულ“ ბუნებას, რომელიც მის სიცოცხლეში ფარული დიდებით არის აღბეჭდილი. ამ იდეის ხორცშესხმად წარმოგვიდგება მაცვლოვანი, ჯერ იმით, რომ ტყვე ქალი აქ „ილოცვიდა ფარულად“ არა იმდენად დევნილების შიშით, არამედ უფრო მოძღვრის დარიგების თანახმად („ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად“, მათ. 6,6). ამ მაცვლოვანთან დაკავშირებულია მნიშვნელოვანი მოვლენა — მცხეთაში მეორე ეკლესიის აგება, რაც მირიანის „წიგნში“ წარმოდგენილია როგორც საქვეყნოდ გამოცხადება ნინოს ფარული, სულიერი ღვაწლისა. რა გზითაც არ უნდა დაიდლოს ძნელი სინტაქსი მირიანისეული ფრაზისა „და აღვაშენე ეკლესია მაცვლოვანსა მას შინა ნინოასსა, და ვქმენ მას შინა საქმე ქმნული უჩინოა და ცხადი დიდებამა მაცვლოვანთა მათ...“, ის მაინც აშკარაა, რომ აქ ნაგულისხმევა უჩინოს — ანუ უხილავის და შინაგანის ესქატოლოგიური ბედი, მისი დაფარული არსის შინაგანი მანიფესტაცია, ის ვითარება, როცა შინაგანი გარეგანი ხდება, და უხილავი — ხილული, როგორც წერს პავლე მოციქული: „არა ვხედავთ ჩვენ ხილულსა ამას, არამედ უხილავსა მას“ (2 კორ. 4,18). ამავე დროს ისიც

ამკარაა, რომ ნინოს ღვაწლი პრინციპულად უხილავია, როგორც საუფლო კვართი; ასევე მაყვლოვანის დიდება არ მდგომარეობდა იქ აღსრულებულ მღვდელმთავრებს სსსწაულში, რადგან არა სსსწაულმა—ხილულმა მოვლენამ გაასაკრალურა მაყვლოვანი; არამედ ყველასაკან დაუარულმა ქმედებამ, რომ ის აქ „ილოცვიდა ჟარულად“.

ნინოს მაყვლოვანის, ვითარცა „შინაგანი“ ადგილის („შინაგანი კაცის“ შესატყვისის), ანალოგიურია „დაბაა ბოდისი“, ნინოს დამარხვის ადგილი, რომლის შინაგანი დიდება მის თავზე შეჩერებულმა ვარსკვლავმა გამოაცხადა, მაგრამ მიუხედავად ამ სსსწაულისა, ნინოს რჩევით ეს ადგილი მაინც ინარჩუნებს ვარეგან „სიმწირეს“, ვიდრე მისი ჟამი დადგებოდეს („დაბაა კულა ბოდისი თვით ვიხილოთ სათნოა იგი ადგილი ღმრთისაჲ“). ეს იდეა — დაბა ბოდისის ესქატოლოგიური სტატუსი მირიან მეფის „ანდერმშიც“ არის საგანგებოდ აღნიშნული: „ადგილი, იგი, რამეთუ არა მეფეთა საჯდომი არს, მწირ არს ადგილი იგი. ეგრევე ვპვედრებ მთავარებისკოპოსსა, რამთა დადვას დიდებაა მის ადგილისაჲ, რამეთუ ღირს არს პატივის-ცემისა“ (შატბერდის კრ., 355).

თავად წმიდა ნინო თავისი პიროვნებით ახორციელებს ესქატოლოგიურ გადასვლას უჩინოდან ცხადი დიდებისაკენ — ტყვეობიდან დედოფლობისაკენ, მწირობიდან დედობისკენ, რითაც საკსებით ეთანხმება „ქებაჲში წარმოდგენილ სახეს ქართული ენისა, რომლის ვარეგნული სიმდაბლე და დაწუნებულობა შინაგანად უფლის სახელით შემეულობასა და კურთხეულობას იმარხავს.“

### 3. КИКНАДЗЕ

#### ...«КАК МАРИЯ И МАРФА»

#### Резюме

В анонимном тексте X в., известном под названием «Восхваление грузинского языка», читаем: «И Новая Нино обратила (язык, народ) и царица Елена, они же две сестры, как Мария и Марфа». Между этими двумя парами, как видно, проведена параллель, к тому же первая из них архетипична по отношению ко второй: евангельское сакральное время продолжает длиться в IV в., в эпоху торжества христианства. Физическое родство евангельских персонажей — Марии и Марфы, вифанийских друзей Христа, осмыслено автором текста в качестве метафоры духовного родства между просветительницей Иберии и царицей Византии. Следует заметить, что Мария и Марфа отнюдь не являются духовными сестрами. Автор «Восхваления» должен был знать, что по установленной в христианской литературе символике Мария представляет жизнь созерцательную, а Марфа — жизнь деятельную (В Ветхом Завете их олицетворяют Рахиль и Лия). В Евангелии от Луки Марфа характеризуется как «сидящая «у ног Иисуса» и слушающая «Его слова», а про Марфу говорится, что она «заботилась о большом угощении» (10, 39—40). О том, что Мария — истинная ученица Учителя, свидетельствуют само ее поведение — сидение «у ног Иисуса» и слова самого Иисуса, что «Мария избрала благую часть, которая не отнимется у нее» (Л., 10, 42). Однако учитель не отвергает и долю Марфы; быть может, Он питает к ней, как «представительнице» мира сего, большую любовь, ибо сказано: «Так возлюбил Бог мир, что отдал Сына Своего Единородного, дабы всякий верующий в него не погиб»



(И, 3, 16). С другой стороны, Мария и Марфа дополняют друг друга, изображая двуприродность их Учителя — божественность и человечность Христа.

Подобным же образом, надо думать, объединяются во Христе Нино и Елена, про которых автор «Восхваления» говорит, что они «как Мария и Марфа». Грамматическая связка «как» может только означать, что в сознании автора Елена изображает Марфу, а Нино — Марию вместе с ее «благою частью», что можно проверить на тексте «Обращения Грузии». В этом произведении Нино с ее статусом сакральности и духовности, несмотря на дружбу, противопоставляется царице Елене. Некоторый параллелизм между ними оттеняет их отличия: хотя обе они именуется «царицами», но в отличие от Елены Нино является царицей не в плане социальном, а по внутреннему, духовному достоинству. Далее: Елена (плодовитая Лия) — физическая мать первого христианского императора, а Нино, дева (бесплодная, как Рахиль первых пор, Быт 29, 31), становится духовной матерью не только первого христианского царя Грузии («Нино эта странница мне... мать»), но и всего народа страны. С царицей Еленой связано обнаружение Креста, а с Нино—Хитон Господень, который она видит духовным оком и не стремится к обнаругованию его тайного местонахождения. Для нее Хитон, как святыня, является невидимой опорой видимого.

Личность Святой Нино воплощает в себе эсхатологический переход от безвестности к откровенной славе, от плена к достоинству царицы, от бесплодия и одиночества к духовному материнству, что в совершенстве соответствует представленному в «Восхвалении» образу грузинского языка, за внешней, преходящей униженностью которого скрывается вечное благословение Господне.

Z. KIKNADZE

"COMME MARIE ET MARTHE"

Summary

Voici ce que nous lisons dans le texte anonyme georgien du Xeme siecle "L'eloge de la langue georgienne": "Et la nouvelle Nino a converti (la langue) et la reine Helene; celles-ci sont deux soeurs comme Marie et Marthe". Ici, entre les deux paires, il s'etablit un parallele mystique; soeurs de sang, semble etre compris par l'auteur comme une selon l'ame, Mais, il faut remarquer que les soeurs de Lazare, amies du Christ, ne sont aucunement, ainsi que le montre l'Evangile, des soeurs spirituelles. L'auteur de "L'eloge" aurait du savoir que Marie et Marthe, analogie du lien spirituel qui fait de Nino et d'Helene deux soeurs d'apres le sens symbolique que la litterature chretienne leur attribue, representent deux types distincts de l'etre humain le comtemplatif et l'actif leurs representents dans l'Ancien Testament sont Rachel et Lea). D'apres l'Evangile selon Luc, tandis que Marthe est" occupee a divers soins domestiques, Marie "assise aux pieds du Seigneur, ecoute sa parole" (Luc, 10, 39) Voici ce que nous lisons dans l'Evangile, selon Jean: "lorsque Marthe apprit que Jesus arrivait, elle alla au-devant de lui, tandis que Marie se tenait assise a la maison" (Jean, 11, 20). L'immobilite de Marie, le fait qu'elle reste a la maison ou "assise aux



pieds du Seigneur" temoigne que Marie est la veritable disciple du Maitre. Et d'ailleurs, le Maitre declare lui-meme que Marie, a choisi "la bonne part" (1, 10, 42). Mais, cependant Il ne desouve pas Marthe, Il ne la blame pas; Il se peut meme qu, Il ait plus de compassion pour elle, comme celle-ci symbolise le monde, puisqu'il est dit: "Dieu a tant aime le monde qu'il a donne son fils unique..." (J. 3, 16). Par ailleur, il serait plus juste de dire que Marie et Marthe se completent comme exprimant l'unite du spirituel et du temporel, de l'invitable et du visible; de ce point de vue, elles symbolisent ensemble la double nature de leur aussi, la premiere represente un archetype de la deuxieme. Le deroulement Maitre: la divinite et l'humanite du Christ.

Nous supposons qu'il en est de meme pour Nino et la reine Helene au sujet desquelles l'auteur du texte remarque, qu'elles sont "comme Marie et Marthe"; elles s'unissent pareillement dans le Christ. En outre, le "comme" denote aussi qu'aux yeux de l'auteur, il y a analogie d'une part entre Helene et Marthe, d'autre part entre Nino et Marie qui a de meme choisi "la bonne part". Le point de vue de l'auteur peutetre verifie dans le texte de "La conversion de la Georgie". La il n'est pas difficile de constater que Nino, par sa saintete, et sa spiritualite s'oppose a la reine Helene. Le parallele entre leur valeur historique les distingue clairement: Nino, ainsi qu' Helene, est nommee "reine", mais sa dignite de reine est de caractere interieur, spirituel, a la difference d'Helene dont la souverainete revet un caractere tout a fait social; Helene est la feconde Lea, elle est la mere selon le sang du premier empereur chretien, tandis que la vierge Nino, sterile comme Rachel aux premier temps de son mariage (Gen., 29, 31), est la mere spirituelle du premier roi chretien de la Georgie ("Desormais, cette etrangere me fut mere..."), et non seulement de Mirian, mais du peuple de la Georgie. L'apparition de la Croix, sa decouverte sa rapporte a Helene, tandis qu'a Nino-le Vetement invisible, cache du Seigneur qui est entere comme le fondement invisible du visible. Les signes de l'invisible, du voile, d'interiorite presents dans les faits rapportes de la vie de Nino correspondent a la nature contemplative de l'illuminatrice de la Geoggie. D'autre part, par sa personnalite Sainte Nino realise la passage eschatologique de la modestie a la Gloire manifeste, de la captivite, a la souverainete, de la virginite a maternite spirituelle ce qui s'accorde tout-a-fait a la langue georgienne telle qu'elle est representee dans "L'eloge" et dont le caractere actuellement modeste et humble reforme dans son sein la benediction reque au nom du Seigneur.



დავით კაციაძე

სახან-ყაენის რაჟორმატორული საქმიანობის ზოგირითი საკითხი

XIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ილხანთა ირანში გამწვავდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი. ილხან ქელათუს (1291—1295 წწ.) მცდელობა ამ კრიზისიდან გამოსვლისა უშედეგო აღმოჩნდა. ვერც მისმა მონაცვლე ბაილუმ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. მისი ხანმოკლე მმართველობის შემდეგ (1295 წლის აპრილი-ოქტომბერი) ტახტი დაიკავა ახალგაზრდა ყაზანმა.

სახელმწიფოს ეკონომიკისა და ფინანსების მძიმე მდგომარეობა, მონღოლურ-თურქული მომთაბარე არისტოკრატების ცენტრალიზებული მისწრაფებები, საგარეო დაპყრობითი ომების შეწყვეტა (მოვიგონოთ, რომ ამ დაპყრობებს დიდი შესავალი მოჰქონდა სახელმწიფოს საზინაში!) აიძულებს ტახტზე ახლად ასულ ილხანს ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი ეძიოს. „ილხანთა ირანის ეკონომიკური კრიზისის პირობებში მონღოლთა ზედა ფენაში თანდათან შემუშავდა მიმართულება, რომელიც მოითხოვდა გადასახადების მოწყობას, დაცემული სოფლის მეურნეობის აღდგენას და გლეხთა რაციონალურ ექსპლოატაციას. ამ მიმართულებას მხარს უჭერდა მუსლიმანური ეკლესია, ძველი ფეოდალური სახლები, სამოქალაქო ბიუროკრატის მნიშვნელოვანი ნაწილი და ვაჭრების უმრავლესობა“<sup>1</sup>. აი, ასეთ ვითარებაში იკავებს ტახტს არღუნ ყაენის შვილი ყაზანი, „შულაგუიანთა საგვარეულოს ხანებს შორის ერთადერთი მსხვილი სახელმწიფო მოღვაწე“<sup>2</sup>.

ყაზან-ყაენი, მისი წინამორბედებისა და მემკვიდრეებისაგან განსხვავებით, განათლებული პიროვნება იყო. იგი კარგად იცნობდა ისტორიას, საფინანსო საქმეს, მედიცინას, მადნეულის საბადოებს. მას კარგად სცოდნია საიუველირო, სადურგლო, მჭედლის ხელობა, აგრეთვე მხატვრობა. იგი დაინტერესებული იყო ასტროლოგიით.

მან იცოდა მონღოლური, არაბული, სპარსული, ინდური, ქაშმირული, ტიბეტური, ჩინური, ფრანგული და სხვა ენები (რასაკვირველია, მეტნაკლებად!).

<sup>1</sup> ვ. ვაბაშვილი, ილხანთა ირანი XIV საუკუნის პირველ ნახევარში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა), ვ. გაბაშვილის რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 207.

<sup>2</sup> Л. О. Бабаян, Социально-экономическая и политическая история Армении в XIII—XIV веках, Москва, 1969, стр. 166.



ის თვითონ ერეოდა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის წვრთმაცნებში, დიდ დროს უთმობდა სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის დოკუმენტაციას, ნობას, შექმნიდა მასში შენიშვნები და შესწორებები<sup>3</sup>.

ყაზან-ყაენი ამავე დროს ძალზე თავშეკავებულ ცხოვრებას ეწეოდა. ყოველივე ზემოთმულის გამო, მან მალე მოიპოვა დამსახურებული ავტორიტეტი იმდროინდელ ფეოდალურ საზოგადოებაში. აღსანიშნავია, რომ ყაზან-ყაენის სახელის დიდებას შემოუღწევია საქართველოშიც. XIV ს-ის ანონიმი ქართველი ისტორიკოსი „ჟამთააღმწერელი“ თითქმის იდეალური ფერებით გვინახავს ყაზანის პორტრეტს. იგი წერს: „იყო ყაზან ფრიად რამე კეთილი და უბოროტო გონება და სიმართლის მოქმედ, უფროის ყოველთა უწინარესთა ყაენთა, ესოდენ, რომელ ჯაჭვ განება ორთა შეშათა ზედა და ეუწენები მოება მრავლად, რათა გლახანი უღონონი და უქონელნი, ყაენისა და ნოინთა წინამისვლასა უღირსნი და მონივარნი, მივიდოდნენ და შეარყევდნენ შეშასა და ჯაჭუსა და ესმიდის ყაენსა ემა ეუწენთა და ცნის, რომელ სასჯელი უც გლახაკთა და შეურაცხთა კაცთა, რომელი თუთ განიკათხის პირისპირ. ესოდენ უყვარდა სამართალი, რომელ დღეთა მისთა არა იქნებოდა ძალი და უსამართლობა, არა დიდთა და არცა მცირეთაგან“<sup>4</sup>.

ყაზან-ყაენის ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებდნენ სახელმწიფოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო პოტენციალის ზრდას, კარგადაა ცნობილი (გლეხთა მიწაზე მიმაგრება, რენტა-ხარკის მტკიცე ფიქსაცია, მოღაშქრეებისათვის მიწების იკტად დარიცხვა, თამლის ამოკვეთა და შემცირება, ქარხანებში ხელოსნების მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ.) და ამაზე სიტყვას აღარ ვაგავრძელებთ. ამჟამად მკითხველს გვინდა მივაწოდოთ მისი მოღვაწეობის ნაკლებცნობილი ფაქტები, რომლებიც, ვფიქრობთ, ინტერესს არაა მოკლებული ყაზანის მოღვაწეობის შესასწავლად.

ყაზან-ყაენმა, სხვადასხვა ღონისძიებებს შორის, გაატარა სამონეტო რეფორმა, რომელიც, სხვათა შორის, შეეხო საქართველოსაც. რაშიდ ად-დინი მოგვითხრობს, რომ ყაზან-ყაენის ტახტზე ასვლამდე ილხანთა სახელმწიფოს სხვადასხვა მხარეში — რუმში, ფარსში, ქერმანში, საქართველოსა და მარდინში სხვადასხვა სახის მონეტა იჭრებოდა იქაური მელიქებისა და სულთნების სახელით სხვადასხვანაირი სინჯით<sup>5</sup>. ყაზანმა ბრძანა ერთიან სამონეტო სისტემაზე გადასვლა. ფულის ძირითად ერთეულად დაწესებულ იქნა ღირჰემი, რომელიც იწონიდა 2,15 გრ. ვერცხლს. 6 ღირჰემი უდრიდა ვერცხლის დინარს. 10000 დინარი შეადგენდა თუმანს. რაშიდ ად-დინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საქართველოშიც კი, სადაც არასდროს არ მოუჭრიათ მონეტა ღეთისა და მისი მოციქულის სახელით, აუცილებლობის გამო დაიწყეს მონეტის მოჭრა, იმისათვის, რათა სხვა მონეტებს არსად არ ჰქონოდა გასავალი. ასე რომ, საჭირო გახდა მონეტის მოჭრა, თუ ქართველები არ სცნობდნენ ყაზანის ზელისუფლებას, ისე მათი ფული არსად მიიღებოდა“<sup>6</sup>.

<sup>3</sup> Фазуллах Рияшид ад-дин, Джамии ат-таварих. т. III, Баку 1957, стр. 213, 214, 279, 381, 382.

<sup>4</sup> ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ფაღჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 303. ასევეც ცნობა აქვს ვახუშტი ბავრთიონსაც, იხ. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბილისი, 1973, გვ. 243.

<sup>5</sup> რაშიდ ად-დინი, „ჯამი ათ-თავარის“, III, გვ. 490, 491.

<sup>6</sup> რაშიდ ად-დინი, „ჯამი ათ-თავარის“, III, გვ. 280, 281, 490, 491.



ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ყაზან-ყაენის ფულის რე-  
ფორმას საქართველოსათვისაც ჰქონდა ნიშნველობა და ყაზანური თეთრ-  
როგორც სამეგალითო და სრულფასიანი ვერცხლის ფულის ერთეული, საქართ-  
ველოშიც გაბატონდა“. ნუმისმატ დ. კაპანაძის აზრით, გიორგი ბრწყინვალის  
მიერ ქართული მონეტის („გიორგაული თეთრი“) მოჭრა ყაზან-ყაენის მონეტის  
მიზანძვით ყოფილა განპირობებული<sup>7</sup>.

ყაზანმა დიდი ყურადღება ნიჟქცია ვაჭრობის განვითარებას. ივრ ვაჭრო-  
ბის განვითარების მიზნით, სასტიკი ღონისძიებებით ებრძოლა ქურდ-აეაზაკებს  
და იცავდა მათგან სავაჭრო გზებს.

რაშიდ ად-დინის თხზულებიდან აშკარაა, რომ ქურდობა-აეაზაკობას და მე-  
კობრეობას ილხანთა ირანში ფართო გავრცელება მოუპოვებია; იგი სოციალურ  
ნიდაღზე ყოფილა აღმოცენებული და წარმოადგენდა ერთგვარ პროტესტს არსე-  
ბული წყობილების წინააღმდეგ. ამაზე ნიუთითებს თუნდაც ის ცნობა, რომ გან-  
საკუთრებით ცნობილ ყაჩაღებს ხალხი მფარველობდა და მხარს უჭერდა. ანდა  
ზემოხსენებული ისტორიკოსის მონათხრობი იმის თაობაზე, რომ აეაზაკები ქა-  
რავენებზე თუ მგზავრებზე თავდასხმის დროს თურმე ყვიროდნენ: „ჩვენ იმათთან,  
ვისაც არაფერი აქვს, ანდა ცოტა აქვს, საშემ არა გვაქვს“<sup>8</sup>.

სავაჭრო ქარავენების მიმოსვლა ფერხდებოდა იმის გამოც, რომ გზებზე  
გადასახადის ამკრეფნი (რაპდარები) მოქარავენებისაგან იღებდნენ იმას, რაც მოე-  
ნასიათებოდათ. ამავე დროს, იმ საბაბით, თითქოს მათ შორის აეაზაკი იმყო-  
ფებოდა; აჩერებდნენ ქარავენებს. ამასობაში კი აეაზაკები გამოდიოდნენ გზებზე  
და ძარცვავდნენ ვაჭრებს.

როგორც ვხედავთ, ხელისუფლების წარმომადგენელნი (რაპდარები) აეაზაკ-  
მიკობრეებთან შეთანხმებით მოქმედებდნენ. რაშიდ ად-დინი საგანგებოდ აღნიშ-  
ნავს, რომ ქარავენები ზარალდებოდნენ არა იმდენად აეაზაკთაგან, რამდენადაც  
თოთგაულებსა და რაპდარების ძალმომრეობის განო. ქარავენები ირჩევდნენ  
უცნობ, ძალზე შორეულსა და მხელ გზებს, ოღონდ თოთგაულებსა და რაპდა-  
რების ძალმომრეობისაგან თავი ესხნათ<sup>9</sup>.

ყაზან-ყაენმა მიზნად დაისახა ამ მდგომარეობის გამოსწორება. პირველ რი-  
გში მან ბრძანა, რომ ყოველი მანაკაცი, რომელიც ქარავენებზე აეაზაკთა თაე-  
დასხმის დროს თავისი თანამგზავრებისაგან გამოცალკევდება და სხვებთან ერთად  
არ მოიგერიებს თავდამსხმელებს, მიჩნეული იქნება დამნაშავედ და მას დაეკის-  
რება ანსანავების სისხლსა და ქონებაზე ჰასუზისმგებლობა.

შემდეგ ყაზანმა ბრძანა, რომ იმ სოფლების მცხოვრებნი და მომთაბარეე-  
ბი, რომლებიც სხვებზე ახლოს არიან იმ ადგილებთან, სადაც აეაზაკები ძარც-  
ვა-რბევას მისდევენ, ვალდებული არიან კვალში ჩაუდგნენ მძარცველებს და  
იპოვონ ისინი, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ შეატყობინებენ. ღღისით თუ ღა-  
მით, ცხენოსანნი და ქვეითნი, უნდა გამოვიდნენ მდევარში და ყველაფერი ილო-  
ნონ მძარცველთა შესაპერობად.


ყაზან-ყაენის ბრანებით, შეუბრალდებლად სიკვდილით უნდა დაეპაჯო ყვე-  
ლა — მონღოლი თუ მუსლიმი, მომთაბარე თუ ბინადარი (ქალაქებისა და სოფ-

7 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე XIII—XIV სს. თბილისი,  
1947, გვ. 172; იგივე. 1966, გვ. 264.

8 დ. კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკა, თბილისი, 1969, გვ. 117.

9 რაშიდ ად-დინი, „გამი ათ-თავარი“, III, გვ. 277, 486, 487.

10 იქვე, გვ. 277, 487.



ლებს მცხოვრებნი), ვინც კი მმართველებთან აღმოჩნდებოდა დაკავშირებული და ეს ცნობილი გახდებოდა ხელისუფლებისათვის<sup>11</sup>

ყაზან-ყაენმა სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალის განმტკიცების მიზნით ბრძანა გვარდიის ტიპის, ტყვეებისაგან ან მონებისაგან დაკომპლექტებული ჯარის ჩამოყალიბება. მისი ბრძანების თანახმად შეიქმნა განსაკუთრებული ჯარი, რომელიც ეხმარებოდა სახელმწიფოს სხვადასხვა მხარეში ჩაყენებულ ლაშქარს. რაშიდ ად-დინი მოგვითხრობს, რომ „შემოდებული წესის მიხედვით, რამდენი ახალგაზრდაც არ მოიყვანეს, ყველას ყიდულობდნენ, რათა მთელი თუმანი შექმნილიყო (ცოტა მეტიც!) და ყველა, ვინც კი იქცა სახელმწიფო კაპტაულეზად და ინჯუდ, მსახურობს მუდმივად მასთან. არასდროს არ ყოფილა ჯარი ასე მომარაგებული და გაწვრთნილი, როგორც ახლა: ყველას აქვს გარკვეული იცტა და ყველა საზღვარი მტკიცედ არის დაცული ჯარით, რომელიც არავის დახმარებას არ საჭიროებს“<sup>12</sup>.

როგორც რაშიდ ად-დინის ზემოთ მოტანილი ცნობიდან ჩანს, გვარდიელთა 10000-კაციანი კორპუსი ყოფილა ჩამოყალიბებული.

ტყვეებისა თუ მონად გაყიდულ ჭაბუკთაგან გვარდიის ტიპის ჯარის დაკომპლექტება ფართოდ იყო გავრცელებული ახლო აღმოსავლეთის ფეოდალურ სახელმწიფოებში: მოვეგონოთ შუააზიელ თურქთაგან დაკომპლექტებული დოლამთა გვარდიის ჩამოყალიბება აბასელთა სახალიფოში ხალიფა ალ-მუთასიმის დროს (833—842), თურქ დოლამთა გვარდია სამანიანთა და ზიარიათა სახელმწიფოებში (X ს.), აიუბიანთა მამლუქთა ჯარი<sup>13</sup>, იანიჩართა კორპუსის ჩამოყალიბება თურქ-ოსმანთა სახელმწიფოში, ყულის ჯარი შაჰ აბას I-ის დროს და სხვ. აღმოსავლეთის ყველა ძლიერი მბრძანებელი, რომელიც ცენტრალისტური პოლიტიკის გატარებას ისახავდა მიზნად, ზრუნავდა დოლამთა გვარდიის (ყულის ჯარი, იანიჩართა კორპუსი...) ჩამოყალიბებაზე. „დიდ სულჩუკთა“ ვეზირი ნიზამ უღმულქი პირდაპირ მიუთითებდა თურქთაგან ჩამოყალიბებულ დოლამთა გვარდიის როლზე სახელმწიფოს ცენტრალიზაციის საქმეში<sup>14</sup>. მას „სიასეთ-ნამეში“ ისიც კი აქვს აღნიშნული, რომ „კარგი იქნებოდა გურჯებისაგან (ქართველები) დაკომპლექტებული ჯარის ყოლა“<sup>15</sup>.

დოლამთა გვარდია იყო ტახტის ძირითადი დასაყრდენი: მას იყენებდნენ, ძირითადად, სოციალური მოძრაობების ჩასახშობად. მაგრამ, არცთუ იშვიათად გაძლიერებული დოლამები თვითონ აწყობდნენ ამბოხებებს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ და აარსებდნენ დამოუკიდებელ საამიროებს (საფარიანთა, დაზნევიანთა... სახელმწიფოები!).

ყაზან-ყაენმა სასტიკად აკრძალა დვინის სმა და ლოთობა, რაშიდ ად-დინი მოგვითხრობს, რომ ილხანის ფირმანში ლოთობასთან ბრძოლის შესახებ ნათქვამი იყო: „მიუხედავად წინასწარმეტყველის მიერ დვინის სმის აკრძალვისა, აღმიანები მაინც არ ანებებენ ლოთობას თავს. ამდენად, თუ ჩვენც მხოლოდ ავ-

<sup>11</sup> რაშიდ ად-დინი, „ჯამი ათ-თავარის, III, გვ. 277, 278, 487, 488.  
<sup>12</sup> იქვე, გვ. 296, 519.  
<sup>13</sup> О. Г. Большаков, Средневековый город Ближнего, Востока, VII—середины XIII в., Москва, 1984, стр. 268.  
<sup>14</sup> Сиа с е т-н а м э, Книга о правлении вазира XI столетия Низам ал-мулька. Перевод, введение в изучение памятника и примечания профессора Б. Н. Заходера, Москва-Ленинград, 1949, стр. 109.  
<sup>15</sup> Сиа с е т-н а м э, указ. соч., стр. 105.



კრძალავთ ღვინის სმას, უეჭველია, აქედან არაფერი არ გამოვა. ამიტომაც ჩვენ ახლა იმას ვბრძანებთ, რომ ქალაქებში და ბაზრებში ვინც მთვრალი იქნება დააკაონ, გაამიშვლონ, მიაბან ბოძზე ბაზარში, რათა მის წინ გავლილმა ხალხმა განკიცხოს იგი, მანამ ის არ გამოფხიზლდება და თავისი მანკიერებისადმი ზიზღს არ იგრძნობს“<sup>16</sup>.

აღსანიშნავია, რომ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო აღმოსავლეთის ცენტრალიზებულ დესპოტიკებში: მაგ., ცნობილია მამლუქთა სულთანმა ბაიბარს I (1260—1277 წწ.), რომელიც ებრძოდა ლოთობას, ბრძანა ღვინის გადაღვრა ქუჩებში; სულთანმა სულეიმან I (კახუნიმ) ღვინის სმის გამო შემოიღო სასტიკი სასჯელი: მან ბრძანა სტამბოლში მოსული ღვინით დატვირთული გემების დაწვა; მისი ბრძანებით, ლოთებს პირში გამდნარ ტყეიას ასხამდნენ და სხვ. ასეთ სისასტიკეს იჩენდნენ ლოთების მიმართ სულეიმანის ზეობის წლებს (1520—1566) უკანასკნელ ხანებამდე. ღვინის სმას და მით უმეტეს ლოთობას კრძალავდნენ სულეიმანის მომდევნო სულთნებიც: მაგ. მეჰმედ III 1575 წელს გამოსცა ბრძანება სამიკიტნოების დახურვისა და ლოთების დაჯარიმების შესახებ. ამასთანავე, ხანდახან სულთანი ერთგვარ კომპრომისზე მიდიოდა (ქრისტიანებსა და ებრაელებს ნებას რთავდა ღვინის გაყიდვისა)<sup>17</sup>. 1029 წლის რამაზანის თვეში (1620 წლის აგვისტოში) შაჰ აბას I აკრძალა ღვინის სმა. „მისი ბრძანების თანახმად სომხების, ქართველების, ევროპელების და მისი სხვა არამუსლიმი ქვეშევრდომების გარდა, ყველა დანარჩენ ხალხს ღვინის სმაზე ხელი უნდა აეღო“<sup>18</sup>.

ყაზან-ყაენი იბრძოდა პროსტიტუციის წინააღმდეგაც; რაშიდ აღ-ღინის მიზიდვით, მან ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ დიდ ქალაქებში მეჩეთების, ხანაგების და სხვადასხვა ხალხის სახლების ახლოს მოთავსებულნი იყვნენ მეძავეები და აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნებიდან მოყვანილი მონა ქალები. მეღუქნეები მათ კარგ ფასად ყიდულობდნენ, ამიტომაც ვაჭრების უმეტესობა მონა ქალების გაყიდვისას უმჯობესად თვლიდა მეღუქნეებთან საქმის დაჭერას. მაგრამ ზოგიერთი მონა ქალი უფროხილდებოდა თავის სინდის-ნამუსს და ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა მის მოთავსებას დუქანში; მაგრამ მათ ძალად ჰყიდდნენ და მათი ნება-სურვილის წინააღმდეგ ათავსებდნენ იქ როგორც მეძავეებს.

ყაზანს უბრძანებია: სამიკიტნოების არსებობა და იქ მეძავეების ყოლა, რასაკვირველია, გასაკიცხი საქმეა და ამის გაუქმება აუცილებელია. მაგრამ მან ისიც კარგად იცის, რომ ამ სამარცხვინო საქმეს საქმაოდ დიდი ხნის ტრადიცია აქვს და მისი გაუქმება ერთბაშად არ მოხდება. იგი ფიქრობს, რომ ეს უნდა მოისპოს ნელ-ნელა, თანდათანობით. მას შეუმუშავებია საამისო გეგმა: პირველ რიგში სამიკიტნოებიდან (დუქნებიდან) უნდა გაათავისუფლონ ის ქალები, რომლებიც იქ იძულებით არიან მოთავსებულნი. ყაზანი ასე ასაბუთებს ამ ბრძანებას: „აიძულთ ადამიანი ჩაიდინოს ცუდი საქმეები, რომელთაღმი მას მიდრეკილება არა აქვს, ეს ნამდვილი ტირანიზმია, ეს ძალიან ცუდი და არასაკადრისი საქმეა“.

ყაზანმა გამოსცა ბრძანება, რომ „ყველა მონა ქალი, რომელსაც არა აქვს მიდრეკილება სამიკიტნოებისადმი (წაიკითხე: სამეშაო სახლებისადმი! — დ. კ.) არ მიჰყილონ ძალით მათ (ე. ი. მეღუქნეებს!); ყველას ვინც იქიდან წასვლას მოისურ-

16 რ ა შ ი დ ა დ-ღ ი ნ ი, „ჯამი ათ-თავარი“, III, გვ. 305, 532.  
 17 В. А. Гордлевский, Стамбул в XVI веке. Соц., IV, М., 1968, стр. 34, 35.  
 18 ნასროლა ფალსაფი, „ზუნდუგანი-ე შაჰ-ე აბას ავვალ“, II, თეირანი, 1347; გვ. 266.



ვებს, ზელი არ შეუშალონ“. მან დააწესა მათი გამოსასყიდი თანხა, რადგან იმის გამო, რომ ისინი ამ თანხით გამოისყიდონ, გამოიყვანონ დუქნებიდან და გააბრუნონ მათი ნება-სურვილის მიხედვით<sup>19</sup>.

აღმოსავლეთის ქვეყნებში დუქნებში (სამიკიტნოებში) მემკვიდრის ყოლა აუცილებელი იყო: ბაღდადისა და კაიროს სამიკიტნოებში მრავლად ჰყავდათ ისინი. ა. მეცის აზრით, პროსტიტუცია ისლამურ სამყაროში აყვავებული იყო, მიუხედავად იმისა, რომ მრავალცილობას თითქმის უნდა გამოერიცხა იგი ისლამი ზრუნავდა იმასზე, რომ გაუთხოვარი გოგონები და უცოლო ვაჟები რაც შეიძლება ცოტა ყოფილიყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, პროსტიტუცია მაინც ძალზე გავრცელებული იყო. მაგ., აღ-მუკადასი მოგვითხრობს, რომ სუნაში — ხუზისტანის მთავარ ქალაქში მას უნახავს სამეძაო სახლები მეჩეთებთან ახლოს<sup>20</sup>.

პროსტიტუციას ისეთი ფართო მასშტაბები მოუპოვებია, რომ ქალაქების ხელისუფალნი და მუსლიმური კულტის მსახურნი სერიოზულად შემოუთებულან და ყოველნაირად ცდილობდნენ მის აღკვეთას. იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს, რომ 934 წ. შანბალიტები (სუნიტური ისლამის ყველაზე უფრო რეაქციული მიმართულების მიმდევრები) ყოველ დღე გამოდიოდნენ და იბრძოდნენ დედაქალაქში (ბაღდადში) აღვირახსნილობის წინააღმდეგ: ისინი იჭრებოდნენ დიდბულთა სახლებში, სტუმრდნენ მომღერალ ქალებს, კასრებიდან ღერიდნენ ღვინოს, მანაკაცებს უკრძალავდნენ ქუჩაში ქალთან ერთად გამოჩენას და სხვ.<sup>21</sup>

პროსტიტუციის წინააღმდეგ იბრძოდნენ ახლო აღმოსავლეთის სხვა ქალაქებშიც. მაგ., სტამბოლში ეს საქმე დავალებული ჰქონდა იანიჩრების ადამ, ხოლო ქალაქგარეთ — ბოსტანჯი ბაშის. მემკვიდრს სასტიკად სჯიდნენ: პრაქტიკაში იყო მათი ჩაქოლვა ქვებით, ტომარაში ჩაგდება და ზღვაში დასრჩობა და სხვ.<sup>22</sup> მიუხედავად ასეთი სასტიკი ღონისძიებებისა, აღმოსავლეთის ფეოდალურ მონარქიებში საჯარო პროსტიტუცია მაინც მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული.

ყაზან-ყაენმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სოფლებში მეჩეთებისა და აბანოების დაარსებას. გარეგნულად ეს ღონისძიება იმით იყო განპირობებული, რომ მუსლიმთათვის აუცილებელია ღოცვა და გაბანვა. მაგრამ, რიგორც ჩანს, ამ ღონისძიებას ეკონომიკური საფუძველიც ჰქონდა. რაშიღ აღ-დინი მოგვითხრობს, რომ ორა წლის განმავლობაში ყველგან, სადაც მანამდე არ იყო, აბანოები ააშენეს, საიდანაც საკმაოდ დიდი შემოსავალი შემოდის. ხელმწიფემ (ყაზანმა) ბრძანა, რათა ეს შემოსავალი ნოხმარდეს ადგილობრივ (აბანოების) საჭიროებას, აგრეთვე მეჩეთებს (ასე, მაგ. კეთილმოწყობას, ხალიჩებს, ზეთის შექმნას, მომსახურე პერსონალის შენახვას და სხვ.)<sup>23</sup>.

სასოციადოებრივ აბანოს აღმოსავლეთის ქალაქების ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. როგორც ფიქრობენ, აბანო აღმოსავლეთში ბირველად დასავლეთიდან — ზნელთაშუა ზღვის აუზიდან შემოსულა. სასანიანთა ირანში იგი კავად I-ის დროს გვხვდება და საოცრებად ითვლებოდა<sup>24</sup>. მაგრამ IX საუკუნიდან ახლო აღმოსავლეთისა და შუა აზიის ქალაქებში იწყება სასოციადოებრი-

19 რაშიღ აღ-დინი „ჯამა ათ-თავარის“, III, გვ. 328, 570, 571.  
 20 Адам Мец, Мусульманский Ренессанс, Москва, 1966, стр. 284.  
 21 იქვე, გვ. 285.  
 22 В. А. Гордлевский, Стамбул В XVI веке. Избранные сочинения, IV, Москва, 1968, стр. 46, 47.  
 23 რაშიღ აღ-დინი „ჯამა ათ-თავარის“, III, გვ. 305, 532.  
 24 А. М. Белецкий, И. Б. Бентович, О. Г. Вольшаков, Средневековый город Средней Азии, Ленинград, 1973, стр. 307.



ვი აბანოების ინტენსიური მშენებლობა. ძალზე საგულისხმოა, რომ IX—X სს. არაბულ და სპარსულ წყაროებში ახლო აღმოსავლეთის და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქების აღწერისას ხშირად იხსენიება აბანოები<sup>25</sup>. საზოგადოებრივი აბანოები მრავლად გვხვდება ახლო აღმოსავლეთის ქალაქებში მომდევნო საუკუნეებშიც: მაგ., XIII ს-ში ალეპოში ყოფილა 138 საზოგადოებრივი აბანო.

აბანო მეჩეთის შემდეგ იყო ყველაზე ხალხმრავალი ადგილი. იმის გამო, რომ აბანოში ბევრი ხალხი დადიოდა (მაშასადამე, შემოსავლიანი დაწესებულება იყო!), ცნობილი მოქალაქეები და თვით ხელმწიფეებიც კი არ თაკილობდნენ მის შესყიდვას ან აშენებას<sup>26</sup>.

\*\*\*

ყაზან-ყაენის ზემოხსენებული ღონისძიებები მიზნად ისახავდა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას, ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალის გაძლიერებას და სხვ. ამ ღონისძიებებს საფუძვლად ედო მისი ეეზირის რაშიდ აღ-დინ ფაზულაჰ შამადანის პოლიტიკური იდეები: ილ-ხანის დაახლოების აუცილებლობა ირანის ფეოდალურ არისტოკრატიათა და მის მიერ ირანული სახელმწიფოებრიობის ტრადიციების შეთვისება; ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება, ბრძოლა მონღოლური მომთაბარეული არისტოკრატის ცენტრიდანულ მისწრაფებებთან. მათი აჯანყებებისა და თვითნებობის აღაგმვა, რენტა-ხარკის მტკიცე ფიქსაციის აუცილებლობა, ვლახთა მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით საფინანსო აპარატის გაჯანსაღება, დანგრეული საირიგაციო სისტემის მოწესრიგება, სოფლის მეურნეობის, ხელოსნობის, ვაჭრობის და საერთოდ საქალაქო ცხოვრების აღორძინება.

ყაზან-ყაენი 1304 წ. გარდაიცვალა. მის სიკვდილს დიდი გლოვა გამოუწვევია სახელმწიფოში. ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი ამის შესახებ წერს: „გარნა დასნეულდა სენითა მუცლისათა და მოკუდა, რომელი იგლოვა ყოველმან კაცმან სიმართლისათჳს რომელ ავის მოქმედი და მეკობრე და უსამართლო კაცა აღარ იბოვებოდა საყაენოსა მისსა, და ამისათჳს დაუტევა მწუხარება ყოველთა“<sup>27</sup>.

ყაზან-ყაენის რეფორმებმა მხოლოდ ცოტა ხნით შეაჩერა სახელმწიფოს დაშლა. ყაზანის გარდაცვალების შემდეგ მისი ძმის ულუჯაითუ ხანის (მუშამედ ხუდაბენდეს — 1304—1316 წწ.) ზეობის წლებში ეს ღონისძიებები ინერციით კიდევ იყო ძალაში, მაგრამ ამ უკანასკნელის შვილის აბუსაიდ ბაჰადურ ხანის დროს (1316—1335 წწ.) ყაზან-ყაენისა და რაშიდ აღ-დინის საშინაო პოლიტიკას უპირისპირდება მონღოლური მომთაბარე არისტოკრატია, რომელმაც სახელმწიფოს მმართველობის ყველა სფეროში თავისი ხალხი დააყენა.

ყაზან-ყაენის ღონისძიებები ძალიან მალე მიისპო. ისტორიკოსი ვასაფი მოგვითხრობს, რომ უკვე 1318 წ. ფარსში გადასახადების ახალ ზრდას პქონია ადგილი. კვლავ ირღვეოდა გადასახადების აკრეფის წესი, ვზა გაეხსნა ხარჯთა-მკრეფი მოხელეების თვითნებობას და ძალმომრეობას, რის გამოც მთელი ოლქები ჩანაგდებოდა. აბუსაიდ ბაჰადურ-ხანს (1316—1335 წწ.) დასჭირდა სპეცია-

<sup>25</sup> დ. კაციტაძე, X საუკუნის სპარსული და არაბული წყაროების ცნობები აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქების ისტორიისათვის, თბილისი, 1983, გვ. 227—234.

<sup>26</sup> А. М. Беленицкий, И. Б. Бейтович, О. Г. Вольшаков, Средневековый город Средней Азии, стр. 309.

<sup>27</sup> ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 318.



ლური ბრძანების გამოცემა, რათა მოეწესრიგებინა გადასახადების აკრედიტაციები და გაჩანაგებისაგან ესხნა ანისის ოლქი<sup>26</sup>. მაგრამ მის ამ მცდელობას უკვე აღარ შეეძლო სახელმწიფოს დადნასვლის შეჩერება. უკიდურესი ფორმებით გლახთა ექსპლოატაციამ, საედასახადო ტვირთის აუტანელმა ზრდამ, ცალკეულ ფეოდალთა სეპარატისტულმა მისწრაფებებმა, სოციალურმა მოძრაობებმა, მთელმა რიგმა საგარეო და საშინაო პირობებმა და სხვ. ილხანთა ირანი XIV ს-ის 40-50-წლებში მოსპობა-გადაშენებამდე მიიყვანა.

ყაზან-ყენის ცენტრალისტური პოლიტიკა ერთგვარ გამომახილს პოულობს მომდევნო ზანის სახელმწიფოებში. ქვეყნის ცხოვრების მოწესრიგებისათვის იღვწონ ჯალაღირანთა სახელმწიფოს სულთნებიც: მაგ., სულთან უევისის (1356-1374 წწ.) დროს იწერება მუჰამედ იბნ ჰინდუშაჰ ნახჩევანის ტრაქტატი „დასტურ ალ-ქათობ ფი ტა იან ალ-მართობ“, რომელშიც მოცემულია სახელმძღვანელო დებულებები სახელმწიფოს ცენტრალიზებული მართვა-გამგეობისათვის (რენტახარკის მტკიცე ფიქსაცია, გადასახადების აღების მოწესრიგება, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარება და სხვ.)<sup>29</sup>.

Д. В. КАЦИТАДЗЕ

**НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ РЕФОРМАТОРСКОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ  
ГАЗАН-ХАНА**

Резюме

Реформы Газан-хана довольно основательно изучены в ориенталистической историографии (И. П. Петрушевский, А. А. Али-заде, Л. О. Бабаян, В. Н. Габашвили и др.).

В настоящей статье автор обратил внимание на малоизученные вопросы централистской политики вышеупомянутого илхана (денежная реформа, которая коснулась и Грузии, образование войска типа гвардии, укомплектованного рабами, жестокие меры против разбойников и воров, пьянства и проституции, учреждение в деревнях бань и мечетей...).

В статье также впервые приводится характеристика Газан-хана, данная грузинским историком XIV века «Жамтаагмцерели».

D. KATSITADZE

**SOME ASPECTS OF GHAZAN-KHAN'S REFORMATORY  
ACTIVITIES**

Summary

Ghazan-Khan's reforms have been studied with fair thoroughness in Oriental historiography (I. P. Petrushevski, A. A. Ali-zade, L. O. Babayan, V. N. Gabashvili, and others).

<sup>26</sup> В. В. Бартольд, Персидская надпись на стене анлийской мечети Мануче. Сочинения, IV, Москва, 1966, стр. 319-331.

<sup>29</sup> Муххамад Ибн Хиндушах Нахчивани, Дастурал-катиб фи тайин ал-маратиб, II, Москва, 1976, стр. 29.



16135320  
5182011033

In the present paper attention is focused on the little-studied question of Ghazan-Khan's centralistic policy (currency reform, which also affected Georgia; the setting up of guard-type forces formed of slaves; introduction of harsh measures against brigands and thief; fight against heavy drinking and prostitution; the building of mosques and bath houses in the countryside, etc.).

In addition, the characterization of Ghazan-Khan, given by the 14th-century Georgian historian of the Chronicle of One Hundred Years, is adduced for the first time.





ნოდარ შენგელია


ერეკლე II-ის ორი წერილი ოსმალეთის ვეზირისადმი

1977 წ. ბულგარეთში ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინების დროს ქ. სოფიის კირილე და მეთოდეს სახ. სახალხო ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის სექტორის არქივში მილიონიანი თურქული დოკუმენტების კოლექციაში აღმოჩნდა ორად ორი ქართული დოკუმენტი, თურქული თარგმანიტურთ. აღნიშნული თურქული დოკუმენტების კოლექცია სრულიად შემთხვევით მოხვდა ბულგარეთის არქივში ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში. იგი გამოტანილ იქნა სტამბოლის ცენტრალური არქივიდან.

ორივე დოკუმენტი მრავალმხრივია საყურადღებო და საგანგებო შესწავლას საჭიროებს. იგი არანაალებს საინტერესოა დიპლომატიკური და პალეოგრაფიული თვალსაზრისითაც.

ერთი საბუთი 1749 წლის 23 აპრილსაა დაწერილი. დოკუმენტი ნაწერი ორივე გვირდზე, გამუქებულ-დაობებულ ქაღალდზე შავი მეღვინით. ზომა 29,5 X 29.. სმ (შიფრი HIPA XIX II) 21. სამწუხაროდ, დოკუმენტი დაზიანებულია, ზედა და ქვედა ნაწილი ჩანს დაზიანებულია. ქართული ტექსტის რამდენიმე სტრიქონი, შესავალი ნაწილი მოხეულია. ასევე მოხეულია თურქული თარგმანის ბოლო ნაწილი. დოკუმენტის ბოლო ნაწილიდან იკითხება მხოლოდ თურქული ტექსტის სათაური და ექვსი სტრიქონი. თურქული ტექსტის სათაური ასეთია: „თბილისის ხანის თეიმურაზ ხანის შვილის თავრიზის მხარეში დიდხანს ვეჭვილად მყოფი ამჟამად კახეთის ხანის ერეკლე ხანისგან მოსული წერილი და მისი თარგმანია. 162 წლის ჯემაში უღ-ვევლის მიწურული“. (— 1749 წ. მიწურული).

დოკუმენტის თურქული ტექსტის სათაურიდან და ქართული ტექსტის შინაარსიდან ჩანს, რომ იგი წარმოადგენს ერეკლე II-ის მიერ ოსმალთა ვეზირისადმი გაგზავნილი წერილის დედას. დოკუმენტში ვეზირის სახელი არ იხსენიება, ისე ადგილი კი დატოვებულია. ერეკლე ვეზირს მიმართავს როგორც თავის ძმას, ბატონს ვეზირს. წერილიდან ჩანს, რომ ვეზირს წერილი გამოუგზავნია ერეკლესათვის. „წიგნი გებოძათ, მოგვივიდა, რაც გებძანათ, ყველა შევიტყვეთ“. წერილიდან ჩანს აგრეთვე, რომ ოსმალთა ვეზირს თურქეთში გაყოფილი ქართველი ტყვე ქალ-ვაჟი ერეკლესთვის გამოუგზავნია. ერეკლე მადლობას უთვლის ოსმალთა ვეზირს კეთილი საქმის ჩადენისათვის და ამ საქმიანობას ძმობისა და მეგობრობის აქტად უთვლის მას. წერილიდან ამჟამად ერეკლეს კეთილმეგობრული დამოკიდებულება ოსმალთა ხელისუფლებისადმი. მასში ნათქვამია, რომ „ჩვენში ძმობა და დოსტობა არის ამგვარი საქმეო“. ერეკლე თავის წერილში ერთგვარად უპასუხებს ვეზირს იმ კითხვებზე, რომლებსაც იგი თავის წერილში სვამდა. ერეკლე ვეზირს მის კეთილისმყოფელსა და ბედნიერს ძმას უწოდებს და დოსტობის გამოხატვულ პიროვნებად სახაგს.



ერეკლესა და ვეზირის ასეთი მეგობრული ურთიერთობა არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი. ერეკლე ნათლად ითვალისწინებდა არსებულ რეალურ ვითარებას XVIII ს-ის შუა წლებში. ოსმალეთიც ყოველნაირად ისწრაფებდა ერეკლესთან კეთილმეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად, რადგანაც ეწინააღმდეგებოდა ამიერკავკასიაში რუსეთის პოზიციის განმტკიცებისა. იგი ცდილობდა ერეკლე II-სთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას. ოსმალეთის მთავრობას მშფოთებდა ის, რომ ერეკლე „აბსოლუტური ხელმწიფე გახდა“ ამ პერიოდში, ურბოდ 1749 წლის შემოდგომაზე რუსეთის ელჩი თურქეთში ნეპლიუევი რუს ხელმწიფეს მოახსენებდა ერეკლეს გამდიდრებაზე და აუწყებდა, რომ „ამან უფრო მეტად შეაშფოთა ოსმალეთის მთავრობა, რომელიც უიჭრობს, რომ ამაში რუსეთის ხელი ურევიაო. „თითქოს ქართველებმა რუსეთის დახმარებით შაჰზე დიდი გამარჯვება მოიპოვეს“. მეფის რუსეთს ამ დროს ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვანებისა ეწინააღმდეგებდა, მაგრამ მისგან მართლმეტყველებდა უაზრო იყო. ოსმალეთს აგენტებს არ გამოპარვიათ ის გარემოება, რომ მაშინ რუსეთს ქართლ-კახეთისათვის არავითარი ღანძარება არ აღმოუჩენია“<sup>2</sup>.

თუ ამ პერიოდის ვითარებას გავითვალისწინებთ, წერილი ერთგვარად, ვორმალურად მაინც, ერეკლეს ოსმალეთთან კეთილმეგობრულ ურთიერთობაზე მიგანიშნებს.

მოგვაქვს წერილის მთელი ტექსტი:

...განსახელოვნებულის ბრძენთაგან თავს კარგად ყოფს დიდათ უზომოთ წაღიერი მეფე ერეკლე მოგანსენებ:

ჩვენთვის მრავალ ღონის წყალობათ გამოსალოდნელს ჟამ ყოველ ქებით სახსენებელს ძმას ბატონს ვეზირს მრავალი მათის კაისა და სახელ სიკეთის აღმზრდელის თავის შესაფერ მოკითხვა კარგად ყოფა და უჭირველად ბრძანების ამბის სმენის სიბარული მოკვირებებია. შერამე წიგნი გვბოძათ: მოგვივიდა: რაც: გებრძანათ: ყველა: შევიტყვევით: ამქვეყნის რაიათისა ერთი ქალი და ვაჟი მანდეთ გაეყიდნათ და თქვენ გამოგყრთმით და ჩვენთან გამოგვეზავნათ, რომელიც თქვენს ოჯახის შვილობას და სიკეთეს ეკადრებოდა იმგვარი მართებული და ღრმისა და კაცის მოსაწონარი საქმე გქნათ. რადგან ორსავე დოვლათს შუა შერჩევა და ჩვენში ძმობა და დოსტობა არის ამგვარი საქმე და აწ მართებული და დოსტობის ნიშანი არის მწუდ დაგიმადლეთ და ტყვეები პატრონებს მივცით. ბატონის მამის ჩვენის ამბავი გვეითხათ, დითთა და ხელმწიფის დოვლათით აპრილის თხოუმეტს გასულს ხელმწიფისაგან დიდად წყალობაინი და პატივსაფარველი გამარავლებული ქალაქს მობმანდა ვაცით გაიშვით, რადგან ჩვენთვის კეთილისმყოფი ბრძანდებით და ამისთვის მოგასხენეთ: „თქვენის ბედნიერ ბრძანების ამბავსა და წოგნს ნუ დაგვაკლებთ. აპრილის კვ (23) ქორთონიკონს უ ლ ზ (437)“.

ქართული ტექსტის ბოლოში დასმულია ბეჭედი, რომელიც ძნელად იკითხება. როგორც ვხედავთ, ერეკლეს წერილის დედანს ოსმალთ ვეზირისადმი გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება XVIII ს-ის 50-იან წლებში ოსმალეთის ერეკლესთან ურთიერთობის ნიუანსების გასათვალისწინებლად, მით უმეტეს, რომ დღემდე ჩვენთვის თითქმის უცნობი იყო მსგავსი წერილები და ოსმალეთთან

1 ЦГАДА, Ф. Воронцовых 1261 (აღწ. I საქმე 380. ფურცელი 1. დამწვ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები IV ტომის მხედველთ).

2 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 619.



რეალური ურთიერთობის დამადასტურებელი საბუთები. ვფიქრობთ, დადგინებული დოკუმენტი ერთგვარ დახმარებას გაუწევს ერეკლეს ოსმალეთთან ურთიერთობის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ პირთ.

მეორე საბუთი უფრო საინტერესო ჩანს. მასში უფრო მეტი ისტორიული რეალიებია წარმოდგენილი. ეს დოკუმენტიც დაზიანებულია, ზედა ნაწილი ჩამოხეულია, ნაწერია მუქი ფერის ქაღალდზე შავი მელნით. მეორე გვერდზე მიწერილია თურქული თარგმანი. თურქულ თარგმანს თავში აზის ისეთივე ბეჭედი, როგორც პირველ დოკუმენტს, მაგრამ ამოკითხვა შეუძლებელია. თურქული ტექსტის სათაურია: „თბილისის ხანის — ერეკლე ხანის წერილის თარგმანი“ და შემდეგ მისდევს ქართული ტექსტის შინაარსი თურქულად. ზომა 29,8×26,6. სმ.

ამ დოკუმენტის მიხედვით ნათლად ჩანს ერეკლეს დამოკიდებულება ოსმალეთთან. წერილი დაწერილია 1767 წლის 11 მარტს. მისი შინაარსიდან ჩანს, რომ ამ შემთხვევაშიაც ოსმალთ ვეზირს წერილი გამოუგზავნია ერეკლესათვის და ლეკების გაწყვეტა დაუვალდებია. ერეკლე ამ საპასუხო წერილით ვეზირს აუწყებს ადგილობრივ ვითარებას. მოახსენებს თუ რას აკეთებენ ლეკები. როგორ არბევენ და ანადგურებენ ცალკეულ ადგილებს, რა სიძვეს ჩადიან. ლეკთა სარდლის ფათალი ხანის საქმიანობაზე მოახსენებს და მომავალში კიდევ პირდება მათზე ცნობების მიწოდებას.

მოგვაქვს მოლიანად ქართული ტექსტის შინაარსი:  
(ფ. 313 ა არქ. ერთ. 343 ა) «დათ წყალობის თუალით მოხედულის ბედნიერისა და კაის თავის ჟამყოველ ამოთ ბრძანების დიდათ უზომით მდომი მეფე ირაკლი მოგახსენებ: ყოვლის ქება დიდების შესაფერო მძაო ბატონო ბედნიერო ვეზირთ: მრავალი თქვენის სახელსიკეთის მქონებელის კაის თავს შესამსგავსი მოკითხვა და უჭირველად ბრძანების ამბის სმენის სიხარული მოგვიხსენებია. ამხანათ წიგნი მოგეწერათ. მოგვივიდა. მანდაური ამბავი და ლეკის დახოცა გეპმანათ. დიახ გვიამა. დათან ლეკზედ მრავალჯერ გაგამარჯოსთ თქვენი სიკეთე ჩვენთვის სასიამოვნო არის. აქაური ამბავი გეკითხათ. მაგუარი ამბავი არაფერი არის მოგვხსენებათ: სარათი ადგილი არის და აქა იქ ცოტცოტობით ლეკი არად აკლდება და თავეთს ქურდობას ცდილობენ. და სიძვეაცეს არ მოიშლიან. ერთი ეს ფათალი ხან სარდალი ფანა ხანს მოუხტა ჯარით და იმისი ადგილები დარბევა. ბევრი იშოვნა: ჯერ ისევ იქავ დგას და ამას იქით როგორ მოხდება ისიც მოგახსენდებათ. თქვენის ბედნიერობისა და სიკეთის ამბავს ნუ დაგუაკლებთ ხოლმე. დაიწერა მარტის (ია) ქორთონიონსა (უნე)“.

როგორც ვხედავთ, წერილის შინაარსიდან აშკარაა ის რეალური ვითარება, რომელიც ლეკებმა შექმნეს გამუდმებული თავდასხმებით. წერილი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ოსმალეთის ხელისუფლება, რომელიც პირველი აქტუებდა ლეკებს საქართველოზე თავდასხმისათვის, ერეკლესგან ითხოვს ინფორმაციებს მათი საქმიანობის თაობაზე. ოსმალეთი ამ პერიოდში ფიზიკლად ადევნებდა თვალყურს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. არანაკლებ ყურადღებას იჩინდა რუსეთიც, რომელსაც საქართველოსა და ოსმალეთს შორის მოსალოდნელი კავშირის დმყარებისა ეშინოდა.

ერეკლე ამ პერიოდში ქართლ-კახეთის ერთპიროვნული ხელმწიფე იყო. იგი მთელი ენერგიით განაგრძობდა თავის ტრადიციულ პოლიტიკას. 1760 წელს



მან „ყარაბაღის ხანს ძლიერი დარტყმა აგემა, განჯაზე ბატონობა განამტკიცა, ხოლო თვით ყარაბაღელი ხანი-ფანა თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია. ქართლ-კახეთის უზენაესობა საჯაროდ აღიარეს აგრეთვე შაჰის, შამახის, ყარაბაღისა და ნახჩევანის მფლობელებმაც. კიდევ უფრო განმტკიცდა ერეკლეს მბრძანებლობა სომხეთში“<sup>3</sup>.

რუსეთის მთავრობა აღიარებდა საქართველოს გაძლიერების ფაქტს, ერეკლეს ქართლ-კახეთის მეფედ სცნობდა და ვერ ურიგდებოდა ირანის ან ოსმალეთის საქართველოსთან კეთილმეგობრული ურთიერთობის დამყარებას. არც ოსმალეთისათვის იყო სასურველი ირანის ან რუსეთის მეგობრობა საქართველოსთან. ალბათ ამიტომაც სწორდა ხშირად მეგობრობის წერილებს ერეკლეს და ითხოვდა მისგან ქვეყნად შექმნილი რეალური ვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბულგარეთის არქივში ინახება ასობით თურქული დოკუმენტი ერეკლეს შესახებ, XVIII ს-ის ქართლ-კახეთის რეალური ვითარების შესახებ. დოკუმენტებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმ რეალურ ვითარებაზე, რომელსაც საქართველოს მოსაზღვრე პროვინციების მუსლიმანი გამგებლები აუწყებდნენ ოსმალეთის ხელისუფლებას. განსაკუთრებით ბევრია დოკუმენტი ახალციხის, არზრუმის, ვანისა და სხვა პროვინციების მესვეურთა მიერ გაგზავნილი სულთნისადმი. ამ დოკუმენტებში დაწვრილებით, ყოველწლიური საქმიანობაა გადმოცემული ერეკლე II-ისა. საუბარია ერეკლეს ურთიერთობაზე რომელიმე განმგებელთან, ქვეყნად შექმნილ ვითარებაზე და სხვ.

ზემოთ მოტანილ ქართულ დოკუმენტებთან ერთად ქართლ-კახეთის შესახებ არსებული, ბულგარეთის არქივში დაცული თურქული დოკუმენტების შესწავლა-გამომზეურება და ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა ბევრ საინტერესო საკითხს მოფენს შუქს.

Н. Н. ШЕНГЕЛИЯ

ДВА ПИСЬМА ИРАКЛИЯ II ОСМАНСКОМУ ВЕЗИРУ

Резюме

В архиве ориенталистики Народной библиотеки им. Кирилла и Мефодия г. Софии, среди многочисленных турецких документов обнаружены два грузинских документа с турецким переводом.

Один из них составлен 23 апреля 1749 года, и, судя по содержанию письма, в нем явно прослеживается желание грузинского царя Ираклия II сохранять добрососедские отношения с Османской империей.

Следующий документ содержит больше исторических сведений. Написан он 11 марта 1767 года и касается отношения Османской империи и грузинских властей к лезгинам.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 630.

TWO LETTERS OF EREKLE II TO THE OTTOMAN VIZIER

Summary

Among the numerous Turkish documents preserved in the archive of the Oriental Section of the Cyril and Methodius National Library in Sofia two Georgian documents with a Turkish translation have been discovered.

One of them was drawn up on April 1749. Judging by its contents the Georgian kings were manifestly desirous of maintaining good-neighbourly relations with the Ottoman empire.

The other document contains more historical evidence. Written on 11 March 1767, it deals with the attitudes of the Ottoman empire and Georgian authorities to the Lezghians.

## მანანა ბაბაშვილი

### ტრაპიზონი ქართული წყაროების მიხედვით

შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში (მატიანე ქართლისა, სუმბატ დავითის ძე, ბასილი ენოსმოძღვარი, ჟამთააღმწერელი ვახუშტი), ძველ ქრონიკებში, მხატვრულ ნაწარმოებებსა („აბდულმესია“) და აგიოგრაფიულ თხზულებებში (იოანე საბანის-ძე) დაცულია ტრაპიზონის ისტორიის ამსახველი მასალა. სამწუხაროდ, მათი რაოდენობა დიდი არ არის, მაგრამ ის, რაც ჩვენს განკარგულებაშია, შეიცავს საყურადღებო და საგულანსხმო ცნობებს. ნიშანდობლივია, რომ ქართული წყაროები არა თუ ავსებენ ბიზანტიურ თუ აღმოსავლელ ავტორთა ცნობებს, არამედ ახალი ფაქტობრივი მონაცემებითაც ამდიდრებენ მათ. მხედველობაშია ნისადები ისიც, რომ ზოგიერთი ქართველი მემატიანე აღწერილი მოვლენების თანამხვედრი და თვითმხილველი იყო, რაც ცხადაა, კიდევ უფრო ზრდის მათი ცნობების ღირსებასა და მნიშვნელობას.<sup>1</sup>

ტრაპიზონთან მიმართებაში ქართულ წერილობით ძეგლებში ყურადღება გამახვილებულია უმთავრესად პოლიტიკური ხასიათის მოვლენებზე, მაგრამ გვაქვს საფუძველი აღვნიშნოთ საქართველოს ტრაპიზონთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი (ტრაპიზონის გზის მნიშვნელობა, ტრაპიზონის ადგილი და როლი შავი ზღვის სანაპრეთ აღმოსავლეთ სანაპიროს ეკონომიკურ ცხოვრებაში, საზოგადოდ შავი ზღვის საერთაშორისო ვაჭრობაში), რისთვისაც უნდა გავითვალისწინოთ სათანადო ნუმისმატიკური და არქეოლოგიური მასალა.

ქართული წყაროები ფალმერაიერის შრომის გამოხვედრის დროისათვის (J. Falmerayer, Geschichte des Kaisertums von Trapezunt, München, 1827), რომელიც ტრაპიზონის ისტორიის შესახებ პირველი მონოგრაფიული გამოკვლევაა, ჯერ კიდევ უცნობი იყო ფართო სამეცნიერო წრეებისათვის. აღნიშნული მასალა მეცნიერულ მინოქცევაში შემოვიდა 1849 წლიდან ქართლის ცხოვრების ბროსესეული თარგმანის მეშვეობით. ნიშანდობლივია, რომ მკვლევართა მიერ, არა თუ სავანებოდ აღინიშნა მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა, არამედ, გადაისინჯა და ახლებურად შეფასდა ტრაპიზონის ისტორიის ზოგიერთი კარდინალური საკითხი (მაგ., ტრაპიზონის იმპერიის დაარსება და სხვ.). (ლიტ. იხ. გვ. 142. სქ. 2.)

ამის შემდეგ ტრაპიზონის ისტორიის ქართულ წყაროებს სისტემატურად იყენებენ სხვადასხვა ეროვნების სპეციალისტები და დღემდე მათ ბერძნულ წერილობით ძეგლებთან ერთად თვლიან ტრაპიზონის ისტორიის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ.

უნდა ითქვას, რომ როგორც გასული საუკუნის, ისე თანამედროვე ისტორიკოსები უმთავრესად ყურადღებას ამახვილებენ ქართული წყაროების იმ ცნობებ-

<sup>1</sup> ამჟამად ჩვენ მიზნად არ ვისახავთ ქართული წყაროების შეფერვას უცხოურთან.

ზე, რომელთა შინაარსი ძირითადად ტრაპიზონის იმპერიის დაარსებას უკავშირდება.

ამგვარად, ტრაპიზონის ისტორიის ქართულ წყაროებს და ტრაპიზონ-საქართველოს ურთიერთობის ფაქტებს პირველად უცხოურ ისტორიოგრაფიაში დაეთმო სათანადო ყურადღება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ საისტორიო ლიტერატურაზე რუს და ევროპელ მეცნიერებს მ. ბროსეს თარგმანით მიუწვდებათ ხელი, თუმცა იშვიათ შემთხვევაში უშუალოდ დედანსაც მიმართავენ.<sup>2</sup>

უკანასკნელ წლებში ტრაპიზონის ქართულ მასალებს ყურადღება მიაქცევს ბერძენმა ისტორიკოსებმაც, მ. კურშანსკისმა მას სპეციალური წერილიც მიუძღვნა<sup>3</sup>; მაგრამ ბერძენი ისტორიკოსები ქართულ წყაროებს, როგორც წესი, ტენდენციურად აშუქებენ, თუმცა ამ ბოლო დროს მათი მეტნაკლები ობიექტურობით გააშუქების მცდელობა შეინიშნება. ქართული წერილობითი ძეგლების მნიშვნელობა და მათი მეტი სისრულით გამოყენების აუცილებლობა აღნიშნა აგრეთვე ტრაპიზონის ისტორიის ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა ა. ბრაიერმა,<sup>4</sup> რომელიც ფრიად ნაყოფიერად და ინტენსიურად მუშაობს აღნიშნულ სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მასალა თითქოს კარგა ხნის შემოსულია მეცნიერულ მიმოქცევაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ის ჯეროვნად წარმოდგენილი და ამეცნიერებულად არ არის. სათანადოდ არ არის გაშუქებული აღნიშნული წყაროები საკუთრივ ქართულ ისტორიოგრაფიაშიც. მიუხედავად თემის მნიშვნელობისა, ფაქტიურად არ არსებობს (მცირე გამონაკლისს გარდა)<sup>5</sup>, სპეციალური შრომები მიძღვნილი, როგორც ტრაპიზონის ქართული წყაროების, ისე ტრაპიზონისა და ტრაპიზონ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის ცალკეული საკითხებისადმი. მით უმეტეს არ გავგანჩნა ვანზოგადებული ხასიათის გამოკვლევები. ცხადაა, ყველა ზემოჩამოთვლილი პრობლემა ელის თავის მომავალ მეცნიერებს.

ქართულ წყაროებში ტრაპიზონთან დაკავშირებული ცნობები, როგორც იმპერიაშივე, ისე იმპერიის დაარსების შემდეგ, ძირითადად, გაშლილია ტრაპიზონ-საქართველოს ურთიერთობის ფონზე.<sup>6</sup> ტრაპიზონის იმპერიის დაარსება,

<sup>2</sup> А. Кушник, Основание Трапезундской империи Ув АН по I и II отделениям т. II, СПб., 1854; Ф. И. Успенский, Очерки по истории Трапезунтской империи, Л., 1929. С. С. П. Карпов, Основание Трапезундской империи и роль (1204—1215), Всесоюзная научная конференция «Античные, византийские и местные традиции в странах Восточного Черноморья», май, 1975.


A. A. Vasiliev, The foundation of the Empire of Trebizond, (1204—1222), Speculum, II, 1936. С. Toumanoff, An the Relationship between the Foundation of the Empire of Trebizond and the Georgian Queen Tamare, 1940, XV, 3. N. Iorga, Une nouvelle theorie sur l'origine et la caracteristique de l'Empire de Trebizond, RHSEE, XIII, 1956, 4—5.

<sup>3</sup> M. Kursanskis, Autour des sources georgiennes de la fondation de l'Empire de Trebizond, 'Аρχαίον Πόντος' 30, 1970/71 №: მახვი, L'Empire de Trebizond et la la Georgie, REB, 35, 1977.

<sup>4</sup> A. Bryer, Trebizond, The last Greek Empire, 1970, 129.

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 11, თბ., 1948; მახვი საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილულია, ტფ., 1914; ზ. ავალიშვილი, ჯვარისანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევა, პარიზი, 1929; ო. ლორთქიფანიძე, ტრაპიზონის საწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, ოსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი VI, თბ., 1953; ირ. ბერამე, ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხისათვის, თბ., 1971.

<sup>6</sup> ტრაპიზონი სხვადასხვა პერიოდის ქართულ წყაროებში სხვადასხვა ფორმით გვხვდება; ტრაპიზონი, ტრაპეზონი, ტრაპისუნთა, ტრაპისუმი, ტრაპიზონი, ტრაპიზუნდა.



ქართველ ბაგრატიონთა და კომნენოსთა ნათესაური კავშირი, დინასტიური ქორწინებანი ამ ორი სამეფო საგვარეულოს შორის, ეკლესიური ურთიერთობა, საზღვრების საკითხი, ქართულ წყაროშივე შეფასებულია ტრაპიზონის მნიშვნელოვანი ქრისტიანული სამყაროსა და ქართული სახელმწიფოსათვის, აღნიშნულია ის უარყოფითი შედეგები, რაც ტრაპიზონის იმპერიის დამხობას მოყვა და სხვ. ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი საკითხის ირგვლივ ქართული წყაროები სხვადასხვა ცნობებს გვაწვდიან, მაგრამ მათი დაწვრილებითი კვლევა ამჟამად სცილდება ჩვენს წერილის მიზანს.

ტრაპიზონის შესახებ არსებულ სხვადასხვა ხასიათის ცნობებს შორის არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ მხარესთან დაკავშირებული გეოგრაფიული ტერმინოლოგია, რომელიც შუა საუკუნეების ქართულ წყაროებშია დადასტურებული:

ხალღა, ლაზეთი, ჭანეთი. მეგრელთა ქვეყანა, საბერძნეთი, პონტო, როგორც ვხედავთ, უმთავრეს შემთხვევაში საქმე გვაქვს ქართულ ტომთა სახელებისაგან წარმოშობილ სახელწოდებებთან, მათ შორის ყველაზე გავრცელებული ლაზიაა. ქართულ წყაროებში ამ მხარისა თუ მისი ცალკეული ნაწილების აღსანიშნავად სხვა ნაკლებად გავრცელებული და ცნობილი ტერმინებიც გვხვდება: ზემონი ქუეყანანი, ზღვისპირა კლარჯეთი, იქეთა მხარე, ტრაპიზონის აქათი, ლიმონი (ლიმანა). ტერმინი ხალღია შედარებით ადრინდელ ძეგლებშია: „დაიზამთრა ქუეყანასა ხალღისასა, მანღობულად ქალაქსა ტრაპიზონთასა“.<sup>7</sup> „დაიზამთრა ხალღისასა, ქალაქსა ტრაპიზონთასა“.<sup>8</sup> ანდა კიდევ: „დაიზამთრა ქუეყანასა ხალღისასა, ქალაქსა ტრაპიზონთასა“.<sup>9</sup> მგავსი ცნობებია აგრეთვე ქართულ აგიოგრაფიულ ნაწარმოებებშიც, იოანე საბანის ძე წერს: „საზღვარ არს ზღუა იგი პონტოსსაჲ, სამკვდრებელი ყოვლადვე ქრისტიანთაჲ, მოსაზღვრემდე ქალღიასა, ტრაპიზონთია მუნ არს, საყოველი იგი აფსარესაჲ და ნაფსას ნავთსადგური“<sup>10</sup>.

ეს ცნობა ყურადღებას იპყრობს სხვა თვალსაზრისითაც. ის უშუალოდ ეხმარება ხალღის თემის ჩამოყალიბების პოლიტიკურ ფაქტს (VIII ს. ცენტრით ქ. ტრაპიზონში). გასათვალისწინებელია ისიც, რომ იგი მაშინვე აისახა თანადროულ ქართულ თხზულებაში.

რაც შეეხება ტერმინ ლაზეთს, ის XIII ს. ქართულ წერილობით ძეგლში მხოლოდ ერთხელ ფიგურირებს: წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინობი, კერასუნდი, კოტიორა: ამასტრია, არაქლია და ყოველნი ადგილნი ფებლალონისა და პონტოსანნი<sup>11</sup>. ამ ტერმინს, ადრე მთელი დასავლეთ საქართველოს რომ გულისხმობდა, მოტანილ ნაწყვეტში ვიწრო მნიშვნელობა აქვს და გულისხმობს შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ ტერიტორიას, რომლის ცენტრსაც ქ. ტრაპიზონი წარმოადგენდა.

<sup>7</sup> შატანიე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ვველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ვახუშტის მიერ; ტ. I, თბ., 1955, გვ. 285.  
<sup>8</sup> სუმბატ დავითის ძე, ქ. ცხ. I, გვ. 383.  
<sup>9</sup> ი. თ. ბ. დ. ა. ი. ა. ქრონიკები, ტ. I, თბ., 1892, გვ. 154.  
<sup>10</sup> კ. კ. კ. კ. კ. კ. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ., 1934, გვ. 66, 1-7; ვეორგია; ტ. IV, თბ., 1955, გვ. 232.  
<sup>11</sup> ბ. ა. ს. ბ. ს. მ. თ. დ. ვ. ა. ი. ა. ქ. ცხ. ტ. II, გვ. 142.

ჩვენ უცვლელად, იმავე სახელი ნიშნებით გამოიყენებოდა აღნიშნული ტექსტი, მაგრამ ეთელი, რომ თანამედროვე პუნქტუაციით ლაზიის წემდეგ ორი წერტილი უნდა დაესვა. მხოლოდ ასე გაიშარება ტექსტი და ქალაქი და მხარეები ერთმანეთში არ აირევა. მინის დატოვების შემთხვევაში გამოდის, რომ XIII ს. ლაზია ტრაპიზონამდე ვრცელდებოდა. ლაზიის შემდეგ ორი წერტილის დასმით კი, ლაზიის ქალაქების ჩამონათვალთან გვაქვს საქმე, რომელშიც ტრაპიზონიც შედიოდა.





ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ ქართულ წყაროშიც კი გვხვდება ფორმით ღაზია, მაშინ როდესაც ბიზანტიურ წყაროებში ყველგან დასწრად კაა. ვამონაკლისია ორად-ორ ავტორი, რომელიც ამ ტერმინს ქართულის მსგავსად ღაზია ფორმით ხმარობს: IV ს. ბიზანტიელი ეპიფანე კვიპრელი და XIV ს. ტრაპიზონელი ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსი ამავე დროს ეპიფანე კვიპრელი პირველია, ვისთანაც სასოგადოდ ღაზეთია დამოწმებული. თანაც ეს ის დროა, როდესაც ღაზეთის სამეფო ჩამოყალიბდა, რამაც მაშინვე პოვა ასახვა უცხოურ წყაროში. ავტორი ღაზიას იბერეისთან ერთად სემის წილხვედრ ქვეყნად მიიჩნევს და სხვა ქართულ ტომებთან ერთად ჩამოთვლის (გეორგია I, გვ. 41, გეორგია VI, გვ. 137).

რაც შეეხება ტრაპიზონის ქრონიკის ავტორს, მას ბიზანტიურზე უფრო ადვილობრავი ისტორიოგრაფიის წარმომადგენლად მიიჩნევენ. ცნობილია, რომ მიქელ პანარეტოსი კარგად იყო ჩახედული მშობლიური მხარის ისტორიასა და კომენტარების მოდერნიზაციაში, არაერთხელ ყოფილა საქართველოში. ასე რომ, შემთხვევით არ უნდა იყოს ქართულ სამყაროსთან ახლო მდგომ ავტორთან ამ ტერმინის პირვანდელი ქართული ფორმა — ღაზია რომ არის შემინჯნილი. კარგადაა ცნობილი, რომ ღაზეთი იგივე კოლხეთია ანუ ეგრისი, რასაც ბიზანტიური წყაროები აღნიშნავენ და მოგვიანო პერიოდშიც ეს სახელწოდება ამ ქვეყნის აღსანიშნავად იხმარებოდა, რის გამოც ბიზანტიური წყაროები კომენტარებს მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მიხედვით ღაზთა და სოგჯერ კოლხეთის მმართველებადც მოიხსენიებენ.

როგორც ტრაპიზონის პოლიტიკურ ერთეულში (რომელსაც XI—XII სს. გაბრას ფეოდალური საგვარეულო ედგა სათავეში),<sup>12</sup> ისე მოგვიანებით ტრაპიზონის იმპერიაში, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს — ქართულ-ღაზური (ჭანური) ელემენტი შეადგენდა.

ღაზეთისა და ჭანების შესახებ ადრეულ ქართულ ნარატიულ წყაროებში ცნობები არ მოგვეპოვება. ჭანეთი დადასტურებულია ყამთააღმწერელთან, ჭანებზე გაკვრით, ხოლო ჭანეთის შესახებ (ჭაეა, ბუნებრივი და სხვა) შედარებით ვრცლად საუბრობს ვასუშტი ბატონიშვილი. მას ჭანეთი ღაზეთის იდენტურ, ოღონდ ადრეულ ფორმად მიაჩნია. ღაზისა და ჭანის იგივეობის გამო ამ ტერმინებს ის ასეც ხმარობს — ღაზ-ჭანნი (იქვე, გვ. 785) და ახასიათებს როგორც განთქმულთ „ხის მუშაობითა და შენებითა ნაეთათა, დიდთა და მცირეთა“ (იქვე, გვ. 690). აღნიშნავს იმ ვითარებასაც, რაც ოსმალთა აგრესიამ და ისლამის გავრცელებამ ღაზურ მოსახლეობაში გამოიწვია: „აწ სრულიად მაჰმადიანნი, გარნა მცირედნი ვინმე მოიპოებიან ქრისტიანნი, არამედ იციან კუალად ქართული ენა ვიეთთამმე“ (იქვე).<sup>13</sup>


ამ რეგიონის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის დადგენას, მისი ადგილისა და როლის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს გაბრას ფეოდალური საგვარეულოს დროინდელი ტრაპიზონისა და, მოგვიანებით, ტრაპიზონის იმპერიის ხასიათისა და ბუნების განსაზღვრისათვის.<sup>14</sup>

არ შეიძლება ყურადღება არ მიიპყროს იმ გარემოებასაც, რომ ქართული წყაროებისგან განსხვავებით, ბიზანტიელი ავტორები დიდ ყურადღებას უთმობენ

<sup>12</sup> ნიუხედავდ იმისა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში გაბრას ფეოდალური საგვარეულოს შესახებ გარკვეული მოსაზრებებია გამოთქმული, საკითხი კიდევ არ შეიძლება ანოწურულად ჩაითვალოს.

<sup>13</sup> „ჭანეთის მთის იქით, არს ჭანეთი, და აწ უწოდებენ ღაზსავე“, ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ე ა ს ხ უ შ ტ ი, აღწერა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ვევეა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ვახუშტის მიერ. ტ. IV, 1973, გვ. 687.

<sup>14</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ: ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია XI—XVI საუკუნეებში, თბ., 1949, გვ. 81; გეორგია, VII, გვ. 141.



ლაზური (ჭანური) ელემენტის დასასიათებას. ისინი ვერცაღ და დაწერილინით აღწერენ მათი ხასიათის თავისებურებებს, ბუნებას, ადამ-წესებს, საქმიანობას ასეთი ვითარება გასაგებცაა, რადგანაც ეს ეთნიკური ელემენტები ეს ქვეყანაში თვის უცხო, განსხვავებული სამყაროა, რომლის აღწერა და შესწავლა გარკვეულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზნებთანაა დაკავშირებული. ქართველი მემატიანისათვის კი ეს გეოგრაფიული რეგიონი თავისი მოსახლეობით ოდითგანვე ნაცნობი და ახლობელია.

ეს რომ ასეა, ამას ქვემოთ დამოწმებული მასალაც ადასტურებს. შემთხვევითი არ არის და ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ქართული წყაროები ტრაპიზონსა და მის მიმდებარე ტერიტორიას მეგრელთა ქვეყანასაც უწოდებენ: „მივიდა... ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა“.<sup>15</sup> ამავე თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ ერთი ბერძნული ტექსტის ქართულ თარგმანშიც, რომელიც სიტყვა-სიტყვით მიჰყვება დედანს, ლაზიკე (Λαζική) მეგრელთა ქვეყანადაც თარგმნილი. „...და მოიწია რა ტრაპეზუნტელ სანახებთა სამეგრელოსათა...“<sup>16</sup> ასეთი შემთხვევა სხვაგანაც გვხვდება: ბერძნული დედნის თანახმად, ანდრია (Ἄνδριαν ἡλίαν ἕξ Τραπεζούνταν πόνον ἡξ Λαζική) „მივიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში“<sup>17</sup> ასევეა თარგმნილი „...მიიწია უკვე ქალაქად ტრაპეზუნთად, რომელი იგი შშნ არს სოფელსა მეგრელთასა“.<sup>18</sup> მცხეთის მეტაფრასში კი (XIII ს.) ვკითხულობთ: „იმპერატორი პერაკლე მიიწია რა ტრაპეზუნტად, სანახებთა სამეგრელოსათა“.<sup>19</sup> ეს რეგიონი კი, როგორც ცნობილია, კალესთის, ანუ ეგრისის სამხრეთი რაიონებია.

ამრიგად, ირკვევა, როგორც ქართულ ორიგინალურ, ისე თარგმნილ ძეგლებში ლაზიკა (მცირე განონაკლისის გარდა) ყველგან მეგრელთა ქვეყანადაა გაგებული. აქედან სავსებით ცხადი და აშკარაა, რომ იმდროინდელი ქართველისთვის ტრაპიზონი ქართული მიწაწყლის, ქართული სამყაროს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. აღსანიშნავია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაც, ეს შეხედულება, როგორც ჩანს, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე იყო გაბატონებული და აისახა თვით XIX ს. დასაწყისის ქართულ დოკუმენტურ მასალაშიც ე. წ. „აბაშიძეების ქრონიკები“, ანუ „იმერეთის ქრონიკები“ გვამცნობენ „ჩიყ წელსა ფებერვალის შ გარდაიცვალა მეფე სოლომონ არჩაღის ძე მეორე ტრაპიზუნს, რომელ არს სამფლობელო აწ ოსმალთა და ძველათ იყო საქართველოისა მეფეთა. ესე ტრაპეზუნტ სანაზღუარი მენგრელთა...“<sup>20</sup>

ქართულ წყაროებში ამ რეგიონის აღმნიშვნელი კიდევ ერთი სახელწოდება გვხვდება — პონტო: „წარაყლინა კაცნი პონტოდ მეფისა ბერძენთასა კომნიანოსისა“.<sup>21</sup> ამ არაპირდაპირი ცნობის მიხედვით აშკარაა, რომ ეს არის ტრაპიზონის

15 ლეონტი მროველი, ქ. ცხ. I, გვ. 39.  
 16 ბერძნული ტექსტი ევფუპის კონსტანტინეპოლის პატრიარქის (806—815 წწ.) ნიკეფორეს. ამ ტექსტის ქართული თარგმანი შესრულებულია 1042 წ., ხოლო იქ აღწერილია ამბები VII ს. 20-იან წლებშიანა დაკავშირებული, გეორგიკა, IV, გვ. 208.  
 17 მასალები საქართველოთა და კავკასიის ისტორიისათვის ნაკვ. I, თბ. 1941, გვ. 58.  
 18 ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, თბ., გვ. 27.  
 19 თ. ჭორბანიანი, ქრონიკები, ტ. I, გვ. 64.  
 20 ვ. კეკელიძის სსხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის № 319 ხელნაწერი. ამ ქრონიკებს თ. უორდანიანი „აბაშიძეების ქრონიკებს“ უწოდებს, ხოლო ხელნაწერთა აღმწერიელი „იმერეთის ქრონიკებს“ (იხ. ხელნაწ. აღწ. A, IV, გვ. 388—389).  
 21 ვამთააღმწერელი, ქ. ცხ. II, გვ. 274; აბალი ქართლის ცხოვრება, გვ. 483.  
 ზემოთ განხილულ ტერმინოლოგიას დაწვრილებით არ ვაანალიზებთ, რადგანაც ამ საკითხთან დაკავშირებით წერილების გამოქვეყნებას ვაპირებთ.



იმპერია, პონტოს სამეფო. ასევე განმარტავს მას ქართლის ცხოვრების საქმეებელში ს. ყაუხჩიშვილიც (ქ. ცხ. II. გვ. 677). კომნენოსების ბერძნულ მოხსენებებს ფაქტს ეხმარება ვახუშტის ერთი ცნობა; სადაც ამ რეგიონის აღსანიშნავად საბერძნეთია დანოწმებული: „უზუნ ჰასან ყენი შევიდა საბერძნეთს, აღიღო ტრაპიზონი“ (ვახუშტი, გვ. 384). ეს ის დროა, როდესაც ბიზანტია (ქართული წყაროების თანახმად საბერძნეთი) აღარ არსებობს.

სხვადასხვა დროის ქართული წერილობითი ძეგლების შეჯერების შედეგად ირკვევა, რომ მათი ინტერესი ტრაპიზონთან დაკავშირებული ამბების მიმართ იზრდება შესაბამისად იმ როლისა, რომელსაც ასრულებდა საქართველო ამ რეგიონში. ნაშანდობლივია, რომ ქართული წყაროები ტრაპიზონის შესახებ (რაოდენობითაც და მნიშვნელობითაც), ძირითადად ტრაპიზონის იმპერიის დაარსებას თანხვდება, ეს აქტი კი უშუალოდ და ორგანულად იყო დაკავშირებული წინა აზიაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან (ჯვაროსანთა ომები). ბიზანტიის იმპერიაში იმ დროს არსებულ ცენტრიდანულ მოძრაობებთან, პროვინციული ქალაქების ზრდასა და აღმავლობასთან.

როგორც ცნობილია, ტრაპიზონის იმპერიის სათავეში იყენენ ბიზანტიის საიმპერატორო საგვარეულოს კომნენოსთა შტოს წარმომადგენლები. თუმცა ჯერ კიდევ გაბრას ფეოდალური საგვარეულოს ბატონობისას ტრაპიზონში უკვე საფუძველი ჩაეყარა ბიზანტიისგან გამოყოფასა და დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფების ტენდენციას, რამაც ვახორციელება პოვა უკვე მომდევნო საუკუნეებში. კომნენოსებმა ისარგებლეს ჯვაროსნების მიერ კონსტანტინეპოლის აღებით (1204 წ.) და როგორც თ. უსპენსკი წერს: ლაზების, მეგრელებისა და დაქირავებული ბერძნული ჯარის წყალობით მოახერხეს ტრაპიზონში გაბატონება.<sup>22</sup> თავისთავად ის ფაქტი, რომ ტრაპიზონის იმპერიის სათავეში აღნოწმდნენ კომნენოსები, რა თქმა უნდა შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო, სწორედ აქ უნდა ვეძებოთ ქართველ ბაგრატიონთა და კომნენოსთა (ნათესაური) კავშირი, რომელიც ამ ორ საგვარეულოს შორის არსებობდა ტრაპიზონის იმპერიის დაარსებამდე.<sup>23</sup> როგორც ჩანს, საქართველოს თავისი მიზნების განსახორციელებლად სჭირდებოდა კომნენოსთან ის დიდი სახელი, ავტორიტეტი, რომელიც მათ მოპოვებული ჰქონდათ საერთაშორისო ასპარეზზე. ამ შემთხვევაში ორივე პოლიტიკური მხარის ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს იმ არსებითი ფაქტორის გათვალისწინებით, რომ საქართველოს როლი მიმდინარე მოვლენებში გადამწყვეტი და წარმმართველი იყო.

ქართული წყაროები საშუალებას გვაძლევს თანმიმდევრულად განვიხილოთ ეს პრობლემები და თუ გავითვალისწინებთ, რომ თამარის მოღვაწეობა ბევრ ასპექტში დავით აღმაშენებლის პოლიტიკის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა, ამ მასალების სათანადო ამტყვევება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ უკვე

<sup>22</sup> Ф. И. Успенский. История Трипезунтской империи, გვ. 50. ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხი უკვე კარგა ხანია მოღწევა მკვლევართა თვალსაწიერში, განსდა სხვადასხვა შეხედულებები, გარკვეული დროიდან მოყოლებული (ა. კუნჯი) და განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში სპეციალურ ლიტერატურაში უკვე არაერთგზისა აღნიშნულა საქართველოს გადამწყვეტი როლი ტრაპიზონის იმპერიის ჩამოყალიბებას საქმეში.

<sup>23</sup> ქართულ წყაროებში აღწერალია ანდრონიკე კომნენოსის ოჯახსაერთო ჩამოსვლა საქართველოში (ეს ის ანდრონიკეა, რომელიც 1183—1185 წწ. ბიზანტიის ტახტს დაეუფლება). ამოვიდა ოდესმე ანდრონიკე კონსტანტინის ცოლითა სახებრწყინვალითა და შუენაერთა, თანა შეიღებოთოთ დისწულითა, მანის მისწული დიხისა მსოულ კისრისა და ყოელსა დასაგლეითსა და საბერძნეთისა მესოთა. დავათარ მართებდა, ეგრეთ მშადლობელმან დმროსისმან შეწყაზარა და მსცა პატრი შესატყვისი სხლის — შეიღობისა მისისა და მიმცემელმან ქალაქთა და ცხეთამან კმასყოფელთამან დაუდვა საჯღოში სიახლესა საყდრისა თვისისა...“ (ისტორიანი და აზნანი, გვ. 16).



მაშინ საფუძველი ჩაეყარა საგარეო პოლიტიკის იმ ტენდენციებს, რამაც ხორც-შესხმა თამარის ეპოქაში ჰპოვა. ეს ეხება ტრაპიზონის მხარესაც, რომლის მიმართ დამოკიდებულებაც წლების მანძილზე მუშავდებოდა და თამარის დროს, მისივე ხელშეწყობით ტრაპიზონის იმპერიის დაარსებით დაგვირგვინდა. დავითის დროსვე საფუძველი ეყრება ბაგრატიონთა და ბიზანტიის სიმამერატორო გვარის — კომნენოსთა ნათესაურ კავშირს. ქართლის ცხოვრებიდან ვიცით, რომ დავითმა „ასული თუხი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისად“<sup>24</sup>. აღნიშნული კავშირიც ბიზანტიაზე დიპლომატიური ბერკეტების ამოქმედებისა და კომენოსებზე ზეგავლენის ერთ-ერთი საშუალება იყო, რაც ამკარად მომდევნო ხანებში იჩენს თავს: იმ ვითარებაში, როდესაც ბიზანტია სუსტდება, დავითი უარს ამბობს ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულებზე და ქვეყნის შიგნით ხელისუფლების განმტკიცების პარალელურად ნიადაგი მზადდება აქტიური საგარეო პოლიტიკისათვის. მკვლევრები სავსებით დასაშვებად თვლიან ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ ვარაუდს დავითის ტრაპიზონზე ლაშქრობის თაობაზე.<sup>25</sup> ასე რომ, ბაგრატიონების კომნენოსებისადმი დამოკიდებულება საქართველოს საგარეო პოლიტიკის ასპექტში უნდა განვიხილოთ, იმ მისწრაფებების ფონზე, მახლობელ აღმოსავლეთში რომ გაუჩნდა როგორც ჰეგემონსა და ბიზანტიის მემკვიდრეს. გიორგი III მიერ ბიზანტიიდან დევნილი ანდრონიკე კომნენოსის შეფარება ასევე შორს გათვლილი ნაბიჯი იყო, რაც კომნენოსების მიერ ტახტის დაბრუნებასაც გულისხმობდა და როგორც ჩანს საქართველოს ხელშეწყობითაც წარმატებით დაგვირგვინდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ კონსტანტინეპოლში დაბრუნებული ანდრონიკე კომნენოსს, მაშინაც სახელმწიფოს მეთაურობაზე მის დასათანხმებლად მასთან პატრიარქ თეოდოსის დელეგაცია რომ მიდის და შემდეგაც ტახტზე ასვლის ცერემონიალის დროს ტანზე ემოსა წინ ჩაჭრილი იისფერი იბერიული ქსოვილისაგან შეკერილი ტანსაცმელი, „თავზე ეხურა პირამიდული საბურავი კვამლის ფერისა“<sup>26</sup> ტიპური ქართული ქუდი, რომელსაც ქართველი წარჩინებულები ატარებდნენ. აღსანიშნავია, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე შოთა რუსთაველის პორტრეტის აღმოჩენის შემდეგ შალვა ამირანაშვილმა რუსთაველისა და ანდრონიკე კომნენოსის ჩაცმულობა ერთმანეთს დაუკავშირა.<sup>27</sup> გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ეს ხდება რამდენიმე წლით ადრე ტრაპიზონის იმპერიის დაარსებამდე. ასე რომ, ქართველ მეფეთა კომნენოსებისადმი დამოკიდებულების ამ ფონზე გასაგები უნდა იყოს თამარის გართულბული ურთიერთობა ანგელოსების დინასტიასთან, რაც ქართლის ცხოვრებითაც დასტურდება. ბაგრატიონთა აღნიშნული პოლიტიკის გათვალისწინებით სავსებით ლოგიკურია, რომ კონსტანტინეპოლში კომნენოსების დინასტიის დამხობის შემდეგ ალექსიმ საქართველოს რომ შეაფარა თავი, სადაც თავის ძმასთან, დავითთან, ერთად ქართულად აღიზარდა.<sup>28</sup> ალექსისა და თამარის ნათესაურ დამოკიდებულებაზე ისტორიოგრაფიამ და აზრით ავტორი მოგვითხრობს: „...და ვიეთნიმე დაღონებულობით აწუევდეს აალექსის მოყენასა ქმრად, რომელი ახლოს სთუსობდა და მამულად მამის ძმისწული იყო ბერძენთა მეფისა, ესე მას

<sup>24</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 234, 366.

<sup>25</sup> ვ. კოპალიანი, საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან, კრ. „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები“, გვ. 109—121.

<sup>26</sup> გეორგი VI, გვ. 124.

<sup>27</sup> შალვა ამირანაშვილი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1961, № 4. სხვა წყაროების მიხედვით ალექსი და დავითი ანდრონიკეს შეილიშვილები არიან.

<sup>28</sup> ქართული წყაროების მიხედვით, ალექსი და დავითი ანდრონიკეს შეილიშვილები არიან და არა შეილიშვილები. როგორც ამას ბიზანტიური წყარო გვაძინობს (გეორგიკა, ტ. VII, გვ. 45). თუკვება, რომ ამ ანდრონიკესთან იღებს სათავეს ანდრონიკაშვილების ქართული ფეოდალური საგვარეულო.

ეპოსა აქა მყოფ იყო...<sup>29</sup> ნათესაურ ურთიერთობაზე საუბრობს ბასილის ეპოსმოდ-  
ვარიც იმ კონტექსტში, სადაც თამარის ხელშეწყობით ტრაპიზონის იმპერიის დარღ-  
სებაზეა საუბარი და წინაპირობებზე, რამაც ქართველების სამხრეთისაკენ ლაშქრო-  
ბა განაპირობა: „ხოლო განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნა მცირედ-  
ნი ვინმე ლიხთიქითნი და წარუღეს ღაზია. ტრაპიზონი, ლიმიონი, სამისუნი, სინოპი,  
კერასუნდი, კიტორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლადონისა და  
პონტოსანი და მისცა ნათესავსა თუსსა აღექსი კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილ-  
სა რომელი იყო მამინ თუთ წინაშე თამარ მეფისა შემოხუწილი“...<sup>30</sup> ამ მოვლენას,  
ნათესაობის აღნიშვნის გარეშე, აღწერს ვახუშტიც: „წარავლინეს იმერნი და წა-  
რულო კეისარსა ტრაპიზონი და მიმდგომნი მისნი, და მისცა აღექსი კომნიანოსს  
ანდრონიკეს ძესა, რომელი იყო წინაშე თამარისა“ (ვახუშტი გვ. 189).

თუ ზოგ მკვლევარს, მიქელ პანარეტოსთან, თამარის ყოველგვარი ტიტულე-  
ბის გარეშე მოხსენიებამ ეჭვის საბაბი მისცა მისი ვინაობის თაობაზე, ქართული  
წყაროები ნათელს ჰუენენ საკითხს.

— ქართული წყაროს ეს ცნობები, რომელიც საქართველოს უშუალო ჩარევითა  
და ხელშეწყობით ტრაპიზონის იმპერიის დაარსებას ადასტურებს, დიდი ხანია შე-  
მოსული სამეცნიერო მიმოქცევაში. ნაკლებადაა ცნობილი, ამ მოვლენებთან და-  
კავშირებული თითქმის თანადროული მხატვრული ნაწარმოების, თამარის კარის  
ნეხოტბის იოანე შავთელის, „აბდულმესის“ სათანადო ადგილები, რაც გარკვე-  
ული თვალსაზრისით ავსებს კიდევ ზემოთ მოტანილ ქართულ საისტორიო წყა-  
როს. მოგვყავს პოემის ჩვენთვის საინტერესო ტაეები:

თვით სულ ამონა კიდე ლიმიონა,  
მით გამოსცდიდა ღომისა მკლავთა 31

აბდულმესის ლიმიონა და ქართული საისტორიო ნაწარმოების ლიმიონი ერთი  
და იგივე გეოგრაფიული პუნქტია, ცნობილი და სახელგანთქმული ლიმიონა, რომე-  
ლიც შემდგომში არაერთხელ ფიგურირებს როგორც ტრაპიზონის იმპერიის  
ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე და ნაესადგური («стороже-  
вой пункт трапезунтской империи»)<sup>32</sup>. პოემა სხვა მხრივაც იქცევს ყურადღე-  
ბას — ის აკონკრეტებს ქართული საისტორიო ნაწარმოების ცნობას, მიუთითებს  
დავით სოსლანზე, როგორც ამ ლაშქრობის უშუალო მონაწილესა და მეთაურზე.  
მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ იოანე შავთელი ლიმიონას ადებას (იგულისხ-  
მება ტრაპიზონის იმპერიის დაარსება) განიხილავს საქართველოს ძველმოსილი  
ლაშქრობების ფონზე (იხ. 29—36 სტროფები), იძლევა ამ ფაქტის შეფასებას, საი-  
დანაც იკვეთება აღნიშნული პოლიტიკური აქტის მნიშვნელობა XIII ს. დასაწყის-  
ის საქართველოსათვის.


როგორც ბასილი ეპოსმოდვარის, ისე იოანე შავთელის, ტრაპიზონის იმპე-

<sup>29</sup> ისტორიანი და აზმანი, გვ. 37.

<sup>30</sup> ბასილი ეპოსმოდვარი, გვ. 142, კონფლიქტური სიტუაცია საქართველოსა და ბიზანტიის  
შორის ბასილი ეპოსმოდვარს რელიგიური მოტივებით აქვს ახსნალი. ბიზანტიის იმპერატორმა  
აღექსი III ანდრონიკსა ბერებს თამარის მიერ უცხოეთის ქართული მონასტრებისთვის განკუთვნი-  
ლი შესაწირავი ჩამოართვა, მაგრამ რასაკვირველია ეს საბაბი იყო და აქ სულ სხვა მიზეზები უნდა  
ვეძებოთ. ამ კონფლიქტის უკან დგას მოელი რიგი მოვლენებისა (საქართველო-ბიზანტიის ურთიერ-  
ობა და სხვა), რაც იმდროინდელი საერთაშორისო პოლიტიკის ნუქზე უნდა განვიხილოთ.

<sup>31</sup> იოანე შავთელი, აბდულმესისანი, თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესება, ძველი  
ქართველი მეხოტბენი, II, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურ-  
თო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1964, 33, I, გვ. 128.

<sup>32</sup> დ. ი. Успанскиѣ, დასახ. ნაშრ. გვ. 90.



რის დაარსებასთან დაკავშირებული, ერთი შეხედვით, მოკლე და ლაკონური ცნობები სხვა მხრივაცაა ღირსშესანიშნავე. მასში აშკარად იკვეთება თამარის საგვარეულო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი გეზი, კერძოდ, საქართველოს სამეფოს სწრაფვა სამხ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და კონკრეტულად ტრაპიზონისკენ.

შავ ზღვაზე თავისი პოზიციების განმტკიცებისთვის საქართველო კარგა ხანია იღვწოდა, მაგრამ ხელსაყრელ მომენტსა და ვითარებას ელოდებოდა. ეს მომენტიც დადგა, როცა ლათინებმა კონსტანტინეპოლი აიღეს. ამ მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის შესახებ ბიზანტიელ ავტორებთან საკმაოდ ვრცელადაა საუბარი, მაგრამ ჩვენთვის საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღნიშნულმა მოვლენამ ქართულ წერილობით ძეგლებშიც პოვა ასახვა, კერძოდ ბასილი ეზოსმოძღვართან: „ხოლო ესმა ესე ფრანგთა რამეთუ მოელო ბერძენთა შეწყენა აღმოსავლეთით, გამოვიდეს ვენეტიკნი და წარუდეს სამეუფო ქალაქი მეფობისა თანა, და შეიხუეწა უზადრუკი იგი ალექსია ბორდალეთს თჳსისა სიძისა თანა“.<sup>33</sup> ასეთივე ცნობაა ძველ ქართულ ქრონიკაშიც: „აქ დაუწყეს კონსტან (ტინობლი) ჰრონიშა“.<sup>34</sup> გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართული წყარო აღნიშნავს: „გამოვიდეს ვენეტიკნი“.<sup>35</sup>

მომდევნო პერიოდის ქართული წყაროები, თვით გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით, საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ტრაპიზონის ისტორიის არაერთ მხარესა და საქართველოსთან მის მჭიდრო კავშირს: XIII—XIV საუკუნეებში ქართველ მეფეთა მიერ თამარის პოლიტიკის გაგრძელების მცდელობა. ამ მიმართულებით გიორგი ბრწყინვალეს განმარჯვება, რაც ტრაპიზონის საქართველოსადმი პოლიტიკურ დამოკიდებულებაში გამოიხატა და ხელმწიფის კარის გაღივებაში აისახა (ხელმწიფე, კარის გარიგება, გვ. 12 § 20, 21). თურქმანების აგრესია, უზუნ ჰასანის მიერ (1453—1478) ტრაპიზონის აღება, ოსმალთა მიერ ტრაპიზონის იმპერიის დამხობის ფაქტი (ვახუშტი, გვ. 384, 705), ჭანეთის სამხრეთ დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულში შესვლა, ოსმალების მიერ მისი დაპყრობა და სხვ. ამავე მასალებში აისახა ქართულ — ბიზანტიური დასის ურთიერთდაპირისპირებაც, რაც ტრაპიზონის იმპერიის არსებობის მთელს მანძილზე გრძელდებოდა. ამ ბრძოლის გამოხატულება იყო ბაგრატიონთა და კომნენოსნებს შორის დინასტიური ქორწინებებიც, ბექა ჭყყელის ასულის ვათხოვება იმპერატორ ალექსი მეორეზე (1297—1330). ბექასვე ალექსიმ მისცა „ტრაპიზონს აქათი ჭანეთითურთ“ (ვახუშტი, გვ. 701). ქართულ-ბიზანტიური დაპირისპირების ანარეკლია კომნენოსნებისადმი ქართული და ბიზანტიური წყაროების განსხვავებული დამოკიდებულებაც.

ტრაპიზონის იმპერიის პოლიტიკურ ისტორიასთან დაკავშირებით ქართული წყაროს ცალკეული დეტალი ზოგჯერ ფრიად საგულისხმო ინფორმაციის შეძცველია. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ქართველი მემატიანის მიერ კომენ-

<sup>33</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 142—143. მოტიანილი ნაწიყვეტი უშუალოდ მოსდევს ბასილი ეზოსმოძღვრის მიერ ზემოთ დანოწმებულ ადგილს, სადაც ლაპარაკია ქართველების მიერ ტრაპიზონისა და მისი მიმდებარე გეოგრაფიული პუნქტების შემოერთებაზე. თამარის ისტორიკოსის ამ ცნობას მცირე, და არაზუსტადი ხასიათის განსხვავებით, იმეორებს ვახუშტი ბატონიშვილი (ქ. ცხ. ტ. IV, გვ. 189). როგორც ბასილის; ისე ვახუშტის მხედვით, კონსტანტინეპოლის აღება კი არ უსწრებდა წინ ტრაპიზონში დატრიალებულ მოვლენებს, არამედ პირიქით, ტრაპიზონის აღებამ განაპირობა კონსტანტინეპოლის დამხობა. ქართული წყაროების ეს ცნობები დაკვირვებას მოითხოვს.

<sup>34</sup> საყ: მუზეუმი № 85; თ. ყორღანია, ქრონიკები, I, გვ. 292.

<sup>35</sup> IV კვიაროსნულ ლაშქრობაში ვენეციელთა დიდი როლი კარგადაა ცნობილი, ამ ფაქტმა ასახვა პოვა ქართულ წყაროშიც.

ნოსების მეფეებად მოხსენიების ფაქტი ვახუშტისთან კი მეფის ნაცვლად კეისარად დადასტურებული. <sup>36</sup> თუ გავითვალისწინებთ, რომ ჟამთააღმწერლის თითქმის თანამედროვე ბიზანტიელი ავტორები (გიორგი პახიმერე, ნიკიფორე გრიგორაქი) ცხელ-ნენოსებს „ლაზთა მმართველებს“ „არხონტებს“ „კოლხთა მმართველებს“ უბრალოდ „ლაზებს“ უწოდებენ, რაც, ცხადია, გარკვეული მიზნით კეთდებოდა, მაშინ სავსებით ნათელი უნდა გახდეს ზემოთ აღნიშნული ქართული წყაროს მნიშვნელობა XIII—XIV სს. ტრაპიზონის ისტორიისათვის. ქართული წყაროს ამ ცნობას ადასტურებენ უცხოური წყაროებიც — სელჩუკ-ნამე (იბნ-ბიბი, ანკარა, 1941 წ. გვ. 30, თურქულ ენაზე), XIII ს. მიწურულის ერთი იტალიური დოკუმენტი, რომლის თანახმადაც ამ პოლიტიკური ერთეულის მმართველს ბასილევსი ეწოდება. <sup>37</sup>

თუ ჩვენ ქართულსა და ბერძნულ წყაროებს სუბიექტურობა შეიძლება დავწამოთ, უცხოური წყაროები ნათელს ჰყვენენ საკითხს.

ტრაპიზონელი ისტორიკოსი, მიქელ პანარეტოსი, ქართული წყაროების მსგავსად (რაც ნიშანდობლივია კომნენოსებთან და ქართულ სამყაროსთან ახლოს მდგომი პირისთვის) ტრაპიზონის მმართველებს, ალექსი I კომნენოსიდან მოყოლებული ბასილევებად, ანუ მეფეებად მოიხსენიებს (გეორგიკა, ტ. XIII, გვ. 179). ბიზანტიური წყაროები კი ამას მხოლოდ XV ს. აკეთებენ: დუკა დასუსტებული იმპერიის დამხობამდე, ლათინიე ხანკოკონდილე კი მისი დამხობის შემდეგ (გეორგიკა, ტ. VIII, გვ. 32, 111—112). ტრაპიზონის უკანასკნელ იმპერატორ დავითთან დაკავშირებით, რაც აგრეთვე შეტყვევებს თუ რამდენად ცოცხლობს ქართველ ბაგრატიონთათვის ანდობელი და ბიზანტიური დინასტიებისთვის ეს უცხო სახელი დავითი. კიდევ ერთმა ფაქტორმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ქართული წყაროები კომნენოსებს ბერძნებს უწოდებენ, ბიზანტიური კი ლაზებს, ან კოლხებს და ეს მაშინ, როდესაც თითქოს პირიქით უნდა ყოფილიყო. ეფიქრობთ, ასეთი მიდგომით ბიზანტია კომნენოსთა ფუნქციას ავიწროვებდა და ერთი პატარა პროვინციით ზღუდავდა. ქართველები კი კომნენოსების ბერძნებად მოხსენიებით მათი მისწრაფებების არეალს ზრდიდნენ და ნიადაგს უშვადებდნენ იმ პრეტენზიებს, რაც მათ როგორც ბიზანტიის დამხობილი დინასტიის ერთ შტოს იმპერიის ტახტისადმი გააჩნდათ.

ქართულ წყაროებში ტრაპიზონის იმპერატორთაგან მხოლოდ რამდენიმეა მოხსენიებული სახელდებით: ალექსი I — იმპერიის დინასტიის ფუძემდებელი. პროქართულად განწყობილი კირმიხაილი (ივ. ჯავახიშვილის შესწორებით ალექსი II), კირმანოელი (ვისგანაც მოდის მონეტა კირმანეულის სახელწოდება) და „ტრაპიზონელი მეფე“ — დიმიტრი II-ს სიმამრი.

საქართველოსა და ტრაპიზონის იმპერიის ურთიერთდამოკიდებულების კვლევისას ისტორიკოსებს ზოგჯერ მხედველობიდან ჩრებათ ისეთ ისეთი რიგის მნიშვნელოვანი ცნობებიც, როგორცაა მაგ. ისტორიანსა და აშმანში დამოწმებული ერთი ადგილი: „და წამებს ამას ყოველი მახლობელი სამეფო გარშემო ქართლისა, თუ რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამიდრნა, რაოდენთა მიმძღაერებულთა უკუნ სცა სამეფო თვისი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თუსად კუალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა. და ამისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, დუნმძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუ-ქალა-

<sup>36</sup> ვახუშტი, ქ. ცხ. IV, გვ. 245.

<sup>37</sup> M. Balard, Gènes et l' Outre Mer. I. Les actes du notaire Lamberto di Sambuceto, 1289-1290, Paris Le Haye, 1975.



ქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყენენ და მტერთაგან უზრუნველობასა“.<sup>38</sup>

იმ პოლიტიკურ ერთეულებს შორის, რომლებიც საქართველოს სამეფოს მართ იმყოფებოდნენ ვასალურ, ან სხვა სახის პოლიტიკურ დამოკიდებულებაში ტრაპიზონის მოხსენიება, თავისთავად, ნიშანდობლივი და ანგარიშგასაწევი ფაქტია. ჩვენ ამ დასკვნას ტრაპიზონის მიმართ აღასტურებს ტრაპიზონის იმპერიის შესახებ მთელი ის ცოდნა, რომელსაც ვიძინთ ქართულ, თუ სხვა წერილობით ძეგლების ანალიზის საფუძველზე, ამ მხრივ ყურადღებას იქცევს იგივე წყაროს სხვა ადგილიც: „იპყრნა ზღვთ პონტოსით ზღუადმდე გურვანისად და სპერითგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა იმერნი და ამერნი ხაზარეთამდის და სკუთთამდის.“<sup>39</sup>

ოთ. ლორთქიფანიძემ ყურადღება მიაქცია აღნიშნულ პასაჟში სპერის დადასტურების ფაქტს და აღნიშნა, რომ ამ ტერიტორიას ივ. ჯავახიშვილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზღვრებს უკავშირებდა, უკეთ იმ ტერიტორიას, სადაც ტრაპიზონის იმპერია წარმოიქმნა.<sup>40</sup> ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ცნობა სხვაგვარივაც არის საგულისხმო. საქმე ისაა, რომ თამარის ისტორიკოსი საქართველოს ტერიტორიული საზღვრების დადგენისას იღებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ორ უკიდურეს პუნქტს: პონტოს (შავი ზღვა) და გურვანს (კასპიის ზღვა), სპერსა და დარუბანდს („სპერითგან დარუბანდამდის“).

ცნობილია, რომ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ საზღვრებს ქართველი მემამულეები ათავსებენ ნიკოფსიიდან დარუბანდამდის. ამა თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ქართული წყაროები იმავე საზღვრების უკიდურეს გეოგრაფიულ პუნქტებად ასახელებენ სპერსა და დარუბანდს, რასაც ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ცხადია, რომ ქართველი მემამულეები თვალსაზრისით, სპერი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ შავი ზღვის ქართული სახელწოდება „სპერის ზღვა“ მომდინარეობს აღნიშნული რეგიონის იმავე სახელწოდებიდან (ლენტი მროველი, ჯუანშერი, ვახუშტი). ამ სახელწოდებას ეხმარება (ჩვენ ეს აღნიშნული გვაქვს სპეციალურ წერილში) X ს. სპარსელ ანონიმურ ავტორთან („პოდუდ ალ აღემ“) დადასტურებული ცნობა „ქართველთა ზღვა“ (ბაჰრ არ ჯურზ“).<sup>41</sup>

თავისთავად ეს სახელები მაჩვენებელია ქართველთა ინტერესისა შავი ზღვის მიმართ, რაც შემდგომ პერიოდში (შხედველობაში გვაქვს XII—XIII სს.) კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ შავი ზღვის ეს რეგიონი ძველთაგანვე დაწინაურებული იყო ზღვაოსნობის თვალსაზრისით, რაც აისახა — კიდევ სათანადო წყაროებში (ირანე ლიდე, პროკოპი კესარიელი...). ზემომოტანილი მსჯელობის

<sup>38</sup> ისტორიანი და აზნანი, გვ. 147.

<sup>39</sup> ისტორიანი და აზნანი, გვ. 34. ტრაპიზონ-საქართველოს ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესოა ის დინასტიური ქორწინებანი ამ ორ სამეფოს წარმომადგენელთა და დიდებულთა შორის, რაც დასტურდება როგორც ქართული (ქაშთაიშერიელი), ისე ბერძნული წყაროებით (გიორგი პანხმერე; მიქაელ პანარტოსი). ეს დინასტიური ქორწინებანი უკავშირდება იმ ბრძოლას ქართულ და ბერძნულ დასებს შორის, რასაც ადგილი ჰქონდა ტრაპიზონში მთელი XIII ს. მანძილზე და შემდგომ საუკუნეებშიც. ამ დასთა ბრძოლა გაპირობებული იყო სხვადასხვა ინტერესებით (პოლიტიკური, ეკონომიკური) და ზოგჯერ იმდენად მწვავედებოდა, რომ შეიარაღებული ბრძოლის ხასიათსაც ღებულობდა.

<sup>40</sup> ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 165.

<sup>41</sup> მ. გაბაშვილი, შავი ზღვა ქართული წყაროების მიხედვით, თსუ შპ. აღმოსავლეთ-მცოდნეობის სერია, თბ., 1978, ტ. 186, გვ. 126—127





დასადასტურებლად გამოდგება აგრეთვე შავი ზღვის ამავე რაიონთან დაკავშირებული სახელწოდება „ტრაპიზონის ზღვა“<sup>42</sup> აღსანიშნავია, რომ ტრაპიზონის ზღვა“ და „სპერის ზღვა“ ორივე ეს სახელწოდება შავი ზღვის სამხრეთ ნაწილის აღსანიშნავად იხმარებოდა.

ამ რეგიონის ეკონომიკურ დაწინაურებასა და შავი ზღვის ვაჭრობაში მის აქტიურ მონაწილეობას წყაროებითი წყაროების გარდა ნუმიზმატიკური მასალაც ადასტურებს. საქმე ისაა, რომ XIII ს. შუა წლებიდან დასავლეთ საქართველოში დიდი რაოდენობით ვრცელდება ტრაპიზონული ასპრები, კიდევ უფრო დიდი რაოდენობითაა დადასტურებული თავისებური მონეტები, რომლებიც ტრაპიზონულ ასპრებთან მსგავსებას გამო ტრაპიზონული ასპრების ქართული მინაბამის სახელითაა ცნობილი.<sup>43</sup> ეს მონეტები, რომლებსაც ქართული წყაროები კირმანეულს უწოდებენ, დადასტურებულია XV ს. ქართულ დოკუმენტურ წყაროებში ე. წ. „სასისხლო სიგელებში“.<sup>44</sup> როგორც კირმანეული, ისე „სასისხლო სიგელები“ დასაქართველოსთვის დამახასიათებელი მოვლენა იყო. იშვიათად ვხვდებით მათ ადმ. საქართველოშიც.

კირმანეულის სახელის წარმოშობას, ნუმიზმატები სავსებით სამართლიანად ტრაპიზონის იმპერატორ მანუილ I სახელს უკავშირებენ (1238—1263). ამის საფუძველს გვაძლევს ამ ტერმინის ასეთი განმარტება საკუთრივ ქართულ წყაროშიც: „ამა თეთრისა საქმე ასე უწყოდეთ, ბერბენთა მეფეს კირმანოელ ერქვა და მისეულად კირმანოელისეული ჰქვიან. არის წონითა ერთი თეთრი ერთისა დრამისა წონა, წმიდა და ხალხის ვერცხი“ (1455 წ. სიგელი)<sup>45</sup>.

ტრაპიზონული ასპრებისა და კირმანეულის მსგავსება, ვაგრცელების არეალი და მათი საბოლოოდ გაქრობა (XV ს.), ეს ის საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, რომლის შექმე იკვეთება ტრაპიზონის ეკონომიკური ცხოვრება და ტრაპიზონ-საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის სურათი. მართალია როგორც უცხოურ, ისე ქართულ ისტორიოგრაფიაში (დ. ბარათაევი, ვ. ლანგლუა, ე. პახომოვი, თ. რეტოსკი, დ. ლენგი, თ. ლომოური, თ. აბრამიშვილი, დ. ღუნდუა და სხვ.) კირმანეულის შესახებ გარკვეული მოსაზრებების გამოთქმული, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ დას. საქართველოსთვის დამახასიათებელი ეს უაღრესად საინტერესო ნუმიზმატიკური მოვლენა ძირფესვიანად შესწავლილი არ არის. კირმანეულთან დაკავშირებით ბევრი ისეთი პრობლემა ჩნდება, რაც საკითხის ახლებურად დასმისა და გადაწყვეტას მოითხოვს.

ზემოთ მოტანილი მსჯელობიდან აშკარაა, რომ კირმანეულის შესწავლა საგულისხმოა როგორც თავისთავად, ისე ტრაპიზონ-საქართველოს ურთიერთობის თვალსაზრისით. ამ მონეტებთან დაკავშირებით გვიწვდება ხაზი გაუუსკათ კიდევ ერთ ვარემოებას: დ. კაპანაძე შენიშნავს, რომ კირმანეული თეთრისა და ტრაპიზონული ასპრების მსგავსება და ზედწერილების იგვევობა აუცილებელ ნათესაობასა და ფულის სისტემის ერთიანობას ამკლავნებს<sup>46</sup>. სამონეტო ერთიანობა კი ვაჭრობისა და სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას ემსახურებოდა. კირმანე-

42 მ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI—XII საუკუნეებში, თბ., 1981, გვ. 54.  
 43 დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 109.  
 44 ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი — 1, გვ. 3—7; 11—13—14, 371—374...  
 თ. უორდანი, ქრონიკები, II, 278—280.  
 45 HD. 75888; ... თ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 43; ვ. ღუნდუა, სამონეტო მიმოხილვის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, თბ., 1964; გვ. 7, 45... ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ „სისტორიო მოამბე“, 1927, გვ. 60, 63...  
 46 დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 109.

ულზე მსჯელობას აქ აღარ გაეგარძელებო, რადგანაც ამ საკითხთან დაკავშირებით წერილი გამოვაქვეყნეთ<sup>47</sup>.

საქართველო, გარდა პოლიტიკური და ეკონომიკური კონტაქტებისა, ტრაპიზონთან, როგორც ცნობილ კულტურულ რელიგიურ ცენტრთან, მჭიდრო ურთიერთობით იყო დაკავშირებული. ამ ურთიერთობას, ქართული ნარატიული და დოკუმენტური მასალის მიხედვით, თვალი შეიძლება გავადევნოთ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ქართული წყაროებიდან ჩანს აგრეთვე საეკლესიო პირთა ხშირი მიმოსვლა ტრაპიზონ-საქართველოს შორის და მათი მოღვაწეობა, ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქართული წყაროს სხვა ცნობაც, კერძოდ, 1104—1110 წწ. დაწერილი „მარხვანი“, აღწერილი არსენ მონაზონის მიერ „ჟამსა მას დავით და კათალიკოზობასა იოანესა, ტრაპიზონიდან მოტანილი“<sup>48</sup>, ეს ის იოანე კათალიკოზია, რუის-ურბნისის კრებას რომ თავმჯდომარეობდა. XV ს. ფუარყარე ათაბაგმა მოიწვია ეპისკოპოზი „სახლგართაგან პონტოსათა, ქალაქით ტრაპიზონელი, სახელით სვიმონ, რამეთუ მაშინ საჭეთ-მპყრობლობა საყდარსა ტბეთისათა. ამას მიუბოძა უკანასკნელ მაწყურელობა“<sup>49</sup>.

ის ფაქტი, რომ ქართული წყაროებით ტრაპიზონი მოიხსენიება შუა საუკუნეების ისეთი სახელგანთქმულ რელიგიური კერების გვერდით, როგორცაა ათონი, სინა, იერუსალიმი, კონსტანტინეპოლი<sup>50</sup>, მის ამ მნიშვნელობაზე ნათლად მეტყველებს. იგივეს ადასტურებს მეფე კონსტანტინე II წერილი ესპანეთის დედოფლისადმი, გაგზავნილი საქართველოდან 1495 წ. „კონსტანტინეპოლის, ტრაპიზონისა და სხვა ქრისტიანთა დაცემის შემდეგ მარტოდ-მარტონი და სრულიად დაობლებულნი დაერჩით... გვედრებით დაუყოვნებლივ პირდაპირ კონსტანტინეპოლზე გაილაშქრეთ... მეც პირადად შეილებითურთ და მთელი ლაშქრით... შენთან ერთად საბრძოლველად წამოსასვლელად მზად ვიქნები“<sup>51</sup>.

მოტანილი ნაწყვიტი სხვა მხრივაც იქცევეს ყურადღებას, მასში პირდაპირ არის მითითებული და შეფასებული ქრისტიანული სახელმწიფოების, კერძოდ ტრაპიზონის სახელმწიფოს დაცემის უარყოფითი გავლენა საქართველოს სამეფოზე, ოსმალთა მიერ საქართველოს დასავლეთისგან იზოლაციაში მოქცევა და ამ იზოლაციის გარღვევის მცდელობა საკუთარი ძალისხმევითა და დასავლეთის დახმარებით.

საქართველოსა და ტრაპიზონის საეკლესიო ურთიერთობის შუქზე (გარკვეულ ბერიადში ტრაპიზონი საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში შედიოდა) იკვეთება ტრაპიზონ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის არაერთი მომენტი, რის საფუძველზეც შეიძლება ვიმსჯელოთ ტრაპიზონის საქართველოსადმი დამოკიდებულების შესახებ. ამყამად ჩვენ ამ მასალას მხოლოდ ზოგადად და გაკერით შევხებით. აღნიშნავთ მხოლოდ მის მნიშვნელობას და ცალკე შესწავლის აუცილებლობას.

გვაქვს საფუძველი ვილაპარაკოთ ქართული და ტრაპიზონის სელოვნებისა და არქიტექტურის საერთო ნიშან-თვისებებზე, რასაც თვით ბერძენი მკვლევრებიც არ უარყოფენ. გავლენის გარკვეული ნიშნები შეინიშნება კედლის მხატვრობაშიც.

47 მ. გაბაშვილი, ქართული ნუმისმატიკის ისტორიიდან (კიბნანული), კრ. „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, თბ., 1991, გვ. 219—230.

48 თ. უორდანი, ტ. I, გვ. 236.

49 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 483.

50 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1979, გვ. 751, შენ. 1.

51 თ. უორდანი, ქრთივები, ტ. II, ტფ., 1971, გვ. 298—299, 314.



ტრაპიზონ-საქართველოს ურთიერთობა ამ კუთხით და ამ თვალსაზრისით  
რეთვე შესწავლის საგანი უნდა გახდეს.

ამგვარად, არ შეიძლება დამაჯერებლად და სისრულით ეუწვენოთ ტრაპიზონის ისტორიის თავისებურებანი და ტრაპიზონ-საქართველოს ურთიერთობის ფაქტები, თუ სათანადოდ არ იქნება გათვალისწინებული და შეფასებული ქართული წყაროები, რომლის მნიშვნელობა უკვე ეჭვს არ იწვევს. ცხადია ისიც, რომ მას გვერდს ვერ აუვლის ტრაპიზონის ისტორიით დაინტერესებული ვერც ერთი მკვლევარი.

М. В. ГАБАШВИЛИ

ТРАПИЗУНТ ПО ГРУЗИНСКИМ ИСТОЧНИКАМ

Резюме

Из грузинских исторических источников и агиографических памятников отобраны материалы, касающиеся истории Трапизунта. Показано значение грузинских источников для грузино-трапизунтских отношений и истории Трапизунта как до, так и после основания империи.

M. GABASHVILI

TREBIZOND IN GEORGIAN SOURCES

Summary

The material dealing with the history of Trebizond has been gleaned from Georgian historical works, fiction, and hagiographies. The importance of Georgian sources in the study of Georgian-Trebizond relations and the history of Trebizond both before the establishment of the empire and after is shown.

## რუსულან ჟუბაბრიძე

### იაკობე II-ის მიმართ სომხური ჯგუფის დაპირისპირების მიზეზთა გარკვევისათვის

ქართულ წერილობით წყაროებში, რომელიც ალა-შაჰმად ხანის 1795 წლის შემოსევის ეხება, ხშირად არის ლაპარაკი ერეკლეს მოწინააღმდეგე სომხური ჯგუფის არსებობის თაობაზე, ხოლო ჯავად-ხანს — ყაჯართა საგვარეულოს წარმომადგენელს და ყარაბაღის მელიქს, ეროვნებით სომეხ მეჭუნეს ბრალად ედებათ ალა-შაჰმად ხანის ჯარის შემობრუნება და შემოყვანა თბილისში, რასაც კარგად ცნობილი კრწანისის ტრაგედია მოჰყვა. ამას არც სომხური წყაროები უარყოფენ, თუმცა მათგან უმეტესწილად ყურადღება ჯავად-ხანის პიროვნებაზეა გამახვილებული, მაგრამ არც მელიქ მეჭუნეს აფარებენ ხელს (ჰ. ოსკერჩიანი, სარგის ჰასან ჯალალიანი, სერობ გრიჩი, ვარდან ომეცი, ანონიმი ავტორები და ა. შ.).

ის, რომ ერეკლეს საკმაოდ სერიოზული ოპოზიციური სომხური დაჯგუფება ჰყავდა, ეჭვს არ იწვევს. ალბათ, ამ უნდობლობაზე მეტყველებს იოსებ არღუთიანის წერილიც ერეკლე II-ს მიმართ (1795 წ. 27. II): „ვიდრე შევიტყობდი განსაცდელის მოახლოებას, ბევრი ვთქვი და ვწერე. არ სჯეროდათ ქართველთა სახლის ერთგულებისა. ახლა მოელმა ქვეყანამ უწყის თქვენი ჭეშმარიტად ქრისტიანული ფიცის ამბავი, რომ თქვენი მეფობის დასასრულამდე მტკიცედ დაიცავთ მას“.

ვერ გავიზიარებთ ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის აზრს ერეკლეს წინააღმდეგ იოსებ არღუთიანის მოქმედებასთან დაკავშირებით. მისი მტკიცებანი, ჩვენი აზრით, სიმართლეს მოკლებულია და სუბიექტური დამოკიდებულებიდან გამომდინარეობს.

დავინტერესდით, ვინ იყვნენ ამ ე. წ. „ოპოზიციური ჯგუფის“ წევრები და რას უნდა გამოეწვია მათი ასეთი დამოკიდებულება.

1895 წლის აპრილში „კვალი“-ს 39-ე ნომერში დაბეჭდილი გ. წერეთლის წერილის თანახმად, რომელიც შედგენილია ბუტკოვის მიხედვით, აღნიშნულია „ერეკლე მეფემ სომხები იმით გადაიმტერა, რომ ყარაბაღის მელიქები უმსხვერპლა ნუხის ხანს — იბრაიმ ხანს, რომელიც სასტიკად ეპყრობოდა თავის ქვეშევრდომ სომხებს, რომლებიც ამ დროს მეტად გამდიდრებულნი იყვნენ ვაჭრობით“. სამხედრო საჭიროებისათვის იბრაიმ ხანი მათ დახმარებას სთხოვდა და, თუკი ისინი წინააღმდეგობას ვაუწყებდნენ, ძალადობას მიმართავდა. ამ სახით მან „ორს დიდი შეძლების მეპატრონე სომხის მელიქებს მეჭუნესა და აპოს ააღებინა ხელი თავის ქონებაზე“.

აღნიშნული ფაქტის შესახებ საკმაოდ მრავლად მოგვეპოვება მასალა, კერძოდ, ყარაბაღის მელიქთა წერილები რუსეთის სამეფო კარის წარმომადგენელთა მიმართ. <sup>1</sup> ამასთან დაკავშირებით ა. იოანისიანი წერს: — „1783—1784 წწ. ზამთარში ყარაბაღში მიმდინარე მოვლენების შესახებ დაწერილებით ცნობებს თვით



მელიქები გვაწვდიან. მელიქი აბოვი, რომელიც შუშის ხანმა თავისთვის შეკრძობა დაწესებული იქნა შუშის ციხეში. ასეთვე სეიდრი ხედა წილად მელიქ მეჭუნესაც. მელიქები განთავისუფლებულნი იყვნენ რამდენიმე თვის შემდეგ, დიდი გამოძალვისა და დამცირების მერე“<sup>2</sup> მოგვიანებით კი დასძენს: „მელიქები არც ამ და არც სხვა საბუთებში არაერთარ ცნობას არ გვაწვდიან შეთქმულების შესამე მონაწილის — ბახტამის (გალუსტ შერმაზანიანთან — ბოლდანის რ. ჭ.) შესახებ, რომელიც იბრამიმა შუშაში დაატყვევია. სარგის ჯალალიანცისა და სხვათა გადმოცემით ცნობილია, რომ ხანმა ისიც სიკვდილით დასაჯა“.<sup>3</sup>

პირველი მსხვერპლი კი იბრაიმ ხანისა, როგორც ირკვევა, დიხაკის მელიქი ცსია აღმოჩნდა. რამორტში, პოტიომკინის მიმართ 1781 წლის 23 თებერვალს, სუვოროვი წერდა: „იბრაიმ ხან შუშელმა დუხაკის (ხშირად გვხვდება დიხაკის ამგვარად შეცვლილი ფორმაც რ. ჭ.) მელიქი ესაია გარკვეული თანხის გამოძალვის მიზნით წაშებით მოკლა“.<sup>4</sup>

საქართველოში მიმდინარე პროცესები მუდამ უშუალო კავშირში იყო მის გარშემო არსებული პოლიტიკური ერთეულების და, რა თქმა უნდა, სომხეთში შექმნილ ვითარებასთან. სახელმწიფოებრიობადაკარგული სომხეთი იმედის თვალთ შეკურობდა საქართველოს მეფეს—ერეკლე მეორეს და მისი თანადგომის იმედი ჰქონდა ირან-თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი ყოველმხრივ ცდილობდა როგორც დამოუკიდებლად (ისრაელ ორი, იოსებ ემინი, უკვე 60-იანი წლებიდან დაამყარა ემშიაძისა ურთიერთობა რუსეთთან რ. ჭ.), ასევე საქართველოსთან ერთად, რუსეთის კეთილგანწყობა და მფარველობა მოეპოვებინა. ამ დროისათვის „ერეკლეს საკმაოდ კარგად იცნობდნენ როგორც რუსეთში, ასევე შორეულ დასავლეთ ევროპაშიც. მე-18 საუკუნის II ნახევარში მისი სახელი ნადირ-შაჰზე ნაკლებ არ ეღვრდა“.<sup>5</sup>

იოსებ არღუთიანის წერილებში ყოველთვის დიდი მოწიწება იგრძნობა ამ პიროვნების მიმართ. იგი ერეკლეს „სამეფო გვირგვინით შემკულს, უწმინდესსა და შოცოქულთა თანასწორს“ უწოდებს და პ. პოტიომკინისადმი 1782 წლის 28 დეკემბრის წერილში აღნიშნავს: „ამჟამად ერეკლე ძლიერია სპარსეთის ყველა ხანებსა და მფლობელებზე. მისი ძალაუფლება საქართველოს გარდა ვერცხვდება განჯაზე, ერევანსა და ნახჭევანზე, სხვები კი, თავიზიდიან დაწყებული, მოწიწებისა და პატივისცემის ნიშნად ძვირფას საჩუქრებს უგზავნიან მას ყოველწლიურად, რადგან ნადირ-შაჰის ვარდაცვალების შემდეგ მან გაიმარჯვა და შეიპყრო ისინი, ვინც ამ ტიტულის მოპოვებას ესწრაფოდნენ. ამავე დროს მეფე ერეკლეს დიდი სამფლობელო აქვს და შეძლება კავკასიის მთის მცხოვრებთაგან ჯარის შეკრებისა... მას შეუძლია საჭიროებისამებრ ქართველი, სომეხი და თათარი მეომრებისაგან შემდგარი 40 000-იანი ჯარი გამოიყვანოს“<sup>6</sup> ხოლო ორი წლის შემდეგ — 1784 წლის 10 სექტემბერს იოსებ არღუთიანი გ. პოტიომკინს წერდა: „თუკი შუშის ხანს მიიღებთ თქვენი სამეფო აღმატებულების მფარველობის ქვეშ, უმორჩილესად გთხოვთ, ჩვენი მელიქების ის პირობანი დააკმაყოფილოთ, რასაც ასე ცრემლითა და მუდარით ითხოვენ — გაანდეთ თვითმმართველობა და დამოკიდებულნი იყონ მხოლოდ მისი სამეფო უდიდებულესობის, ერეკლეს ბრძანებაზე“<sup>7</sup> 1793 წელს, განოხატავდა რა ყარაბაღის მცხოვრებთა ნებას უმაღლესი საიმპერატორო კარის წინაშე, პ. ზუბოვს მიმართავდა: „ითხოვენ მათზე ძალაუფლების აღდგენას ქართველი უფლისწულის დავითის სახით, რომელიც არის შეიღვიწვილი ირაკლისა. მას ნიიჩნევენ ღირსეულად მისი შესანიშნავი თვისებების გამო“<sup>8</sup>.



„ემინს ოცნებად ჰქონდა ერეკლეს დახმარებით მთელი სომეხი ხალხის განთავსუფლება უცხოელი დამპყრობლებისაგან და მას საქართველოსა და სომხეთის მეფეს უწოდებდა“. დიდ იმედებს ამყარებდნენ ერეკლე მეორეზე აგრეთვე მადრიასის სომხური კოლონიის წარმომადგენლებიც შაჰმირ შაჰმირიანის მეთაურობით.

როგორც ი. არღუთიანის წერილიდან ჩანს, ერეკლე მეფის გაეღენის სფეროში იმყოფებოდა ვანჯის, ერევნის და ნახჭევანის სახანოები. ამ სახანოთა ხანებთ ურჩობის გამო დიდ სირთულეებს უქმნიდნენ ერეკლეს. ერევნის ჰუსეინ ხანის წინააღმდეგ ერეკლემ გაილაშქრა 1765, 1769 და 1779 წლებში. უნდა აღინიშნოს, რომ კონსტანტინის მიწეხი ყოველთვის ხარკის გადაუხდებლობა იყო. ერეკლეს, როგორც ითანისიანი აღნიშნავს, არასოდეს უცდია სომხეთის მიერთება თავისი სამფლობელოებისათვის, მაშინაც კი, როდესაც ამის რეალური შესაძლებლობა იყო“.<sup>9</sup>

1779 წლის ერეკლეს ერევანზე ლაშქრობის შესახებ ცნობებს გვაწვდის ხუბოვი, რომლის ბიძა და გამზრდელი იყო სომხეთის კათალიკოსი სიმეონი.<sup>10</sup>

ვანჯის წინააღმდეგ ლაშქრობები მოეწყო 1778, 1785 და 1788 წლებში. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით მოგვიანებით შევიჩრდებთ.

რაც შეეხება ნახჭევანის სახანოს, მისი როლი ნაკლებ მკვეთრია საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუნცა, უნდა ითქვას, რომ სამსოფო წყაროში (მ. თსკერჩიანი, ვარდან ობნეცი, ასტაპატელი) ნახჭევანის ხანი ქეაღბალი ერეკლესაგან განზღვარ პიროვნებად არის წარმოდგენილი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ყარაბაღის სახანოს მასში შესავალი სამელიქოებითა და მმართველებითურთ და თვით ამ სახანოს თავს — იბრაჰიმ ხალილ ხანს, რადგან ამ საკითხის განხილვა ჩვენთვის საინტერესო პრობლემის გარკვევის ძირითადი პირობაა.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის ყარაბაღი, ანუ პატარა სივნიეთი 5 სამელიქო (ჯრაბერდი, გულისტანი, ვარანდა, ხაჩენი და დიზაკი) არის წარმოდგენილი.<sup>11</sup> ყარაბაღს იმ პერიოდისათვის უწოდებდნენ აგრეთვე სიღნაღს ანუ სამსის ქვეყანას.<sup>12</sup>

თ. ჰაკობიანი თავის წიგნში „სომხეთის ისტორიული გეოგრაფია“ ყარაბაღთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ხამსის სამელიქოები მდებარეობენ მთიან ყარაბაღში, არსებობდნენ მე-15 საუკუნიდან და ურთიერთმოსაზღვრენი იყვნენ“.<sup>13</sup>

მოგვიანებით ეს მიწა ხელში ჩაიგდეს თურქებმა, რომელნიც განდევნილნი იქნენ შაჰ-ნადირის მიერ. „ნადირ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ (1747 წ) ყარაბაღის მელიქებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს, მაგრამ ვარანდის მელიქ შახნაზარს — „რომელიც იყო კაცი ეშმაკი, მცირედმორწმუნე და ყველა კეთილი საქმისადმი უღირსი, ვერაგი და გამტემი მომპეითა“<sup>14</sup> — სურდა სხვა მელიქთა მიწების დაპატრონება, რის განიოც საშველად უხმო ფანა-ხანს (ეს არის იბრაჰიმ ხანის მამა რ. ზ.), მორჩილება აღუთქვა, თავისი ციხე მისცა მას და სახლი ეაგანისა (დი-ზაკის სამფლობელო რ. ზ.). გასაძარცვავად დაუთმო და დაუმორჩილა აგრეთვე მელიქი ხაჩენისა მირზახანიც. მოგვიანებით შუშის ხანმა შაჰნაზარის შვილებით მოკლა მელიქი ესაი“.<sup>15</sup>

ფანა ხანი მიეკუთვნებოდა სარიჯალუს საგვარეულოს, ჯვანშირის ტომს. მან მოხერხებულად გამოიყენა ნადირის გარდაცვალების შემდეგ ირანში შექმნილი ვითარება და ერთ-ერთი პრეტენდენტისაგან — ადილშაჰისაგან ხანის ტიტულიც მიიღო. მან წამებით მოკლა მელიქი ალიყული, რომელიც იყო ბიძაშვილი მელიქ ადიშისა და მელიქ იუსუფუსა. ეს ორი მელიქი იძულებული შეიქნა თავშესაფარი საქართველოში ეძებნა. მოგვიანებით მათ განჯაში გადაინაცვლეს, თუმცადა მე-

ლოქი იოსები განჯის იმდროინდელ შაფერდი ხანთან კონფლიქტის შემდეგ კლავს საქართველოში, ერეკლე მეფესთან მობრუნდა.<sup>16</sup>



ფანა ხანმა მოახერხა მთელი ყარაბაღის დამორჩილება.

1763 წელს ფანა ხანის ადგილი მისმა ვაჟმა იბრაიმ ხალილ ხანმა დაიკავა, (ადი-გეზალ ბეის თანახმად, ფანა-ხანის უფროსი ვაჟი ყარაბაღის ვილაეთის მმართველი ხდება 1173 წელს — 1759—60 წელს).<sup>17</sup>

იბრაიმ ხანი 1783 წლის პ. პოტიომკინის რაპორტში გ. პოტიომკინისა და გაბრიელ კარახანოვის მიმართ მოხსენიებულია მელიქ შახნაზარის მეგობრად და სიძედ.<sup>18</sup>

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ სრულიად გასაგები ხდება ის დამოკიდებულება, რონელიც ჩამოყალიბდა ჯერ ფანა ხანსა და შემდეგ იბრაიმ ხანსა და ყარაბაღის მელიქებს შორის, თუმცა, უნდა ითქვას, რომ იბრაიმ ხანსა და მელიქებს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა მე-18 საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც რუსეთი ამიერკავკასიის ქვეყნებით სერიოზულად დაინტერესდა და ამ ტერიტორიების მისი გავლენის სფეროში მოქცევის რეალური შესაძლებლობა წარმოიშვა.

ჩვენს ამ მოსაზრებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ იბრაიმ ხანმა თავის ცოლის ძმას, შახნაზარის ვაჟს ჯიმშიდს 1797 წელს მთლიანად წაართვა „მამული, არა მხოლოდ განძეული, თქრო და ვერცხლი, არამედ ქონება მთლიანად, თვით იგი დაატყვევა და სურდა მისი სიკვდილით დასჯა“ როგორც მოღალატისა, რადგან ჯიმშიდმა რუსეთს ერთგულება შეჰფიცა.<sup>19</sup>

„1782 წლის შემოდგომაზე პეტერბურგში გადაჭრით დაისვა სპარსეთის საკითხი. საჭირო შეიქნა რუსეთის გავლენის განმტკიცება ამიერკავკასიაში და კასპიის ზღვის სანაპიროზე. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებელი გახდა არა მხოლოდ პეტრე პირველის მიერ დაყრდნობილი და შემდეგ დაკარგული მიწების, თუნდაც ნაწილის, ხელახალი შემოერთება, არამედ დაყრდნობა ორ ვასალურ სახელმწიფოზე — საქართველოსა და სომხეთზე, რომელნიც უნდა გამხდარიყვნენ რუსეთის პოლიტიკურ-სტრატეგიული ფორპოსტები როგორც ირანის, ასევე თურქეთის მიმართ.“<sup>20</sup> 80-იან წლებამდე კი, როგორც ჩანს, სრულდებოდა 60-იანი წლებისათვის იბრაიმსა და მელიქებს შორის დადებული შეთანხმება (1767 წელს იბრაიმის დაყენებული თხოვნის შემდეგ თავიანთ სამფლობელოებში დაბრუნდნენ მელიქი იოსები და მელიქი ადამი. ხანმა მათ პირობა მისცა, რომ არ ჩაერეოდა მათ საშინაო საქმეებში რ. ჯ.) და აქ მეტ-ნაკლებად სიმშვიდე სუფევდა.

ამ დროიდან რუსეთი მეტი ინტერესით ადევნებს თვალყურს ამიერკავკასიაში მიმდინარე პროცესებს და თავისი ერთგული ხალხის ძიებას იწყებს.<sup>21</sup>

6 აპრილს პოტიომკინმა იბრაიმ ხანისაგან წერილი მიიღო, სადაც ხანი მამულები ტონითა და მაღალფარდოვანი სტილით გამოხატავდა დიდ სურვილს გამხდარიყო მონა ყოვლადბრწყინვალე რუსეთის ტახტისა და სინახულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ მისი მოწინააღმდეგე ცბიერი ხანი დერბენდისა ფეტ-ალი თავს იწონებდა რუსეთის მფარველობაში ყოფნით. აქვე იგი საყვედურობდა ფეტ-ალისა და ერეკლეს, რომელთაც განჯის სახანო ჩაიგდეს ხელში (ფეტ-ალი ხანთან ერთად ერეკლეს განჯაზე ლაშქრობას ადგილი ჰქონდა 1785 წელს). ამ დროისათვის ერეკლესა და იბრაიმს შორის უკვე მკვეთრად გამოხატული კონფლიქტია.

ეს წერილი იბრაიმისათვის ტაქტიკური ნაბიჯი იყო. მან კარგად იცოდა რუსეთის დამოკიდებულება მის მიმართ და სწამდა, რომ ამგვარად მოახერხებდა ყარაბაღში ძალაუფლების შენარჩუნებას, მაგრამ რუსეთს აწყობდა მაჰმადიანი



იბრაიმ ხანის გზიდან ჩამოცილება, რადგან, როგორც გ. პოტიომკინი აღნიშნავდა  
 6 აპრილის თავის საიდუმლო ორდერში, ყარაბაღი დაქვემდებარებულა მხოლოდ  
 და უშუალოდ რუსეთს.<sup>22</sup>

იბრაიმისაგან განთავისუფლების მიზნით „რუსთა ძლიერმა თავადმა პოტიომ-  
 კინმა ნისწყერა ალბანეთის ჰოვჰანეს კათალიკოსს და ოთხ ნელიქს, მზად ყოფილიყ-  
 ვნენ, რათა, როდესაც მის მიერ გამოგზავნილი ჯარები მოვიდოდნენ, ისინიც მო-  
 წეულიყვნენ და გაენადგურებინათ იბრაიმ ხანი“.<sup>23</sup> იგი აღნიშნავდა, რომ „საჭირო  
 იყო ორივე ხანის — როგორც იბრაიმ ხანის, ასევე ფეტ-ალის მიმართ შეტლების-  
 გვარად შემწყნარებლური პოლიტიკის გატარება იმ მიზნით, რომ ადვილად მო-  
 ხერხებულიყო მათი ხელში ჩაგდება“.<sup>24</sup> რუსეთს სურდა არა იბრაიმის დამორჩი-  
 ლება, არამედ ჩამოყალიბება ვასალური სომხური სახელმწიფოსი, რომლის სათა-  
 ვეშიც ქრისტიანი იდგებოდა.

მშ-იანი წლების რუსეთის პოლიტიკის თანახმად, ქართლ-კახეთის სამეფოს  
 საზღვრები უნდა გაფართოებულიყო განჯის სახანოსა და ზოგიერთი აზერბაიჯან-  
 ნული ოლქის ტერიტორიის ხარჯზე, ხოლო სპარსეთისათვის ჩამორთმეულ სახა-  
 ნოებზე დაყრდნობით იგი აპირებდა სომხური ვასალური სახელმწიფოს ჩამოყა-  
 ლიბებას. დერბენდი მისი მიმდებარე ტერიტორიებით უშუალოდ უნდა მიერთებო-  
 და რუსეთს, ხოლო კასპისპირა დარჩენილი რაიონების ბაზაზე შეიქმნებოდა  
 ალბანეთის სახელმწიფო.<sup>25</sup>

მართალია, იბრაიმის აღნიშნული წერილის გამო პოტიომკინმა გააუქმა თავი-  
 სი საიდუმლო ორდერი იბრაიმის სასწრაფოდ ჩამოგდების შესახებ, მაგრამ სა-  
 ჭიროდ არ მიიჩნია მისი თხოვნის დაკმაყოფილება მფარველობაში მიღებისა თუ  
 რაიმე შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით. მან იბრაიმს ყოვლად გაურკვევე-  
 ლი პასუხი ვაცა, რომ ერთგულებისა და მორჩილების შემთხვევაში შეეძლო იმე-  
 დ ჰქონოდა რუსეთის მფარველობაში შესვლისა.<sup>26</sup>

იბრაიმ ხანი ამ დროისათვის საკმაოდ გაელენიანი და ანგარიშგასაწყვეი პი-  
 როვნება ჩანს. აღი-გეზალ ბეის თანახმად, „იგი არ ემორჩილებოდა ირანის, რუ-  
 მისა და სხვა მბრძანებლებს. მან თავისი ძალაუფლება განავრცო ყარაბაღზე, შაქ-  
 სა და შირვანზე, განჯაზე, ზოიზე, თავრიზზე, ნახჭევანზე და არდებილზე, კაპ-  
 ლან-კუხამდე, რომელიც წარმოადგენდა საზღვარს აზერბაიჯანსა და ირანს შო-  
 რის. ამ მხარეთა მბრძანებლების გადაყენება ხდებოდა მისი მითითებით“.<sup>27</sup>

აღი-გეზალ ბეის ნაშრომის „ყარაბაღ-ნამეს“ რედაქტორი ა. ალესკერზადე  
 აღნიშნავს, რომ აღი-გეზალ ბეი აჭარბებს. იბრაიმ ხანს ზოგჯერ ძლიერი ზეგავ-  
 ლენა ჰქონდა ყარაბაღის, არდებილის, ნახჭევანის და განჯის მმართველებზე. შა-  
 ქის, შირვანის, თავრიზის, ზოის, ერევნის ხანები იბრაიმ ხანისაგან დაქვემდებარ-  
 ებულნი არასოდეს ყოფილან.

აღი-გეზალ ბეის მიხედვით, ყარაბაღის ხანის ტიტულს იბრაიმ ხანს ანიჭებს  
 ქერიმ ხანი და შინ ისტუმრებს. აქვე აღნიშნულია, რომ, თუმც იბრაიმ ხანი არ  
 იწოდებოდა შაჰად, მაგრამ სიმიდირისა და ფუფუნების მიხედვით ბევრად აღე-  
 მატებოდა თანამედროვე ირანის ხანებს.<sup>28</sup>

იბრაიმ ხალილი ერთ-ერთ ყველაზე დაუმორჩილებელ ხანად არის მიჩნეული  
 გალუსტ შერმახანიანთანაც. ავტორი აღნიშნავს, რომ „ჭიჯრით 1209 წელს  
 (1795 წ.) გაზაფხულზე აღა-მაჰმად ხანი დიდძალი ჯარითურთ სპარსეთის ღრმა  
 (პროვინციებიდან) კვლავ გაემართა ატრპატაკანისაკენ, რათა დაესაჯა კიქაური  
 ურჩი და თავებუა ხანები, განსაკუთრებით ყარაბაღის იბრაიმ ხალილი ხანი და სა-  
 ქართველოს ვალი ერეკლე ხანი“.<sup>29</sup>



ადი-გენალ ბეის თანხმად, „ალა-მაჰმად ხანი ჯერ კიდევ 1791 წლამდე ცდილობდა იბრაიმ ხანის მიმხრობას. რის გამოც გამოუგზავნა ხალათი და მისთვის რომ მათ შორის მოჩვენებითი მეგობრული ურთიერთობის გარდა არაფერი ყოფილა“. <sup>30</sup> ამავლე წყაროს მიხედვით, ერეკლე მეფეც დიდ ანგარიშს უწევდა იბრაიმ ხანს გადაწყვეტილებათა მიღების დროს, რამეთუ ავართა ხანი და დაღესტნის სხვა „მმართველნი ნათესაური კავშირების წყალობით მას ემორჩილებოდნენ“. <sup>31</sup>

როგორც ჩვენი სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, ყურნალ „კვალში“ მოთავსებული წერილის ავტორი ერეკლესაგან სომეხი მელიქების განდგომის მიზეზად მიიჩნევს ერეკლეს კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას იბრაიმის მიმართ. აქვე აღნიშნულია, რომ მეჭუნესა და ამოს დახმარებისათვის ერეკლესათვის მიუმართავთ, ერეკლეს კი მათი თხოვნა უყურადღებოდ დაუტოვებია.

ერეკლეს მართლაც კარგი დამოკიდებულება ჰქონდა იბრაიმ ხანთან 1783 წლამდე, ვიდრე საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილი რუსეთის მფარველობის ქვეშ არ შევიდა. მახამ კი, 1778 წელს იბრაიმ ხანი ერეკლეს მოკავშირედ ჩანს (დავით ბატონიშვილის ცნობა) განჯის ხანის მაჰმადის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი სახელეულითურთ ტყვედ იწყობებოდა იბრაიმ ხანთან შუშაში, ხოლო განჯას ამ პერიოდისათვის განაგებდნენ ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო მდივან ბეგი (ერეკლეს მხრიდან რ. ჯ.) და იბრაიმ ხან ყარაბაღელისაგან კი იბრაიმის ეწვირა აზრათ ყული ხან მარტყოფელი.

„1783 წელს განჯაში, რომელსაც ერთობლივად მართავდნენ ერეკლე და იბრაიმ ხანი, მოხდა არეულობა, რის შედეგადაც განდევნილ იქნენ მათ მიერ დანიშნული მოხელეები. ამ მომენტით ისარგებლა იბრაიმმა და სახანოს მთლიანად ხელში ჩაგდება მოიწადინა. ირაკლის მიერ მიღებული ცნობების თანახმად, მას სურდა გაეხრთავს უფლებინა პატიმრობაში მყოფი მაჰმად ხანი, აღედგინა განჯაში და თავის ვასალად ექცია იგი“. <sup>32</sup>

1784 წლის 7 ივნისის წერილში სომეხი დანიელ ავეტისოვი პ. პოტიომკინს ორი რაზმის გამოგზავნას სთხოვს იბრაიმ ხანის გასანადგურებლად და აღნიშნავს: „თუკი თქვენი უმალესობა იხებებს ეს საქმე გადააბაროს მის უდიდებულესობა მეფე ერეკლეს, იგი ამისათვის ძალ-ღონეს არ დაიმურებს“. <sup>33</sup>

1784 წელს თვით ერეკლე წერდა: „თუკი სასწრაფოდ დახმარებას არ აღმოვეჩინებ ყარაბაღის მელიქებს, იბრაიმ ხანი მათ ან სრულიად გააღატაკებს, ან არადა, ისინი შიშისაგან დაიფანტებიან“. <sup>34</sup>

1785 წლის შემოდგომაზე ომარ ხანის საქართველოზე თავდასხმის დროს იბრაიმ არათუ არ დაეხმარა თავის მოკავშირეს, არამედ ისარგებლა შექმნილი ვითარებით და განჯისკენ დაშტრობა მოაწყო. მართალია განჯელებმა მისი პირველი შემოტევა აირიდეს, მაგრამ ის სრულებითაც არ აპირებდა თავის გეგმაზე უარს თქმას. როდესაც განჯაში ხანად დაჯდა რეგემ-ბეგი, მძა ყოფილი ხანის მაჰმადისა, რომელიც იბრაიმმა მოკლა, ამ უკანასკნელმა რეგემ-ბეგი დროებით აღიარა ხანად, მაგრამ ცდილობდა მის ნაცვლად დაესვა მისი ძმა ჯავადი, რაც მოახერხა კიდევ. მაშინ განჯის სახანო ფაქტიურად იბრაიმისაგან დამოკიდებული აღმოჩნდა. <sup>35</sup>

1783 წლიდან უკმაყოფილება იბრაიმ ხანსა და ერეკლეს შორის სულ უფრო და უფრო მძაფრ ხასიათს იღებს და 1786 წლისათვის ისინი უკვე სერიოზულად უპირისპირდებიან ერთმანეთს. ამასთან დაკავშირებით ბუტკოვი წერს: „იბრაიმ ხანმა უღალატა იმ შეთანხმებას, რომელიც მას ერეკლესთან ჰქონდა დადებული 20 წელზე მეტი ხანია“. <sup>36</sup>

თუკი 1783 წელს დერბენდის ხანის ფეტ-ალის, იბრაიმ ხანის დიდი ხნის მოსისხლე მტრის, ყარაბაღზე თავდასხმის დროს ერეკლე, როგორც მოკავშირე,



იბრაიმის მხარეს იჭერს, 1785 წლისათვის ფექტიურად ღერბენდის ხანის მოკავშირე ხდება განჯისათვის ბრძოლაში. ამავე წელს მას ახალი შეთანხმება ჰქონია იბრაიმ ხანთან განჯის კვლავ ერთად მართვის თაობაზე, მაგრამ, როგორც ჩანს ამ შეთანხმებას შედეგი არ მოჰყოლია. ღერბენდის ხანს ერეკლესათვის შეუთავსებია ერთიანი ძალებით ბრძოლა იბრაიმ ხანის წინააღმდეგ, მისი ჩამოგდება და ყარაბაღის მელიქთა დაქვემდებარება ქართველთა მეფისადმი.<sup>37</sup>

1786 წლისათვის ერეკლეს იბრაიმის წინააღმდეგ ბრძოლის გარკვეული ტაქტიკა აქვს. „იბრაიმ ხანსა და ნუსხის ხანს შორის დიდი მტრობაა, რაც უკვე საქმიანთა კარგად ჩანს, — წერს ერეკლე 1786 წლის 2 ნოემბერს პ. პოტიომკინს, — მაგრამ ვცდილობთ ეს ორი ხანი შევარიგოთ, რომ შემდეგ ავამხედროთ და ერთობლივად ვაძოქმედოთ იბრაიმ ხანს შუშელის წინააღმდეგ“.<sup>38</sup> ამავე წერილში იგი განცვიფრებას გამოთქვამს იბრაიმის საქციელთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ მათ შორის არსებობდა დადებული ფიცის სიმტკიცე, ისინი იზიარებდნენ საერთო პოლიტიკურ ხედვებს და იბრაიმიც თანახმა ჩანდა რუსეთთან ურთიერთობის დამყარებისა, მაგრამ ხანის საშინელი რისხვა გამოუწვევია რუსეთიდან ჩამოსული სონხის მიერ მელიქებისათვის ჩანოტანილი წერილების აღმოჩენას, რის შემდეგაც მას მელიქის წოდება ჩამოურთმევია აბოსათვის, განაწყენებია საქართველოს და რუსეთის მფარველობაში შესვლაზეც უარი განუცხადებია.<sup>39</sup>

იბრაიმ ხანმა ჯერ კიდევ 1784 წელს მიმოწერა გამართა პორტასთან.<sup>40</sup> სანტერესთა ის ფაქტი, რომ ამ საქმეში მისი თანამოაზრენი ყოფილან ფეტ-ალი ხანი და ხოის ხანი ახმედი. როგორც ჩანს, ფეტ-ალი ხანს ერეკლესთან იბრაიმ ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში განჯის საკითხი აერთიანებდა, ხოლო რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ იბრაიმ ხალილი მიიჩნია.

პორტას მხრივ გამოჩენილი მხარდაჭერის შემდეგ იბრაიმ ხანს, როგორც ერეკლე აღნიშნავს, ფიცი გაუტეხავს და აშკარად მტრული მოქმედება დაუწყია: „არ გვსურდა განჯაში ხანის დაყენება, მაგრამ მან ეს გააკეთა, ახლა ერევნელებსაც წერილს სწერს, ჯარს უგზავნის და ყოველმხრივ ცდილობს ერევანი ჩამოგვაშოროს და თვითონ დაეუფლოს. ოდითგანვე ჩვენდამი დაქვემდებარებულ თათრებს წერს, რომ ისინიც განგვიდგინენ“; — წერს ერეკლე პ. პოტიომკინს 1787 წლის 2 ნოემბერს.<sup>41</sup> გარდა ამისა, 1787 წელს ერეკლეს ახალციხის სულეიმან ფაშასთან შეთანხმებისათვის მიუღწევია. იბრაიმს მივრიცხები ვაუგზავნია და ხოისა და ავარიის ხანებთან ერთად რჩევა მიუცია მისთვის — არავითარი ხელშეკრულება არ დაელო ერეკლესთან.<sup>42</sup> ორი თვით მოგვიანებით კი, ნაისის დასაწყისში, ერეკლე შეშუთებით ატყობინებდა პ. პოტიომკინს, რომ აღნიშნულმა ხანებმა ერევნის ხელში ჩაგდებაც მოიწადინეს... სწორედ ამ დროს მოვიდა ამბავი იბრაიმ ხანის ჯარების ნახჭევანში შესვლასთან დაკავშირებით იმ საბაბით, რომ აქ აბას ყული ხანის ძალაუფლება აღედგინათ, რაც ერევნის დაპყრობის რეალურ საშუალებას ქმნიდა.

ამ თვალსაზრისით ბურნაშევი 8 ივლისს ნეტად ამაღლევებელ სიახლეს იტყობინებოდა. ციციანოვს, რომელიც სპარსეთში იმყოფებოდა, მოუხდა თურქების მიერ აზერბაიჯანელი ხანებისადმი გაგზავნილი ფირმანის წაკითხვა. ამ ფირმანში ეწერა, რომ პორტა არ აღიარებდა ქართველი მეფის უფლებებს ერევანზე. ერზერუმისა და სხვა ფაშებს ნაბრძანები ჰქონდათ ქართველთა ჯარის წინააღმდეგ გაბოსვლა, თუკი ისინი ერევნის ტერიტორიაზე შემოვიდოდნენ. სარწმუნო ცნობები არსებობდა იმის შესახებ, რომ იბრაიმ ხანი ომარ ხანთან ერთად აპირებდა ამ სახანოს ხელში ჩაგდებას.<sup>43</sup>



როგორც ჩანს, იბრაიმის მოქმედების გამო ერეკლე იძულებული შეიქცა, რომ დაეწყო. მელიქებმაც ეს გამწვავებული ურთიერთობა თავისთვის ხელდასაყრდელ მომენტად მიიჩნიეს და უკვე აშკარად განუდგნენ იბრაიმ ხანს. იბრაიმ ხანსა და მელიქებს შორის არსებულ კონფლიქტს დაემატა კათალიკოსი ოვანესის ნაცვლად იბრაიმ ხანის მომხრე ისრაელ ეპისკოპოსის კათალიკოსად ხელდასმმა.

1787 წლის 14 სექტემბრის რაპორტში ს. ბურნაშევი პ. პოტიომკინს წერდა: „დილით მოვიდნენ მელიქ აბოსა და მელიქ მანკუნის წარმომგზავნილნი მეფისა მიხარო, (იოხოვდნენ), რომ ისინი გადაესახლებინათ საქართველოში. მელიქს აბომ მცველთაგან თავი დაიხსნა, გამოიქცა შუშიდან და თავისი ხალხითურთ ციხეში გამაგრდა; ასევე (მოიქცა) მელიქი მანკუნეცი და ელოდებიან მეფის დახმარებას, რადგან აშკარად აუჯანყდნენ იბრაიმს“.<sup>44</sup>


1787 წელს ერეკლე აგროვებს რამდენიმე ათასიან ჯარს და მელიქ მეჭუნესა და აბოს მოუწოდებს, შეუერთდნენ რუსთა ჯარს, რომელსაც ბურნაშევი მოუძღვის და მიემართება ყარაბაღისაკენ, რათა იქიდან წამოასხას მისი (ერეკლეს რ. ჭ.) ძორჩილი ბორჩალოელი თურქების 200 კომლი, რომლებიც აჯანყდნენ და ყარაბაღში გადავიდნენ.

ყარაბაღიდან ბორჩალოელი თურქების წამოყვანა ერეკლეს დაუვალდებია თავისი ვაჟის ოულონისათვის, მაგრამ მალევე პოტიომკინმა ბურნაშევი რუსეთში დაბრუნება უბრძანა. ერეკლემ რუსთა ჯარის დახმარების იმედი დაკარგა და ოულონიც უკან გამობრუნდა. ამ ნაბიჯმა ლაზვარი ჩასცა მეჭუნესა და აბოს.<sup>45</sup>

ბურნაშევის გაბრუნების შემდეგ, შერმაზანიანის თანახმად, მელიქები კვლავ ჯავად ხანთან დაბრუნდნენ, ხოლო ერეკლემ მასთან მოლაპარაკება გამართა. იბრაიმ ხანი 200 კომლს ბორჩალოელი თათრებისა უბრუნებდა ერეკლეს იმ პირობით, თუკი ჯავად ხანი მას გადასცემდა მელიქებს. ამ ფაქტს ადასტურებს ბუტკოვიც: „იბრაიმ ხანმა ყარაბაღის მელიქებს მეჭუნესა და აბოს წაართვა სამფლობელოები. ისინი თავიანთი დაქვემდებარებული პირების ერთი ნაწილით იმყოფებოდნენ განჯის ტერიტორიაზე იბრაიმ ხანი ითხოვდა მათ გადაცემას ჯავადისაგან და ონით იშუქებოდა, ჯავადი რჩევას ეეთხოვებოდა ერეკლეს, მეფე კი პასუხობდა, რომ მელიქები მათთან გადაეცა, როცა შუშის ხანი დააბრუნებდა საქართველოდან ლტოლვილ 290 ოჯახს ბორჩალოელი თათრებისა“.<sup>46</sup>

უნდა ვიფიქროთ, რომ მოლაპარაკება დაიწყო 1788 წელს, ან ცოტა მოგვიანებით, ყოველ შემთხვევაში განჯაზე ერეკლეს ლაშქრობის შემდეგ, (ამ ფაქტს კი 1788 წელს ჰქონდა ადგილი. ვ. ლევიატოვის თანახმად, „1788 წლის დეკემბრის თვეში ფაქ-ალი ხანმა და ერეკლემ დაიმორჩილეს განჯა“<sup>47</sup> ხოლო ამ ბრძოლაში ერეკლეს მოკავშირე ფეტ-ალი ხანი ვარდაიცვალა 1789 წელს. ერეკლემ განჯა 1791 წელს კვლავ დაკარგა). რადგან ჯავად ხანი როგორც დაქვემდებარებული პირი, რჩევას სთხოვს ერეკლეს.

ბუნებრივია, ამდაგვარი პასუხი ერეკლესაგან არ მოეწონებოდათ მელიქებს და ნას მოლაპარაკებაში დასდებდნენ ბრალს. იქნებ, სწორედ ამიტომ ეუბნება ჯავად ხანი სარგის ჰასან ჯალაღანცის თხოვლობაში ერეკლეს: „ღირსეულ კაცს არ შეძფერის თავმეფარებული კაცის მტრისათვის გადაცემა, როგორც შენ მოიქცი და გახდი მიზეზი ქალაქ-თბილისის აოხრებისა“-ო.<sup>48</sup> გაეისხენოთ ისიც, რომ სარგის ჰასან ჯალაღანცი ჰოვანეს ალბანთა კათალიკოსის ძმია, თანამედროვე და უშუალო თანამონაწილე აღწერილი ანბებისა. ვარდან ომეციის თანახმად კი, იგი მელიქ მეჭუნისა და განჯის ხან ჯავადის თანამზრახველად გვევლინება, ამიტომ მისი ცნობა მეტად ყურადსაღებია ამ ერეკლესაგან განდგარი ჯგუფის დამოკიდებულების გასარკვევად.



როგორც ვხედავთ, იგი თბილისის აონებების მიზეზად ერეკლეს მიერ „თავ-  
მფარებული კაცის“ მტრისათვის გადაცემას მიიჩნევს. როგორც ჩანს, სწორედ ამ  
პერიოდთან, 1788 წლიდან იწყება კონფლიქტი მეღიქებსა და ერეკლეს შორის.  
ისიც მხედველობაში მისაღებია, რომ ბურნაშევის რუსეთში დაბრუნების შემდეგ  
მეღიქები თავს არა ერეკლეს კარს, არამედ ჯავად ხანთან აფარებენ.

ჩვენ თავიდანვე გამოვსატეთ ჩვენი პოზიცია ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბე-  
ლიანის მიმართ ი. არღუთიანისაგან ერეკლეს დალატთან დაკავშირებით და, უნდა  
აღვნიშნოთ, რომ ამ ბრალდებას ვერავითარი საფუძველი ვერ მოუწახსნით. მიგვაჩ-  
ნია, რომ არღუთიანი ის პიროვნებაა, რომელიც თავისი სიცოცხლის ბოლომდე  
ერთგული დარჩა ერეკლეს პოლიტიკური კურსისა. მისი ღრმა რწმენით, სწორედ  
რუსეთი იყო ის ერთადერთი ძალა, რომელსაც სომხეთისა და საქართველოს ხსნა  
შეეძლო, ამიტომაც სრულიად გამოკვეთილი დამოკიდებულება ჰქონდა ყველა იმ  
პიროვნების მიმართ, ვინც რუსეთს ამიერკავკასიაში შემოსასვლელ გზას უღობავ-  
და.

1796 წლის 2 სექტემბრის მოხსენებით ბარათში ვ. ზუბოვის მიმართ ი. არღუ-  
თიანი ითხოვდა ალბას განჯისა, რომლის ხანსაც არ სურდა რუსეთის მფარველო-  
ბაში შესვლა და მას განჯის გავლით ყარაბაღში გადასვლას სთავაზობდა. მისი  
თვალსაზრისით, განჯას ყველაზე ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა ჯარის გა-  
დასანაცვლებლად ერეკლის სომხების დასახმარებლად, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ  
ამ წერილის ერთ-ერთი ბუნქტი და, ვფიქრობთ, ძირითადი, იბრაიმ ხანის გადაყე-  
ნების საკითხი იყო. „მის (იბრაიმ ხანის რ. ჯ.) ძირითად ძალას წარმოადგენენ  
სომხები, რომელნიც ბევრნი არიან, მამაცნი და გამბედავნი. (ისინი) რუსთა სამე-  
ფო ტახტის მიმართ თავიანთი გულწრფელი თავგანწირვისა გამო არა მხოლოდ  
იარაღს არ აღმართავენ რუსთა წინააღმდეგ, არამედ იბრაიმის დამსახურებულ  
სიკვდილსაც მხარს დაუჭერენ, თუკი ეს ვერაგი ვარეთ გამოვა“, — წერდა იოსებ  
არღუთიანი ვალერიან ზუბოვს.<sup>49</sup>

თუკი ი. არღუთიანი რუსეთის იმდროინდელი დამოკიდებულების გათვალის-  
წინებით იბრაიმ ხანის მიმართ (იბრაიმი სომ ალა-მამად ხანის წინააღმდეგ ბრძო-  
ლით ძალაუნებურად რუსეთის მომხრე აღმოჩნდა) დიპლომატიის მიზნით თავის  
1796 წლის 20 მარტის წერილში შუშის ხანსაც მეღიქ აბოვთან ერთად რუსეთის  
ერთგულ პიროვნებად სახავეს,<sup>50</sup> იმავე წლის 2 სექტემბრის მოხსენებით ბარათში  
ვ. ზუბოვისადმი ცდილობს რუსეთის სამეფო კარის წინაშე იბრაიმ ხანის ნამდვი-  
ლი სახის წარმოჩენას და ამ მიზნის მისაღწევად ვ. ზუბოვს თავის გეგმას სთავა-  
ზობს: „შემდეგ შესაძლებელია მდინარე მტკვარზე გადასვლა და დაბანაკება მუ-  
დანზე, შეიძლება გასცეთ ბრძანება შუშის ხან იბრაიმისათვის, რომ ან თვითონ  
გეახლოთ, ან თავისი უფროსი ვაჟი აახლოს თქვენს ბრწყინვალეობას სომეხი მეღი-  
ქებითურთ. თქვენნი ნების აღსრულება ცხადყოფს მის გულმოდგინებასა და ერთ-  
გულებას რუსეთის მიმართ... აუცილებელია იბრაიმ ხანისაგან მოითხოვოთ ვაჟი  
1000 ვატიანი რაზმითურთ და ზუთივე მეღიქის გამოსვლა თავთავიანთი ზუთ-ზუ-  
თი ათასიანი ჯარით სხვადასხვა დანიშნულებისათვის... თუკი შუშის ხანი იბრაიმი  
თქვენი მოთხოვნის შესრულებას არ ისურვებს, ცხადი გახდება მისი ორგული და  
ვერაგი, მატყუარა ბუნების ამბავი. ამ შემთხვევაში შეგიძლიათ სომეხი მეღიქების  
იმედი იქონიოთ. ისინი ხელს შეუწყობენ იბრაიმის დამსახურებას, ჩამოართმევენ მას  
ციხესა და (ხანის) მალაღ ტიტულს“.<sup>51</sup>

ვარაუდს, რომ ერეკლეს სომხური დაპირისპირებული ჯგუფი ჰყავდა, როგორც  
ვხედავთ, სერიოზული საფუძველი გააჩნია და მას თავისი მიზეზები აქვს, მიზე-  
ზები, რომლებიც უშუალო კავშირში იმყოფებიან ერეკლე მეფის პოლიტიკასა და

თვით მას, იბრაიმ ხანს, ჯავად ხანსა და მეღიქებს შორის არსებულ ურთიერთობებთან.

ერეკლესი

ერეკლე მეორეს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა არა მხოლოდ სომეხთა შორის, მედ ქართველთა შორისაც, მაგრამ მათ რიცხვში ი. არღუთიანის მოხსენიება, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ყოველად გაუმართლებლად მიგვაჩნია. სომეხი მეღიქ მეზუნუნი, მეღიქ აბო და ყაჯარი ჯავად ხანი ალა-მაჰმად ხანის მიერ ქალაქ თბილისის დაბრუნების არა მხოლოდ მონაწილენი, არამედ გარკვეულ წილად ინიციატორებიც აღმოჩნდნენ, მაგრამ, უნდა ითქვას ისიც, რომ თავიანთი ვიწრო ინტერესების გამო ერეკლესაგან განდგომით მათ ფაქტიურად თავის ქვეყანასაც უღალატეს და საქართველოსთან ერთად თავიანთი მომხენიც სასიკვდილოდ გაიშტეტეს.

## შ ა ნ ი შ ვ ა ზ ი

1. იხ. 1795 გ. 23 января «Историческая справка о карабахских меликах составленная Иосифом Аргутинским», Армяно-русские отношения в XVIII веке, т. 4, Ереван, 1990 г., с. 384.

1783 г., 15 марта «Письмо мелика Абова Иосифу Аргутинскому», Армяно-русские отношения в XVIII веке, т. 4, Ереван, 1990 г., с. 236 (სომეხრად).

1798 г., 9 марта «Прошение меликов Джимшида и Фридона Павлу I», Армяно-русские отношения в XVIII веке, т. 4, Ереван, 1990 г. с. 472.

2. А. Р. Иоаннисян, Россия и армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия, Ереван, 1947, с. 103—104.

3. А. Р. Иоаннисян, დასახელებული ნაშრომი, გვ. 186.

ბახტანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ცნობას გვაწვდის ბუტკოვი, რომლის თანახმადაც „მეზუნუს, აბოსა და იუსუფს გაქცევა მოუხერხებიათ, ხოლო მეორე თუ მესამე დღეს, 1784 წლის 15 ივნისს, ხანის ბრძანებით ციხეშივე დაუსრჩევიათ ბოლდანი და კათალიკოსი“ Бутков, «Материалы для новой истории Кавказа», СП, 1869, 194. ამავე ცნობას გვაწვდის ვალუსტ შერმაზიანიც.

იხ. აგრეთვე «Прошение меликов Джимшида и Фридона Павлу I, Армяно-русские отношения в XVIII веке, т. 4, Ереван, 1990, с. 472.

4. А. Р. Иоаннисян, დასახელებული ნაშრომი, გვ. 32.

გვხვდება აგრეთვე ფორმა ღუზადიც იხ. «Историческое описание о карабахских меликах составленное И. Аргутинским» (სომეხრად) Русско-армянские отношения в XVIII веке, т. 4, Ереван, 1990 г, с. 210—211. აგრეთვე ფორმები „ტიზაკ ანუ ღუზახ“ — რაიცი, „ხამხის სიმელოები“ (სომეხრად); იბ., 1882 წ., გვ. 4.

5. А. Р. Иоаннисян, Иосиф Эмин, Ереван, 1945 г., с. 126.

6. А. Р. Иоаннисян, Россия и армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия, Ереван, 1947, с. 209.

7. «Письмо Иосифа Аргутинского Г. А. Потемкину», Армяно-русские отношения в XVIII веке, т. 4, Ереван, 1990, с. 321 (სომეხრად).


8. «Письмо Иосифа Аргутинского П. А. Зубову», Армяно-русские отношения в XVIII веке, т. 4, Ереван, 1990, с. 397.

9. А. Р. Иоаннисян, «Иосиф Эмин», Ереван, 1945 г, с. 13 ი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აგრეთვე — Г. А. Эзов, Начало сношения Эчмиадзинского патриаршего престола с русским правительством, Тб., 1901 г., с. 66—67.

10. Хубов, Описание достопамятных происшествий в Армении, СПб, 1811 г.

1779 წლის ერევანზე დაშტრობის შემდეგ ერეკლემ საქართველოში გადმოსახლა არარატის ქვეყნის 8 სოფლის — ბახუთისის, ბლურის, ალეთლუს, ევვილარის, ქიალკარხის, შამარარის, ღურღურღურს და აშტარაკის მოსახლენი; რომლებიც დაფუძნდნენ გორში, ავღამარსა და სოღანდულში; იხ. სომეხი ხალხის ისტორია, ტ. 4, 1972, გვ. 193. (სომეხრად).

ამ დაშტრობის შემდეგ ერეკლესა და პუსეინ ხან ერევანულ შორის ნორმალური ურთიერთობა მხოლოდ 1782 წელს აღდგა. 1785 წლისათვის კი ერევნის სსხანომ კვლავ შეუწყვიტა ერეკლეს ხარკის გადახდა.



11. დიხაკის შერთვ სახელია აგრეთვე ტუვი იხ. А. Р. Иоаннисян, Россия и армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия, Ереван, 1947, с. 259. Ахмед Джавашир, История карабахского ханства, Баку, 1961 г., с. 70.

გულესტანი იხსენიება ტალიშად იხ. А. Р. Иоаннисян, დასახელებული ნაშრომი, გვ. 16, აგრეთვე იკონშიდითორტად იხ. Армяно-русские отношения в XVIII веке, т. 4, Ереван, 1990, с. 496; იქვე — «Из дневника Иосифа Аргутинского», с. 153 (სომხურად).

12. ყარაბაღის ვილაეთი, რომელსაც თავისი ცენტრის ვანაკის ან განჯის სახლის გამო განჯის საბეგლარბეგოსაც უწოდებდნენ, მოიცავდა უდიდეს ტერიტორიას, მოთავსებულს მდინარე მტკვრისა და აზიზხაშდ. მის შიგან რაიონებში ცხოვრობდა კომპაქტურად დასახლებული სომხური მოსახლეობა. მე-18 საუკუნეში, კერძოდ, ნადარის შენდღე (1747 წ.) ისინი გაერთიანდნენ სახელწოდება „სამსა“-ს ქვეშ. სამსა არაბულად ნიშნავს შუთს.

ყარაბაღის ვილაეთი შედგებოდა 5 სამედიქოსიდან. თითოეულ მიოვანს სომეხი მედიკი ედგა სათავეში. სიტყვა მედიკი გამოიყენებოდა ირანში ყველა იმ თანამდებობის პირისა თუ განმგებლის მნიშვნელობით, რომლებიც ინიშნებოდნენ საზოგადოების ქრისტიანული ფენიდან, მაგრამ ამავე დროს ასე იწოდებოდნენ ყარაბაღის ნახევრადამოუკიდებელი სომეხი მმართველებიც, რომელთაგან უმეტესობა სომხური ფეოდალური გვარის რუშუალი შთამომავალი იყო. (იხ. ლევ. სავაგოვ კაპიტალი ერევანი, 1934, გვ. 152) (სომხურად).

თავდამირველად „სამსას“ საერთო მმართველად დაინიშნა დიხაკის მედიკი. ცოტა ნოვგინე-ბით, როცა დაშალა ეს ერთობა და შუშაში დადუნდა დანა ხანი, ვილაეთის ჩრდილოეთი ნაწილები ცენტრითერთ გამოიყო და იქცა განჯის სახანოდ, რომელიც მუზომელი ჯუზურ სედის ანუ ერევანის სახანოსთან ერთად ეპასალურ დამოკიდებულებაში მოექცა ქართლ-კახეთის ვადისაგან იხ. სომეხი ხალხის ისტორია, ტ. 4, 1972, გვ. 251 (სომხურად).

სტუფანე ბურნაშვეს თანახმად, სიღნაღი სომხური პროვინცია ყოფილა; რთიგლსაც შამაპასი დაპატრონებია და უქცევია იგი თავის სამეფო მამულად. ეს ტერიტორია მას დაუყვია 5 ოლქად და თითოეულს სათავეში ადგილობრივი ნევიდარი — ქრისტეანე მმართველი დაუყენებია.

ყარაბაღის სინონიმად იყენებს ოსებ არღუთიანიც „სიღნაღს“ იხ. «Из дневника Иосифа Аргутинского», Армяно-русские отношения в XVIII веке, т. 4, с. 153 (სომხურად) და ტრეკლე მეორეც თავის წიგნში პ. პოტომკინისადმი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 345.

13. თ. პიკოპიანი, სომხეთის ისტორიული გეოგრაფია, ერევანი, 1968, გვ. 358. (სომხურად).

14. Историческое описание о карабахских меликах, составленное Аргутинским, Армяно-русские отношения в XVIII веке, Ереван, 1990, с. 212 (სომხურად).

15. Историческое описание о карабахских меликах, составленное Аргутинским, Армяно-русские отношения в XVIII веке, Ереван, 1990, с. 212 (სომხურად).

16. А. Р. Иоаннисян, Иосиф Эмин, Ереван, 1945, с. 204—207.

17. Мирза Ади-Гезал Бек, Карабаг-наме, Баку, 1950, с. 74.

18. Армяно-русские отношения в XVIII веке, т. 4, Ереван, с. 252, 255.

19. Прощение мелика Джимшида Павлу I, Армяно-русские отношения в XVIII веке, т. 4, Ереван, 1990, с. 494 (სომხურად). იხ. აგრეთვე Прощение меликов Джемшида и Фридона И. В. Гудовичу, დასახელებული ნაშრომი, გვ. 460—461.

20. А. Р. Иоаннисян, Россия и армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия, Ереван, 1947, с. 38.

21. რუსეთის სახელწოდებებზე ინტერესების შესაბამისად საჭირო იყო სპარსული ვაულების სფეროდან არა მხოლოდ ღარაბადის, არამედ ერევნის განთავსებულება. რუსეთს მისნად ჰქონდა ერევნის სახანოს მართვა სომხეთის სახელმწიფოს საზღვრებში. 1783—4 წლებში რუსი ხელისუფალი ვოევოდებზე ცდილობდნენ როგორც ყარაბაღის, ასევე ერევნის სომხებთან კავშირის დამყარებას. სომეხები ხალხით აწარმოებდნენ მიმოწერას საიდუმლოდ როგორც პ. პოტომკინთან, ასევე არღუთიანთან. მთავარი რუსი აგენტია ერევანში იყო დიკვანი სტუფანე ტრესაკიანი. იხ. А. Р. Иоаннисян, Россия и армянское освободительное... с. 111—113.

22. А. Р. Иоаннисян, Россия и армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия, Ереван, 1947, с. 69.

23. ვალესტ წერმაზანიანი, მასალები ეროვნული ისტორიისათვის სპარსეთში მყოფ ნეტარ სომეხთა შესახებ, როსტოვი, 1890, გვ. 54 (სომხურად).

ყარაბაღში ადგილობრივ სომხურ ეკლესიას სათავეში ედგა ალბანთა კათალიკოსი; რომელსაც ემორჩილებოდა მეზობელი სომხური ოლქების სანდუკდევლოებაც. კათალიკოსი ცხოვრობდა განძასარის მონასტერში, ხანენის სამედიქოს ტერიტორიაზე, ამიტომაც მას განძასარის კათალიკოსაც



უწოდებენ A. P. Иоаннисян, Россия и армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия, Ереван, 1947, с. 17.

რუსეთში მეტეორები სომხების სულიერი მოძღვარი, როგორც წესი; იხილეთ *სომხური კათალიკოსის მიერ. 1749 წელს ეს ტრაგიკული დიპლომატიური დოკუმენტი* და რუსეთში მაცხოვრებელი სომხები შევიდნენ განაპირის კათალიკოსის ეპარქიაში. ამგვარი ერთობა გაგრძელდა 17 წელი. 1766 წელს სინონ ერთმანეთს ემშობინა მოაწყო საქმისათვის კრება, სადაც გადაწყდა, რომ ამ სახებით კრძალი წერილით მიმართო ეკატერინე II-თვის და მისი შვილის მიერ პეტრეს იხსნათ.

ეკატერინემ კეთილად მიიღო წერილი და 1768 წლის 20 ივლისს სიძლიერე ადგილი ემშაინის უფლებები რუსეთში მოსახლე სომხებს ნიშნით — სომეხი ხალხის ისტორია, ტ. 4, ერევანი, 1972, გვ. 198 (სომხ.).

24. A. P. Иоаннисян, Россия и армянское освободительное... с. 94.

25. A. Иоаннисян, Россия и армянское освободительное... с. 129.

26. A. Иоаннисян, Россия и армянское освободительное... с. 74.

27. Ади-Гезал Бек, Карабаг-наме, Баку, 1950, с. 74.

28. Ади-Гезал Бек, Карабаг-наме, Баку, 1950, с. 72—75.

29. გალუსტ შერმაზანიანი, მასალები ეროვნული ისტორიისთვის სპარსეთში მყოფ ნეტარ სომეხთა შესახებ, როსტოვი, 1890, გვ. 52 (სომხურად).

30. Ади-Гезал Бек, Карабаг-наме, Баку, 1950, с. 76.

31. ბუტკოვის თანახმად, 1766 წელს თბარ ხანი ცოლად ირთავს იბრაიმ ხანს დას ბუტკოვ, Материалы для истории Кавказа, т. I, гл. 131, СПб, 1869, с. 189. ადი-გეზალ ბეის ნიხედვით, თბარ ხანს და ბიბრა-აღა ხდება იბრაიმ ხანს მუდღეუ ადი-გეზალ Бек, Карабаг-наме, Баку, 1950, с. 74. ამუდებუ გაჯანშირის თანახმად, იბრაიმ ცოლად ირთავს ავართ იმარ-ხანს დას ახმეტბეკ Джаваншир, История карабахского царства, Баку, 1961, с. 74.

32. A. P. Иоаннисян, Иосиф Эмин, Ереван, 1945, с. 101.

33. «Изъяснение» армянина Давида Аванесова П. С. Потемкину: Армяно-русские отношения в XVIII веке, т. 4, Ереван, 1990, с. 318.

34. A. P. Иоаннисян, Иосиф Эмин, Ереван, 1945, с. 257.

35. A. P. Иоаннисян, Иосиф Эмин, Ереван, 1945, с. 182.

თან ხერხეულიერ გადმოგვცემს, რომ ჯავად ხანი იყო განჯის ხან შაჰერდის შვილი, რომელიც გაიქცეულ იქნა განჯიდან ორგულობისა და ვაიცირობის გამო ერეკლეს მიმართ. (იგი ვაჯართა საგვარეულოს წარმომადგენელია რ. ჯ.). მოგვიანებით (უნდა ვიფიქროს 1788 წელს რ. ჯ.) ერეკლე ერთგულებზე აფიქრებს ჯავადს და განაგებს მას უბრუნებს, მაგრამ, როგორც ირეკლე, რომ სორის ურთიერთობა ბოლომდე ვერ მოწყობიდა, ვინაიდან 1791 წელს, ირანის მმართველთა მიერ აზერბაიჯანის დამორჩილების შედეგად ქართლ-კახეთის სამეფომ დაკარგა განჯის სახანი.

აღნიშნულ ფაქტს, ანუ განჯაზე მთავრად გალაშქრებას, როგორც უკვე ვიქვით, ადგილი უნდა ჰქონოდა 1788 წელს. ბუტკოვის მიხედვით, ერეკლე მოკავშირე ამ ბრძოლაში ყოფილა ფეტ-ალი ხანი და შაქს მანად ჰუსეინ ხანი. „მეფე ერეკლემ დამორჩილა ჯავად ხანი. იგივეს სურდა ნისთვის ხანობის ჩამორთმევა და თავისი წარმომადგენლის დასა, მაგრამ მოკავშირეებსა ვადააფიქრებანს“ ბუტკოვ, Материалы для истории Кавказа, т. II, 1869, СПб, с. 278. იგივე წყაროს თანახმად, (გვ. 183) ამ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება შეუთავაზებია იბრაიმ ხანსაც — „იბრაიმე შეუთავაზოდა განჯას, მეთხონ ეჩქერესებს საბრძოლვერად და ჯარით დახმარება შესთავაზა, მაგრამ მეფე არ ენო ხს“.

36. Бутков, Материалы для истории Кавказа, т. II, гл. 132. СПб; 1869, с. 178.

37. A. P. Иоаннисян, Россия и армянское освободительное движение в 80-х годах XVIII столетия, Ереван, 1947, с. 168; Бутков, Материалы для истории Кавказа, т. II, 1869, СПб, с. 183.

განჯა ერეკლეს ეკუთვნოდა 1760 წლიდან. ეს მიწა მას ქერამ ხანმა უბოძა ერეკლეს ზღუდუნუნობით აზატ-ხანის ხელში ჩაგდებას შედეგად. ამჟამ დროს სკოპ ქერამ ხანმა ერეკლე ქართლ-კახეთის მეფედ და აღიარა მისი უფლება ერეკლის სახანოზე. (ან. ზ. შარაშინი, ირანი 16-18 საუკუნის II ნახევარში, თბ., 1940 წ., გვ. 49).

შირზა-ფუსუფ ვარაზდელის თანახმად, „განჯის ხელში ჩაგდება დადი ხანმა სურდა იბრაიმ ხანს. იბრაიმ ხანი მისმა მამამ თანახმანმა იძულებით მიეცა და გადასცა ვათალი ხან (ფეტ-ალი რ. ჯ.) ავშარს, რომლის წინააღმდეგაც იბრაიმ იგი განჯის დაუფლებსათვის“. ადი-გეზალ ბეის მიხედვით კი, იბრაიმ ხანი ფეტ-ალი ხანს სურვილით მოტაცებულ იქნა.

თავის სამფლობელობის გაფართოების შემდეგ ფეტ-ალი ხანის მიწები უშუალოდ გაემიჯნა იბრაიმ ხანს მიწებს. იბრაიმ ხანი შეპყრობილი იყო ფეტ-ალი ხანის მოქმედებით, რადგან მას სურდა



ობრაში თავისთვის დაქვემდებარებინა. ფეტ-ალი ხანს სურდა თავისი განზარაბვა სისრულეში მო-  
 ლაპარაკებს გზით წოეყანა. ამ მიზნით მან 1779 წელს შუამავლად გაგზავნა თავისი სიძე, აქრის ხანი  
 ხანი ხოჯა მულაჰი მუჰამედი, მაგრამ იბრაიმ ხანმა იგი დატყვევა, რის შემდეგაც მათ შორის  
 ურთიერთობა გამწვავდა. Левитанов, Очерки из истории Азербайджана в XVIII веке, Баку,  
 1948, с. 141.

ამხედვეკ ჯავანშირის თანხმად ეი, ყარაბაღის ხანსა და ღერბენდის ფეტ-ალი ხანს შორის  
 ურთიერთობა კვრ კიდევ 1752 წელს გაფუჭებულა. როდესაც ფეტ-ალიმ შუშის ციხის აღება გა-  
 ხიზრახა და ასტიკად დამორცხდა ფანა-ხანთან ბრძოლაში, ეშპაკობას მიმართა. ვითომდა დანოქე-  
 რებს მისწით თავისთან მიიწვია ფანა-ხანი, მისი ჯავი იბრაიმ ხანელი და ისინი თავის ენახლად  
 ეპაოცხადა (იხ. Ахмедбек Джаваншир, История карабахского ханства, Баку, 1961, с.  
 73). ისინი ტყვეობიდან ქერამ ხანმა დაიხანა (დასახელებული ნაშრომი, გვ. 74).

38. Письмо Ираклия II П. С. Потемкину, Армяно-русские отношения в XVIII ве-  
 ке, т. 4, Ереван, 1990, с. 346.

39. დასახელებული ნაშრომი, გვ. 346.

40. А. Р. Иоаннисян, Иосиф Эмин, Ереван, 1945, с. 165.

41. Письмо Ираклия II П. С. Потемкину, Армяно-русские отношения в XVIII ве-  
 ке, т. 4, Ереван, 1990, с. 345.

იბრაიმ ხანის წერილი პორტასადმო (1787 წ.) ბურნაშევმა გაუგზავნა პ. პოტიომკინს. წერილ-  
 ში ნათქვამი: „ეცოდლაძოწყადეო ზელწოდდე, ნებანებელი დროთა და ემთა, დახმარებას მოველით  
 თქვენგან და, თუკი იმედს არ გავგიტყუებთ, ჩვენს მტრებს თავდაცირა დაეყენებთ“ (იხ. Из ра-  
 порта С. Д. Бурнашева П. С. Потемкину, Армяно-русские отношения в XVIII веке,  
 т. 4, Ереван, 1990, с. 353).

„გარნა ზენობსენებულესა ფერისა და შურისა გამო გამოთქეს მუნ ყოფი იგი კაცი მეფის ირაქ-  
 ლისა თავადი ანდრონიკაშვილი მდიანხვეცი ქაიხოსრო. შეიყვანეს იგივე მემკვიდრე ჯავაღ-ხან და  
 დასწეს ხანად“ — წერს თმან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა, თბ., 1989, გვ. 72.

42. А. Р. Иоаннисян, Иосиф Эмин, Ереван, 1945, с. 182.

ზუტკოეის თხზულებაში Материалы для истории Кавказа არის ცნობა იმის შესახებ, რომ  
 სოის მან ასწდთან კავშირში იყო იბრაიმ ხანი (1784 წ.). მათ მიზნად ქონდათ თავიანთი აღება და  
 ხადაელის შუახე გაყოფა. კარდა აშასა, მიღებული პქონდათ გადაწყვეტილება, რომ სელში ჩაეკდებ-  
 დნენ ხანუქვანს და მოუერთდნენ მას იბრაიმ ხანის სამფლობელოებს. იბრაიმ ხანს სურდა ხანუქ-  
 ვანში აღდგინა აღი-მურად ხანის იმპაპანელის მიერ 1783 წელს ჩამოგდებული აბას ყული ხანი,  
 რონელიც იბრაიმთან ეძებდა მფარველობას. გვ. 176.

მოკავშირეებმა 1785 წელს ალყა შემოარტყეს თავიანთს და იგი ამავე წლის ზაფხულში აწმად  
 ხანის სელში გადავიდა. იბრაიმ ხანი მოტყუებულ იქნა. მას არაფერი მისუღია. ხანუქვანელი ჯავარ  
 ყული ხანი მიიღო თავის მფარველობაში საკუთარი ხანფლობელოების საზღვართა გაურცობის მიზ-  
 ნით. აწმად ხანმა 1785 წელს თავისი ქალიშვილი ერენის მამამდ ხანს მიათხოვა. ამგვარად, სოის  
 მანა ახსადა განაგებდა ერენის საქმეებს ერეკლეს საწინააღდე. იგი მოკლულ იქნა 1786 წელს.  
 გვ. 177.

43. А. Р. Иоаннисян, Иосиф Эмин, Ереван, 1945, с. 183.

44. Репорт С. Д. Бурнашева П. С. Потемкину, Армяно-русские отношения в XVIII ве-  
 ке, т. 4, Ереван, 1990, с. 357.

45. ვალუსტ შერმაზანიანი, მასალები ეროვნული ისტორიისათვის სპარსეთში ყყოფ ნეტარ სო-  
 მხთა შესახებ, როსტოვი, 1890, გვ. 55—57 (არნხურად).

26 ივლისს მიღებულ იქნა ცნობა იმის თაობაზე, რომ 1500 ყაზახთა ოჯახი აიშალა თავიანთი  
 საცხოვრებელი ადგილებიდან და დააპრა ყარაბაღისაკენ. 2 აგვისტოს უფლისწული თულონი იტრო-  
 ბინებოდა, რომ ყაზახები შეუერთდნენ შამშადილებს და განჯის ხან ჯავადთან ერთად გამოუგზავ-  
 ნეს მოსთხოვნა დანარჩენ თავის თანატომელებს, მიეძამათ მათი მადგლითისათვის (იხ. А. Р. Иоан-  
 нисян, Иосиф Эмин, Ереван, 1945, с. 184. ვიქტორბოთ, აღნიშნულ მოვლენას ადგილი ჰქონდა  
 1787 წ. რ. გ.).

46. Бутков, Материалы для истории Кавказа, т. II, СПб. 1869, с. 281.

47. В. Н. Левитанов, Очерки из истории Азербайджана в XVIII веке, Баку, 1948,  
 с. 152.

48. სარგის პასან ჯალღლიანიცი აღა-მამამდ ხანის არცახზე ლაშქრობის შესახებ, რ. ტიტანიანი,  
 სომხური წყაროები აღა ნამამდ ხანის ამიერკავკასიაში ლაშქრობის შესახებ, ერევანი, 1981, გვ. 162.  
 (სომხურად).



49. Из справки, представленной Иосифом Аргутинским В. А. Зубову, Армяно-русские отношения в XVIII веке, т. 4, Ереван, 1990, с. 436—437.

50. Письмо Иосифа Аргутинского П. А. Зубову, Армяно-русские отношения в XVIII веке, т. 4, Ереван, 1990, с. 425 об. აკრუთვე Письмо Иосифа Аргутинского генералу И. Д. Савельеву, Армяно-русские отношения в XVIII веке, т. 4, Ереван, 1990, с. 423. სხვადასხვა ავტორების მიერ დაკრუთვნილი, პოპულარული არსებობს რუსთა ჯარების 1796 წლის ანექსიის შესახებ მასალები, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი, 1987 წ., № 3, გვ. 85 (სომხურად).

51. Из справки, представленной Иосифом Аргутинским В. А. Зубову, Армяно-русские отношения в XVIII веке, т. 4, Ереван, 1990, с. 437.

Р. Г. ЧУБАВРИЯ

## ПРОЯСНЕНИЕ ПРИЧИН ПРОТИВОСТОЯНИЯ «АРМЯНСКОЙ ГРУППИРОВКИ» ИРАКЛИЮ II

### Резюме

В грузинских письменных источниках имеются сведения о наличии армянской группы, направленной против Ираклия II, с помощью членов которой было осуществлено вторжение Ага Магомет хана в Тбилиси в 1795 году.

Во главе этой группы стояли карабахские мелики—армяне Меджлум и Або (Апо), а также ганджийский хан Джавад, по происхождению Каджар.

Разъяснение причин противостояния связано с изучением политики Ираклия II и с теми взаимоотношениями, которые установились между самим Ираклием II, карабахским ханом Ибраимом, ганджийским ханом Джавадом и с карабахскими меликами во второй половине XVIII века.

R. CHUBAVRIA

## ELUCIDATION OF THE CAUSES OF THE OPPOSITION OF ARMENIAN GROUPS TO IRAKLI II

### Summary

Georgian written sources contain information about the existence of an Armenian group directed against Irakli II, whose members helped Agha Mohammed Khan to invade Tbilisi in 1795.

This group was headed by Karabakh meliks: Armenians Mechnun and Abo (Apo) as well as Javar, Khan of Ganja, who was Qajar by extraction.

Clarification of the causes of the opposition is connected with the study of the policy of Irakli II and with the interrelations established between Irakli II, Ibraim Khan of Karabakh, Javad, Khan of Ganja, and the Karabakh meliks in the second half of the 18th century.



### თბა შურლინი

### ამირ ყოლი ამინის „ღასთნაჰაჰა ანსალ“

სპარსული ანდაზებისა და ხატოვანი თქმების მიმართ ინტერესი ირანში ადრეული საუკუნეებიდან იჩენს თავს, თუმცა მათი ცალკეულ კრებულებად გაერთიანება მოგვიანებით მოხდა. ანდაზებს, აფორიზმებს, იდიომებს უზვად ვხვდებით კლასიკური ხანისა თუ თანამედროვე ირანელ პოეტთა და მწერალთა შემოქმედებაში. უთუოდ ამ გარემოებით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ირანში შედგენილ ანდაზათა კრებულებში ნიმუშების დიდი ნაწილი (ზოგჯერ უმეტესობა) ე. წ. „ლიტერატურული“ წარმოშობისაა. ჩანს, უსაზღვროა მოწიწება კლასიკოსებისადმი, რადგან ზოგი შემდგენელი მათ, თითქოს გამორიცხავს ფოლკლორული მასალით სარგებლობის შესაძლებლობას, ამა თუ იმ ანდაზის ან გამოთქმის ერთპიროვნულ ავტორად მიიჩნევს.

ფოლკლორის ამ ქანრით მეცნიერული დაინტერესება ირანში, შეიძლება ითქვას, XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. პირველ სერიოზულ ნაბიჯს ამ გზაზე წარმოადგენდა ალი აქბარ დეჰხოდას სქელტანიანი ნაშრომი „ამსალ ვა ჰეჰამ“ > „ანდაზები და აფორიზმები“ > 4 ტომად < 1931 წ. < [1]. ძალზე დიდი ამირ ყოლი ამინის დამსახურება ირანის ფოლკლორისტიკის განვითარების საქმეში. მის მიერ ხანგრძლივი სავლე მუშაობის შედეგად შეკრებილი მასალა, ჩენი აზრით, გაცილებით მეტი ღირებულების მქონეა, ვიდრე დეჰხოდას დასახელებული ნაშრომი.

გაზეთ „ესკაჰანის“ რედაქტორმა ამირ ყოლი ამინიმ გამოცემლობა „ქვეინ-ნის“ მეშვეობით და ხარჯებით ბერლინში ჰიჯრის 1339 წ. < 1920 > გამოაქვეყნა თავისი ერთი წლის გარჯის შედეგი — მცირე ზომის წიგნი ჰეზარ ვა აქ სოხან“ < „ათას ერთი სიტყვა“ >, რომლის წარმატებამაც კიდევ უფრო გააღრმავა მისი ინტერესი ხალხური ზეპირსიტყვიერების მიმართ. ამირ ყოლი ამინი აქტიურად აგროვებს ირანის, განსაკუთრებით კი ისპაჰანის ოლქის მკვიდრთა შორის გავრცელებულ ანდაზებსა და ხატოვან გამოთქმებს, მათთან დაკავშირებულ არაკებს. ამ საქმიანობას მან თითქმის ორი ათეული წელი შეაღია. ბედნიერი აღმოჩნდა მისთვის შესხედრა კულტურის მინისტრთან ალი ასყარ ჰეჰათისთან, რომელიც ამინის მიერ შეკრებილი მასალით ძალზე დაინტერესდა და მისი გამოცემა განიზრახა. 15 თვის მძიმე შრომის შედეგად ამირ ყოლი ამინიმ შეკლო თავისი ჩანაწერების მოწესრიგება და ორ ტომად < სათაურებით: „ამსალე ზაჰანე ფარსი“ [2] და „ღასთნაჰაჰა ანსალ“ > გამოსაცემად მომზადება. იმავდროულად ჩაიწერა 100 ისპაჰანური ზღაპარი. 27 მათგანი ცალკე წიგნად < „აჰსანეჰაჰე ესკაჰან“ > აკნბა. ამგვარად სამ წიგნად გამიზნულმა ამ მასალამ, საბოლოო ჯამში. 800 გვერდი შეადგინა. კულტურის მინისტრის შეცვლა შეიქნა ამინის აზ-


რით იმის მიზეზი, რომ გამოსაცემად გამზადებულმა ტომებმა სამინისტროს ტექნიკური საცავის თაროზე შეიდი წელი დაჰყო. გაზეთ „ეთუელანთ“-ის მონაცრედაქტორის მოჰამად ალი მასუდის დახმარებით, ბოლოს და ბოლოს, 1945 წ.

< 1324 > ნაშრომი იხილა მკითხველმა.  
წინასიტყვაობაში ამირ ყოლი ამინი შენიშნავს, რომ მის კრებულს არა აქვს პრეტენზია, იყოს მთელი სპარსული ანდაზების, იდიომებისა და არაკების მომცველი და იქვე დასძენს: „ერთი კი დანამდვილებით ვიცი და თამამად შემიძლია ვამტყვიცო; ამ წიგნში თავი მოვუყარე ისპაჰანის შაჰრესთანის არაკის მქონე ანდაზათა 9/10-ს და სპარსულ იდიომთა 2/3-ს“ ([3], გვ. 9). აქვე მოთხრობილია იმ სირთულეების შესახებ, რომელიც ევლზე მუშაობას ახლდა. ზოგი გამოთქმის შესაბამისი არაკის მოძიებას წლები და ასობით ადამიანის გამოკითხვა დასჭირდა. „არაერთხელ ყოფილა: — წერს ამინი, — ყოველი ასი გამოკითხული კაციდან 99-ისაგან უარყოფითი პასუხი მიმიღია, 50%-ზე მეტი კი ჩემს კითხვაზე რამდენიმე უბრალო და ცნობილი გამოთქმის მეტს ვერაფერს იხსენებდა“. ([3], გვ. 7). ამირ ყოლი ამინის ეს ნაშრომი კიდევ ორჯერ — ჰ. 1333 და 1351 წწ-ში < 1954, 1972 > გამოიცა. მეორე გამოცემას დაემატა 41 არაკი < სულ 284 >, ხოლო მესამეში მათი რაოდენობა 519-მდე გაიზარდა. ჩვენ, სამწუხაროდ, მხოლოდ მესამე გამოცემაზე მიგვიწვდა ხელი.

„დნსთნჰჰჰაე ამსალ“-ის < ანდაზებთან და იდიომებთან დაკავშირებული ამბები > უკანასკნელი გამოცემა 1500-იანი ტირაჟით ბაჰმანის თვეში ჰ. 1351 წ. < 1972 > განხორციელდა ისპაჰანში [3]. კრებული 535 გვერდს მოიცავს. ძირითად ტექსტს < გვ. 11—482 > წინ უძღვის შემდგენლის წინასიტყვაობა მესამე გამოცემისათვის < გვ. ალფ-ბე >, ღურჭუმის უნივერსიტეტის ლექტორის ბ-ნ ბეგლის წინათქმა < გვ. ფე-სე > [4], პატივცემული მოძღვრისა და სახელოვანი მწერლის ბ-ნ ჯემალ ზადეს აზრი „ჭარბანვე ავამ“-ისა < „ხალხური ლექსიკონი“ > და „დნსთნჰჰჰაე ამსალ“-ის შესახებ < გვ. ჯე-ხე >, შესავალი < გვ. 5—10 >. ძირითად ტექსტს მოსდევს დანართი < გვ. 483—506 >, წიგნში შესულ გამოთქმათა საძიებელი < გვ. 507—524 > ასეთივე საძიებელი დანართისათვის < გვ. 525 >, შესწორებათა სია < გვ. 529 >, „დნსთნჰჰჰაე ამსალ“ აერთიანებს ანბანის რიგზე დალაგებულ 519 ნიმუშს < მათგან 23 დანართშია მოქცეული >.

კრებულისათვის დართულ წინასიტყვაობასა და შესავალში ამირ ყოლი ამინი აღტაცებას გამოთქვამს სპარსულ ანდაზათა, იდიომთა და არაკთა მომზიდველთბის გამო, თვლის, რომ ისინი არაფრით ჩამოუვარდებიან ფირდოუსის, საადს, ჰაფეზის, ხაიამის და სხვათა თხზულებებს. მისი აზრით, „უბირი ადამიანების ამდლებული სულისა და ხალხის აზროვნების წყაროდან მომავადობელი და მომხიბლავი ქმნილებები იფრქვევა, რომლებიც, შეიძლება ითქვას, შეტოქეობას უწევენ და ტოლს არ უღებენ დიდი მწერლებისა და პოეტების საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებებს“ ([1], გვ. 6). ხალხური ზეპირსიტყვიერების ეს ნიმუშები მიჩნეულია ერის ეროვნული და სულიერი სახის სარკისებრად ამსახველად.

ამინის ახარებს ისიც, რომ კრებულმა კარგი სამსახური გაუწია სპარსული ენით დაინტერესებულ უცხოელებსაც. მაღლიერებით იგონებს ფ. რ. ბეგლისა და ი. რუბინჩის, რომელთაც მათივე თქმით, დიდად ისარგებლეს ამ მასალით. ამინის აზრით, ასეთი შეფასება საუკეთესო ჯილდოა გაწეული შრომისათვის. ხოლო თუ ლიტერატურის მოყვარულნი მისი ხანგრძლივი გარჯის შედეგს უმნიშვნელო დვაწლად ჩათვლიან, თავს იმით ინუგეშებს, რომ „ყოველი ადამიანი თავისი შესაძლებლობების შესაბამისად აგებს სახლს“ ([1], გვ. 10).



განსაზღვრულ კრებულში მართლაც დიდძალი საინტერესო მასალაა თავმოყრილი. შეიმჩნევა ამინის მცდელობა, სადა სასაუბრო ერთ მოგვაწოდოს მოპოვებული მასალა. მაგრამ კრებულში შესული ანდაზების, იდიომების, არაკების ნაწილი ჩაწერილია არა ველზე მუშაობის შედეგად, არამედ ამოკრებილია ირანულ მწერალთა და პოეტთა თხზულებებიდან, სხვა სპარსული კრებულებიდან < „ამსლ ვა ჰეჰამ“, „ჯანე ათ-თამსილ“ [5], „საჰედე სდეჟ“ [6], სობჰის ზღაპრებიდან, ირანში გამოშვებული ურნალ-გაზეთებიდან < მაგ.: ურნალებიდან „სინაჟე ჯავან“, „როუსან-ჟეჰრ“, „ნოუბაჰარ“, „ჰონარ ვა მარდომ“; გაზეთებიდან: „ეთჰჰადე მელ“, „ეთთელანთ“, „ფიქე ირან“, „ნედჰა შაჰრეზ“, „სინაჟეჰან“, „თოლუ“, „ჯოლუათ“, „სინაჟეჰან“ >, ლექსიკონებიდან თეზიკრებიდან და სხვ. ამა თუ იმ გამოთქმის მნიშვნელობის საილუსტრაციოდ ამირ ყოლი ამინი ხშირად მიმართავს ნიჰანის, ფირდოუსის, საადის, ამირ ხოსროუ დეჰლევის, ნასერ ხოსროუს, ათარს, საიდ ნაფისის, სადეჟ პედაათს და სხვ.

ამირ ყოლი ამინი მხოლოდ ირანელი ავტორების ციტირებით არ კმაყოფილდება. რამდენჯერმე მიმართავს ლაფონტენს, საილუსტრაციოდ მოჰყავს ანდერსენის ზღაპარი, ან რაიმე ამბავი ესპერანტოს ენის ქრესტომათიიდან და ფრანგული დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოდან. შემდგენელი, მისივე თქმით, ასე იქცევა: რადგან: „ამ გამოთქმის შესაბამისი ამბავი ძალიან ჰგავს და ახლოს დგას არაკთან, რომელიც უმომხიბლავესად გაუღეჟსავს ფრანგ მეიჯავეს ლაფონტენს... ამ წიგნისათვის მხოლოდ და მხოლოდ ბრწყინვალეების მისამატებლად ქვემოთ მომყავს“... ([3], გვ. 125); „...ცნობილმა დანიელმა მეზღაპრემ და პოეტმა ანდერსენმა ეს ამბავი გაცილებით უფრო ტკბილად და დაწვრილებით აღწერა, ვიდრე მას ხალხი მყვება, მის ამბავს ვიამბობთ დოქტორ ზამენჰოფის წიგნიდან „ესპერანტოს ენის ქრესტომათია“... ([3], გვ. 184); „ამ გამოთქმის შესაბამისი არაკი არ მსმენია ხალხისაგან, მაგრამ გვჯი არ არის, ექნება და, შესაძლოა, მომდინარეობდეს არაკიდან, რომელიც ქვემოთ არის მოთხრობილი ფრანგული დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოდან“... ([3], გვ. 450). ან: სპარსულ ენაზე ან უბრალო ხალხისაგან ამ გამოთქმასთან დაკავშირებული ამბავი არ მსმენია; მაგრამ არაფერია საუბრო იმაში, რომ გამოთქმას აქვს არაკი და ეს არის ცნობილი ფრანგი პოეტის ლაფონტენის ბაყაყის ამბავი“ ([3], გვ. 20).

კრებულისათვის „მხოლოდ და მხოლოდ ბრწყინვალეების მისამატებლად ამ ავტორების მიმართებით არაფერი შევდება, მაგრამ, ვფიქრობთ, წინასიტყვაობაში გაცხადებული მიზნების მისაღწევად, გაუნართლებელია ანდერსენის ზღაპრების, ლაფონტენისა და სხვათა იგავების დამოწმება არსებული სპარსული არაკების ნაცვლად. ამა თუ იმ გამოთქმის შესაბამისი ამბავი ვერ მოპოვების შემთხვევაში, ჩვენი აზრით, არ არის მიზანშეწონილი იმის კატეგორიული მტკიცება, რომ მოცემული გამოთქმა აუცილებლად რომელიმე ევროპული არაკიდან მომდინარეობს ან — პირიქით.

რამდენსამე შემთხვევაში ამინი მიუთითებს, რომ დასახელებული ანდაზა ან იდიომა გვხვდება არაბულსა და თურქულ ენებში და უდარებს კიდევ მათ < მაგ.: I, 85; 435—6; 129 და სხვ. >. ტექსტის ზოგიერთი ადგილის კომენტარი ან მასთან დაკავშირებული შენიშვნა ხშირად მეტად საინტერესო ინფორმაციას, ზოგჯერ კი სადავო დასკვნებს შეიცავს. კრებულში არაერთგზის ვხვდებით ლინგვისტურ დაკვირვებებს, განსაკუთრებით ხშირად — ისპაჰანის ოლქის მკვიდრთა მეტყველების შესახებ < როგორც მაგ.: შენ. 2, გვ. 310; შენ. I, გვ. 382; შენ. I, გვ. 463 და ა. შ. >. ორიოდეჯერ ავტორი გვაცნობს თავის მოსაზრებას



ამა თუ იმ სიტყვის წარმოშობის და გავრცელების შესახებ < იხ. მაკაშვილი, გვ. 304; შენ. I, გვ. 441 >.

თავად ამინი თავის კრებულთან დაკავშირებით აუცილებლად მიიჩნევს ორი გარემოების აღნიშვნას. პირველი შეეხება ისეთ ანდაზებსა და იდიომებს, რომელთაც, მისი თქმით, მოკრძალება აკლია. ამინი არ აპირებდა ამ ნიმუშების კრებულში შეტანას, მაგრამ მოგვიანებით გადაწყვეტილება შეიცვალა, ერთი მხრივ, ცნობილ ლიტერატორთა და მეცნიერთა გავლენით, მეორე მხრივ, იმ გარემოებით გამხსნეველმა, რომ დიდი ირანელი პოეტებისა და მწერლების თხზულებებშიც ვხვდებით მთორიდეგულ და თამამ გამოთქმებს [7]. ამინი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას არაუბრუნების, იდიომების, ხალხური მეტყველებიდან აღებული სიტყვების მაქსიმალურად გამოყენებაზე, რითაც, მისი აზრით, გარკვეული წვლილი შეაქვს მშობლიური ენის სიმდიდრის დაცვისა და ფიქსირების საქმეში. ამის გამო კრებული, ფაქტობრივად, იმაზე მეტ გამოთქმასა და ანდაზას შეიცავს, რაც არაკების სათაურად არის გამოტანილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამინის თავისი ნაშრომის ძირითადი დირსების შეფასებისას მივირმობებს ვერ დავეწამებო. მართლაც, „დასთანხმად ამსალ“ ძალზე საინტერესო მასალას შეიცავს სპარსული ფრაზეოლოგიით, ლიტერატურით, ირანულ ფოლკლორითა და ეთნოგრაფიით დაინტერესებულ პირთათვის. თვალსაჩინო ავტორის მცდელობა, მაქსიმალურად შეუნარჩუნოს ნიმუშებს ხალხური სული და ელფერი. რასაკვირველია, კრიტიკულ მიდგომას საჭიროებს მასალა მთლიანად, მით უფრო, ავტორისეული კომენტარები, რომლებიც ზოგჯერ ტენდენციურია ან არადამაჯგერებელი. ამირ ყოლი ამინის დეაწლი კიდევ უფრო გაიზრდება, თუ მას მივიჩნევთ პირველ ირანულ ფოლკლორისტად, რომელმაც საველე მეთოდს მიმართა [8].

ქართული მკითხველისათვის ეს კრებული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რამდენადაც ქართულ ენაზე თარგმნილია ამირ ყოლი ამინის არაკებისა და ანდაზების ერთი ნაწილი. ეს გახლავთ სპარსული ანდაზებისა და იდიომების ფაქტობრივად დამოუკიდებელი გამოცემა ქართულ ენაზე [9].

### შ ე ნ ი შ ვ ე ბ ი

1. აღი აქბარ დეზობა, ამსალ ვა ჰეჰამ, გვ. 1-4, თებრან, 1310.
2. მოგვიანებით, 1339 < 1960 > წ., ეს კრებული სათაურით „ხალხური ლექსიკონი ანუ სპარსული ანდაზებისა და იდიომების განმარტებანი“ დასტამდა აღი აქბარ ალანის გამომცემლობამ, ხოლო 1350 < 1971 > წ. ხელახლა გამოსცა ისაჰანის უნივერსიტეტმა მრავალრიცხოვანი დონეებით.
3. ქოლქლორე ირან, დასთანხმად ამსალ, მეგარე: ამირ ყოლი ამინი, ინ ქეთან დარ ნეზბე ბაჰან მან 1351 ბეთე დღეუ აეჰეზარ ვა თენსად ნოსზე დარ ჩანხნეუ ეჰაჰან ბეჩაჟ რასიდ.
4. ეს გახლავთ ამინის ქალიშვილის ბანუ მანიე აიყის < ამინის > მიერ სპარსულ ენაზე თარგმნილი ტექსტი, რომლის ინგლისური დედანი დაბეჭდილია წიგნის ბოლოს 528-526-ე გვერდებზე.
5. „ჯიბე, ათოამსიდ“ — „არაკებისა და ანდაზების კრებული“, შედგენილია მ. 1054 წ. < 1644-45 > პეიდაჩაბადში < ინდოეთი > მომანადალი ქაბლერდის მიერ.
6. „შაბეუ სანეჟ“ — „სტყუარი მოწამე“, შედგენილია მ. 1054 წ. ინდოეთში მომანედ სადდის მიერ.



საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

7. ხ. ჰ. ქორთული მსგავს ნამუშებს «этические невыдержанные пословицы»-ს უწოდებს  
< იხ.: X. Г. Корогли, Персидские пословицы и поговорки, М., 1961, გვ. 11 > და კრებუ-  
ლის ნაკლად მიჩნევს, თუმცა, ჩქვე დადებითად აფასებს ავტორის მცდელობას, ხალხში გავრცელებულ  
ბული ფორმით გადმოსცეს ესა თუ ის ანდაზა ან იდიომა.

8. ასეთ წესითვე უნდა უგულებელვავით ანდოთნი სწორედ ამ მეთოდის გამოყენებით შე-  
დგენილი მოჰამადი პაბლერულის ორი კრებული „ჯამე ათამსილ“ და „შაჯმა თლამსად“  
< პ. 1049 წ. — 1639—40 >., ავრთვე, მოჰანიად საღეის „ნაჰედე სანდე“ < იხ. შენ. 5,6 >. ნა-  
თში თავმოყრილ ანდაზათა უმეტესობას XX საუკუნის-თითქმის ყველა კრებულში ვხვდებით. წარ-  
თალია, მკვლევართა ერთი ნაწილი ინდოეთში შექმნილ სპარსულეთთან ლიტერატურას სპარსული  
ანბნითვის გამოვლენად არ მიჩნევს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ანდაზები და არაკება ამ თვალ-  
საზრისით განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს.

9. ამირ ცოლი ამინი, ანდაზების არაკები, სპარსულიდან თარგმნეს ნაწილი თარგამაძემ და  
ბუხა მიქელაძემ, თბილისი, 1969.

## თენგიზ კახელავა

### ირანელი მომთაბარე ტომების ისტორიის ენციკლოპედიური წყარო

ლონდონის „აღენის და ანეინის“ გამოცემლობამ 1985 წელს დასტამბაჟ ფრედერიკ ბარტის წიგნი „სპარსელი მომთაბარეები, პამშების კონფედერაციის ბასერის ტომი“.

ქოჩადმავლობის ზონაში შეღწევა უცხოელისათვის გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ეს მოახერხა ზემოხსენებული წიგნის ავტორმა, რომელიც გარეგანშეკოს (გაერო განათლების, მეცნიერების და კულტურის საკითხზე) ხაზით 1957—1958 წლებში სამეცნიერო მივლინებაში იმყოფებოდა ირანის სამხრეთ რაიონებში, რათა ადგილზე შეესწავლა მომთაბარეთა ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის პრობლემები, ფრედერიკ ბარტი უშუალოდ გაეცნო სპარსელ მომთაბარეთა ყოფას და წიგნში წარმოადგინა საინტერესო ცნობები მათ ცხოვრების წესზე. ამ მონაცემებს პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

#### ისტორია, ეკოლოგია და ეკონომიკა

ბასერი მომთაბარე ტომია. იგი მესაქონლეობას მისდევს და მომთაბარეობს შირაზიდან ჩრდილოეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთის მიმართულებით. ქოჩადმავლობის რაიონი საკმაოდ ვრცელია. ტერიტორია მოიცავს 480×90 კმ-ს ქუზაბულის მთიდან ვიდრე ლარამდე. ბასერის ტომი გადასვლ-გადმოსვლისას მჭიდროდ ქოჩადმავლობს 8100 კვ კმ-ის უბანზე, რომლის სიგანე 90 კმ-ს არ აღემატება.

ფარსის პროვინციაში ქოჩადმავალი მოხეტიალე ტომები ერთმანეთისაგან გეოგრაფიული და ეთნიკური საღვონებით კი არ განსხვავდებიან, არამედ პოლიტიკური შეხედულებებით. ამ თვალსაზრისით ბასერის ტომი ერთიანი შეკრული ეჯვფთვია, რომელიც ცნობს ზანის უზენაესობას<sup>1</sup> და ირანის ადმინისტრაცია მას ერთ განუყოფელ ერთეულად თვლის.

ბასერის ტომში 16 ათასი (2000—3000 კარავი) მომთაბარეა, სალაბარაკო ენაა სპარსული, რომელიც ახლო დგას შირაზის დიალექტთან, ტომის ზოგი წევრი თურქულ ენასაც ფლობს.

ბასერის მესობლადაა ყუდშულის ტომები, ლურის დიალექტზე მეტყველებენ და პოლიტიკურად კავშირგაბმული კონფედერაციის ნაფარის ტომების შემადგენლობაში იმყოფებიან. მათ ბასერის ტომთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება აქვთ. ყუდშულის ტომები თურქულენოვანი მოდგმისანი არიან.

<sup>1</sup> ფარსის პროვინციაში მცხოვრებ მომთაბარე ტომების 1963 წლის აღწერების შედეგად ზანის ისტორიული ფაქტიურად გაუქმდა.



ბასერის ტომის სადგომების აღმოსავლეთით მომთაბარეობენ არაბები, რომელთა ოფიციალური ენაა სპარსული, ხოლო კიდევ უფრო იქით აღმოსავლეთით ნომადურ ცხოვრებას ეწევა ბახარლუს ტომი, ისინი თურქულად მეტყველებენ და ჰამსების ფედერაციას განეკუთვნებიან. დასავლეთის მხრიდან ბასერის მეზობლებია კაშაის ფედერაციის ტომები, რომელთა შორის ყველაზე მსხვილი ერთეულია შიშხელუმის ტომი, მეტყველებენ თურქულ ენაზე. ბასერის ტომის მრავალი წარმომადგენელი ბინადარ ცხოვრებას ეწევა შირაზსა და მიგრაციის რაიონის ჩრდილოეთით განლაგებულ სოფლებში.

ერთხანს რეზა შაჰმა აუკრძალა ბასერის ტომს მომთაბარეობა, გამოხდა ხანი და ისინი კვლავ დაუბრუნდნენ ნომადურ ცხოვრებას.

ზამთრობით მარტის თვემდე ქოჩადმავლობენ უზვ საძოვრებიან სანხრეთის ველებზე, შემდგომ მიაშურებენ ჩრდილოეთით მთიანეთს, სადაც მომთაბარეობენ ზაფხულის ბოლომდე. მოსავლის აღების შემდეგ მომთაბარეები სამხრეთისაკენ ერევიან საქონელს და ნაწიერაღზე აძოვებენ ნახიბს.

რაიონის ყველა მომთაბარე ტომს, მათ შორის ბასერისაც, აქვს მიგრაციის საკუთარი გრაფიკი, რაც შესაძლებლობას იძლევა გადაატარონ ფარა დაუმუშავებელ მიწებზე, ისარგებლონ წყლის რესურსებით და ა. შ.

ბასერის ტომის მომთაბარეები უმეტეს წილად მისდევენ ცხვრების, თხების მოშენებას, რადგან ტომის მიგრაციის მარშრუტები არ იძლევა შესაძლებლობას იყოლიონ მსხვილფეხა საქონელი. მათი ცხვრების და თხების ჯიშები ვერ ეკუთვნიან ერთ გარკვეულ კლიმატურ პირობებში ცხოვრებას და თუკი ცხვრები და თხები მთელი წლის მანძილზე ნომადურ ცხოვრებას ეწევიან, მხოლოდ სამხრეთის ან ჩრდილოეთის მომთაბარეობის რაიონში მათი 70—80% იღუპება. ფარაში 300—400-მდე ცხვარი ან თხაა. არის წლები, როცა სიცივისა და ავადმყოფობისაგან ფარა განახევრდება ხოლმე.

ბასერის ტომის წარმომადგენლები ალებ-მიცემობას ეწევიან ადგილობრივ ბინადარ მოსახლეობასთან, ტანისამოსის, ჭურჭლეულის, სანადირო მოწობილობის შესაძენად მომთაბარეები ყოდიან რძეს, ტყავს, ხორცს, თევითკს, კრაველს, აქლემის ბუმბულს, ფარდაგებს, შალის ნართს და ა. შ.

მარცვლოვანებს უმეტეს წილად თვითონ მომთაბარეები თესავენ, თუმცა ამჯობინებენ ფული გადაიხადონ და სხვას ჩაატარებინონ საველე სასოფლო სამუშაოები. ძირითადად ბასერის ტომი საველე სამუშაოს სოფლის ბინადარ მოსახლეობას ასრულებინებს, იჯარით აძლევს გლეხებს მიწის ნაკვეთებს მოსავლის 1/6—1/2 ანგარიშით.

### ოჯახის კერა

ბასერის ტომის ერთმანეთთან ნათესაური კავშირით შეკრული ერთი ოჯახი დაახლოებით 32 სულისაგან შედგება. სულ ნათესაეების ჯგუფი კი 120—150 კაცს არ აღემატება. თითოეულ ოჯახს 100-დან 200 სული საქონელი ჰყავს, მაგრამ რადგან ეკონომიურად გაუმართლებელია, რაც არ უნდა მოხდეს, 60 სულზე ნაკლებს არ იყოლიებს, თუკი ერთი ცხვრის ღირებულებას 80 თუმნად ვიანგარიშებთ, მაშინ ოჯახის ქონება  $80 \times 100 = 8.000$  თუმანი, ან დაახლოებით ათასი დოლარით განისაზღვრება. ამასთანავე ცხვრისაგან მიღებული „სუფთა შემოსავალი“ დაახლოებით 60 თუმანი; მატყლი — 20 თუმანი, ერბო — 25 თუმანი, კრაველი — 15 თუმანი. ერთი ფარა დაახლოებით 6.000 თუმნის შემოსავალს





იძლევა. ოჯახს წლიურად ტანისამოსის, ხორბლის და ა. შ. შესაძენად უკვე დასაწყისად 3.00 თუმანამდე, ზოგჯერ კი 5.000 თუმანამდე. ამგვარად, თუკი ოჯახში მხოლოდ ერთი ნატურალური ხასიათის მესაქონლეობას ეწევა, წლიურად დეზულობს 6.000 თუმანს ან 780 დოლარს, რაც განსაზღვრავს მომთაბარეების მაღალ საცხოვრებელ დონეს.

### ბანკი (სადგომი)

სადგომი 10—40 კარავს შეიცავს. დაბანაკება ნებაყოფლობით პრინციპზეა აკებული. სადგომს სათავეში უდგას მამასახლისი, რომელიც აღიარებულია ბასერის ტომის მეთაურის მიერ. ადგილობრივი ხელისუფლების სათავეში სამხედრო ადმინისტრატორების ინსტიტუტის შემოღებით ტომში პოლიტიკური ძალაუფლება გადავიდა „პოლკოვნიკებს“ ხელში, რომლებსაც ხანის როლი დაეკისრათ. ტომის წინამძღოლი სათავეში უდგას პოლიტიკური ცხოვრების მწყობრ ცენტრალურ სისტემას და ტომის სხვა წევრებისაგან განსხვავებით, შეუზღუდავი უფლებებით არის აღჭურვილი. მამასახლისის თანამდებობა ნემკვიდრეობით გადადის მამის მხრივ, საჭირო შემთხვევაში მამასახლისი თავისუფლად გადის უშუალოდ ტომის წინამძღოლზე.


### ბელადი და პოლიტიკური ხელისუფლება

ბასერის ტომს ბელადი არა ჰყავს. 1956 წლიდან ბელადის (ხანის) მოვალეობა (ფუნქცია) ირანის არმიას დაეკისრა. ნეზობელ კავკაელ ტომებთან ტომის ბელადის გვერდით არის სამხედრო (პოლკოვნიკი) და ძალაუფლება ფაქტიურად ამ ორი პიროვნების ხელშია. ჰამსედის ფედერაციაში ბელადები (ხანები) გადაყენეს და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებად ადგილებზე ითვლებიან პოლკოვნიკები, რომელთა ხელშია ნართვის სადავეები. თუმცა ტომი კვლავ უჩინრად ემორჩილება თავის ბელადს (ხანს). მომთაბარეთა გამგებლის ფუნქციების განაწილების მექანიზმის შესაცნობად საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ტომს სათავეში უდგას „ბელადი“ (ხანი) და ძალაუფლების სადავეები კვლავ მის ხელშია. ტომების კონფედერაციას სათავეში უდგას ქალანთარი: რომლის ინსტიტუტებიც თანდათან კარგავს თავის მნიშვნელობას.

ხანებისა და ქალანთარებისათვის უცხოა მომთაბარეობა, ნონადობა. არსებითად ესენი არიან მსხვილი მემამულე — რანტიები, რომლებიც ცხოვრობენ ქალაქებში, ბევრს მოგზაურობენ, ხშირად საზღვარგარეთაც.

ხანებისა და ქალანთარების შემოსავლის წყაროა ტომის წევრებზე შეწერილი რეგულარული გადასახადები (ე. წ. სადო-იქ ან სადო-სე ე. ი. ერთი ცხვარი ან სულ ცხვარზე). პირადი მოხმარებისათვის ნაწარმოებ პროდუქტებს გარდა ბასერის ტომი წლიურად 10.000 ცხვარს ვასცემს გადასახადის სახით.

ხანის გადაწყვეტილება მიიღება ერთპიროვნულად, ან საბჭოზე განხილვის შემდეგ ხანის ყველა ბრძანებულება თუ განკარგულება განუხრელად სრულდება. თანამდებობრივად უდაბლესის დაქვემდებარება უმაღლესისადმი ტომში დემოკრატიის პრინციპებზეა დამყარებული და ასეთი სახისაა: „ხანი—მომთაბარე“ შუალედური რგოლის „მამასახლისის“ ძალაუფლება მხოლოდ ჯგუფზე ვრცელდება. ურთიერთკავშირი ხანსა და მომთაბარეებს შორის ხორციელდება არა საფეხურებად „ზევიდან ქვევით“, არამედ დავალებათა შემსრულებლების მეშვეობით. ამ მიზნით შერჩეული ყავს მასთან დაახლოებული მომთაბარეთა წარმომადგენლების ჯგუფი



(დარბარის ტომის ნაწილი), რომლებსაც ხანის კარზე დავალებათა შემსრულებლების ფუნქცია აქვთ მინიჭებული.

ხანის უფლება-მოვალეობანი ასეთია: 1) სამოვრების განაწილება დამოკიდების კოორდინაცია. 2) სადაო საკითხების გადაჭრა 3) ბინადარ მოსახლეობასთან ტომის ინტერესების წარმოდგენა. კავშირურთიერთობას მოსახლეობასთან, ხელისუფლებასთან და მომთაბარეებთან ხანი ახორციელებს მამასახლისების, დესპანების თუ ხელქვეითიყოფი ნიხელებების მეშვეობით. სისხლისსამართლებრივი ხასიათის ყველა დანაშაულის შეფასება, დასჯა თუ შეწყალება ტომის ბელადის პრეროგატივაა. თუკი ხანს არ ძალუძს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა, როგორცაა: ქონების გაყოფა, განქორწინება და ა. შ., მაშინ მომთაბარე მიმართავს სახალხო სასამართლოს ან რელიგიის მსახურს — მოლას. ტომის ეკონომიკური კავშირები უბრატესად ბაზრის მეშვეობით ხორციელდება. ტომის ბელადი (ხანი) ცდილობს მუდამ კარგი ურთიერთობა ჰქონდეს როგორც ცენტრალურ, ისე-ვე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

### ჰამსეხის კონფედერაციის ისტორია

ჰამსეხის ფედერაცია 5 ტომს აერთიანებს: ფარსის პროვინციაში მომთაბარე არაბები, თურქულენოვანი ტომები: აინალუ, ბაზარლუ, ნაფარი და სპარსული ბასერი ტომი. პირველი მსოფლიო ომის დროს ჰამსეხის კონფედერაცია ინგლისელებს უჭერდა მხარს. ჰამსეხისა და კაშკაელთა კონფედერაციებში მტრულად არიან ერთმანეთის მიმართ განწყობილი. ამიტომაც როცა იკარგება საქონელი, მას „გამოისყიდიან“ ხოლმე მეზობელი ტომებიდან.

1956 წელს ბასერის ტომი ირანის არმიას დაუქვემდებარეს. სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობა ბინადარ მოსახლეობასთან ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო აღმინისტრაციის მეშვეობით, რომელსაც სათავეში უდგას პოლკოვნიკი და ოცია პასუხისმგებელი ბასერისა და კურდშულის ტომებზე.

ხანებისა და ბელადებისათვის ნომადობა უცხოა, თანამემამულეებისაგან განსხვავებით, როგორც წესი, ისინი ცხოვრობენ ქალაქში. ამ შემთხვევაში შირაზში ეკონომიკურად ოჯახი დამოუკიდებელი უჯრედეა. მომთაბარეებისათვის საძოვრები საერთო სარგებლობაშია და ამიტომაც ნახირის სულადობა ლიმიტირებული არ არის. ტომის შიდა ცხოვრება იმდენად მოუწყობელია, რომ მომთაბარეები ერთობლივად არ აწარმოებენ საერთო სამუშაოს, მაგალითად აქვთ, როგორცაა ჭის გათხრა, მორწყვა და ა. შ. თუკი რომელიმე მომთაბარე ფულს მეტს იშოვის, იგი ცხვრის ფარის სულადობას არ გაზრდის, არამედ შეიძინს ხალიჩებს, ძვირფასეულობას და ა. შ. ანჯერად გათვალისწინებულია ის ვარემოება, რომ ცხვრის ფარის სულადობის გაზრდაში ჩადებული ფული შეიძლება დაიკარგოს პირუტყვის გაწყვეტას, ავადმყოფობის ან სტიქიურ უბედურებათა გამო. ზოგჯერ მომთაბარეები ყდიან თავი მიწაწყალს, ან ვასცემენ იჯარით მოსავლის ნახევარს, ან 1/3-ის ანგარიშში. ქონების გაზრდის, მომატებისას იფართოებენ მიწის ნაკვეთებს და თანდათან ბინადარ მემამულეებად იქცევიან ხოლმე. ამასთანავე დემოგრაფიული პროცესი შეიძლება სხვაგვარად, პირუტყუ შემოტრიალდეს, როცა ქონების გაყოფა შევლებსა და სხვა შემკვიდრებს შორის მიზანშეწონილს ხდის დაუბრუნდნენ ადრინდელ, ნორმალურ ცხოვრების წესს. თუკი ოჯახის ცხვრის ფარის სულადობა 60-ს არ აღემატება მაშინ იგი იძულებულია გადავიდეს ბინადარ ცხოვრებაზე, რადგან ასეთ შემთხვევაში მესაქონლეობა გაუმართლებელია.



ოჯახის წევრები უნდა დაესაქმონ ტრანსპორტზე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე, კავშირი ტონთან წყდება და მომთაბარეები ბინადარ ცხოვრებაზე გადადიან.

სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა	მემამულე მიწათმფლობელი	მომთაბარეები
	" "	
	გლეხები "	

ამგვარად სოციალურ განასერში მომთაბარე შუალედური რგოლია მემამულესა და გლეხს შორის.

ტომეში ნაღალი შობადობა—4,5 ბავშვი ოჯახზე. ფარსის პროვინციაში ერთ მილიონ მოსახლეზე 250 ათასი მომთაბარე მოდის. წიგნის ავტორი განიხილავს და აღწერს ტომის ნომადურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მხარეს, კერძოდ ხელისუფლების შემკვიდრების წესს, ჩვეულებებს, რიტუალებს. წიგნში გადმოცემული ზოგი მომენტი მოძველდა, მაგრამ ყველაზე არსებითად მიგვაჩინია დასკვნები ეკონომიურ მიზეზებზე, რომლებმაც უბიძგეს ტომებს მომთაბარეობისკენ და იმ სიძნელებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ირანულ მომთაბარეების ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლის პრობლემის გადაჭრასთან. ყოველივე შემთხვევაში აღნიშნული მოწმობს წიგნში თავმოყრილი ფაქტობრივი მასალის მრავალფეროვნებას.

წიგნის უდავო ღირსებებთან ერთად საჭიროდ ვთვლით რამდენიმე შენიშვნის გამოთქმას. წიგნის სათაური, თუ მას სიტყვასიტყვით ვთარგმნით, იქნება „სამხრეთ სპარსეთის მომთაბარეები“, მიგვაჩინია, რომ აჯობებს, „ფარსის პროვინციაში მცხოვრები მომთაბარეები“ ან „სპარსელი მომთაბარეები“.

სასურველი იყო ფრედერიკ ბარტს შრომაში წამოყენებულ დებულებათა საილუსტრაციოდ მეტი ფაქტობრივი მასალები მოეტანა.

მოუხედავად ზოგი ნაკლისა, სარეცენზით წიგნი სასარგებლო ნაშრომია. იგი ცოცხლად და სიყვარულით არის დაწერილი. ჩანს, თუ როგორ ვარგად იცნობს ავტორი ირანულ მომთაბარეთა ცხოვრებას. რეცენზიაში განხილული წიგნი წარმოადგენს ირანის ფარგლებში მცხოვრებ მომთაბარე ტომების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წერილობით წყაროს და იგი დიდ დახმარებას გაუწევს აღნიშნული პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველს.



### კონსტანტინე ფალავა

ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა ოჯახს გამოაკლდა ცნობილი ირანისტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე კონსტანტინე ყარამანის ძე ფალავა.

დაიბადა 1919 წელს სურამში, სახელოვანი ქართველი ინტელიგენტის, ექიმ ყარამან ფალავას ოჯახში. 1941 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფილოლოგიის სპეციალობით. ერთ ხანს სოფლის სკოლაში იმასწავლებლა, შემდეგ ასპირანტურის კურსი გაიარა პროფესორ იუსტინე აბულაძესთან და 1944 წლიდან გარდაცვალებამდე უნივერსიტეტს ემსახურა. წლების მანძილზე იყო აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგე. იგი ირანისტა მრავალი თაობის აღმზრდელია. ყოველთვის გამოთრეოდა პრინციპულობითა და უადრესი პასუხისმგებლობის გრძნობით.

კოტე ფალავა იკვლევდა XIX—XX საუკუნეების სპარსული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს. იგი არის ასამდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი („ნიზამი“, „მირზა ფათალი ახუნდოვი“, „აზერბაიჯანულ-ქართული კულტურული ურთიერთობა“).

მისი ნახევარსაუკუნოვანი უანგარო სამსახური უნივერსიტეტმა ღირსეულად აღნიშნა ივანე ჯავახიშვილის მედლით.

კონსტანტინე ფალავას სახელი დიდხანს დარჩება კოლეგებისა და მადლიერი მოწაფეების ხსოვნაში.


**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.  
აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი.**

### მასწავლებელი და უზროსი მეგობარი

ვისაც ორმოცდაათიანი წლების უნივერსიტეტი ახსოვს, არ შეიძლება შემწვევი დარჩენოდა მაღალი, შავგვრემანი, გამსდარი ჭაბუკი. კეზიან ქართულ ცხვირს დიდი სათვალეები უმშვენებდა. როგორც წესი, თეთრი გადმოშვებული ხალათი ეცვა, რომლის ჯიბეს წითელი ფანქრები უმკიმებდა. ეს იყო კოტე ფალავა—ათი წლის მანძილზე მიმღები კომისიის მდივანი, რექტორის ნიკო კეტხოველის მარჯვენა ხელი.

მას შემდეგ ზუსტად ნახევარი საუკუნე გავიდა. რამდენიმე დღის წინ კონსტანტინე ყარამანის ძე ფალავას ნეშტი ვაკის სასაფლაოზე მიიბარა...

1947 წლის სექტემბრის მზიანი დღით პირველკურსელები სპარსული ენის ლექტორს ველოდით. სტუდენტებმა ყველაფერი იცოდნენ. ვიცოდით, რომ ეს იყო ჩვენი ფაკულტეტის დეკანის ბატონ სერგი ჯიქიას მოადგილე, დამთავრებული



ჭქონდა ასპირანტურის კურსი პროფ. იუსტინე აბულაძესთან, იყო ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილი პედაგოგი. აუდიტორიაში ენერგიული ნაბიჯები შემთხვევით და ჩვენთვის ყველასათვის ნაცნობი მიმღები კომისიის მდივანი, წითელი ფანქრით შეიარაღებული კოტე ფაღავა. აღმოჩნდა, რომ ისიც კარგად გვიცნობდა, რადგან შესწავლილი ჰქონდა ჩვენი პირადი საქმეები.

დღემდე მაქვს შენახული ის პირველი რვეულები, წითელი ფანქრით აჭრელებული გვერდები, ბოლოში გაკრული ხელმოწერით (კჟფ). ბატონი კოტე დაუზარებლად გვიხსნიდა სპარსული ენის ანაბანას, ჩვენგანაც მტკიცედ მოითხოვდა საპასუხო მონღომებას. ყველაზე მთავარი რასაც ის ჩვენ საკუთარი მაგალითით გვინერგავდა, ეს იყო უადრესად დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა. მისთვის სიტყვა და საქმე განუყოფელი იყო. არ მახსოვს, ლექცია გაეცდინოს, მიუხედავად იმისა, რომ მიმღები კომისიის მდივანობა და დეკანის მოადგილეობა დიდ დროს მოითხოვდა.

ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდით, როდესაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თანამშრომელი გავხდი. მოხდა ისე, რომ წარჩინებით კურსდამთავრებულმა წარმატებით ჩავაბარე საასპირანტურო გამოცდები, მაგრამ როგორც „ხალხის მტრის“ შეილს (1937 წელს მშობლები მყავდა რეპრესირებული), უარი მეთქვა ჩარიცხვაზე. მომდევნო წელს რექტორის ბრძანებით მიმიღეს ირანული ფილოლოგიის კათედრის ლაბორანტად. ჩვენს მომცრო კაბინეტს მაშინ ქეთო მეგრელიშვილი განაგებდა. მე კი ბატონმა კოტემ დეკანატიში დამსვა, კანცელარიის საიდუმლოებას მაზიარა, ცხრილის შედგენა მისწავლა და უნივერსიტეტის მრავალი შესანიშნავი თანამშრომელი გამაცნო (მარტო ქალბატონი ლენა კალანდარიშვილი, უნივერსიტეტის მთავარი დისპეჩერი, რად ღირდა!).

გავიდა წლები, მე ჯერ ლიტერატურის ინსტიტუტში გადავედი სამუშაოდ, შემდეგ კი აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, თუმცა უნივერსიტეტთან კავშირი არ განიწყვეტია, ვითხოვლობდი სპეკურსებს სპარსულ პოეტიკასა და ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობაში. 1981 წელს გარდაცვაალა კათედრის გამგე პროფ. დავით კობახი. კათედრის გამგედ ბატონი კოტე ავირჩიეთ.

ბატონი კოტე ენერგიულად შეუდგა კათედრის გამგეობას. ერთად შევადგინეთ ახალი პროგრამა სპარსული ლიტერატურის ისტორიაში, გამოცოცხლდა სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობა, რომელსაც ბატონი კოტე ხელმძღვანელობდა. მოცუბდა მისი პუნქტუალობა, სანცენიერო-კვლევის გეგმით გათვალისწინებული ნაშრომების მომზადებისას, როცა ვადაზე ადრე წარმოადგენდა ხოლმე თემას სარეცენზიოდ. უკანასკნელ წლებში არ ყოფილა შემთხვევა რომ ფაკულტეტის სამეცნიერო შრომების კრებულში მას არ მიეღო მონაწილეობა.

მისი სამეცნიერო ინტერესები ითვალისწინებდა XIX და XX საუკუნეების სპარსული ლიტერატურის ისტორიის აქტუალურ პრობლემებს (ამასვე მიუძღვნა სადოქტორო დისერტაცია). განსაკუთრებული ვატაცებით იკვლევდა იგი აზერბაიჯანის სპარსულენოვან მწერლობას, კერძოდ, მირზა ფათალი ახუნდოვის შემოქმედებას, რომელსაც არაერთი წერილი და მონოგრაფია მიუძღვნა.

სანწუხაროდ ვერაგი სენი ადრე და შეუმჩვენვლად შეეპარა. ყველაზე უფრო ეს აღაზიანებთან ურთიერთობაში გამოწყდავდა. ბუნებით უკონფლიქტო, ხალისიანი, მომღვინი მეგობრულ თაყვრილობაში უცვლელი თამადა (აქ არ შეიძლება მისი უსაყვარლესი ძმა, შესანიშნავი პედიატრი ირაკლი ფაღავა არ გავიხსენოს კაცმა, ისიც ხომ უბადლო თამადა იყო), უკანასკნელ ხახს ადვილად, ზოგჯერ უმიზეზოდ ღიზიანდებოდა, კარგავდა წონისწორობას, წამიერად ითიშებოდა კიდევ.



ყველაზე ადრე თვითონ შეამჩნია ეს და მიიღო საოცარი, მე ვიტყვოდი კაცური გა-  
დაწყვეტილება. მან თვითონ შეარჩია თავის მოწაფეთაგან შემცვლელი, თვითონ  
თავისი ნებით დატოვა კათედრის გამგეობა, რადგან მიაჩნდა, რომ ისე ვერ წარუ-  
ძღვებოდა საქმეს, როგორც საჭიროა.

კონსტანტინე ფაღაფა წავიდა ისევე ჩუმად და უპრეტენზიოდ, როგორც  
იცხოვრა. მხოლოდ მას და მის ასლობლებს ერგოთ უზომო ტანჯვა. მას დარჩა  
კარგი აღმზრდელის კეთილი სახელი, მისი კათედრის ბიბლიოთეკას კი ოჯახის გა-  
დაწყვეტილებით გადაეცა სპეციალური ლიტერატურა.

დიდი მადლობა ყველაფრისათვის, ბატონო კოტე! ასლა მაინც გეტყვი ამ სი-  
ტყეებს, რაც სიცოცხლეში ვერ გითხარი...

**ალექსანდრა გვახარია**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი.

ბინაარსი

ფილოლოგია

ბინა მარტვილაშვილი, აპოლონ სილაგაძე — აკადემიკოსი გიორგი წერეთელი — ქართველოლოგი და ორიენტალისტი	5
მზია ანდრონიკაშვილი — ფერისა და სინათლის აღმნიშვნელი სიტყვები ძველ ინდურ-ირანულ ენებსა და ქართულში	16
ელიდა ევანტალიანი — ბირის ნაცვალსაზღვლებს შესახებ თურქულ ენაში	23
მარკა ჩაჩიბაია — ქართულ ხელნაწერთა ურაგმენტება დამასკოს ნაციონალური მუზეუმიდან	27
მანანა კვაჭაძე — ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა მნიშვნელობის შესახებ ენობრივი კონტაქტების დროს (გონებორულ ლაიჯთა მეტყველების მასალაზე)	37
მერაბ რობაქიძე — სახელის განუსაზღვრელობის გამომხატველი სიტყვები ძველ სომხურსა და ძველ ქართულ ენებში	47
<b>ქონსტანტინე ფალავა</b> — ილია ჭავჭავაძე და სპარსული ლიტერატურა	54
ალექსანდრე გეახარია — „სიბრძნე-სიკრუისა“ ორი არაკის აღმოსავლური პარალელი	60
ლილი ფორქოლიანი — „რისტომიანის“ ონომასტიკონის ზოგიერთი თავისებურების შესახებ	70
ზაზა ალექსიძე — ერთი ტომონიმის „ნომენენბინი მოზსენიება“ ატენის სიონის სომხურ წარწერაში	77
ნინო აფციაური — „გრაგოლ განმანათლებლას ცხოვრებათა“ ციკლის თხზულებები (კლასიციკლის საკითხები)	80
ანა ჩანტლაძე — კირილე ალექსანდრიელის თხზულებები არსენი ვაჩეს ძის „დიდმატიკონში“	89
ნათია ჯაფარიძე — „ნინოს ცხოვრების“ სომხური სენსაქსარული რედაქციები	95
დეილა თუშიშვილი — დავით კობიძე — ქართულ-სპარსული ლექსიკის შეკრევატი	99
აპოლონი სილაგაძე — ქართული ლექსის განვითარების უძველესი და წინარე საფეხურები	104
ზურაბ კვიციანი — „ეთაბტა მარიამ და მართამ“	119

ისტორია

დავით კაციაძე — ვაზან-ყაენის რელიგიატორული საგმიანობის ზოგადი საკითხი	127
ნოზარ შენგელია — ერეკლე II-ის ორი წერილი ოსმალეთის კვირისადმი	136
მანანა გაბაშვილი — ტრამპონი ქართული წყაროების მიხედვით	141
რუსუდანი ჭუბაბრია — ერეკლე II-ს წიგნი: სომხური ჯგუფის დაპირისპირების მიზეზთა გარკვევისათვის	155

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

თეა შურდია — ამირ ყოლი ამინის „დასთანაზე ამსალ“	169
თენგიზ კეშელავა — ირანული მომთაბარე ტომების ისტორიის მნიშვნელოვანი წყარო	174
<b>ქონსტანტინე ფალავა</b>	179
ბინაარსი	182

## СОДЕРЖАНИЕ

### ФИЛОЛОГИЯ

Т. С. Маргвелашвили, А. А. Силагадзе — Академик Г. В. Церетели — картвелолог и ориенталист	5
М. К. Андроникашвили — Названия огня-света-блеска и связанная с ним цветообозначающая лексика в древнеиндоиранских и картвельских языках	21
Э. Д. Кванталиани — О личных местоимениях в турецком языке	26
М. А. Чачибая — Фрагменты грузинских рукописей из Дамасского Национального музея	35
М. И. Квачадзе — О значении экстралингвистических факторов при языковых контактах (на материале речи томборских лайджей)	45
М. Г. Робакидзе — Слова, выражающие неопределенность имени в древнегрузинском и древнесармянском языках	53
<b>К. К. Пагава</b> — Илья Чавчавадзе и персидская литература	58
А. А. Гвахария — О двух восточных параллелях к притчам «Мудрости вымысла» Сулхан-Саба Орбелиани	69
Л. Д. Жоржолиани — Некоторые особенности ономастики «Ростомияни»	75
З. Н. Алексидзе — «Мнимое упоминание» одного топонима в армянской надписи Атенского Слона	77
Н. К. Алцигаури — Сочинения цикла «Житие Григория Просветителя» (вопросы классификации)	87
А. Т. Чантладзе — Трактаты Кирилла Александрийского в «Догматиконе» Арсения Вачесдзе	94
Н. И. Джигаридзе — Армянские синаксарные редакции «Жития Нино»	97
Л. Н. Тушишвили — Д. И. Кобидзе — исследователь грузино-персидской лексики	102
А. А. Силагадзе — Древнейшие ступени развития грузинского стиха	117
З. Г. Кикнадзе — «...как Мария и Марфа»	124

### ИСТОРИЯ

Д. В. Кацитадзе — Некоторые вопросы реформаторской деятельности Газан-хана	134
Н. Н. Шенгелия — Два письма Ираклия II османскому везиру	139
М. В. Габашидзе — Трапезунт по грузинским источникам	153
Р. Г. Чубабрия — Пояснение причин противостояния «армянской группировки» Ираклию II	167

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Т. И. Шургая — «Дестанхайне амсал» Амир Коли Амини	169
Т. Г. Кешелава — Значительный источник по истории иранских кочевых племен	174
<b>К. К. Пагава</b>	178





## CONTENTS PHILOLOGY

T. Margvelashvili, A. Silagadze—Academician Giorgi Tsereteli: Kartvelologist and Orientalist	5
M. Andronikashvili—The Names of Fire Light Lustre and Related Vocabulary Designating Colour in ancient IndoIranian and Kartvelian languages	22
E. Kvantaliani—Personal pronouns in the Turkish language	26
M. Tchatchibaya—Fragments of Georgian Manuscripts in the National Museum of Damascus	36
M. Kvachadze—The importance of Extralinguistic Factors in Language Contacts	46
M. Robakidze—Words expressing indetermination of a noun in the old Georgian and the old Armenian Languages	53
<span style="border: 1px solid black; padding: 2px;">K. Pagawa</span> — Ilia Tschawtschawadze und die persische Literatur	59
A. Gvakharia—On two oriental Parallels to the Fables of the "Book of the Wisdom of Lies" by Sulkhan-Saba Orbeliani	69
L. Shorsholiani—Einige onomastikonbesonderheiten in „Rostomiani“	76
Z. Aleksidze—“An imaginary” Allusion to a Toponym in an Armenian Inscription of the Ateni Sioni	79
N. Aptsiaiyri—Works of the cycle “Gregory the Illuminator’s Life”	87
A. Chantladze—Cyril of Alexandria’s Treatises contained in Arseni Vachesdze’s “Dogmatikoni”	94
N. Japaridze—Armenian Synaxarion Redactions of “The life of St. Nino”	98
L. Tushishvili—D. Kobidze — the Investigator of the Georgian-Persian Vocabulary	103
A. Silagadze—The Earliest Stages of the Development of the Georgian Verse	117
Z. Kiknadze—“Comme Marie et Marthe”	125

### History

D. Katsitadze—Some Aspects of Ghazan-Khan’s Reformatory Activities	134
N. Shengelia—Two Letters of Erekle II to the Ottoman Vezier	140
M. Gabashvili—Trebizond in Georgian sources	153
R. Chubabria—Elucidation of the Causes of the Opposition of Armenian Groups to Irakli II	167

### CRITIQUE AND BIBLIOGRAPHY

T. Shurghaia—Dastanhayee Amsal (Renien)	168
T. Keshelava—An Important Source for the History	172
<span style="border: 1px solid black; padding: 2px;">K. Pabhava</span> — Obituary of Iranian Nomadic Tribes	178